

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა —
მომავალი, რომელიც წარსულმა წარმოიდგინა

ქეთევან ჩართოლანი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოზე
სოციალურ / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გაგა ნიჟარაძე, პროფესორი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია

დისერტანტი: ქეთევან ჩართოლანი

დისერტაციის სათაური: ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა —
მომავალი, რომელიც წარსულმა წარმოიდგინა

დისერტაციის დაცვის თარიღი: -----

რეცენზენტი 1: /სახელი, გვარი/

რეცენზენტი 2: /სახელი, გვარი/

რეკომენდებულია დაცვისათვის ----- (მაგ.: სოციოლოგიის) სამეცნიერო
მიმართულების კომისიის მიერ.

თავმჯდომარე, /სახელი, გვარი/ : _____
(ხელმოწერა)

წევრი, /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

წევრი /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

თარიღი: -----

ავტორის დეკლარაცია

"როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით."

ქეთევან ჩართოლანი 

თარიღი: 25, ივლისი, 2022 წელი

სადოქტორო ნაშრომი („ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა — მომავალი, რომელიც წარსულმა წარმოიდგინა“) ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის შექმნისა და განვითარების ისტორიას აანალიზებს. კვლევამ ცხადყო, რომ ეს ჟანრი საქართველოში სოცრეალისტური მწერლობის ფარგლებში წარმოიშვა და მისი განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეოცე საუკუნეში გათამაშებულ როგორც გლობალურ მოვლენებთან, ასევე საკუთრივ საქართველოსთვის ნიშნულ ისტორიულ კონტექსტთან. შესაბამისად, ნაშრომი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით ნაკლებად გამოკვლეული, „მოთვინიერებული მწერლობის“ ნიმუშებს უყურებს. მართალია, ამ ტიპის ტექსტებისთვის ნიშნულია მხატვრული ინდივიდუალიზმისგან დაცლილი ენა და რეჟიმის კონკრეტულ დირექტივათა მორჩილება, თუმცა სწორედ ეს თვისებები აქცევს მათ ღირებულ ემპირიულ მასალად, რომლითაც უახლესი წარსულის შესწავლა უნიკალური პრიზმიდანაა შესაძლებელი.

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის კვლევის მეთოდოლოგიური უპირატესობები არ ამოიწურება იმით, რომ ეს ტექსტები საბჭოთა რეჟიმის მიერ კულტურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნათა ასრულების ფორმებს ააშკარავებს. როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის სწავლებათა დარგის ცენტრალური ფიგურა, დარკო სუვინი ამტკიცებს, ზოგადად ჟანრს ფორმალური თვისებებიდან გამომდინარე სჩვევია თანადროული რეალობის კრიტიკა. ამიტომ საკუთრივ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა რეჟიმისადმი მორჩილება-დაუმორჩილებლობის დიქოტომიაში ერთგვარ ლიმინალურ სივრცეს იკავებს. კერძოდ, ამ ტექსტებში შესაძლებელი აღმოჩნდა ისეთი პასაჟების ამოკითხვა, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის რუსული გავლენისგან დამოუკიდებლად შექმნა-შენარჩუნებას ემსახურება. მსგავს ნარატივთა გასაანალიზებლად ნაშრომი პოსტკოლონიურ სწავლებას იყენებს და ისეთ მკვლევართა ნააზრევს ეყრდნობა, როგორებიც ედვარდ საიდი, ჰომი ბაბა და ჯესიკა ლანგერი არიან.

სადოქტორო ნაშრომი ისტორიული თუ პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით იკვლევს იმ მხატვრულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ქართული მწერლობა ცენტრისადმი (მოსკოვი) დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნას უმკლავდებოდა. ჟანრის უნარით, დროში ამოგზავრის მკითხველი, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა წერს ალტერნატიულ ისტორიას, რომლის შიგნითაც საქართველოს ნათელი (თუმცა კი კომუნისტური) მომავლის გარდაუვალობა მისი გმირული წარსულით და მრავალრიცხოვან მტერზე არაერთგზის გამარჯვების გამოცდილებით განისაზღვრება. ის ფაქტი, რომ ყველაზე შორეულ მომავალშიც კი ქართველი გმირი საკუთრივ ქართულ ეროვნულ თვისებებს ინარჩუნებს, შეიძლება იმ ერის ერთგვარ კოლექტიურ თერაპიადაც განვიხილოთ, რომელიც სამოცდაათი წლის განმავლობაში ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხის პირას იდგა.

საძიებო სიტყვები: 1. ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, 2. სოცრეალიზმი, 3. პოსტკოლონიალიზმი, 4. უტოპია, 5. დარკო სუვინი.


Abstract

The PhD thesis (“Georgian Soviet Science Fiction — How the Past Saw the Future Perfect”) examines the emergence and development of Georgian science fiction. The research shows that the genre in Georgia came into being as a part of the socialist realism literature and its development was linked to both the global events of the twentieth century and the country’s local historical context. Therefore, the thesis looks at examples of “tamed literature” that is not very well examined within the framework of Georgian Literary Studies. It is true that these types of texts lack artistic individuality and they straightforwardly follow the regime’s directives, but precisely these characteristics make them valuable sources for looking at the country’s Soviet past.

However, Georgian Soviet science fiction possesses one more methodological privilege. While on the one hand, these sources show how the regime’s directives towards culture were fulfilled, on the other hand, the genre itself imposes its own rules upon individual texts. As the central figure of Science Fiction Studies, Darko Suvin argues, due to its formal characteristics, science fiction is prone to critiquing its contemporary reality. Therefore, Georgian science fiction holds a liminal position within the dichotomy of obedience-disobedience towards the regime. In particular, these texts incorporate passages that try to create or strengthen the Georgian national identity, independent from the Russian influence. The thesis uses the postcolonial framework to analyze these narratives and builds upon the theories proposed by Edward Said, Homi Bhabha and Jessica Langer, among others.

With the genre’s ability to travel through time, Georgian science fiction writes an alternative history in which the country’s bright (albeit, Communist) future is predetermined due to Georgia’s heroic past and its numerous victories over otherwise invincible enemies. This means that even in the far future, where no countries or various languages exist, the Georgian hero retains uniquely Georgian characteristics. Therefore, these narratives can be seen as a kind of group therapy for people whose national identity was on the brink of disappearance for the better part of the twentieth century.

Key Words: 1. Georgian Science Ficiton, 2. Socialist Realism, 3. Postcolonialism, 4. Utopia, 5. Darko Suvin.



ხელმძღვანელი, გაგა ნიჟარაძე

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, გაგა ნიჭარაძეს, რომლის რჩევებისა და თანადგომის გარეშეც ნაშრომი ვერაფრით დაიწერებოდა.

თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის აკადემიურ პერსონალს და, პირველ რიგში, დეკან ნუცა ბათიაშვილს მადლობას ვუხდით იმისთვის, რომ ჩემი სადოქტორო თემის ღირებულება იქამდე დაინახეს, სანამ თავად დავრწმუნდებოდი, რამდენად იყო შესაძლებელი მსგავსი კვლევის ჩატარება. მათ ამ მიზნის მიღწევისთვის საჭირო თეორიული და ტექნიკური ცოდნით მომამარაგეს და არაერთხელ მიმითითეს იმ მიმართულებებზე, რომლითაც კვლევა შეიძლებოდა წარმართულიყო.

დიდი მადლობა თამთა ხალვაშს, რომელმაც მასწავლა, როგორ შეიძლება, აზრთა ქაოსი თანმიმდევრულ ტექსტად აქციო.

მადლობა დედას, რომელმაც საკუთარი მაგალითით ბავშვობიდანვე მასწავლა ფიქრის ფასი. და მადლობა ვენიკოს იმისთვის, რომ ჩემს ძალებში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია.

სარჩევი

დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია	ii
ავტორის დეკლარაცია.....	iii
აბსტრაქტი	iv
მადლობა	ivi
სარჩევი	ivii
შესავალი.....	1
მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა	6
ლიტერატურული მიმოხილვა	10
შედეგები.....	17
ნაწილი I: ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნისა და განვითარების ისტორიული კონტექსტი	19
თავი 1: ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკური ტრადიციის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები	20
1.1. „ვარსკვლავური ომები“	20
1.2. სამეცნიერო ფანტასტიკისა და ისტორიის ურთიერთკავშირი	22
1.3. სამი მოგზაურობა მთვარეზე	30
1.4. ბრძოლა მომავლის მონოპოლიისთვის	42
1.5. ელექტრიფიკაციის საკითხი	48
1.6. სოცრეალისტური ფანტასტიკა.....	57
თავი 2: სტალინიდან გორბაჩოვამდე — მომავლის კომუნისტური ხედვა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში.....	65
2.1. „კოსმოსური რბოლა“	65
2.2. 14-წლიანი პაუზა.....	67
2.3. მტრის ხატი, პარანოია და დესტალინიზაციის უკუეფექტები	78
2.4. დროთა კავშირი	91
2.5. შინაგანი ცენზორის დაუძლეველობის პრობლემა	101
ნაწილი II — ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ბოლშევიკურ- ნაციონალური ნარატივის პოლიტიკური კონტექსტი	110
თავი 3: ქართველი საბჭოთა გმირი სამყაროს წინააღმდეგ — პერიფერიის ოცნებების მეტროპოლიაზე	111
3.1. „ერთი მიწის შვილები“	111
3.2. სამეცნიერო ფანტასტიკის კოლონიური ფესვები.....	112
3.3. სამყაროს ცენტრში მდგომი ქართველი გმირი	120
3.4. დასავლეთი როგორც ეგზოტიკური სხვა	125
3.5. მომავლის ელინები, წარსულის ბარბაროსები და ზედროული ჩვენ	132
3.6. პოსტკოლონიური ნარატივი და ქართული ჰიბრიდული იდენტობა.....	145
თავი 4: გამოყენებითი უტოპია — სამეცნიერო ფანტასტიკა როგორც არმოხდენილ ისტორიათა და არარსებულ სივრცეთა კოლექტიური მოგონების წყარო.....	153
4.1. „ყველაზე ძვირფასი რელიკვია“	153
4.2 საბჭოთა დროის სასწაულები	155

4.3 წარმოსახვით სივრცეთა ჰეტეროტოპიურობა	163
4.4 სამეცნიერო ფანტასტიკური მითოლოგია	174
4.5. ამონი ანუ სამმაგი უტოპია	187
დასკვნა.....	197
ბიბლიოგრაფია	207
დანართი 1: ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ქრონოლოგიური ანოტირებული ბიბლიოგრაფია.....	218

შესავალი

გასული საუკუნე ქართული მწერლობისთვის ტურბულენტური პერიოდია: საუკუნის დასაწყისში რუსეთის გავლით ევროპიდან შემოსულ ახალ კულტურულ მიმდინარეობათა მოსინჯვის და ქართულ ნიადაგზე დამყნობის მცდელობათა თითქმის ორი ათწლეული 1920-იანი წლების ბოლოსთვისობრივად ახალმა რეალობამ ჩაანაცვლა. კულტურულ სფეროში პოლიტიკური რეჟიმის ხისტმა ჩარევამ და სოცრეალიზმის ერთადერთ დასაშვებ მიმდინარეობად გამოცხადებამ ქართველ მწერალთა მრავალფეროვანი სკოლები ჰომოგენურ წესებს დაუმორჩილა. ამან კი თავად ქართული მწერლობის გაერთგვაროვნება გამოიწვია. თუმცა ის გზები, რომლებიც ცალკეულმა მწერალმა თავისი ხედვისა და ესთეტიკის სოციალისტური რეალიზმზე მოსარგებად აირჩია, გარკვეული მრავალფეროვნებით მაინც გამოირჩეოდა. ამ ნაშრომის საკვლევი ჟანრიც, სამეცნიერო ფანტასტიკა, მსგავს არჩეულ გზათაგან — მართალია, ნაკლებად გაკვალილი — თუმცა ერთ-ერთი ნამდვილად იყო.

სწორედ ამიტომ ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრად ჩამოყალიბების ისტორია სოცრეალიზმის დაწესება-განვითარების ამბის ნაწილია. სწორედ ამ მიმდინარეობის შიგნით შეიქმნა ის ოცდაათამდე სამეცნიერო ფანტასტიკური წიგნი, რომელიც საქართველოში 1930-1991 წლებში გამოიცა¹. სოცრეალისტური მიმდინარეობა დღეისთვის მხატვრულ ღირებულებას მოკლებულ ლიტერატურასთან ასოცირდება. მასთან დაპირისპირებაში კი განიხილება პარტიული დოქტრინის წინააღმდეგ წასული ნაწარმოებები, რომლებშიც ნაციონალური სულისკვეთების გვერდით შეფარულად ანტისაბჭოური სენტიმენტებიც იკვეთება (ან, მინიმუმ, მსგავსი განწყობების გამოკვეთისთვის ტოვებს საინტერპრეტაციო სივრცეს). შესაბამისად, ნაწარმოების სოცრეალისტურ ტექსტად მოხსენიება ერთგვარ ხარისხობრივ შეფასებასაც აპრიორი მოიაზრებს და ამგვარად

¹ იხილეთ *დანართი 1*.

შეფასებული ტექსტები მეტწილად აკადემიური კვლევის მიღმა არის დარჩენილი². ეს ლიტერატურა ურთიერთგანმპირობებელ ორ მომაკვდინებელ ცოდვაშია ბრალდებული: მხატვრულ ზედაპირულობასა და პოლიტიკურ კონფორმიზმში.

ეს ორმაგი სტიგმა საფუძვლად უდევს დაშვებას, რომ ტექსტები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს არ აკრიტიკებს, ამავე დროს ანალიტიკურ ღირებულებასაა მოკლებული. ამგვარი ლოგიკური ბმა ნაკლოვანია. სოცრეალისტური ტექსტები თანამედროვე ქართველ მკითხველში სირცხვილის გრძნობასაც კი შეიძლება იწვევდეს, თუმცა მენტალური დეკოლონიზაციის პროცესში მსგავსი მძაფრი განცდის კოლექტიური შეგრძნება ერთგვარი ანთროპოლოგიური რადარის როლს უნდა თამაშობდეს, რომელიც შესწავლისთვის ღირებულ მასალას გვაპოვნინებს; თავად შესწავლის პროცესი კი მორალური თუ მხატვრული შეფასებებისგან უნდა იყოს დაცლილი.

მართლაც, ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკური მემკვიდრეობა არაა „დიდი ლიტერატურა“. აქ ძნელად თუ იპოვი სისტემას დაპირისპირებულ, ანტისაბჭოთა გრძნობების გამოძახილს — ეს ზუსტად ის სოცრეალისტური მწერლობაა, რომლის მიმართაც ლიტერატურათმცოდნეთა ინტერესი განელეზულია. ამის მიზეზი ნათელია: ამ ტექსტთა შინაგანი ლოგიკა ნაკადის მიმართულებით მიედინება და რა უნდა იყოს მათში ამაღელვებელი, ახლის მოქმელი, წარსულის გადამფასებელი? ყველაზე დრამატული და მიმზიდველი ამბები ხომ ნაკადის საპირისპიროდ ცურვისას იზადება. მაგრამ ეს დრამატული, ეს მიმზიდველი ამბები იშვიათადაა თავად მდინარის შიგთავსის აღმწერი: მათში ნამდვილი მტერი — მჩაგვრელი სისტემა, როგორც წესი, უგულებელყოფით, იგნორირებით მარცხდება. აი, მდინარის დინებას დამორჩილებული ნაკადი კი წყალში მობინადრეთა ცხოვრების რიტმსაა აყოლილი, მათი არსებობითაა გაშუალებული, მათი ყოფის დამტევი და თანაზიარია. ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა ტოტალიტარული სისტემის ნაწილია და მთელი მისი ფანტასტიკურობა აწმყოსეულია; საბჭოთა კავშირი

² ამ მხრივ ბოლო დროს ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ნამდვილად შეიმჩნევა ტენდენციის ცვლა, რადგან მკვლევრები ქართული „პროლეტარული მწერლობით“ ინტერესს სულ უფრო ხშირად იჩენენ. ამის მაგალითია მაია კობიაშვილის 2019 წლის სადოქტორო ნაშრომი, „პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940 წლები)“. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, როგორც წესი, ისეთ „კლასიკოს მწერალთა“ შემოქმედება ექცევა ხოლმე მკვლევრის ყურადღების ცენტრში, როგორებიც კონსტანტინე გამსახურდია და გიორგი ლეონიძე არიან.

ვერშემდგარი უტოპიაა და მისი საუკეთესო მემატიანეც სწორედ ის ჟანრია, რომლის ყურადღების ცენტრშიც ადამიანის გონებაში შექმნილი იდეალური სამყაროებია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკას უნიკალური ღირებულება აქვს. ის წარსულს ისე აშიშვლებს, რომ ეს უკანასკნელი პოსტსაბჭოთა ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვისაც კი აქტუალური, ჭკუისსასწავლებელი ხდება. ამის მიზეზი არაა მხოლოდ ჟანრის ზოგადი უნარი, აირეკლოს თანამედროვე პოლიტიკური თუ კულტურული ტენდენციები, არამედ აქ საქმეში კონკრეტული ისტორიული კონტექსტიც ერთვება, რაც ამ ტექსტებს დამატებით მნიშვნელობას სძენს. ერთი მხრივ, ჟანრის ფორმალისტური მახასიათებლებიდან გამომდინარე³, მეორე მხრივ კი, საბჭოთა კავშირის დისტოპიური ბუნების გამო, ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა რიგ ლიტერატურულ, ისტორიულ, პოლიტიკურ და ანთროპოლოგიურ კითხვებს სცემს პასუხს.

ერთ-ერთი მსგავსი კითხვა სამ მოცემულობას — მარქსიზმს, სამეცნიერო ფანტასტიკასა და საბჭოთა იდეოლოგიას შორის არსებულ მრავალშრიან ურთიერთობას მიემართება. ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიამ მარქსისტული იდეალების მიტოვება ასწრაფებული ტემპით განაგრძო, როცა სტალინისეული მმართველობისთვის უპირველეს მიზნად ძალაუფლების ნებისმიერი გზით შენარჩუნება იქცა⁴. ეს გარემოება საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკას მერყევ პოზიციაში სვამს: ერთი მხრივ, ჟანრი მარქსისტი მოაზროვნეების განსაკუთრებულ ინტერესსა და სიმპათიებს იმსახურებს, რადგან ის კრიტიკულად უყურებს თავის რეალობას და აშიშვლებს იმ უსამართლობას, რომელიც მის თანამედროვე და თანასივრცულ პოლიტიკურ რეჟიმს ახასიათებს. მეტიც, დარკო სუვინის მიხედვით⁵, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის მსგავსი ფორმალისტური მახასიათებლები მკითხველს აიძულებს, თავადაც კრიტიკული თვალთ შეხედოს თავის გარშემო არსებულ რეალობას, რადგან კითხვისას ის ძალაუვნებურად იწყებს ამ უკანასკნელის ფიქციურ სამყაროსთან შედარებას. შედეგად კი, ის ემპირიული რეალობის

³ ამ თემაზე იხილეთ: Suvin, Darko (1979) *Metamorphoses of Science Fiction*; Freedman, Carl (2000) *Critical Theory and Science Fiction*; და Jameson, Fredric (2005) *Archeologies of the Future*, Vint, Sherryl (2014) *Science Fiction – A Guide for the Perplexed*.

⁴ Berlin, Isaiah (1992), pp. 98-119

⁵ იხილეთ Darko Suvin (1988) *Positions and Presuppositions in Science Fiction*.

ნაკლოვანებათა შემჩნევას იწყებს. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მკითხველი აცნობიერებს, რომ ეს ნაკლოვანებები არა ბუნებრივი მოცემულობა, უნივერსალური ნორმები, არამედ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში ძალაუფლების მქონე ჯგუფის მიერ შემუშავებული სისტემის ნაწილია და, შესაბამისად, მათი გამოსწორება და შეცვლა თეორიულად შესაძლებელია. მეორე მხრივ კი, საკუთრივ საბჭოთა კავშირში ხელისუფლებამ სამეცნიერო ფანტასტიკა საცენზურო სისტემით მკაცრად გაკონტროლებული სოციალისტური რეალიზმის მნიშვნელოვან ნაწილად და მომავლის საკუთარი უტოპისტური ხედვების ხორცშემსხმელად აქცია.

ამ ორი გარემოების გათვალისწინებით, რამდენიმე კითხვა იჩენს თავს: რა მოსდის სამეცნიერო ფანტასტიკას, როცა ის ისეთი მასშტაბური პოლიტიკურ-სოციალური ექსპერიმენტის იარაღად იქცევა, რომლის გაცხადებული მიზანაც მარქსისტული იდეალის — კლასობრივი ჩაგვრისგან და კონფლიქტისგან გათავისუფლებული საზოგადოების აშენებაა, რეალურად კი მან ავტორიტარული რეჟიმი შექმნა? აქვს ჟანრს იმის უნარი, რომ შეინარჩუნოს თავისი თანამედროვე რეალობისადმი კრიტიკული პოზიცია მაშინ, როცა პოლიტიკური ძალა თითოეულ დაბეჭდილ სიტყვას მკაცრად აკონტროლებს? ან, იქნებ, ასეთ ვითარებაში ჟანრს ჩამოეცლება თავისი განმსაზღვრელი თვისება, რომლითაც მას მკითხველში ემპირიული რეალობისადმი კოგნიტიური გაუცხოების გამოწვევის გზით პოლიტიკურ-სოციალური უსამართლობების მხილება შეუძლია და, შედეგად, მმართველი ძალის პროპაგანდისტული იდეების გამავრცელებელი ხდება?

ლიტერატურათმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი მსგავსი კითხვების დასმის პარალელურად, ნაშრომი ანთროპოლოგიური კუთხითაც რელევანტურია, რადგან ცენტრი-პერიფერიის ურთიერთობას წარმოაჩენს. კერძოდ, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტების ანალიზისას აშკარავდება გზები, რომლებითაც ქართველები ქმნიდნენ და ინარჩუნებდნენ ეროვნულ იდენტობას სისტემაში, სადაც ნაციონალიზმი კაცობრიობის საბოლოო მიზნის, კომუნიზმის მიღწევამდე გადასატან სახადად მოიაზრებოდა. ბუნებრივია, რომ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში თავდაპირველად ცარისტული, შემდგომ კი საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ადამიანებს ცენტრისადმი ამბივალენტური დამოკიდებულებები გაუჩნდათ. მპყრობელი იმპერიისადმი ქართველთა გრძნობები კიდევ უფრო

კომპლექსური გახადა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირის ლიდერთაგან ყველაზე ძლევამოსილად მიჩნეული, იოსებ ჯუღაშვილი — რომელიც მსოფლიოსთვის თავისი ფსევდონიმის, სტალინის სახელით უფროა ცნობილი — ქართველი იყო. მაშინ, როცა საქართველოს კავკასიაში წამყვან ძალად მოაზრების საკუთარი მინიიმპერიალისტური ამბიციები ჰქონდა⁶, სტალინის საბჭოთა კავშირის ბელადად ქცევამ კიდევ უფრო გამოკვეთა ის კომპლექსები, რომელიც პოლიტიკურ ცენტრად ყოფნის ვერაზდენილი ოცნებებით იკვებებოდა. ეს „დამამძიმებელი გარემოება“ ქართულ საზოგადოებას დღემდე აწევს ტვირთად და ეროვნული იდენტობის კრიზისიდან თავის დაღწევის პროცესს ურთულებს. ამ კრიზისს ფესვები გაცილებით ღრმად აქვს გადგმული და მის საწყისებს რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული პირველ პოლიტიკურ შეთანხმებამდე შეგვიძლია მივდიოთ.

რუსეთისადმი ამგვარი ამბივალენტური გრძნობების ყოვლისმომცველობა არსად ასახულა ისეთი სიძლიერით, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში და ამ მხრივ გამოწვევის არც ქართული სამეცნიერო ფანტასტიკაა. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი იმ მოცემულობათა უჩვეულო კომბინაციის შედეგად, რომელზეც ზემოთ გაკვრით ვისაუბრეთ (და რომელთაც ნაშრომში მეტი ყურადღებით შევხედავთ), რუსული იმპერიალისტური გავლნის შიგნით ქართული ეროვნული იდენტობის თვითგადარჩენისთვის ბრძოლის ამბავს უნიკალური პერსპექტივიდან გვიყვება.

ამგვარად, ნაშრომის მეთოდოლოგიური თავისებურება საკვლევი მასალისადმი ინტერდისციპლინური მიდგომაა. ნაკლებად შესწავლილი ტექსტების ანალიზისას გამოყენებული თეორიული ჩარჩოები მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის, პოსტკოლონიალიზმის თუ ანთროპოლოგიის სფეროებს, რათა შეძლებისდაგვარად სრულად დახატოს ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნისა და განვითარების კომპლექსური სურათი. კვლევის მიზანი არაა მხოლოდ იმ ლიტერატურული მემკვიდრეობისთვის თვალის შევლება, რომელიც ტოტალიტარულმა მმართველობამ დაგვიტოვა. დასახული ამოცანა იმ მეტად ფართო თეორიული მოსაზრების გაანალიზებასაც მოიაზრებს, რომლის მიხედვითაც, სამეცნიერო ფანტასტიკა აპრიორი

⁶ თავად სტალინი, საქართველოში დაბადებულ საბჭოთა ლინგვისტ, ნიკო მართან ტანდემში, საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში ხშირად უსვამდა ხაზს იმას, რომ ქართული ნაციონალიზმი გამორჩეულად საშიში იყო და ამის გამო ის ისევე უნდა ჩაეხშოთ, როგორც პრესაბჭოთა რუსული იმპერიალისტური მისწრაფებები. იხილეთ Martin, Terry (2001) *The Affirmative Action Empire*.

კრიტიკულად აფასებს თავის თანამედროვე რეალობისთვის ნიშნულ უსამართლობათა გამოვლინებებს. ამ მხრივ, მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ანალიზით უნდა გაეცეს, შემდეგია: როგორ იქცევა მომავლის შესაძლო სცენარების წარმოდგენით შეპყრობილი ჟანრი იმ ტოტალური უტოპისტური რეჟიმის შიგნით, რომელსაც მომავალი უკვე განსაზღვრული აქვს? ამ გზით, ნაშრომი სამეცნიერო ფანტასტიკის შემსწავლელ ლიტერატურას ავსებს და, ამასთან, საკუთრივ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით ნაკლებად შესწავლილ ჟანრს აანალიზებს.

მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა

სადოქტორო ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში — „ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნისა და განვითარების ისტორიული კონტექსტი“ — ქრონოლოგიური მიდგომაა გამოყენებული. მასში ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნა-განვითარების პროცესი თანადროული რელევანტური პოლიტიკური და კულტურული პერიპეტიების გათვალისწინებითაა გადმოცემული. მსჯელობა აქ შედარებითი ანალიზის მეშვეობით იგება: ერთი მხრივ, ჩვენ ვუყურებთ, რა ხდება საბჭოთა კავშირის ცენტრში, რუსეთში და რა ისტორიული ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას იქაური სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარებაზე; მეორე მხრივ კი, ამ ცოდნით შეიარაღებულებს მზერა საქართველოზე გადმოგვაქვს და მსგავსებებს გამოვკვეთთ, განსხვავებებს კი საკუთრივ ქართული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით ვხსნით.

ჟანრის ჩამოყალიბების ეს ამბავი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის მთლიან პერიოდს მოიცავს. ნაშრომის პირველ ნაწილში ახსნილია, როგორ მოახდინა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა და გარემოებებმა გავლენა სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტებში არსებულ ტენდენციებზე, ტროპებსა და შეხედულებებზე.

უფრო კონკრეტულად, პირველი თავი, „ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკური ტრადიციის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები“, ამ ჟანრის ტექსტებს თანადროული ისტორიული კონტექსტის მიერ შექმნილ პროდუქტად

ანალიზებს. იმის ახსნით, რომ სამეცნიერო ფანტასტიკურ ნაწარმოებებსა და მათ თანამედროვე რეალობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ნაშრომის იმ მეთოდოლოგიის რელევანტურობა წარმოჩნდება, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას ისტორიულ მოვლენებთან პარალელების გავლებით ანალიზებს. ამავე თავში პირველი ორი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის მაგალითზე ნათელი ხდება, რომ მაშინ, როცა ეს ჟანრი საქართველოში 1930-იან წლებში სოციალისტური რეალიზმის თანადროულად დაიბადა⁷ და, შესაბამისად, ბოლშევიკური ხედვის წარმომჩენად აღიქმებოდა, ქართველმა მწერლებმა ის საკუთარ ღირებულებებთან მისაღები კომპრომისის მისაღწევად გამოიყენეს. მაშინ, როცა სოცრეალისტური ხედვა მწერლობისგან რეალობის პოზიტიურად ასახვას მოითხოვდა, სამეცნიერო ფანტასტიკა ამ რეალობას მომავალში ან ტექნოლოგიური სიახლით, იმავე ნოვუმით, გაუცხოებულ აწმყოში ათავსებდა. ეს კი მწერლებს მათი იმ თანადროული რეალობის შესახებ ტყუილების წარბეჭედებად თქმისგან ათავისუფლებდა, რომელიც პოზიტიურობისგან ძალიან შორს იყო. უფრო მეტიც, პირველ თავში განვითარებული არგუმენტაციის თანახმად, ჟანრმა ამ მწერლებს საბჭოთა მმართველობის ირიბად გაკრიტიკების საშუალებაც კი მისცა.

ნაშრომის პირველი ნაწილის მეორე თავი, „სტალინიდან გორბაჩოვამდე — მომავლის კომუნისტური ხედვა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში“, ჟანრის შიგნით შექმნილ ტექსტებში ახალ-ახალ ტენდენციათა გაჩენის ქრონოლოგიურ ანალიზს საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტამდე განაგრძობს. ამ თავში ჟანრის შიგნით მომხდარი ცვლილებები არა მხოლოდ გლობალური მოვლენების მეშვეობით იხსნება, არამედ, ასევე მეტად ლოკალური, თუმცა საქართველოსთვის არანაკლებ დრამატული ისტორიული მომენტების მოშველიებითაც. გლობალური და ადგილობრივი მასშტაბების მსგავსი ნაზავი იმის საილუსტრაციოდაა საჭირო, თუ როგორ ახერხებდა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა თავისი რუსული ანალოგის

⁷ მართალია, პირველი ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა, ალექსანდრე აბაშელის “ქალი სარკეში” 1930 წელს — ხელოვნების სკოლების გაუქმებამდე 2 წლით, ხოლო სოცრეალისტური მიმართულების რეჟიმის ერთადერთ დაშვებულ მიმდინარეობად გამოცხადებამდე 4 წლით ადრე დაიწერა, თუმცა 1928 წელს ნეპის დასრულებისა და 1930-წლიდან მაქსიმ გორკის საბჭოთა კულტურულ სარბიელზე დაბრუნების მომენტიდან მხატვრული ლიტერატურისადმი პარტიის მოთხოვნები მწერალთათვის უკვე აშკარა იყო.

კვალს გაჰყოლოდა და, იმავდროულად, ამ გაკაფული ბილიკიდან დროდადრო გადაეხვია და საკუთარი, უნიკალური ნარატივი შეექმნა.

ნაშრომის მეორე ნაწილი — „ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ბოლშევიკურ-ნაციონალური ნარატივის პოლიტიკური კონტექსტი“ — ტექსტების ქრონოლოგიურად ანალიზის ნაცვლად მათში დატეულ იმ კონკრეტულ თემებზე კონცენტრირდება, რომლებიც უტოპიას უნიკალურად ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა-შენარჩუნების იარაღად წარმოაჩენს. რადგან აქ უშუალოდ მხატვრული ტექსტებია გაანალიზებული, მსჯელობის აგებისას მოხმობილია სხვადასხვა დარგიდან ნასესხები თეორიული ჩარჩოები. კერძოდ, ამ ნაწილში გაერთიანებულ ორ თავში ანალიზი პოსტკოლონიალიზმის, უტოპიანიზმის, გეოკრიტიციზმისა და გამოყენებითი წარსულის მიდგომებსა და მეთოდოლოგიას იყენებს. ეს აზრობრივი ჩარჩოები იმ პოლიტიკური თუ სოციალური მნიშვნელობების სისტემურად წარმოჩენას ხმარდება, რომლებიც ქართული ლიტერატურული ტრადიციის შიგნით ამ ჟანრს კუთვნილ ადგილს განუსაზღვრავს.

კერძოდ, პოსტკოლონიალიზმის შიგნით ედვარდ საიდიესული ჩვენ/ისინი დიქტომია⁸ და პერიფერიის ჰომი ბაბასეული დახასიათება⁹ საქართველოსა და რუსეთის ძალაუფლებრივი ურთიერთობის წარმოჩენისთვისაა გამოყენებული. მიზანი აქ იმის ჩვენებაა, თუ როგორ მყარდება სამეცნიერო ფანტასტიკის ფურცლებზე ქართული ეროვნული იდენტობა ცენტრთან მიმსგავსებით, ცენტრის იდეის გაკრიტიკებით თუ მისი სრულად უგულებელყოფით. ამ მსჯელობაში დამხმარე თეორიულ ცნებად უტოპია შემოდის, რადგან ეს უკანასკნელი, — „წარმოსახვის მოფანტაზიორე ძალა¹⁰“, — სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურის მიღმაც კი ის მექანიზმია, რომელიც „დომინანტური იდეოლოგიის მიერ გამყარებულ კულტურას ეწინააღმდეგება¹¹“.

მესამე თავი, “ქართველი საბჭოთა გმირი სამყაროს წინააღმდეგ — პერიფერიის ოცნებები მეტროპოლიაზე”, პოსტკოლონიურ თეორიას იყენებს იმის საჩვენებლად, რომ ჟანრმა ქართველი მწერლები მოამარაგა უნიკალური შესაძლებლობით,

⁸ Said, Edward W. (1979).

⁹ Bhabha, Homi K. (1985).

¹⁰ Moylan, Tom (2014), 1.

¹¹ იქვე.

წარმოდგინათ საქართველოს ისეთი მომავალი, რომელშიც ეს უკანასკნელი რუსეთის მპყრობელობისგან იყო თავისუფალი. თავის მიზანი ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის იმ ორგვარი ბუნების წარმოჩენაა, რომელიც მას აძლევდა საშუალებას, ერთდროულად მომსახურებოდა საბჭოთა რეჟიმს და გაებრძოლა მის წინააღმდეგ, რის შედეგადაც უნიკალური პოსტკოლონიური ნარატივი შეიქმნა. ამ ნარატივის გამოსაკვეთად თავში ყურადღება გამახვილებულია ტექსტებზე, სადაც იკითხება პერიფერიის სურვილი, მიიწეროს ის პოლიტიკური ძალა თუ თვითმყოფადობა, რომელიც ცენტრს ახასიათებდა. ამ ლოგიკით განვითარებული მსჯელობა ააშკარავებს იმ როლს, რომელსაც სამეცნიერო ფანტასტიკა ასრულებდა ჰიბრიდული, თუმცა კი უნიკალურად ქართული ეროვნული იდენტობის საბჭოთა რეჟიმის შიგნით შექმნა-შენარჩუნების უწყვეტ პროცესში.

ნაშრომის უკანასკნელი, მეოთხე თავი, “გამოყენებითი უტოპია — სამეცნიერო ფანტასტიკა როგორც არმოხდენილ ისტორიათა და არარსებულ სივრცეთა კოლექტიური მოგონების წყარო”, უტოპიის ცნებაზე და მის პოლიტიკურ დატვირთვაზე კონცენტრირდება. კერძოდ, ის ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში არსებულ სამი ტიპის უტოპიას გამოყოფს და ანახებს, როგორ შეიძლება იქცეს იდეალური საზოგადოების მოდელი საბჭოთა რეჟიმის როგორც გამკრიტიკებელ, ასევე მისი რიტორიკის გამამდიერებელ მექანიზმად. თავი, ამასთან, ისეთ ანთროპოლოგიურ ცნებებს მიმართავს, როგორებიცაა გამოყენებითი წარსული და კოლექტიური მეხსიერება, რათა ახსნას, როგორ იყენებს სამეცნიერო ფანტასტიკა ქართულ კულტურულ ცნობიერში ჩაბეჭდილ სქემატურ ნარატივებს ერის უნიკალურობის საბუთად და, შედეგად, მისი უკვდავების გარანტად. ზოგადად ჟანრისთვის ნიშნული ტროპი, დროში მოგზაურობა, ამ ტექსტებში ორგვარ დატვირთვას იძენს: მომავლის კომუნისტური უტოპია აწმყოს კრიტიკის საშუალებად იქცევა, ხოლო წარსულში წასვლისას საბჭოთა მოქალაქის თვალთ დანახული ქვეყნის გმირული ისტორია ეროვნული სიამაყის გაღვივებას ემსახურება. თუმცა ტექსტებში წარმოდგენილი საზოგადოებები ზოგჯერ არა დროითი დისტანციით იკვეთებიან, არამედ — სივრცითი. ასეთ დროს წარმოიშობა საბჭოთა რეჟიმის თანადროული, ალტერნატიული სივრცე, რომელიც პოლიტიკური სტატუს-კვოსადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ავლენს.

საბოლოო ჯამში, თითოეული თავი ამ ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება: ინარჩუნებს თუ არა სამეცნიერო ფანტასტიკა თავის — კარლ ფრიდმანის სიტყვები რომ გამოვიყენოთ — „პრივილეგირებულ და პარადიგმატულ პოზიციას კრიტიკული თეორიისთვის“¹² მაშინ, როცა ის ტოტალიტარული რეჟიმის შიგნით იქმნება? ზოგადად, შესაძლებელია თუ არა ჟანრის შიგნით თვითრეფლექსიის რაიმე ხარისხის შენარჩუნება ან მკითხველში კოგნიტიური გაუცხოების გრძნობის დაბადება მაშინ, როცა მხატვრული ტექსტის თითოეული სიტყვა გამოქვეყნებამდე დიქტატორული მმართველობის ზედმიწევნითი კონტროლის ქვეშ ექცევა? ან, იქნებ, პირიქით, რაც უფრო რეპრესიულია რეჟიმი, მით მეტად ღირებული წყარო ხდება სამეცნიერო ფანტასტიკა (ცნობიერი თუ არაცნობიერი) პოლიტიკური კრიტიკისთვის? დაბოლოს — შესაძლებელია თუ არა ამ ტექსტების იმ საზიარო გამოცდილებების გამოსაკვეთად გამოყენება, რომლებიც საბჭოთა მმართველობისას ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ამბავს გვიყვება?

ლიტერატურული მიმოხილვა

მთავარი დაშვება, რომელსაც ნაშრომისეული ანალიზი ემყარება, ლიტერატურათმცოდნეობაში სამეცნიერო ფანტასტიკის შესწავლაზე ორიენტირებული კვლევების ფუძემდებელს, დარკო სუვინს ეკუთვნის. კერძოდ, სუვინის თანახმად, სამეცნიერო ფანტასტიკა აპრიორი პოლიტიკური თუ სოციალური რეალობის გამკრიტიკებელი ჟანრია, რადგან ის ალტერნატიული რეალობის დახატვით ემპირიული რეალობის ნაკლოვანებებსა და დამკვიდრებული ნორმების არბიტრარულობას წარმოაჩენს. ეს კი, თავის მხრივ, მკითხველს თავისი რეალობის კრიტიკული თვალთშეფასებაში ეხმარება¹³. უფრო მეტიც, სუვინი მიიჩნევს, რომ თუ სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტი თავის თანადროულ რეალობას არ აკრიტიკებს, ის სამეცნიერო ფანტასტიკად ვერც კი ჩაითვლება. მსგავსი მკაცრი მიდგომა ჟანრის

¹² Freedman, Carl (2000), xv-xvi.

¹³ იხილეთ Suvin, Darko (1979) *Metamorphoses of Science Fiction* და (1988) *Positions and Presuppositions in Science Fiction*

საზღვრების დაწესებისას, ერთი შეხედვით, კონტრპროდუქტიულია მაშინ, როცა საქმე ავტორიტარული რეჟიმის შიგნით შექმნილ ტექსტებს ეხება.

მართლაც, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, 1950-იან წლებში შექმნილ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში შეუძლებელია სისტემისადმი კრიტიკული პოზიციის თუნდაც ქვეტექსტურად ამოკითხვა. ამის მიუხედავად, ჟანრის სუვინისეული განსაზღვრების ნაშრომის მთავარ ჰიპოთეზად არჩევა მაინც ხელსაყრელია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს, მხატვრულ ტექსტებში არსებული გარკვეული გადაწყვეტები თუ ტროპები ტექსტის დაწერის თანადროულ პოლიტიკურ რეალობას დავუკავშიროთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როცა ტექსტი საბჭოთა რეჟიმისადმი მიძღვნილი პანეგირიკის როლს ასრულებს, ის მაინც გვეუბნება რაღაც ღირებულს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც მიზნად კულტურის თვითმყოფადობის სრულად მოსპობა აქვს განზრახული.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, დარკო სუვინისა და, ასევე, სამეცნიერო ფანტასტიკის სხვა ისეთ მკვლევართა მიხედვით, როგორებიც კარლ ფრიდმანი¹⁴, ფრედრიკ ჯეიმსონი¹⁵ თუ შერილ ვინტი¹⁶ არიან, ამ ჟანრში დაწერილი ტექსტი თანადროული ისტორიული კონტექსტის არა მხოლოდ პასიური ანარეკლია, არამედ ამ კონტექსტის შეცვლის პროცესშიც მონაწილეობს. ეს მოსაზრება ნაშრომში გამყარებულია სამეცნიერო ფანტასტიკის კვლევების მიღმა შექმნილი ისეთი ტექსტებით, რომლებიც ზოგადად საუბრობენ მხატვრული ლიტერატურის მეტატექსტურ ძალაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომია ედვარდ საიდის „კულტურა და იმპერიალიზმი“, რომელშიც მკვლევარი ამტკიცებს, რომ მხატვრული ტექსტი წარმოადგენს არა მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების მიღების საშუალებას, არამედ ის ამავედროულად კონკრეტული პოლიტიკური პროცესის ნაწილიცაა. ამით საიდი აკრიტიკებს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის იმ დასავლურ ტრადიციას, რომელიც ცალკეული ერის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს და მას მიწიერ პერიპეტიებზე მაღლა აყენებს.¹⁷ ლიტერატურის ასეთი ხედვა გამორიცხავს მისი, როგორც იდეოლოგიური იარაღის, კრიტიკის

¹⁴ Freedman, Carl (2000).

¹⁵ Jameson, Fredric (2005).

¹⁶ Vint, Sherryl (2014).

¹⁷ Said, Edward W. (1994), 44.

შესაძლებლობას. საიდი ამტკიცებს, რომ ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის გასაკრალიზებას მივყავართ ამ კულტურასთან ასოცირებული ისეთი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებამდე, რომელიც იწვევს “სხვაობის გაჩენას ‘ჩვენსა’ და ‘მათ’ შორის და ამას თითქმის ყოველთვის თან ახლავს ქსენოფობიის გარკვეული ხარისხი¹⁸”. ამის საპირისპიროდ საიდი ავითარებს აზრს, რომ კულტურა და პოლიტიკა არა თუ ზემოქმედებენ ერთმანეთზე, არამედ ისინი ერთი მთლიანობის განუყოფელი ნაწილები არიან. შესაბამისად, თუ გვსურს, სრულყოფილად შევისწავლოთ მხატვრული ნაწარმოები, მას უნდა ჩამოვაშოროთ სიწმინდის (მოცემული ნაშრომის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, უწმინდურობის) სტატუსი და გლობალურ და ემპირიულ კონტექსტში მოვაქციოთ.

მხატვრული ტექსტის საიდისეული პერსპექტივით დანახვა საფუძველს აცლის ავტორის, როგორც პოლიტიკურ ურთიერთობებისგან განყენებულად მდგარი, ყველაფრის მხედველი და ყველაფრის მცოდნე ავტორიტეტის ცნებას. ისევე როგორც თითოეული ტექსტი საიდისთვის კონკრეტული ისტორიით განპირობებულ იდეოლოგიურ ნარატივს წარმოადგენს, ასევე მისი ავტორიც არის იმავე იდეოლოგიის ნაყოფი. მსგავსი ისტორიული მგრძნობელობა, საიდის მტკიცებით, ახასიათებს ყველა ხელოვანს. ამ მდგომარეობის აღსაწერად იგი იშველიებს თომას ელიოტის ციტატას: “ეს ისტორიული მგრძნობელობა, რომელიც ერთდროულად არსებობს დროის მიღმა და კონკრეტულ დროში და არის ერთდროულად უდროო და დროთი განპირობებული, არის ის, რაც აქცევს მწერალს ტრადიციის ნაწილად¹⁹”.

მართალია, მხატვრულ ტექსტთა მკითხველზე გავლენის კვლევა ამ ნაშრომის მეთოდოლოგიას ცდება, თუმცა თავად დაშვება, რომ ეს ნაწარმოებები ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა-გამდიერების პროცესის ნაწილს წარმოადგენდნენ, ტექსტთა პოსტკოლონიური პრიზმით ანალიზის საშუალებას იძლევა. აქაც, რა თქმა უნდა, ედვარდ საიდის ნააზრევი — ამჯერად, ცენტრი-პერიფერიის ურთიერთობის შესახებ — ბაზისურ წყაროს წარმოადგენს²⁰. მაგრამ რადგან საიდი ცენტრით უფრო ინტერესდება, ჩვენ კი პერიფერიის გამოცდილებასა და საპასუხო რეაქციებს

¹⁸ იქვე, xiii

¹⁹ იქვე, 4.

²⁰ Said, Edward W. (1979).

ვუყურებთ, ანალიზი უფრო მეტად ჰომი ბაბასეულ ცნებებს — ამბივალენტურობას, მიმიკრიას და ჰიბრიდულ იდენტობას ეყრდნობა²¹. ეს ყველა ტერმინი იმ არაერთგვაროვან ურთიერთობას ახასიათებს, რომელიც დაპყრობილი ერის წარმომადგენელს დამპყრობლის მიმართ შეიძლება ჰქონდეს. ამ ცნებათაგან ნაშრომისთვის განსაკუთრებით რელევანტური მიმიკრიის, იმავე მიმსგავსების ბაბასეული გააზრებაა. მის თანახმად, სუვერენიტეტწარმეული სუბიექტი საკუთარი მნიშვნელოვნების თუ ღირსების შენარჩუნებისთვის თავს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ცენტრის ნაწილად წარმოიდგენს — ეს ერთგვარი თავდაცვით მექანიზმია, რომელიც საკუთარ არასახარბიელო მდგომარეობასთან შეგუებას ამარტივებს.

ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა არაერთ ისეთ ნარატივს იტევს, რომელშიც ქართული განსაკუთრებულობა რუსულ ცენტრთან გაიგივებით მტკიცდება. მსგავსი პასაჟების ანალიზისას ნაშრომში გამოყენებულია ის ტექსტები, რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკას სწორედ პოსტკოლონიური პრიზმით აანალიზებს. მათგან ცალკე აღნიშვნის ღირსია ჯონ რიდერის „კოლონიალიზმი და სამეცნიერო ფანტასტიკის აღმოცენება“²², სადაც მკვლევარი ჟანრის შექმნას უშუალოდ უკავშირებს იმპერიალიზმის ეპოქას. ის ამტკიცებს, რომ მხატვრული ლიტერატურის მიერ უცხო პლანეტათა და უცხო არსებათა აღმოჩენით დაინტერესება სწორედ იმ ისტორიულმა კონტექსტმა განსაზღვრა, რომელშიც დასავლურმა ცივილიზაციამ დედამიწის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში კოლონიათა დაარსება დაიწყო.

თუმცა როგორც საიდის შემთხვევაშია, აქაც რიდერი პერიფერიაზე მეტად ცენტრით ინტერესდება — ის უყურებს იმას, თუ როგორ ცდილობდნენ კოლონიზატორი ერების შვილები ამ მთლიანი პროცესის რაციონალიზაციას და ცოტას თუ ამბობს თავად კოლონიზებულ ხალხთა საპასუხო გამოცდილებაზე. ამიტომ ისეთი ტექსტები, როგორიც ჯესიკა ლანგერის კვლევაა²³, მოცემული ნაშრომისთვის ერთგვარ გზამკვლევადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან აქ სამეცნიერო ფანტასტიკის პოსტკოლონიური მნიშვნელობა დაპყრობილი ერების ნაწარმოებთა

²¹ Bhabha, Homi K. (1985).

²² Rieder, John. (2008).

²³ Langer, Jessica (2011).

ანალიზითაა გამოკვეთილი. კერძოდ, ლანგერი აბორიგენ ავსტრალიელთა სამეცნიერო ფანტასტიკას აანალიზებს, მთავარ დაშვებად კი ის აქვს, რომ როცა სუვერენიტეტწართმეული ერი მომავალს საკუთარი იდენტობის მქონე ადამიანებით ასახლებს, ამ ქმედებით ის მჩაგვრელ რეჟიმს უწევს წინააღმდეგობას. ლანგერის მიხედვით, იმპერიული ცენტრის მიერ შექმნილი სამეცნიერო ფანტასტიკა ორ ტროპს ეყრდნობა: პირველი ესაა გროტესკული არსების წარმოდგენა, რომელიც ერთი ხელის მოსმით, მწერივით უნდა გაანადგურო, რათა მშვენიერი პლანეტის ბატონ-პატრონი გახდე; ხოლო მეორე საშიში უცხოპლანეტელია, რომელიც შებრძოლებას ბედავს, თუმცა გმირი კოლონისტი მის დამარცხებას მაინც ახერხებს²⁴. ლანგერისვე თანახმად, პოსტკოლონიური სამეცნიერო ფანტასტიკა ამ კოლონიური ტროპების მოცილების ნაცვლად, მათ „ჰიბრიდაციას ახდენს, პაროდირებს და/ან ბაზასეული მასკარადის მეშვეობით ჰბადავს“²⁵.

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ამ ფორმულაზე პირდაპირ მორგება სწორი არ იქნებოდა, რადგან საბჭოთა კავშირი თავად იყო უტოპიური პროექტი, რომელსაც არა მხოლოდ აწმყოზე, არამედ მომავალზეც ჰქონდა მონოპოლია. ამიტომ ამ მომავლის ქართველებით დასახლება გარკვეულ წესებს უნდა დამორჩილებოდა, რომელთაგან უმთავრესი ის იყო, რომ იდეალური სახელმწიფო მხოლოდ კომუნისტური შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, მომავლის კომუნისტური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლად ქართველი გმირის წარმოსახვის გზით ამ ტექსტებში რეალობის გამმასხარავებელი ალტერნატივის დახატვა — მართალია, გარკვეული შეზღუდვებით — მაგრამ მაინც ხერხდება.

ზემოთ ნახსენები ცნება, უტოპია, ნებისმიერი კულტურის შიგნით შექმნილი სამეცნიერო ფანტასტიკის კვლევითვის ცენტრალურია, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხერხდება ტექსტისეული ფანტაზიის დაკავშირება თანადროული და თანასივრცული საზოგადოების სურვილებთან და ოცნებებთან. სწორედ ამიტომ ნაშრომი ცენტრალურ ჰიპოთეზას — სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტთან კავშირს — სხვადასხვა მკვლევრის მიერ ამ ცნების სხვადასხვაგვარ გააზრებაზე დაყრდნობით აყენებს. ის, რაც ფრედრიკ ჯეიმსონის²⁶,

²⁴ იქვე, 3.

²⁵ იქვე, 3-4.

²⁶ Jameson, Fredric (2005).

რუთ ლევიტასის²⁷, მარკ ბოულდის²⁸ თუ ტომ მოილანის²⁹ მიერ უტოპიის გააზრებას აერთიანებს, არის ბაზისური დაშვება, რომ უტოპიის წარმოსახვა თავისთავად პოლიტიკური აქტია. უფრო კონკრეტულად კი, „უტოპია სოციალურ სისტემაში არსებულ შეუთავსებლობებს თეორიულად თუ პრაქტიკულად ჯერ კიდევ განუხორციელებელი ხედვების წარმოდგენით აქრობს. იმედის ამგვარი ფიგურების გენერირებით უტოპია ოპოზიციის ღია სივრცის ნაწილი ხდება³⁰“.

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა ერთდროულად უტოპიათა ერთგვაროვნებითაც გამოირჩევა და მრავალფეროვნებითაც. ერთგვაროვნებაში ზემოთ უკვე განხილული თვისება იგულისხმება, რომლის თანახმადაც, წარმოდგენილი იდეოლოგიური მომავალი ყოველთვის კომუნისტური უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს ტექსტები მომავლის გარდა წარსულში და ალტერნატიულ აწმყოებშიც გვამოგზაურებენ. წარსულის დიდების წარმომჩენი პასაჟები ისტორიას გამოყენებითი წარსულის მნიშვნელობას სძენს. ამ ცნებაზე ვრცლად საუბრობს ლუის ზამორა, რომლის თანახმადაც, ამ ტერმინში

„გამოყენებითი“ გულისხმობს მისი გამომყენებლის ან გამომყენებლების აქტიურ ჩართულობას, რომელთა ნებელობის საფუძველზეც კოლექტიური და პირადი ისტორიები ყალიბდება. [...] ის, რაც გამოყენებითად ფასდება, ღირებულადაც ირაცხება; ის, რაც ღირებულია, სპეციფიკური კულტურული და პირადი საჭიროებებითა და სურვილებით იქმნება³¹.

კონკრეტულად ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შემთხვევაში, წარსულში მოგზაურობა ისტორიული ქრონოლოგიიდან ამოვარდნილ დრომიდმურ პერიოდს წარმოაჩენს, რომლის არსებობაც ქართველი ერის მარადჟამობის გარანტადაა დასახული. ამგვარად, წარსულში მიღწეული გამარჯვებები აწმყოსეული თუ არა, მომავლისეული ძლევამოსილების წარმომჩენი მაინც ხდება.

რაც შეეხება იმ უტოპიებს, რომლებიც ამ ტექსტებში აწმყოსეული ალტერნატიული რეალობის წარმოდგენით იქმნება, მათ გასაანალიზებლად ნაშრომში

²⁷ Levitas, Ruth (1990).

²⁸ Bould, Mark (2009), 1-29.

²⁹ Moylan, Tom (2014).

³⁰ იქვე, 1.

³¹ Zamora, Lois Parkinso (1997), ix.

გეოკრიტიკული მიდგომაა გამოყენებული. გეოკრიტიციზმი ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ბერტრანდ უესტფალის და რობერტ ტალის სახელებთანაა დაკავშირებული³². ამ მეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად, ტექსტში წარმოჩენილი სივრცეები ყოველთვის ამბობს რაღაც მნიშვნელოვანს ემპირიული რეალობისადმი ტექსტის დამოკიდებულებაზე — მაშინაც კი, როცა ეს დამოკიდებულება ავტორს გააზრებულიც კი არ აქვს³³. ამ მხრივ, სამეცნიერო ფანტასტიკურ სივრცეს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება, რადგან ის ერთდროულად არარსებულიცაა და არსებულის ელემენტებსაც შეიცავს. ეს ორაზროვნება, თავის მხრივ, ისეთივე კრიტიკული აზრის დამბადებელი შეიძლება იყოს, როგორიც უტოპიას ახასიათებს.

იმისთვის, რომ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა მეოცე საუკუნის ზოგადი ქართული სამწერლობო მემკვიდრეობის კონტექსტში ჩაისვას, ნაშრომი ხშირად ეყრდნობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით შექმნილ ტექსტებს. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერება“, რომელიც ქართული სოცრეალისტური ლიტერატურის შესახებ დაწერილ ცენტრალურ ნაშრომად, ერთგვარ მატთანად თამამად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბელა წიფურიას „ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში“, რომელშიც მკვლევარი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიური ანალიზისას სამი ტიპის კულტურულ სივრცეს გამოყოფს: 1) საბჭოურ კულტურას; 2) ნაციონალური ნარატივის კულტურას და 3) ალტერნატიულ კულტურას³⁴. მსგავსი დაყოფა ქართულ საბჭოთა სალიტერატურო სამყაროს ერთგვარ რუკად შეიძლება განვიხილოთ, რომელზეც ნაშრომი სამეცნიერო ფანტასტიკის საზღვრებს ავლენს.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია მეოცე საუკუნის სალიტერატურო ჟურნალებში დაწერილი პუბლიცისტური წერილები და რეცენზიები. ეს ტექსტები პირველადი წყაროს დანიშნულებას ასრულებენ, რადგან მათში საბჭოთა რეჟიმის დირექტივების ამოკითხვაა შესაძლებელი. მათგან მოცემული კვლევისთვის განსაკუთრებით

³² იხილეთ Westphal, Bertrand (2011) *Geocriticism: Real and Fictional Spaces*. New York: Palgrave Macmillan და Tally, Robert T. Jr. (2013) *Spatiality*. New York: Routledge.

³³ Azizi, Kyoumars, Afrougheh Shahram (2013), 641-643.

³⁴ წიფურია, ბელა (2016), 71-89.

რელევანტური ნუგზარ აფხაზავას 1987 წლის სტატია, „ჩვენ და ფანტასტიკა“ არის³⁵, რადგან ეს საბჭოთა პერიოდში დაწერილი იშვიათი პუბლიცისტური ნაშრომია, რომლის მიზანსაც ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ანალიზი წარმოადგენს. თავად ამ ჟანრში აქტიურად მოღვაწე მწერალს, ნუგზარ აფხაზავას მთავარი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც უძღვნის სტატიას, ისაა, თუ რატომ არ იწერება საქართველოში ბევრი და კარგი სამეცნიერო ფანტასტიკა. მოცემული ნაშრომის დაწერის იდეაც სწორედ ამ კითხვაზე პასუხის პოვნის სურვილით დაიბადა.

შედეგები

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ზემოხსენებული თეორიული ჩარჩოებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმართული ანალიზის შედეგად სამი ძირითადი დასკვნის გაკეთება გახდა შესაძლებელი:

1. მართლდება ჰიპოთეზა, რომ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნისა და განვითარების თავისებურებები პირდაპირაა მიბმული თანადროულ ისტორიულ კონტექსტთან. კერძოდ, კონკრეტული პოლიტიკური პროცესები უშუალოდ ზემოქმედებენ იმაზე, თუ რა მთავარ გზავნილს ატარებს ესა თუ ის ტექსტი და როგორია მის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული რეალობა. ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჟანრის განვითარება ათწლეულის დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიყვება რუსული სამეცნიერო ფანტასტიკის ევოლუციის პროცესს. თუმცა ეს ორი გზა ყოველთვის პარალელურად არ მიდის და შემჩნეული განსხვავებები მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ისეთი გლობალური ან საერთო-საკავშირო მოვლენები, როგორებიცაა ნეპის დასრულება, სოცრეალიზმის დაბადება, იძულებითი კოლექტივიზაცია, რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომი, ცივი ომი და კოსმოსური რბოლა, ხრუმჩოვისეული დათბობა, ბრეჟნევისეული სტაგნაცია და გორბაჩოვისეული გარდაქმნა, ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაზეც აისახება. თუმცა ზოგჯერ ისეთი

³⁵ აფხაზავა, ნუგზარ (1987) *ჩვენ და ფანტასტიკა*.

ლოკალური მნიშვნელობის ფაქტორები, როგორიცაა სტალინის ქართული წარმომავლობა, 9 მარტის ტრაგედია თუ ქართული ნაციონალიზმის ახალი ძალით გაღვივება, ჟანრზე ისეთ გავლენას ახდენენ, რომ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკა თავის უნიკალურ კალაპოტში ექცევა.

2. წინა მიგნებაზე დაყრდნობით ისიც მტკიცდება, რომ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა სოციალისტური რეალიზმის შიგნით დაიბადა და განვითარდა. უფრო მეტიც, მან ამ მიმდინარეობის მოთხოვნებს თავი საბჭოთა კავშირის დაშლამდე ვერაფრით დააღწია. ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისად ჯემალ ქარჩხაძის 1980 წლის მოთხრობა „დრო“ შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც გვანახებს, რომ მსგავსი თავდახსნა პოსტსტალინურ პერიოდში თეორიულად შესაძლებელი იყო, მაგრამ ამის უნარის მქონე მწერლები ჟანრით დიდად არ დაინტერესებულან.

3. იმის მიუხედავად, რომ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა სოცრეალისტურ საზღვრებში არსებობს, ის მაინც ახერხებს პოსტკოლონიური ნარატივის შექმნას. ამაში ჟანრის ფორმალისტური თავისებურებები და უტოპიისადმი რეჟიმის უნიკალური დამოკიდებულება ასრულებს გადამწყვეტ როლს. ამგვარად, იქმნება ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც იმპერიული ცენტრის თამაშის წესებით თამაშობს, თუმცა რაღაცგვარად მაინც ახერხებს, ამ თამაშიდან დამარცხებული არ გამოვიდეს. არდამარცხება კი იმაში გამოიხატება, რომ ეს ნაწარმოებები დღეს იმ ტექსტების ნაწილს წარმოადგენს, რომლებიც თანამედროვე მკითხველს საბჭოთა რეჟიმის და მისი პოსტკოლონიური დანატოვრის გააზრების საშუალებას გვაძლევს.

ნაწილი I: ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნისა და განვითარების ისტორიული კონტექსტი

თითოეული ქვეყნის კულტურის შიგნით ამა თუ იმ დარგში ახალი მიმდინარეობის, ფორმის, ესთეტიკური ხედვის დაბადება ხშირად არსებულ, დამკვიდრებულ სკოლებთან დიალექტიკურ ურთიერთობაში მოდის: ახალი, როგორც წესი, თავს ძველთან დაპირისპირებაში განისაზღვრავს. სწორედ ასე მოხდა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში, როცა სიმბოლიზმის სახელით სამწერლობო ასპარეზზე გამოსულმა „ცისფერყანწელების“ ახალგაზრდა თაობამ სამოციანელების რეალიზმს ქართული მხატვრული სულის ჩაკვლაში დასდო ბრალი. მან გამოაცხადა, რომ თერგდალეულებმა „მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“³⁶. თუმცა მოდერნისტულ სულისკვეთებას საქართველოში ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა და ტიციან ტაბიძის ამ სიტყვების დაბეჭდიდან ერთ-ნახევარი დეკადის თავზე უკვე სრულად პოლიტიზებული კულტურული სფერო ბოლშევიკური მმართველობის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში მოექცა. შედეგად, ყველა ხელოვანი ახალი და ერთადერთი მიმდინარეობის, სოცრეალიზმის პრინციპებს უნდა დამორჩილებოდა. ყველა სხვა მიმდინარეობა კი საზოგადოებისთვის გამოუსადეგარ და, შესაბამისად, საშიშ ფორმად შეირაცხა.

სამეცნიერო ფანტასტიკით ქართველი მწერლების დაინტერესება სწორედ სოცრეალიზმის პრინციპთა გაწერის პერიოდს ემთხვევა. თუმცა ამ ორი მოვლენის თანადროულობისთვის დამთხვევის წოდება ნაკლებად გამართლებული იქნებოდა, რასაც ნაშრომის პირველი ნაწილი დეტალურად გამოკვეთს. ამისათვის, თავდაპირველად, ზოგადად ჟანრისა და მისი თანამედროვე ისტორიული პერიპეტიების ურთიერთგადაჯაჭვულობაზე ვისაუბრებთ, შემდეგ კი უშუალოდ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის შექმნა-განვითარების პროცესს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის 70-წლიანი ისტორიის ფონზე გავაანალიზებთ.

³⁶ ტაბიძე, ტიციანი (1916) *ცისფერი ყანწებით*, 11.

თავი 1: ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკური ტრადიციის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები

1.1. „ვარსკვლავური ომები“

„ჩემო ძვირფასო ამერიკელებო, ამ ღამით ჩვენ კაცობრიობის ისტორიის კურსის შეცვლის იმედს ვზადებთ. გზად მრავალ რისკს წავაწყდებით, შედეგების მიღებას კი დრო დასჭირდება. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. ამ წამს კი, როცა გზაგასაყარზე ვდგავართ, მე გთხოვთ, ილოცოთ და გვერდში დაგვიდგეთ.

გმადლობთ, ღამე მშვიდობისა და ღმერთი გფარავდეთ“³⁷.

ამ სიტყვებით დაასრულა ამერიკის შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა, 1983 წლის 23 მარტის გამოსვლა ამერიკელი ხალხის წინაშე. იმედი, რომელზეც ის საუბრობდა, ისტორიაში „ვარსკვლავური ომების“ სახელით შევიდა³⁸ და მრავალი ისტორიკოსისა თუ პოლიტოლოგის აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცივი ომის დასრულებასა და საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესებში³⁹. „ვარსკვლავური ომების“ უკან სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა (SDI - Strategic Defense Initiative) მოიაზრებოდა, რომლის წარმატებით დაგვირგვინებაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის შიშის ბალანსის მოშლას გამოიწვევდა.

„ნება მომეცით, გაგიზიაროთ იმედიანი მომავლის ხედვა. ესაა ხედვა მომავლისა, სადაც ჩვენ დავიწყებთ პროგრამას, რომელიც საბჭოთა ბირთვული რაკეტების საზარელ მუქარას თავდაცვითი ხერხებით გაანეიტრალებს. მოდით, კიდევ ერთხელ

³⁷ პრეზიდენტ რეიგანის 1983 წლის 23 მარტის სატელევიზიო გამოსვლა, რომელიც ისტორიაში “President Reagan's SDI Speech”-ის სახელით შევიდა.

³⁸ ტერმინი პირველად რეიგანის სატელევიზიო გამოსვლიდან მეორე დღეს ტედი კენედიმ ირონიულად გამოიყენა „ვამინგტონ პოსტთან“ ინტერვიუში.

³⁹ „ვარსკვლავური ომების“ პოლიტიკურ მნიშვნელობასა და გავლენაზე იხილეთ: Fitzgerald, Francis (2000) *Way Out There in the Blue: Reagan, Star Wars, and the End of the Cold War* და Hey, Nigel (2006) *The Star Wars Enigma: Behind the Scenes of the Cold War Race for Missile Defense*.

დავეყრდნოთ იმ ტექნოლოგიის მიღწევებს, რომელიც ჩვენი ინდუსტრიული განვითარების საფუძვლად იქცა და კომფორტული ცხოვრებით ტკბობის შესაძლებლობა მოგვცა”, — განაცხადა რეიგანმა იმავე გამოსვლაში.

მიუხედავად პრეზიდენტის იმედიანი ტონისა, ამ პროგრამის ამოქმედება მრავალ რისკს შეიცავდა: აქამდე თითქმის თანაბარი ტექნოლოგიური განვითარების საფეხურზე მყოფ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული ომის დაწყება ორმხრივი განადგურების პერსპექტივის შიშით ყოვნდებოდა. ახლა კი ერთი მხარის მიერ მსგავსი ტექნოლოგიური ნახტომის გაკეთება ცივი ომისეულ სიტუაციას თავდაყირა აყენებდა. თუ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ბირთვული თავდასხმისადმი იმუნიტეტის გამომუშავებას შეძლებდა, მისთვის საბედისწერო ღილაკზე თითის დაჭერა გაცილებით გამარტივდებოდა. მეორე მხრივ, თუ საბჭოთა კავშირი დარწმუნდებოდა, რომ მსგავსი ტექნოლოგია აშშ-სთვის უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი გახდებოდა, იმის ცდუნებაც გაუჩნდებოდა, რომ იქამდე დაეწყო ბირთვული შეტევა, სანამ ძალების თანაფარდობა მეტოქის სასიკეთოდ მოისპობოდა.

მსგავსი მშფოთვარე ფიქრებით მოცული შეხვდა კაცობრიობა 1983 წლის 23 მარტს. სიმართლე კი, რომელიც დედამიწაზე სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა, ის გახლდათ, რომ SDI-ის ადგილი სამეცნიერო ფანტასტიკის ტექსტში უფრო იყო, ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტის საგანგებოდ შედგენილ გამოსვლაში. პროგრამის ტექნოლოგიურ მხარეს XX საუკუნის 80-იან წლებში კი არა, დღესაც ფანტასტიკის სფეროსთან უფრო მეტი საერთო ექნებოდა, ვიდრე საერთაშორისო პოლიტიკასთან: თეთრი სახლის თანახმად, შეერთებულ შტატებს მტრის ბირთვული რაკეტების შესაჩერებლად დედამიწის ორბიტაზე მზრუნავი სატელიტებიდან გამოტყორცნილი ლაზერის სხივები უნდა გამოეყენებინა. ეს სხივები უკვე ჰაერში მყოფ რაკეტებს აფეთქებების სერიით გაანეიტრალებდა.

ძნელად წარმოსადგენია, რომ ან რეიგანის, ან გორბაჩოვის ადმინისტრაციას გააზრებული არ ჰქონოდა პროგრამის ფანტასტიკურობა. მიუხედავად ამისა, 1987 წელს, როცა რეიკიავიკის შეხვედრაზე რეიგანს და გორბაჩოვს ყველა სახის ბირთვული შეიარაღების განადგურების შეთანხმებაზე ხელი უნდა მოეწერათ, ბოლო წამს საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა უკანასკნელი პირობა წამოაყენა: ამერიკას უარი უნდა

ეთქვა SDI-ს კოსმოსში გამოცდაზე. რეიგანმა პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა. შეთანხმება ხელმოუწერელი დარჩა.

SDI-ის პროგრამა, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლად, ექვსი წლის შემდეგ, 1993 წელს შეწყდა და კაცობრიობა მრავალი პასუხგაუცემელი კითხვის წინაშე დატოვა. რა მოხდებოდა, თუ რეიკიავიკის შეხვედრის წინ რეიგანი შეუძლებელი პროგრამის შეუძლებელი ცდების ჩატარებაზე უარს იტყოდა და ორი მხარე შეთანხმებამდე მივიდოდა? დაასრულებდა ეს ცივ ომს მაშინ და იქ? გადაავადებდა ეს საბჭოთა კავშირის დაშლას რამდენიმე წლით? ვიცხოვრებდით დღეს ბირთვული შეიარაღებისგან თავისუფალ სამყაროში? და თუ კი, როგორი იქნებოდა ეს სამყარო?

„რა იქნებოდა რომ?“ კითხვას მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ, სამეცნიერო ფანტასტიკა სვამს და არა — ისტორია⁴⁰. თუმცა, ფაქტია, რომ ერთი უცნაური დეკადის განმავლობაში დედამიწის ორი უძლიერესი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას სწორედ სამეცნიერო ფანტასტიკური ნარატივი გასდევდა ფონად და ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, თუმცა კი მნიშვნელოვან ნაკვალევს ტოვებდა კაცობრიობის ბედზე.

1.2. სამეცნიერო ფანტასტიკისა და ისტორიის ურთიერთკავშირი

ზემოთ მოთხრობილი ისტორია იმის უნიკალური მაგალითია, როცა რეალობასა და სამეცნიერო ფანტასტიკას შორის ზღვარი თითქმის უჩინარდება. მსგავსი შემთხვევები ისტორიაში მრავლად ნამდვილად არ მოიძებნება, მაგრამ ხსენებული ზღვრის გადალახვის ცდუნება ყოველთვის არსებობს. იმ მომენტიდან, როცა ადამიანმა დროის ცნება გაიაზრა, ის მომავლის ამოცნობის ჟინმაც შეიპყრო. ეს ჟინი კი, თავის მხრივ, მომავლის ფორმირების ნაწილი, მიზნის დასახვისა და მისკენ სვლის წინაპირობა გახდა. სამეცნიერო ფანტასტიკაც, ეს „იდებებისა და ცვლილების ლიტერატურად“⁴¹ წოდებული ჟანრი, გაჩენის დღიდან იძლეოდა მომავლის ფორმირების დირექტივებს. ესაა მიზეზი იმისა, რომ ნებისმიერი კულტურის შიგნით შექმნილი სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის ისტორიული კონტექსტიდან

⁴⁰ სამეცნიერო ფანტასტიკის მიერ დასმული კითხვების ტიპებსა და ენის სპეციფიკის თაობაზე იხილეთ Delany, Samuel (2009) *About 5,750 Words*.

⁴¹ Vint, Sherryl (2014), 113-159.

ამოგლეჯილად ანალიზი ლიტერატურათმცოდნეთა წრეებში შეუსაბამო მეთოდოლოგიურ მიდგომად მიიჩნევა. მსგავსი მიდგომა ჟანრისთვის იმ განმსაზღვრელი სტრუქტურული თავისებურებების უგულებელყოფას უდრის, რომლის გამოც ის პოლიტიკურად დამუხტულ ლიტერატურადაა აღიარებული. სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის ისტორიული კონტექსტის გაუთვალისწინებლად ინტერპრეტაცია, გადამერისეული ტერმინები რომ გამოვიყენოთ, მკვლევარსა და ტექსტს შორის „ჰორიზონტების შერწყმისა“ და ამის შედეგად „ეფექტიანი ისტორიის“ შექმნის შესაძლებლობას სპობს⁴².

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაც, როგორც ამ ჟანრის ლიტერატურას სჩვევია, თავის თანადროულ რეალობასაა მიჯაჭვული და ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება კიდეც მისით. ამ თავში ჟანრის ქართულ ლიტერატურაში დაბადებისა და განვითარების ისტორიას შევავლებთ თვალს. კერძოდ, იმ მრავალ ურთიერთგადაჯაჭვულ პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელთაც მსგავსი ტექსტების არსებობა, და ზოგ შემთხვევაში — არარსებობაც, განაპირობეს. რადგან ეს ჟანრი დამოუკიდებლობაწართმეულ საქართველოში დაიბადა, სრული სურათის დასახატად იმპერიული ცენტრის, რუსეთისა და მისი კულტურის სამეცნიერო ფანტასტიკით დაინტერესების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებაც მოგვიწევს.

სწორედ ამიტომ, მოცემულ თავში ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ტრადიციის დაბადებას რუსულ-ქართული ურთიერთობების სპეციფიკის გათვალისწინებით გავაანალიზებთ. იმ პოლიტიკური და სოციალური პირობების გამოკვეთა, რომლებშიც იქმნებოდა პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, მოგვცემს საშუალებას, ამ ჟანრს ქართული ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის სივრცეში განვუსაზღვროთ კუთვნილი ადგილი.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმისი ანალიზი, თუ რა მხატვრული თუ პოლიტიკური მიზნის მიღწევას ცდილობდა თითოეული ქართველი ავტორი სამეცნიერო ფანტასტიკის ტექსტის წერისას, მოცემული კვლევის ფარგლებსა და

⁴² ჰერმენევტიკის პრობლემატიკასა და მხატვრული ტექსტის სწორი ინტერპრეტაციის გადამერისეული ხედვისთვის იხილეთ Gadamer, Hans-Georg (1994) *Truth and Method*.

არჩეული მეთოდოლოგიის შესაძლებლობებს ცდება. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტულ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან ავტორის თვითიდენტიფიკაცია ტექსტისა და ისტორიული გარემოს ურთიერთკავშირზე ნიშანდობლივი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა — განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ ათწლეულებს; პერიოდს, როცა განსხვავებული ლიტერატურული ხედვებისადმი სიმპათიის გამჟღავნება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.

თავის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ერთგვარი ურთიერთჭიდილი, პოლიტიკური ბრძოლა მხატვრულ დისკურსზე ჰეგემონიის დამყარებისათვის. ეს ბრძოლა ორ განზომილებაში მიმდინარეობდა: კომუნისტური პარტია და მის დაქვემდებარებაში მყოფი მთავლიტი⁴³ მკაცრად განსაზღვრულ მოთხოვნებს უწესებდა მხატვრულ ტექსტს. მიუხედავად ამისა, ფურცლებზე გაცოცხლებულ ფანტასტიკურ სამყაროებში საბჭოთა სისტემისა და პოლიტიკური ლიდერებისთვის დითირამების მღერის პარალელურად სისტემისადმი კრიტიკული პოზიციები ილანდებოდა.

რომანში „ვალისი“ ფილიპ დიკი ადამიანთა ცხოვრებისა და აზროვნების გამკონტროლებელ ინსტიტუტზე, იმპერიაზე, გვაფრთხილებს: „იმპერიასთან შებრძოლება მისი სიგიჟით დაავადებას ნიშნავს“⁴⁴. საბჭოთა პერიოდის უტოპიური მომავლის აღმწერი პირველი ქართული ტექსტებიც იმთავითვე არიან საბჭოთა იდეოლოგიით გამსჭვალულნი და მაინც თითოეული უჯრედით ებრძვიან მას. ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემაში, როგორიც საბჭოთა კავშირია, პოლიტიკა და სახელმწიფო ცენზურა კულტურის ყველა შრეში აღწევს და მის ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კულტურას არ შესწევს უნარი, დივერსია მოუწყოს მასზე გაბატონებულ ძალას. სამეცნიერო ფანტასტიკა კი, როგორც პოლიტიკური და სოციალური ნორმების გადამფასებელი ჟანრი⁴⁵, მწერალს მსგავსი გაბრძოლებებისთვის ზედგამოჭრილი იარაღებით ამარაგებს.

⁴³ სახელმწიფო საცენზურო ორგანო, რომელიც ქართულ ბეჭდურ სიტყვას 1922 წლიდან 1990 წლამდე აკონტროლებდა.

⁴⁴ დიკი, ფილიპ (2016), 352.

⁴⁵ იხილეთ Suvin, Darko (1988) *Positions and Presuppositions in Science Fiction*; Freedman, Carl. (2000) *Critical Theory and Science Fiction* და Jameson, Fredric (2005) *Archeologies of the Future*.

ცალკეულ კულტურასა და საზოგადოებაში სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის დაბადება და პოპულარიზაცია რამდენიმე ურთიერთგამომდინარე ფაქტორით განისაზღვრება. ეს ფაქტორებია: ტექნოლოგიური განვითარება, მასობრივი განათლება და რელიგიის დასუსტების ხარჯზე მეცნიერების გაძლიერება⁴⁶. ამ სამცვლადიანი ფორმულის ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიისთვის მორგება რომ შესაძლებელი გახდეს, ანალიზი რუსეთი-საქართველოს ანუ ცენტრი-პერიფერიის შეპირისპირებით უნდა წარიმართოს.

საქართველოში ტექნოლოგიური განვითარების, ინდუსტრიალიზაციისა და საყოველთაო საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების პროცესები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირამდე, მაგრამ მაინც ჩრდილოელ დამპყრობელზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნისას დაიწყო. ამ ისტორიულმა კონტექსტმა ქართული ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას რელიგიის როლისა და დანიშნულების გადაფასებაც გამოიწვია: XIX საუკუნის მიწურულისათვის ქართული კულტურა მართლმადიდებლობას, როგორც ნაციონალიზმის განმსაზღვრელ მარკერს, ნაკლებად ეყრდნობოდა, რადგან დამპყრობელთან რწმენას იზიარებდა. საუკუნეების განმავლობაში არაქრისტიანი დამპყრობლების ყოლის შემდეგ მსგავსი გარემოება თვითიდეტიფიკაციისთვის ცენტრალურ კულტურულ ღირებულებათა მნიშვნელოვან გადაფასებას მოითხოვდა. შედეგად, ქართულმა ენამ და დამწერლობამ, როგორც ნაციონალურმა მარკერმა, ეროვნულობის შენარჩუნება ითავა. კერძოდ, ქართული კულტურული თვითმყოფადობის სადარაჯოზე მყოფმა სამოციანელების თაობამ გამორჩეული ყურადღება დაუთმო ქართული ენის სტანდარტიზებისა და წერა-კითხვის გავრცელების საკითხს. ისეთი განათლებული თაობის აღზრდა კი, რომელსაც გასიგრძელებული ექნებოდა ეროვნული ერთიანობისა და სიამაყის გრძნობები, მასობრივი ელექტრიფიკაციისა და ქვეყნის მასშტაბით რკინიგზის გაყვანის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

საყოველთაო განათლების დონის აწევა და ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაწყება ადამიანის მიერ სივრცისა და დროის დამორჩილებამ მოიტანა. თუ რკინიგზამ ტერიტორია დააპატარავა, ელექტროენერგიამ დღის გაზრდა იტვირთა. ორივემ კი ადამიანს საშუალება მისცა, მეტი დრო დაეთმო აბსტრაქტული ფიქრისა და

⁴⁶ Vint, Sherry (2014), 17-18.

თეორიული ცოდნის დაგროვებისათვის. ეს გარემოება პირდაპირ კავშირში გახლდათ ეკონომიკურ განვითარებასთან. ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები ან ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების წესის გაუმჯობესება რიგითი მოქალაქის თვალსაწიერის გაფართოებასა და ახალ-ახალი ტექნოლოგიური გამოგონებების შექმნას უდრიდა. საქართველოს მსგავსი დაპყრობილი ერებისთვის კი მოდერნიზმით მოტანილი ფუფუნება, პირველ რიგში, ეროვნული თვითგადარჩენის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

მართლაც, იმპერიულ ცენტრზე პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებულ საქართველოს არც ფინანსური და არც ინტელექტუალური რესურსი არ გააჩნდა იმისთვის, რომ თავად გამხდარიყო ტექნოლოგიური სიახლეების წარმომქმნელი. უფრო მეტიც, ინდუსტრიალიზაციის შედეგად მოტანილი სიკეთეების იმპორტიც კი საჭიროებდა ძალისხმევას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება, საუკეთესო შემთხვევაში, ტექნოლოგიური გამოგონებების მეორეული მომხმარებელი (და არა — წარმომქმნელი) შეიძლებოდა ყოფილიყო, უარეს შემთხვევაში კი — ამ პროგრესის გვერდიდან შემყურე.

იმისათვის, რომ ადეკვატურად შევაფასოთ ტექნოლოგიური პროგრესის როლი პრესაბჭოთა პერიოდის საქართველოს სინამდვილეში და ვნახოთ, რამდენად აისახა ეს პროცესი მხატვრულ ლიტერატურაში, ჩვენი მზერა, პირველ რიგში, იმპერიის ცენტრისაკენ უნდა მივაპყროთ. რუსეთის ინდუსტრიალიზაციის პროცესისა და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელობას ხშირად უკავშირებენ მრავალწახნაგიანი, შიდა კონფლიქტებში გახერგილი რუსული იდენტობის წარმოქმნის იმ მტკივნეულ პროცესს, რომელსაც ჯერ კიდევ პეტრე I-ის მმართველობის პერიოდში (1682-1725 წლები) ჩაეყარა საფუძველი⁴⁷. სწორედ პეტრე I-ის რეფორმებით გამოწვეულმა კულტურულმა რევოლუციამ დაუდო დასაბამი რუსეთის ლტოლვას დასავლეთისადმი და ამ მომენტიდანვე გაჩნდა ბზარი საზოგადოების ეკონომიკურად და სოციალურად პრივილეგირებული ფენის ეროვნულ იდენტობაში. დასავლეთ ევროპის კულტურისადმი რუსეთის ელიტარული

⁴⁷ ტექნოლოგიური განვითარებისა და რუსული იდენტობის ურთიერთკავშირის თავისებურებებში გასარკვევად იხილეთ: Stites, Richard (1989) *Revolutionary Dreams*; Groyce, Boris (1992) *The Total Art of Stalinism* და Banerjee, Anindita (2012) *We Modern People*.

წრეების სიყვარული ცალმხრივი აღმოჩნდა და ამით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში ბრაზი და სიძულვილიც კი გააღვივა. ამას ერთოდა ის გარემოებაც, რომ ორ კონტინენტზე გადაჭიმული უზარმაზარი იმპერიის ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად ჰეტეროგენული მოსახლეობა სრულიად გულგრილი დარჩა კულტურული ელიტის დასავლური მისწრაფებებისადმი. მაშასადამე, ვესტერნიზებულ რუსულ ინტელიგენციას ორი ამოცანა ჰქონდა ამოსახსნელი: ერთი მხრივ, მას უნდა დაემტკიცებინა დასავლეთ ევროპისათვის, რომ მისი ოჯახის სრულფასოვანი წევრი იყო და, მეორე მხრივ, ამოეცნო ის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული უფსკრული, რომელიც მასა და მიწაზე მიჯაჭვულ, გაუნათლებელ გლეხობას შორის არსებობდა.

ეს ორი მიზანი გარკვეულწილად ურთიერთშეუსაბამო აღმოჩნდა, რაც ნათლად ჩანს ფიოდორ დოსტოევსკის მიერ თავისსავე ჟურნალში, „მწერლის დღიური,” (Дневник Писателя) 1881 წელს გამოქვეყნებულ ესეიში, „გეოქ-თეფე. რას წარმოადგენს აზია ჩვენთვის?“. ამ ტექსტში დოსტოევსკი აცხადებს, რომ რადგან ევროპა უარს ამბობს რუსეთის მიღებაზე, რუსულმა იდენტობამ საკუთარი თავი თავის აზიურ ფესვებში უნდა იპოვოს:

ევროპა მზადაა, გვაქოს, თავზე ხელი გვისვას, მაგრამ თავისიანად არ გვაღიარებს, მათ ჩვენ ვძულვართ ფარულად და გაცხადებულად, თავის თავზე დაბლა მდგომ ხალხად, მოდგმად მივაჩნევართ, ზოგჯერ კი ისე ვეზიზღებით, ისე საოცრად ვეზიზღებით! განსაკუთრებით მაშინ, როცა ძმური კოცნებით ყელზე ვეკიდებით. [...] მაგრამ ევროპაში გამავალი ფანჯრისთვის ზურგის შექცევა რთულია, ეს ბედისწერაა. [...] ამასობაში კი აზია მართლაც შეიძლება გახდეს ჩვენი მომავლის საწინდარი.⁴⁸

იმავე ნომერში აზიასთან დაახლოების გზად დოსტოევსკი ციმბირსა და შუა აზიაში სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანას მიიჩნევს. მაგრამ აზიასთან დაახლოება მწერლისთვის ევროპულ ამბიციებზე, ევროპულ იდენტობაზე უარის თქმას არ ნიშნავს. ევროპისადმი დუალისტური, სიყვარულსა და სიძულვილს შორის გამომწვევდელი დამოკიდებულების ტრაგიზმი კარგად ჩანს იმ პასაჟში, სადაც დოსტოევსკი აზიური იდენტობის აღიარებასა და პოლიტიკური თუ კულტურული ყურადღების აღმოსავლეთისკენ გადატანის მიზეზად ასახელებს იმის მოლოდინს, რომ თავისზე ნაკლებად განვითარებული სამყაროს ფონზე რუსეთი შეძლებს

⁴⁸ Достоевский, Фёдор (1995), 508.

ფრუსტრირებული მეგალომანიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და სხვისთვის გახდება ის, რაც ევროპა იყო მისთვის: „ევროპაში ჩვენ მათხოვრები და მონები ვიყავით, აზიას კი ბატონებად მოვევლინებით. ევროპაში თათრები ვიყავით, აზიაში კი ევროპელები ვართ. მისია, ჩვენი ცივილიზაციური მისია, აზიაში ჩვენს სულს მოისყიდის და იქითკენ მიგვიზიდავს, საჭიროა მხოლოდ, რომ მოძრაობა დაიწყოს“⁴⁹, — ამბობს მწერალი.

მართლაც, ევროპისადმი და საკუთარი გლეხობისადმი უკიდურესად ამბივალენტური დამოკიდებულების ჰარმონიზაციის სურვილით შეპყრობილ რუსულ ელიტას დასავლეთში სწრაფი ტემპებით პროგრესირებადი ტექნოლოგიური სიახლეები მოევლინა ერთგვარ მხსნელად. ამან, თავის მხრივ, ისეთი პარადოქსული ვითარება შექმნა, რომელიც ბორის გროისმა დაახასიათა როგორც „რუსეთის მიერ დასავლური პროგრესის აპროპრიაცია დასავლეთისვე განადგურების მიზნით“⁵⁰. რუსი ხალხისთვის ტექნოლოგიური პროგრესი დასავლეთთან კულტურული უპირატესობის მოპოვების ტოლფასი უნდა გამხდარიყო.

პრესაბჭოთა საქართველოსთვის ტექნოლოგიისადმი მსგავსი მიდგომა ფუფუნების სფერო გახლდათ. ტექნოლოგიური განვითარება აქ ეროვნული თვითმყოფადობის იდეასთან იყო მიბმული. ამ იდეის გაღვივებაზე კი ქვეყნის მომავალი იყო დამოკიდებული. ამიტომ რიგითი ქართველის ცხოვრების წესის გაუმჯობესებაზე მეტად, ზუსტი მეცნიერების უკანასკნელი მონაპოვრებიც კი ამ მიზნის მიღწევისთვის ბრძოლას უნდა წასდგომოდა. ტექნოლოგიური პროგრესი „სამოციანელებისთვის“ საშუალება იყო და არა — მიზანი; მას შავი სამუშაო უნდა ეტვირთა და არა — ცნობიერება გარდაექმნა.

თუ როგორ განსხვავებულად უყურებდნენ ტექნოლოგიური სიახლეების მნიშვნელობას XIX და XX საუკუნეების მიჯნის რუსეთსა და საქართველოში, ქვემოთმოყვანილი ორი ციტატიდანაც კარგად ჩანს. პირველი ამონარიდი 1894 წელს რუსეთში გამოცემული ჟურნალის, „ბუნება და ხალხის“ (Природа и Люди) სარედაქციო სვეტიდანაა:

მეცნიერება და ტექნოლოგია არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების, არამედ თავად ჩვენი ფიქრებისა და წარმოდგენების გარდაქმნის გზით განსაზღვრავს

⁴⁹ იქვე, 509.

⁵⁰ Groyce, Boris (1992), 80.

თანამედროვე რეალობას. და სხვაგან სად, თუ არა ფანტაზიებში იზადებიან პირველად თამამი თეორიები და გასაოცარი მანქანები?! ამიტომ უახლეს მეცნიერული და ტექნოლოგიური განვითარებებზე ცნობების მოწოდების პარალელურად ჩვენი ჟურნალი კვლავ წარმოგიდგენთ ღრმა მედიტაციების პანორამას ამ გამოგონებათა პოტენციალის გასახსენლად⁵¹.

ამ სიტყვების დაბეჭდვიდან 14 წლის შემდეგ, 1908 წელს, ნიკო ნიკოლაძე იმ დროისთვის გამოუქვეყნებელ ნარკვევში, „ოცნება და ცხოვრება“, ასე შეაფასებს ტექნოლოგიის სიკეთეებს:

[ტექნიკის პროგრესი] აიძულებს დამოუკიდებლობის მაძიებელ ქვეყნებს გაზარდონ ტექნიკური დანადგარები და წარმოების ხარისხი მეტოქე ქვეყნების დონემდე. ყველა ქვეყანამ უნდა ისწავლოს საქმიანობა ისევე კარგად და იაფად, როგორც კონკურენტუნარიანმა განვითარებულმა ქვეყნებმა, რომ მათ მეხარკეებად არ გადაიქცნენ. [...] საუკუნოდ წავიდა ის დროც, როცა შეიძლებოდა მხოლოდ ხმლითა და ხანჯლით ომი. ვისთვისღა არ არის ცნობილი, რომ ჩვენს ირგვლივ სამყარო გარდაიქმნა არა ბრძოლების შედეგად, არამედ ზუსტ მეცნიერებათა აღმოჩენებით⁵².

ეს პასაჟი ნათელყოფს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის ელიტურ წრეებში ტექნოლოგიის როლი რუსეთისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში სრულად გააზრებული იყო. მართალია, ტექნოლოგიური პროგრესი სამოქმედო გეგმის პირველ პლანზე არასოდეს წამოწეულა, მაგრამ მისდამი ინტერესი „სამოციანელთა“ შორის პერიოდულად და სხვადასხვა სიმძლავრით ღვივდებოდა.

მაშინ, როცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (1879-1923 წლები) მეშვეობით გაჩაღებული საგანმანათლებლო-რეფორმატორული საქმიანობა, უპირატესად, ილია ჭავჭავაძის სახელთან ასოცირდებოდა, ტექნოლოგიურ განვითარებას სათავეში ასევე „სამოციანელი“, ნიკო ნიკოლაძე ედგა. განათლებით ეკონომისტს, ნიკოლაძეს კარგად ესმოდა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა ქვეყნის სუვერენიტეტისთვის. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის წყალსადენისა და შორაპან-ჭიათურის, კახეთისა და ტრანსკიმბირის რკინიგზების მშენებლობა, ფოთის პორტის მექანიზაცია და ელევატორისა და ელექტროსადგურის ამოქმედება. 1884 წელს ქალაქის საბჭოში სწორედ მან დააყენა პირველად თბილისის ქუჩების ელექტროენერგიით განათების საკითხი და ამ გამოგონებას „უდიდესი გადატრიალების ჩანასახი“ უწოდა:

⁵¹ Редакционная Статья, “Природа и Люди”, 10, 1 (1894), 210.

⁵² ნიკოლაძე, ნიკო (2003), 94, 96.

ძველი დროების ყველაზე თამამი უტოპიაც კი ვერ შეედრება იმას, რაც ზუსტმა მეცნიერებებმა მოუტანა დღევანდელ სინამდვილეს არა მარტო ცდებით, არამედ ყველასათვის ხელმისაწვდომობით. ადამიანი სავსებით გათავისუფლდა ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან, — გემის, რკინიგზის, ავტომობილის, უმავთულო ტელეგრაფის, ტელეფონის, ჰაერში ფრენისა და ტექნიკის სხვა ასეთი სასწაულის წყალობით. მაგრამ სოციალ-დემოკრატების ყველაზე თამამი და დღემდე არსად არ განხორციელებული იდეალი — სიმდიდრის კოლექტიური წარმოება, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული საშუალება, შეიძლება შევადაროთ ელექტროტექნიკის თანამედროვე სასწაულს, რასაც დღეს ყველა ხედავს, შეიგრძნობს და სარგებლობს კუსტარულ წარმოებასთან შედარებით.⁵³

იმ დღეს ნიკო ნიკოლაძის წინადადება საბჭომ არ მიიღო და არც თბილისი განათებულა. თუმცა, ამ გამოსვლიდან სამი წლის თავზე, 1887 წელს, ამჯერად ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება დაიწყო. ასე რომ, საქართველოს კულტურული ელიტის წარმომადგენლები ერთიანი ძალებით ცდილობდნენ, წამოსწეოდნენ დასავლეთში გაჩაღებულ ინდუსტრიალიზაციის პროცესს და ამ გზითაც შეემზადებინათ ნიადაგი, რომელზეც საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებლად გააგრძელებდა არსებობას.

ასეთი გახლდათ ტექნოლოგიური პროგრესის ორი განსხვავებული როლი XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ განსხვავებებმა ზეგავლენა იქონიეს იმაზე, თუ რა დონითა და ხარისხით აისახა სოციალური ცხოვრების ეს ასპექტი ამ ორი ქვეყნის სამწერლობო კულტურაში. რუსეთის მოდერნიზაცია სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან დაიწყო, შემდეგ მან მხატვრულ ლიტერატურაში გადაინაცვლა და მხოლოდ ამის მერე წამოეწია მას ემპირიული რეალობა. საქართველოს კი ამ გზის გავლა რამდენიმე ათეული წლის დაგვიანებითა და გაცილებით რთულ პირობებში მოუწია. მომდევნო ქვეთავში ამ გზის აღწერას ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკაში ძალების მოსინჯვის პირველი მცდელობის ანალიზით დავიწყებთ.

1.3. სამი მოგზაურობა მთვარეზე

რთულია, სრული თავდაჯერებით დაადო თითო სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში დაწერილ მსოფლიოში პირველ ნაწარმოებს. ამისთვის, პირველ რიგში, ჟანრის ზედმიწევნითი განმარტება უნდა არსებობდეს, რისი გაკეთებაც არათუ სამეცნიერო

⁵³ იქვე, 100.

ფანტასტიკისეული ინტერტექსტუალური და საზღვრებმოშლილი ჟანრისთვისაა მნელი, არამედ, ნებისმიერი სხვა ლიტერატურული მიმართულებისთვისაც. ესაა მიზეზი იმისა, რომ პირველი სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორად ერთნაირი წარმატებით შეგვიძლია შევრაცხოთ II საუკუნის რომის იმპერიაში მოღვაწე ლუკიანე სამოსატელიც⁵⁴ და XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისში მცხოვრები მერი შელიც⁵⁵. თუმცა, სამეცნიერო ფანტასტიკის მკვლევარი და ამავე ჟანრში მოღვაწე ავტორი, სამუელ დილანი ამტკიცებს, რომ ჟანრის დაბადების თარიღად 1926 წელი უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ წელს ამერიკული ფალფ ჟურნალის, „საოცარი ამბების“ (Amazing Stories, 1926-2014 წლები) დამფუძნებელმა და იმ პერიოდის რედაქტორმა, ჰუგო გერნსბეკმა ტერმინი „მეცნიერობანა“ (scientification), სამ წელიწადში კი „სამეცნიერო ფანტასტიკა“ შეთხზა⁵⁶.

თუმცა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ჟანრის დასაწყისად ამ თარიღის მიჩნევა ლიტერატურათმცოდნეობაში ფესვგადგმული დასავლოცენტრული მსოფლმხედველობის ნიმუშია, რადგან სრულად უგულებელყოფს ჟანრის არადასავლურ კულტურებში შექმნისა და პოპულარიზაციის პროცესებს. ამგვარ მიკერძოებას კარგად ააშკარავებს რუსული კულტურისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ურთიერთობის ისტორია, რომელიც იშვიათად თუა ხოლმე გათვალისწინებული ჟანრისადმი მიძღვნილ ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, თავად ჟანრის აღმნიშვნელი ინგლისურენოვანი ტერმინის, „science fiction“, რუსულენოვანი ანალოგი — „მეცნიერული ფანტასტიკა“ (Научная фантастика) — ჯერ კიდევ 1894 წელს, ჟურნალის, „ბუნება და ხალხი“, ფურცლებზე გაჩნდა, იქამდე 35 წლით ადრე, სანამ გერნსბერკი ფრაზის თავის ვერსიას მოიფიქრებდა.

ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფანტასტიკა გასული საუკუნის 50-იან წლებამდე „დაბალი დონის ლიტერატურად“ მიიჩნეოდა⁵⁷, რუსეთში სამეცნიერო ფანტასტიკური თემები და

⁵⁴ ლუკიანე სამოსატელის ნაწარმოებში, „ნამდვილი ისტორია“, პროტაგონისტი კოსმოსში მოგზაურობს და უცხოპლანეტელებს ხვდება. ტექსტი სატირული ფორმისაა და მიზნად წყაროზე დაუყრდნობელი ცნობების და მითების ისტორიად გასაღების კრიტიკას ისახავს.

⁵⁵ მერი შელის მიერ 1818 წელს გამოცემულ რომანში, „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთეოსი“, ვიქტორ ფრანკენშტაინი მეცნიერული ექსპერიმენტის შედეგად ქმნის გონიერ არსებას. ტექსტი ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების მორალურ დილემას აანალიზებს.

⁵⁶ Delany, Samuel (1995), 26-27.

⁵⁷ Vint, Sherryl (2014), 36.

ტროპები კულტურული ელიტის ყურადღების ცენტრში საუკუნეების წინ მოექცა. უფრო ზუსტად კი, ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან მოყოლებული რუსული მწერლობა უტოპიის ცნებით დაინტერესდა და იდეალური საზოგადოების დახატვის მეთოდში თანამედროვე რეალობის გაკრიტიკების პოტენციალი ამოიკნო. ამის მაგალითია ალექსანდრე სუმაროკოვის მიერ 1759 წელს დაწერილი და რუსეთში პირველი კერძო საკუთრებაში მყოფი გაზეთის, „შრომისმოყვარე ფუტკრის“ („Трудолюбивая Пчела“) გვერდებზე დაბეჭდილი მოთხრობა, „სიზმარი. ბედნიერი საზოგადოება“⁵⁸. ტექსტი პოლიტიკური სატირაა, რომელიც თავისი ფორმითა და სულისკვეთებით ტომას მორის 1516 წელს გამოცემულ „უტოპიას“ ჩამოჰგავს. თუმცა, ეს ნაწარმოები ისევე ვერ ჩაითვლება სამეცნიერო ფანტასტიკის ტიპურ ნიმუშად, როგორც მორის „უტოპია“, რადგან არცერთ მათგანში განსხვავებული საზოგადოებრივი წყობა ტექნოლოგიური პროგრესით არაა მიღწეული ან აღმოჩენილი. ამის სანაცვლოდ, სუმაროკოვის იდეალურ საზოგადოებაში პოლიტიკური სისტემის უკეთესობისკენ ცვლის წინაპირობად თვითგანვითარებაა დასახული. მიუხედავად ამისა, რუსულმა უტოპიურმა მწერლობამ მალევე გადაინაცვლა წმინდად სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში და უკვე 1784 წელს ვასილი ლიოვშინი წერს ნაწარმოებს, „უახლესი მოგზაურობა, შექმნილი ქალაქ ბელევეში“⁵⁹, სადაც მეცნიერი ნარსიმი კოსმოსურ ხომალდს აგებს, მთვარეზე მიფრინავს და იქაურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობას ეცნობა.

კოსმოსური ხომალდების, უცხო ციური სხეულებისა და მათი მოზინადრეების აღწერისადმი რუსული კულტურული ელიტის მიერ გამოვლენილი ცოცხალი ინტელექტუალური ინტერესი ტექნოლოგიური წინსვლისადმი მათ მიერ მიწერილი სპეციფიკური როლით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდუსტრიალიზაციის პერიოდიდან მოყოლებული, მსგავსი პროგრესი რუსეთში დასავლეთთან კულტურულად გათანაბრების და მონოლითური ეროვნული იდენტობის შექმნის წინაპირობად აღიქმებოდა. წიგნში, „ჩვენ, თანამედროვე ხალხი“, ანინდიტა ბანერჯი აღნიშნავს:

...იქამდე დიდი ხნით ადრე, სანამ სამეცნიერო ფანტასტიკა დასავლეთში ჟანრად შეირაცხებოდა და სათანადო კრიტიკულ ინტერესს დაიმსახურებდა, მისმა რუსულმა

⁵⁸ Сумароков, Александр (1787).

⁵⁹ Лёвшин, Василий (1998)

ეკვივალენტმა პოპულარული კულტურის სფეროს თავი დააღწია და ისეთი ინტელექტუალური დებატების განუყოფელი ნაწილი გახდა, რომლებიც კარსმოდგარი მეოცე საუკუნის ახალ რეალობებთან გამკლავების საუკეთესო გზების დასახვას ცდილობდა⁶⁰.

ბანერჯის თანახმად, რუს ინტელექტუალებს შორის ჟანრისადმი ასეთი ინტერესი სწორედ რუსეთის გეოპოლიტიკური მდებარეობის შედეგად წარმოქმნილი, შიდა წინააღმდეგობებში გამომწვევადეული და, შესაბამისად, უნიკალური რუსული ეროვნული იდენტობით იყო გამოწვეული.

XVIII-XIX საუკუნეების ქართული კულტურის სამეცნიერო ფანტასტიკისადმი ინტერესიც, — უფრო სწორად კი, ასეთის არარსებობა, — ქვეყნის სპეციფიკური ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გამოძახილი იყო. მაშინ, როცა დასავლური სამყარო ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღის რაციონალიზაციას, მომავლის პროგნოზირებასა და აქამდე არნახული სისწრაფით განვითარებული ტექნოლოგიური პროგრესის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენას აანალიზებდა, ჯერ კიდევ აგრარულ ეკონომიკაზე დამოკიდებული საქართველო თავის ინტელექტუალურ რესურსს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ დამპყრობლებთან ურთიერთობის დაბალანსებას ახმარდა.

როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის ტექნოლოგიური მონაპოვრებისადმი საქართველოს კულტურული ელიტის ინტერესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. „თერგდალეულთა“ სამოქმედო გეგმა იმპერიისგან კულტურული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხის მოპოვებას ითვალისწინებდა. ამ მიზანს ემსახურებოდა არა მარტო მოსახლეობაში წერა-კითხვის დონის ამაღლებაზე ზრუნვა, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა თუ ეროვნული ბანკის დაარსება, არამედ ქვეყნის შიგნით სარკინიგზო გზების გაყვანა და ქალაქების ელექტრიფიკაცია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკის მქონე პირველი ქართული მხატვრული ტექსტი სწორედ „სამოციანელთა“ მთავარი ბეჭდვითი ორგანოს, „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამასთან, 1887 წლის ამ ფელეტონის, „უცხოთა შორის“⁶¹ ავტორი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი და „ივერიის“ თანამშრომელი, იაკობ მანსვეტაშვილი გახლდათ.

⁶⁰ Banerjee (2012), 2.

⁶¹ მანსვეტაშვილმა ფელეტონი, „უცხოთა შორის“, ფსევდონიმით, დონ იაგო, გამოაქვეყნა.

თავისი სატირული ტონითა და სიუჟეტური განვითარებით, „უცხოთა შორის“ ზედმიწევნით ჩამოჰგავს ევროპასა და რუსეთში პრეინდუსტრიულ პერიოდში კოსმოსურ მოგზაურობებზე შექმნილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა იოჰანეს კეპლერის „სომნიუმი“ (1634 წელი) და ვასილი ლიოვშინის უკვე ნახსენები „უახლესი მოგზაურობა, შეთხზული ქალაქ ბელევში“ (1784 წელი). სამივე ნაწარმოების პროტაგონისტი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით მოგზაურობს მთვარეზე და იქაურ გარემოს ეცნობა. ამასთან, სამივე ავტორი უცხო მიწაზე მოგზაურობის ტროპს კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მიმართავს. ეს მიზანი სამივე შემთხვევაში განსხვავებულია და შესაბამის კულტურებში სამეცნიერო ფანტასტიკის როლისა და მნიშვნელობის ნათელ მაგალითებს წარმოადგენს.

პრეინდუსტრიულ დასავლურ კულტურაში სამეცნიერო ფანტასტიკა მკითხველს უახლეს მეცნიერულ აღმოჩენებს აცნობდა; ცდილობდა განემარტა, რა ცვლილებებს შეიტანდა ტექნოლოგია სოციალურ ცხოვრებასა და სამყაროს ფილოსოფიურ აღქმაში. როგორც პოლ ალკონი 1900 წლამდე დაბეჭდილ დასავლურ სამეცნიერო ფანტასტიკაზე საუბრისას აღნიშნავს⁶², ამ ჟანრის ლიტერატურას აინტერესებდა „მეცნიერების მითოსი“, ანუ ის, თუ როგორ გარდაქმნიდა ადამიანის მსოფლმხედველობას და მატერიალურ და სოციალურ ყოველდღიურობას ინდუსტრიული რევოლუცია:

[...] ლიტერატურა, შესაძლოა, მეცნიერების შესახებ იყოს, მაგრამ ის, ამაზე მეტად, მეცნიერების აღქმაზეა. სწორედ ეს უკანასკნელია ყველაზე ხშირად სამეცნიერო ფანტასტიკის ნამდვილი საგანი; განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს საუკეთესო სამეცნიერო ფანტასტიკასთან, რომელიც ნაკლებადაა დაინტერესებული თავად მეცნიერებით და მეტად — მეცნიერების შესახებ ლეგენდათა შექმნითა თუ მისაკუთრებით, რათა გამოიკვლიოს, რა როლს ასრულებს მეცნიერება ჩვენს ცხოვრებაში და რა ტიპის ძალაუფლებას სძენს ჩვენს ხელოვნებას⁶³.

„სომნიუმის“ დაწერის მომენტში დასავლეთ ევროპა კოპერნიკული რევოლუციის მტკივნეულ პროცესს გადიოდა. სამყაროს გეოცენტრული მოწყობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დედამიწა სამყაროს სტატიკურ ცენტრად მოიაზრებოდა, ჰელიოცენტრულობის თეორია ანაცვლებდა. დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორაა მოწყობილი სამყარო, თანამედროვე მკითხველს, შესაძლოა, ისეთ

⁶² Alkon, Paul (2002), 85.

⁶³ იქვე.

მკაცრად მეცნიერულ საკითხად მოეჩვენოს, რომელიც პოლიტიკურ თუ კულტურულ ძვრებს ნაკლებად გამოიწვევდა. მაგრამ, სინამდვილეში, მას სერიოზული ემპირიული შედეგები ჰქონდა, რადგან სამყაროს აღქმის მსგავსი რადიკალური ცვლილება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას თავდაყირა აყენებდა. ჰელიოცენტრული ხედვით დედამიწა უსაზღვრო კოსმოსში გამოკიდებულ უთვალავ ვარსკვლავთაგან ერთ-ერთის გარშემო მბრუნავ რიგით პლანეტად იქცეოდა, რითაც, თავის მხრივ, მისი ბატონ-პატრონის და უფლის მიერ მის ხატად და მსგავსად შექმნილის, ადამიანის, რიგითობას, არაგანსაკუთრებულობას ესმებოდა ხაზი.

ამასთან, პრესეკულარულ ევროპაში ჰელიოცენტრული ხედვა კიდევ ერთ სფეროში მოითხოვდა ღირებულებათა მრავლისთვის უხერხულ გადაფასებას. კერძოდ, ასეთი მსოფლმხედველობრივი ცვლილება იმპერიული სამყაროს დასავლოცენტრული პრივილეგიის მორალისთვის საფუძვლის გამოთხრას უდრიდა⁶⁴. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჰელიოცენტრული თეორიის წამომყენებელი ასტრონომები კათოლიკური ეკლესიის მიერ ერეტიკოსებად შეიძლება შერაცხილიყვნენ.

„სომნიუმი“ კეპლერის ასტრონომიული ხედვის მორწმუნეთათვის მისაღებ და გასაგებ ენაზე მიწოდების მცდელობაა. თავად სათაური, რომელიც ლათინურიდან ითარგმნება როგორც „სიზმარი,” იმის ხაზგასასმელადაა, რომ ავტორს მეცნიერულ სიზუსტეზე პრეტენზია არ აქვს. ამ გზით კეპლერი ინკვიზიციასთან პირისპირ შეყრის შემთხვევაში უკან დასახევ გზას იტოვებდა. იმავდროულად, სამყაროს ჰელიოცენტრულ ხედვასთან ერთად, ფანტასტიკურობით შენიღბული ისტორია ისეთ მეცნიერულ საკითხებს მიმოიხილავს, როგორებიცაა ციურ სხეულთა მიზიდულობის ძალა, მზის სისტემის პლანეტების მასშტაბურობა და უჟანგბადობისა და ტემპერატურის ვარდნის გამო ადამიანის კოსმოსში მოგზაურობის სირთულეები. ამასთან, კეპლერი თავის მთვარეს, „ლევანიას,” გონიერი არსებებით არ ასახლებს, რადგან მისი მიზანი არა საზოგადოებრივი მოწყობის კრიტიკა, არამედ ახალი მეცნიერული ცოდნის გავრცელებაა. ტექნოლოგიური პროგრესი მისთვის სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი, რადგან კეპლერი თავადაა ამ პროგრესის შემქმნელი და ამ ცოდნას საშუალებად კი არა, მიზნად აღიქვამს. შესაბამისად, ნებისმიერი დამატებითი

⁶⁴ Rieder, John (2008), 1-2.

ელემენტი, რომელიც ამ მთავარი ცოდნის მკითხველამდე მიტანაში არ დაეხმარება, კეპლერისთვის მელნის ფუჭი ფლანგვაა. კეპლერს „სომნიუმი“, რომელიც მან 37 წლის ასაკში დაწერა, არასოდეს გამოუქვეყნებია. ტექსტმა მკითხველამდე მისი გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ მიაღწია. შესაძლოა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დასრულებული სახით ნაწარმოები კეპლერს იმაზე საშიში ეჩვენა, ვიდრე თავიდან ჰქონდა განზრახული.

რაც შეეხება მთვარეზე მოგზაურობის ლოგოშინისეულ, რუსულ ვერსიას, ის სულ სხვა მიზნით დაიწერა. რუსეთში, როგორც აღვნიშნეთ, ტექნოლოგიური პროგრესი ევროპისგან დამოუკიდებელი და აღმატებული ეროვნული იდენტობის გამოძერწვის საქმეს ემსახურებოდა:

რუსეთში სამეცნიერო ფანტასტიკის ყველაზე მიმზიდველი თვისება გახლდათ ყოველდღიური სამყაროს რეალური და გაცნობიერებული ჩამორჩენილობის შეცვლა სხვა სამყაროთი, რომელიც მეცნიერებითა და ტექნოლოგიით იყო გაშუალებული და, ამასთან, განვითარებისა და პროგრესის დასავლური პარადიგმებისგან იყო გათავისუფლებული.⁶⁵

ეს ტენდენცია ლიოვშინის ტექსტშიც გამოკვეთილია. გერმანელი ავტორის მსგავსად, ისიც გულწრფელადაა დაინტერესებული სამყაროს მოწყობის პრინციპებით. ის ტექსტის დასაწყისშივე დაუფარავად აკრიტიკებს გეოცენტრულ მოდელს, როცა მისი პროტაგონისტი, ნარსიმი, აღშფოთებით წამოიყვრება:

შეშლილნო მოკვდავნო! [...] რა ცოტა გესმით თქვენ შემოქმედის სიკეთის! [...] თქვენ ყველანი წარმოიდგენთ, რომ მთლიანი სამყარო თქვენთვისაა შექმნილი: როგორი ამპარტავნებაა! შეხედეთ ამ მანძილებს, რომლებიც მარადისობას უდრიან და შეიგნეთ, რომ მილიონობით მზე თქვენთვის არ ასხივებს; რომ არსებობს უთვალავი დედამიწა დასახლებულები ისეთი არსებებით, რომლებთან შედარებითაც თქვენ თხუნელებად და ქინქლებად შეიძლება ჩაითვალოს⁶⁶.

ნარსიმის პირით ლიოვშინი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ შეცვლის კაცობრიობის მსოფლმხედველობას სამყაროს ჰელიოცენტრული აღქმა. თუმცა, მოთხრობის დაწერის მომენტში უკვე საყოველთაოდ აღიარებული თეორია ავტორისგან დაცვას აღარ საჭიროებს, ამიტომ მას მალევე გადააქვს ყურადღება დასავლური კოლონიალიზმის კრიტიკაზე და პროტაგონისტის ინტელექტუალურ და მორალურ უპირატესობას კოლუმბის თანამემამულეებთან შეპირისპირებით წარმოაჩენს: რუსი ნარსიმი ერთადერთია დედამიწაზე, რომელიც მფრინავი ხომალდის აშენების ტექნოლოგიას ფლობს; ამასთან, უცხო ციურ სხეულებზე მოგზაურობისას მას წმინდა მეცნიერული ინტერესი ამოძრავებს. ლიოვშინი,

⁶⁵ Banerjee, Anindita (2012), 12.

⁶⁶ Левшин, Василий (1998), 1.

კეპლერისგან განსხვავებით, მთვარეს უტოპიური საზოგადოებით ასახლებს, რომ განმანათლებლობის მისიით შენიღბული ევროპული კოლონიური ექსპანსიის სისასტიკეს გაუსვას ხაზი: მთვარის მდიდრულად მორთული ქალაქის შემყურე ნარსიმი ფიქრობს, „ეს ძვირფასეულობა, ეს აღმასები და ოქრო ასე რთულად გადასალახი გზით რომ არ იყოს ჩვენგან გამოყოფილი, ათასობით კოლუმბი მოვიდოდა ოთხივე მხრიდან, რომ თავიანთი ხმლები მთვარეზე მცხოვრებთა კისრებზე გაელესათ.“⁶⁷

რათა დარწმუნდეს, რომ მთავარი სათქმელი მკითხველამდე დაუმახინჯებლად მიაღწევს, ლიოვშინი თავისი ამბის დრამატურგიასაც კი სწირავს ამ მისიას: პროტაგონისტის უშუალო მოგზაურობა მთვარეზე ყოველგვარ კონფლიქტს — და, შესაბამისად, კლიმაქს — არის მოკლებული. ნარსიმი პასიური მსმენელია. ის მთვარის ნათელ მხარეზე დასახლებული უტოპიური საზოგადოების ბელადის მიერ მოთხრობილ ამბებს აღფრთოვანებით ისმენს და თავისი მასპინძლების სიბრძნითა და გულუხვობითაა მონუსხული. თუმცა ნაწარმოების ბოლოს კონფლიქტის მაგვარს მაინც ვაწყდებით, როცა თხრობის ცენტრში მეორე მოგზაური, კვალბოლო ექცევა. როგორც ვიგებთ, ამ უკანასკნელმა ნარსიმისგან საპირისპირო მოგზაურობა შეასრულა: მთვარის ბინადარმა დედამიწა მოინახულა და ამბებით დატვირთული სამშობლოს ჩვენი პროტაგონისტის იქ ყოფნისას დაუბრუნდა. კვალბოკოს მოგზაურობა დედამიწაზე ნარსიმის მთვარეზე ვოიაჟისგან რადიკალურად განსხვავდება, რადგან ის თავგადასავლებითა და საფრთხით არის სავსე. თუმცა ეს ხიფათიანი მოგზაურობა ემსახურება ანალოგიურ პოლიტიკურ მიზანს — დაანახოს მკითხველს რუსი ერის აღმატებულება, ოღონდ ამჯერად აღმოსავლურ კულტურებთან, კონკრეტულად კი თურქებთან მიმართებით. „ამ ხალხმა, რომელიც უწინ ყაჩაღთა ბანდას წარმოადგენდა, ლამის მთვარის ნახევარი დაიპყრო; მათი მთლიან კაცობრიობას ეშინია, რადგან ისინი არა მხოლოდ უმეცრები არიან, არამედ, ამასთან, ისეთი საშიში რჯული აქვთ, რომელიც აძლევს მათ უფლებას, მოკლან ყველა, ვინც მათ მრწამსს არ იზიარებს“⁶⁸, — ასე ახასიათებინებს რამდენიმე გვერდის წინ ევროპული კოლონიალიზმის გამკრიტიკებელი ლიოვშინი თავის გმირს, კვალბოკოს, თურქებს.

⁶⁷ იქვე, 8.

⁶⁸ იქვე, 17.

მკითხველი მალევე იმასაც იგებს, რომ დედამიწაზე ერთმა ქალმა მმართველმა სულ ახლახან შეძლო თურქების მოთოკვა. მართალია, ნაწარმოებში მმართველის სახელი ნახსენები არაა, მაგრამ ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე ცხადია, რომ ამ ფიგურაში ლიოვშინის თანამედროვე რუსი იმპერატორი, ეკატერინე II იგულისხმება, რომელმაც ოსმალეთის იმპერია 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში დაამარცხა. ამასთან, კვალბოკო გადაწყვეტს, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მოგზაურობისას თავი რუსად გაასაღოს, რათა „მამაც თურქებში პატივისცემა გამოიწვიოს“. ვოიაჟის დასასრულს ის აღწევს კიდეც რუსეთის საზღვარს და აღმოაჩენს, რომ იქაური საზოგადოება ლამის იმაზე იდეალურია, ვიდრე მისი მშობლიური, მთვარის უტოპიური საზოგადოება: რუსეთში ყველა ბედნიერი და შრომისმოყვარეა, ბოროტმოქმედები არ არსებობენ, ხოლო უცხოელებს ყველა ხელგაშლილი ეგებება.

ნაწარმოებში მოთხრობილი ორი კოსმოსური მოგზაურობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართ რუსეთის უპირატესობის ხაზგასმას ემსახურება. ლიოვშინი ახერხებს, რომ ეს უზარმაზარი იმპერია, რომელიც, რეალობაში, ევროპისა და აზიის კონტინენტების მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს, ზესივრცულად, ყველა სხვა სახელმწიფოზე მაღლა მდგომად წარმოაჩინოს. ამას მწერალი იმის მტკიცებით აღწევს, რომ რუსები მორალურად და ტექნოლოგიურად აღმატებულები არიან. მართლაც, ნაწარმოების მიხედვით, მთლიან დედამიწაზე მხოლოდ რუსებს შესწევთ უნარი, ერთდროულად ჰუმანურად ეურთიერთონ უცხო მიწის შვილებს და დააოკონ ყველა რჯულის სისხლისმსმელი დამპყრობელი. ორივე თვისება რუს ერს ერთგვარი მესიანისტური მისიის შემსრულებლად ხატავს. ეს ეროვნული იდენტობის ის იდეალია, რომელსაც დოსტოევსკი თავის სტატიებში გვისახავს: ესაა იდეა ევროპული ოჯახისგან გარიყული ერისა, რომელიც ამ გარემოებით გამოწვეული არასრულფასოვნების კომპლექსებიდან თავს იმ გზით ითავისუფლებს, რომ აღმოსავლეთს მხსნელად და განმანათლებლად მოეწოდება, დასავლეთს კი ამორალურობაში ამხელს.

სულ ბოლოს კი მთვარეზე მოგზაურობის ქართულ ვერსიას შევავლოთ თვალი: მიუხედავად იმისა, რომ მანსვეტაშვილის ფელეტონი წინა ორ განხილულ ნაწარმოებზე საუკუნეებით გვიანაა დაწერილი, მასში ყველაზე ნაკლებადაა

გამახვილებული ყურადღება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საკითხებზე. მაშინ, როცა ორივე, კეპლერი და ლიოვშინი, ვრცლად მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ციური სხეულების განლაგება, ჟანგბადის გავრცელების დონე თუ დედამიწის ადგილი სხვა მნათობთა შორის, მანსვეტაშვილი კოსმოსური ხომალდის აგებითაც კი არ იწუხებს თავს — ამ საზრუნავს ის ამერიკელებს ულოცავს. სწორედ ამერიკელებმა, — რადგან „უამერიკელებოდ ხომ ახალი არა იქნება-რა,”⁶⁹ — სცადესო ადამიანის ზარბაზნით მთვარეზე სროლა. რასაკვირველია, მწერალი აქ ჟიულ ვერნის 1865 წელს დაწერილ ცნობილ რომანზე, „დედამიწიდან მთვარემდე“⁷⁰, აპელირებს, რომლის დასასრულს ვიგებთ, რომ ნაწარმოების სამი გმირი თავიანთი კოსმოსური ხომალდით მთვარის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე იჭედებიან. მანსვეტაშვილი ვერნის ტექსტთან ინტერტექსტუალურ დიალოგში შედის და ქართველ მკითხველს აცნობს, რომ ზარბაზნის ზომის განსაზღვრისას გათვლებში დაშვებული შეცდომის გამო ხომალდმა მთვარემდე ვერ მიაღწია და ახლა შუა გზაშია კოსმოსში გამოკიდებული.⁷¹

ამ ტექნიკური გაუმართაობის მაგალითს მანსვეტაშვილის პროტაგონისტი (რომლის სახელიც მთლიანი ტექსტის განმავლობაში უცნობი რჩება) ჭკუის სასწავლებელ ისტორიად იყენებს და დედამიწის თანამგზავრამდე მისაღწევად ნაკლებად მეცნიერული გზის გამოყენებას არჩევს. ის „ძველ კარაბადინში” ნატვრების ასრულების რეცეპტს ამოიკითხავს, მთვარეზე გაფრენას ისურვებს და აფრინდება კიდეც, თანაც ყოველგვარი საფრენი მოწყობილობის გარეშე.

მიუხედავად მსგავსი ზღაპრული, სამეცნიერო ფანტასტიკისთვის მიუღებელი წინაპირობისა, იაკობ მანსვეტაშვილს სრულად აქვს გააზრებული უტოპიური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კრიტიკის პოტენციალი და თავის გმირს მთვარეზე ერთადერთი მიზნით ამოგზავნის: უცხო ციური სხეული ავტორისთვის მხოლოდ შირმაა, ფონია იმისათვის, რომ მახვილგონივრულად

⁶⁹ მანსვეტაშვილი, იაკობ (დონ იაგო), „უცხოთა შორის“, გაზეთი ივერია (1887 წლის 12 დეკემბერი).

⁷⁰ Verne, Jules (2006).

⁷¹ ხაზგასასმელია, რომ ესაა ერთადერთი შემთხვევა, როცა ქართულ ტექსტში დასავლური სამეცნიერო ფანტასტიკის პირდაპირი გავლენა აშკარაა, რადგან უკვე მოგვიანებით, საბჭოთა რეჟიმის ქვეშ შექმნილ ნაწარმოებებში ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება იმის დანამდვილებით მტკიცება, რომ ქართველი მწერლისთვის ამა თუ იმ სიუჟეტური გადათამაშების შთაგონების წყარო უშუალოდ დასავლური ტექსტი გახლდათ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ თავად რუსული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა ხშირად სესხულობდა თემებსა და ტროპებს დასავლური ლიტერატურისგან. შედეგად, ძნელია იმის განსაზღვრა, ქართველი მწერალი ორიგინალი ამბიდან იღებს იდეებს თუ ამ ამბის რუსული გადათამაშებიდან.

გააქილიკოს ის რამდენიმე პოლიტიკური თუ სოციალური ვითარება, რომელიც იმდროინდელ ქართველ ნაციონალისტებს ადარდებდათ. ამიტომ სრულიად მოსალოდნელად, მკითხველი მალევე იგებს, რომ მანსვეტაშვილისეული მთვარე XIX საუკუნის საქართველოს ტყუპის ცალივით ჰგავს — თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნიშანდობლივ განსხვავებას. პროტაგონისტი მთვარეზე მოხვედრისთანავე ამჩნევს, რომ აქ მიწა უკეთაა დამუშავებული, ვიდრე მის სამშობლოში და ის მხოლოდ მათ ეკუთვნის, ვინც მასზე ირჯება: რადგან აქ „ცარიელი ადგილი ბევრია. ეტყობა, მუქთად მიწის დარიგება მთვარეზე არა სცოდნიათ, რადგან ბოლოს გავიგე, რომ მიწა იმას ეკუთვნის, ვინც აკეთებსო, კარგი წესი ყოფილა.“⁷²

ძნელია, აქ არ გაგვახსენდეს ის ისტორიული ფაქტი, რომ თერგდალეულები — რომლის წევრი მანსვეტაშვილიც იყო — აქტიურად უჭერდნენ მხარს ბატონყმობის გადაგდებას. იმ მომენტიდან დაწყებული, რაც საქართველო რუსეთის მპყრობელობაში აღმოჩნდა, ცარისტული მთავრობის რიტორიკაში ხშირად ესმებოდა ხაზი გლეხების თავიანთი ფეოდალი ბატონებისგან გათავისუფლების გეგმას, რაც მეტწილად ქართველი ხალხისა და ლიბერალურად განწყობილი ინტელექტუალური ელიტის კეთილგანწყობის მოპოვებას ემსახურებოდა. შესაბამისი კანონი საქართველოში 1864 წელს მიიღეს — რუსეთში ბატონყმობის ოფიციალურად გადაგდებიდან მხოლოდ სამ წელიწადში. თუმცა, თავად კანონში არსებული რიგი ხარვეზების გამო ცვლილებამ გლეხობას შვება ნაკლებად მოუტანა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს უკანასკნელები ეკონომიკურად მაინც მათ ყოფილ ბატონებზე დამოკიდებულები დარჩნენ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ახერხებდნენ საკუთარი მიწების გამოსყიდვას. ეს მდგომარეობა ცარისტული რუსეთის არსებობის ბოლო მომენტამდე შენარჩუნდა. ამგვარად, მანსვეტაშვილის ფელეტონის პროტაგონისტის მიერ მთვარეზე მიწის მფლობელობის ბუნების შესახებ თითქოს სასხვათაშორისოდ წარმოთქმული ეს ერთი ფრაზა, რეალურად, პოლიტიკურად დატვირთული პოზიციის გამოხატულებაა. ის ირონიულად ამხელს ცარისტული ხელისუფლების უუნარობას, უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება და ასრულება, რომელიც გლეხობას ფეოდალური უფლისგან გაათავისუფლებს.

⁷² მანსვეტაშვილი, იაკობ (დონ იაგო), “უცხოთა შორის“, გაზეთი ივერია (1887 წლის 12 დეკემბერი), 2.

თუკი მიწაზე უფლების ქონის საკითხი მთვარეზე საქართველოსგან განსხვავებული პრინციპითაა მოწყობილი, ერთი რამ, რაც ავტორის ხაზგასმით ორივეგან იდენტურია, არის ის, რომ პოლიციელები რუსულ ენაზე საუბრობენ. მაშინ, როცა უსახელო პროტაგონისტი მთვარის ერთ-ერთ ბარში ადგილობრივ სომხებთან ეთნიკურ საკითხებზე ბჭობს, მას სწორედ რუსულად მოსაუბრე პოლიციელები მოაკითხავენ „დაბეზლების ქაღალდით“ ხელში. ამის გაგებისთანავე გმირი მთვარეს დაუყოვნებლივ ტოვებს, რადგან „იქაც ისევ ის არის, რაც ჩვენში... მთვარე კი არა, და აი, სხვა ვარსკვლავებზე უფრო უცნაურ და საოცარს ამბებს ლაპარაკობენ მეცნიერები⁷³“. შედეგად, გმირი ამ ციური სხეულების მონახულებასა და მათგან საინტერესო ამბების დედამიწაზე ჩამოტანას გეგმავს, თუმცა, სამწუხაროდ, მკითხველს მათი მოსმენის შანსი აღარ ეძლევა.

მანსვეტაშვილის ფელეტონიდან ამოკრებილი ეს პასაჟები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ როლზე, რასაც ქართველი „სამოციანელები“ მეცნიერებასა და ტექნოლოგიას განუსაზღვრავდნენ. ავტორის თანამედროვე ქართული საზოგადოების წინაშე ჯერ კიდევ არ იდგა ინდუსტრიალიზაციით გადასხვაფერებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან შეგუების პრობლემა. მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო საქართველოს ეკონომიკური და ინტელექტუალური რესურსი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ, არა თუ თავად გამხდარიყო ტექნოლოგიური პროგრესის შემოქმედი, არამედ — მისი აქტიური მომხმარებელიც კი. ამ მიზეზთა გამო, მთვარეზე მოგზაურობის 1887 წელს დაწერილი ისტორია, ერთი შეხედვით, ანაქრონისტულ ტექსტადაც კი შეიძლება ჩაგვეთვალა და მართლებიც ვიქნებოდით, მასში პლანეტებს შორის კავშირსა და გრავიტაციულ ველებზე რომ ყოფილიყო საუბარი. მაგრამ ავტორი ამ საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებს, ტექნოლოგიური ნოვუმის, რომელიც ამ შემთხვევაში მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობაა, მისთვის არა ინტერესის მთავარი საგანი, არამედ საშუალებაა, რომ კოგნიტიური გაუცხოების გზით მკითხველს კონკრეტული პრობლემების უსამართლობა დაანახოს.

შესაბამისად, როგორც რეალობაში, ისევე მხატვრულ სამყაროშიც ტექნოლოგიური პროგრესი XIX საუკუნის მიწურულის ქართველი საზოგადო მოღვაწეებისთვის კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის გამოიყენება. ეს

⁷³ იქვე, 3.

მიზანი იმპერიის ცენტრისგან ისეთი ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მოპოვებაა, რომელიც მომავალში პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინაპირობად უნდა ქცეულიყო.

1.4. ბრძოლა მომავლის მონოპოლიისთვის

რუსულ ლიტერატურაში ტექნოლოგიური პროგრესით მიღწეული იდეალური პოლიტიკური სისტემებისა და ეკონომიკურ კმაყოფაში მცხოვრები საზოგადოებების დახატვის ჟინმა პიკს ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში მიაღწია. ეს გასაკვირი სულაც არაა. ძირფესვიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდატეხების ეპოქა ახალ-ახალი უტოპიებისა და დისტოპიების, მომავლის სხვადასხვა ხედვის და მათი ჭიდილის ასპარეზად იქცა. XX საუკუნის პირველი ათწლეულის რუსი ხელოვანის ყურადღების ცენტრში ახალი სიმწვავით დადგა ტექნოლოგიური მიღწევებით გადასხვაფერებული ცხოვრების საკითხი. თუმცა, მსგავსი ცვლილებების მიმართ დამოკიდებულება ქვეყნის კულტურის სამსახურში მდგომ წრეებში სულაც არ ყოფილა ერთგვაროვანი. ბორის გროისის მტკიცებით, იმ პერიოდის მოწინავე კულტურული მიმდინარეობა, ავანგარდი, საკუთარ თავს მიზნად უსახავდა სამყაროს დაცვას ტექნოლოგიური რაციონალიზაციის გამანადგურებელი ძალებისაგან. ამისათვის იგი სივრცისა და დროის მიღმა უნდა გასულიყო და უკვე არსებული რეალობის ნაცვლად ახალი რეალობა შეექმნა⁷⁴. ასე მაგალითად, რუსული ავანგარდის ფუძემდებელი, კაზიმირ მალევიჩი 1919 წელს წერდა: „ყოველგვარი ქმნილება, იქნება ის ქვეყნად მოვლენილი ბუნების თუ ხელოვანის, ან ზოგადად შემოქმედი ადამიანის მიერ, იმ მექანიზმის შექმნის ნაწილია, რომელმაც უნდა დაძლიოს ჩვენი დაუსრულებელი პროგრესი⁷⁵“.

მაშინ, როცა რუსული ავანგარდული კულტურა ტექნოლოგიურ პროგრესს შიშით უყურებდა და მისი ნეიტრალიზების გზებს ეძებდა, მემარცხენე მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკურად აქტიური ახალი თაობა სწორედ მსგავს პროგრესში ხედავდა კომუნისტური იდეალების ხორცშესხმის შესაძლებლობას.

⁷⁴ Boris Groyce (1992), 14-15.

⁷⁵ ციტირებულია იქვე, 15.

მარქსისტული რევოლუცია თავისი ბუნებით უპრეცედენტო იყო. მასობრივ დონეზე განხორციელებული სოციალური ექსპერიმენტის სათავეში აღმოჩენილ ჯგუფს ხანგრძლივ პერიოდზე მეცნიერული სიზუსტით გაწერილი სამოქმედო გეგმა არ გააჩნდა. ამას თავად ლენინი დაუფარავად აღიარებდა: „ისინი, ვინც კაპიტალიზმის დამღევის ურთულეს პროცესში არიან ჩართულნი, მზად უნდა იყვნენ, რომ იქამდე სცადონ მეთოდი მეთოდზე, სანამ თავიანთი მიზნის მიღწევისთვის საუკეთესოს არ იპოვიან⁷⁶,” — ეს სიტყვები მან ჰერბერტ უელსის მიერ 1920 წელს კრემლში ჩაწერილ ინტერვიუში წარმოთქვა. გაუკვალავ გზაზე სიარულისას ბუნებრივია, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციის იდეაზე მდგარი ახალშობილი პოლიტიკური იდეოლოგია მხარდასაჭერად სათანადო კულტურულ ესთეტიკას მოითხოვდა.

ასეთ ვითარებაში მომავლის აღმწერი ფანტასტიკური სიუჟეტები სულ უფრო ემსგავსებოდნენ პოლიტიკურ პროგრამებს და მათში სულ მეტი სიზუსტითა და კონკრეტულობით იწერებოდა სამოქმედო გეგმები. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ალექსანდრე ბოგდანოვის ფიგურა და მისი მხატვრული შემოქმედებაა. განათლებით ფსიქიატრი, პოლიტიკური მრწამსით კი რადიკალი ბოლშევიკი, ბოგდანოვი 1896 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თანადამფუძნებელი, 1905 წლის რევოლუციის ლიდერთაგანი და 1909 წლამდე ლენინის უახლოესი თანამებრძოლი გახლდათ. ამის მერე ბოგდანოვისა და ლენინის გზები კარდინალურად გაიყარა. ორ პოლიტიკურ ფიგურას შორის განხეთქილების მიზეზთაგანის პოვნა 1908 წელს გამოქვეყნებულ პირველ ბოლშევიკურ უტოპიად შერაცხილ რომანში, „წითელი ვარსკვლავი⁷⁷,“ შეიძლება.

ბოგდანოვის რომანში მოქმედება პირველი რუსული რევოლუციის პერიოდში ვითარდება. იმედგაცრუების პირას მდგარი რევოლუციონერი პროტაგონისტი, ლეონიდი, მარსელ მენის თავის პლანეტაზე მიჰყავს. იქ კომუნისტური რევოლუცია დიდი ხნის მომხდარია და საზოგადოებას ყველა სახის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა დაუძლევია, ხოლო უტოპიური საზოგადოების წევრებს ანტაგონისტად ბუნების კანონებიღა დარჩენიათ. ავტორი მარქსისტული ისტორიული

⁷⁶ Wells, H.G. Interviews Vladimir Lenin, 1920.

⁷⁷ Богданов, Александр (2009).

მატერიალიზმის ტრადიციების დაცვით აღნიშნავს, რომ მარსზე პოლიტიკური სისტემების ცვლა, მართალია, დაჩქარებულად, მაგრამ იმავე თანმიმდევრობით მიმდინარეობდა, როგორც დედამიწაზე. ამით ის ჩვენს პლანეტაზე კომუნიზმის გამარჯვების გარდაუვალობას უსვამს ხაზს. მხოლოდ ამ ერთი პასაჟითაც ნათელი ხდება, რომ ბოგდანოვის დაინტერესება სამეცნიერო ფანტასტიკით შემთხვევითობა არ ყოფილა. ავტორს მიზნად ჰქონდა ისეთი იდეალური მომავლის დახატვა, რომლის წაკითხვის შემდეგაც ინსპირირებული მუშათა კლასი მეტი შემართებით განაგრძობდა კომუნისტური იდეალებისთვის ბრძოლას: „უტოპია ბოგდანოვისთვის რევოლუციის არსენალში არსებული იარაღთაგანი იყო: ეს იყო ადამიანის მომავლის ფოტოსურათი, რომელსაც თავისი ბრწყინვალეობით თვალი უნდა მოეჭრა მუშისთვის და პარტიის პროგრამების მშრალი სიტყვების კორიანტელზე მეტად შთაეგონებინა ის⁷⁸”.

ის, რომ „წითელი ვარსკვლავი” პოლიტიკური მიზნებისგან დაცლილი რიგითი მხატვრული ნაწარმოები არ ყოფილა, იმ რეაქციითაც ცხადდება, რაც ლენინის მიერ მის წაკითხვას მოჰყვა. ზოგადად ყოველგვარი მისტიკურისადმი სკეპტიკურად განწყობილი პარტიის ლიდერი განსაკუთრებით იმ მხატვრულმა გადაწყვეტამ გააღიზიანა, რომლის მიხედვითაც, მარსელთა სრული კოლექტივიზაცია და სოციალური გათანაბრება ერთმანეთისთვის სისხლის გადასხმით მიიღწეოდა. ამ პასაჟის გამო ლენინმა თანამებრძოლი ფიდეიზმში დაადანაშაულა.⁷⁹ ასევე, მარსელების დაუსრულებელი ბრძოლა ბუნების კანონების წინააღმდეგ საეჭვოდ წააგავდა ტროცკისეულ „პერმანენტული რევოლუციის” იდეას, რაც ლენინისეულ ხედვასთან დაპირისპირებაში იყო. ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ერთი წლის თავზე ბოგდანოვმა პარტია დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წინა მაგალითიდან ცხადად ჩანს, პოლიტიკურ დისკურსთან ჟანრის უკიდურესი სიახლოვე სამეცნიერო ფანტასტიკური

⁷⁸ Stites, Richard (1984), 4.

⁷⁹ სინამდვილეში, სისხლის გადასხმისადმი ბოგდანოვის ინტერესი დაცლილი იყო საკრალური, რელიგიური სენტიმენტებისგან და მისივე სამედიცინო კვლევები ედო საფუძვლად. „წითელი ვარსკვლავის” ავტორს იმდენად სჯეროდა სისხლის გამაახალგაზრდავებელი ძალის, რომ შეეწირა კიდევ ამ რწმენას. 1926 წელს ის მალარიითა და ტუბერკულოზით დაავადებულ სტუდენტთან სისხლის ტრანსფუზიის შედეგად გარდაიცვალა, ბოგდანოვის სისხლგადასხმული სტუდენტი კი სრულად გამოჯანმრთელდა.

ტექსტის ავტორისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამყარებულ ახალ, დიქტატორულ რეალობაში სწორედ ამ ჟანრისთვის ნიშნულმა მგრძნობელობამ, — და არა ავანგარდმა, — მოახერხა ადაპტირება. მოდერნიზმი — რომელიც რევოლუციური ნგრევისადმი მთელი თავისი აღტაცების მიუხედავად, პარტიის გემოვნებისთვის ზედმეტად ინდივიდუალისტური და ეპატაჟური იყო — რეაქციონერულ და, შესაბამისად, საბჭოთა ადამიანის გონების მომწამვლელ მიმართულებად შეირაცხა. ნათელი მომავლის დამხატველი ტექსტები კი, რომლის შექმნის ტრადიციაც რუსეთში საუკუნოვან ისტორიას ითვლიდა, საფუძვლად დაედო ხელოვნების ახალ და ერთდეროდ დაშვებულ მიმდინარეობას, რომელიც სტალინურმა რეჟიმმა „სოციალისტური რეალიზმის“ სახელით მონათლა.

რუსეთისგან განსხვავებით, უტოპიური ტრადიციის არმქონე ქართულ კულტურას ახალ რეალობაში არსებობა ნულიდან უნდა დაეწყო. XX საუკუნის პირველი ორი ათწლეული აქ პოლიტიკური მუხტისგან გაძარცვული ორი მოდერნისტული მიმდინარეობის, სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის რეალიზმთან და ერთმანეთთან ჭიდილის ხანაა. სიმბოლიზმი საქართველოში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებასთან ასოცირდება. ამ ჯგუფის მხატვრული და პოლიტიკური პოზიცია 1916 წელს ქუთაისში გამოცემულ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისფერ ყანწებშია“ გაცხადებული⁸⁰. თავის საპროგრამო სტატიაში ტიციან ტაბიძე ხაზს უსვამს ორ ფაქტორს: პირველ რიგში, ქართულ სიმბოლიზმს არაფერი აკავშირებს ფუტურიზმთან — იქნება ის ევროპული, რუსული თუ ქართული; და, ამასთან, „სამოციანელთა“ რეალიზმისგან განსხვავებით, მას არაფერი საერთო არ აქვს რუსულ კულტურასთან. ამის საპირისპიროდ, ის რუსთაველის და ბესიკისეული ტრადიციების ბუნებრივი გამგრძელებელია. შესაბამისად, „ცისფერი ყანწები როგორც შკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად“ და ისტორიული ტრადიციების დამცველად, რომელსაც „რასაკვირველია, თან ემატება ახალიც“⁸¹.“ სამწუხაროდ, ტიციანი ამ ახლის განმარტებისგან თავს იკავებს. მსგავსი ამბივალენტური პოზიცია სახასიათოა ქართული სიმბოლიზმისთვის — მისი დაპირისპირება იმპერიალისტურ ცენტრთან, როგორც წესი, ესთეტიკური ხასიათისაა და იშვიათად თუ გადადის წმინდა

⁸⁰ ტაბიძე, ტიციან (1916) „ცისფერი ყანწებით“, 8-14.

⁸¹ იქვე, 13-14.

პოლიტიკურ სიბრტყეში. ასეთი დამოკიდებულება ნარჩუნდება მაშინაც კი, როცა საქართველო დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდით ტკბება. ამასთან, რეალისტური სკოლის მტრად შერაცხვა და შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეურ წინაპრად არჩევა ტექნოლოგიური წინსვლისადმი ინტერესის ადგილს არ ტოვებს. ქართულ სიმბოლიზმს, რუსული ავანგარდისგან განსხვავებით, მსგავსი პროგრესის დამორჩილებას კი არ ცდილობს, არამედ მისით და, ზოგადად პოლიტიკური საკითხებით, საერთოდ არ ინტერესდება.

შედარებით კომპლექსური დამოკიდებულება აქვს ტექნოლოგიისადმი ქართულ ფუტურისტულ სკოლას. ფუტურიზმი, როგორც მიმდინარეობა, 1898 წელს იტალიაში შეიქმნა და თვითმიზნად ხელოვნებისა და ცხოვრების შეკავშირება დაისახა. მისი ფუძემდებელი, ფილიპო ტომაზო მარინეტი, აქტიური პოლიტიკური ფიგურა და ჯერ ფუტურისტთა პოლიტიკური პარტიის (1919 წელი), შემდგომ კი მუსოლინის ფაშისტური ორგანიზაციის წევრი გახლდათ. მოგვიანებით მარინეტი მემარცხენე იდეოლოგიისკენ გადაიხარა, რაც მასა და მუსოლინის შორის განხეთქილების მიზეზად იქცა⁸². იტალიური ფუტურიზმისთვის ნიშნეული იყო „მანქანის კულტი“ და ურბანული პროგრესის გაიდებალიზება. ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ გალაშქრება სწორედ ტექნოლოგიური სიახლეების გაფეთქებით ხორციელდებოდა⁸³. რუსული სუპრემატიზმის მსგავსად, იტალიური ფუტურიზმის პირველი ტალღაც ერთგვარი აპოკალიფსური ხედვითა და ესთეტიკით გამოირჩეოდა. მისი მიმდევრები ისევე ხედავდნენ პირველ მსოფლიო ომში წარსულისგან გათავისუფლებისა და თვისობრივად ახალი რეალობის გამოძერწვის შანსს, როგორც რუსი ავანგარდისტები ოქტომბრის რევოლუციაში.

თუმცა როგორც საბჭოთა რეჟიმმა ნელ-ნელა დაიმორჩილა მოდერნისტული ეპატაჟი და მთლიანი ხელოვნება გაცილებით ტრადიციულ და მკაცრად გაკონტროლებულ სოცრეალისტურ რელსებზე გადაიყვანა, ასევე მოტეხა პოლიტიკურმა წარუმატებლობამ მარინეტი. იტალიაში ფაშიზმის მოძლიერებასთან პარალელურად, მუსოლინისგან მოძულეებული მარინეტი უკვე 1923 წლის მანიფესტში აცხადებს, რომ ფუტურიზმი ინაცვლებს ხელოვნების სფეროში და პოლიტიკურ

⁸² ბერგჰაუსი, გიუნტერ (2013), 52-67.

⁸³ Ostashevsky, Eugene (2012).

ბრძოლაში ჩაერთვება მხოლოდ მაშინ, როცა ერს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრება⁸⁴.

საქართველოში ფუტურიზმი, როგორც სისტემური კულტურული მიმდინარეობა, 1922-1928 წლებში არსებობდა და მისი იტალიელი პირველწყაროს მსგავსად, ტექნიკის კულტს ეთაყვანებოდა. ამის გამო არსებობს ცდუნება, რომ ქართული ფუტურიზმი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის წინამორბედად ჩავთვალოთ, მაგრამ ოდნავი დაკვირვებაც დაგვანახებს ამ აზრის უსაფუძვლობას: პირველ რიგში, ტექნოლოგიისადმი ფუტურიზმისეული ინტერესი პრინციპულად განსხვავდება სამეცნიერო ფანტასტიკის ტექნიკისადმი ინტერესისაგან. თუ ეს უკანასკნელი ტექნოლოგიაში პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნის, მჩაგვრელი სისტემის დამხობის იარაღს ხედავს, ფუტურისტისთვის უახლესი მეცნიერული გამოგონებები ან ყველაფერი ძველის ნანატრი დესტრუქციის მომტანი, ან წმინდა ესთეტიკური ტკბობის გამომწვევია. ქართულ ფუტურიზმში ტექნოლოგიისადმი მხოლოდ ეს მეორე, მოქმედებისგან დაცლილი ტრფობა გადმოვიდა. უფრო მეტიც, ურბანული ესთეტიკა ქართულ ფუტურიზმში სოფლური იდილიისადმი ლტოლვასაც კი აღვივებდა და ეს კონტრასტული ხედვა, „გაორება ბადებდა დრამატიზმს, როგორც ენერგიას: იგი განადიდებდა ქალაქს, ტექნიციზმს, მუშათა კლასს, მაგრამ მთვარესაც ვერ ელეოდა⁸⁵.”

რაც შეეხება ქართველ ფუტურისტთა პოლიტიკურ პოზიციას, ის სიმონ ჩიქოვანის 1924 წელს ნათქვამი ამ სიტყვებით შეგვიძლია დავახასიათოთ: „კომუნისტური სახელმწიფოს პერსპექტივები ხელოვნებაში ყველაზე მეტი სისწორით გამართლებული იქნება ჩვენს მიერ. [...] H₂SO₄ ფრონტი ყველაზე მეტად ამართლებს ს.ს.ს.რ-ს და პროექტი სახელმწიფო ხელოვნების ყალიბის შესახებ ჩვენ გვეკუთვნის⁸⁶“. სწორედ იმის გამო, რომ ქართველი ფუტურისტების თვითმიზანი უკვე დამკვიდრებული რეჟიმის მსახურება და, შესაბამისად, რეალობის შექმნა კი არა, მისი აღწერა გახლდათ, ის იტალიური ფუტურიზმის მეორე ტალღას ენათესავება. ამ უკანასკნელის „ოფიციალური ხაზი იყო ის, რომ ფუტურიზმი მოქმედებს *წმინდა*

⁸⁴ ბერგჰაუსი, გიუნტერ (2013), 64.

⁸⁵ სიგუა, სოსო (2013), 224.

⁸⁶ ჩიქოვანი, სიმონ *სასწრაფო განმარტება ჟურნალ H₂SO₄ გამოსვლის* (თბილისი: ჟურნალი „მნათობი“, 1924), 218.

ფანტაზიის უსაზღვრო სამფლობელოში⁸⁷” და განზე დგება „ბინძური პოლიტიკისგან“. ამის საპირისპიროდ, სამეცნიერო ფანტასტიკა სწორედაც რომ პოლიტიკური მუხტის არსებობით ფასობს, ფორმას უმორჩილებს შინაარსს, კონკრეტულ მიზანს და არა — პირიქით⁸⁸.

მაშასადამე, დრამატული პოლიტიკური გარდატეხების პერიოდში ქართული ლიტერატურა სინამდვილეს დაშორდა და მოდერნისტული სკოლისთვის დამახასიათებელ ეპატაჟურობას შეაფარა თავი. „სამოციანელებისთვის“ ტექნოლოგიური პროგრესი პრაქტიკული იარაღი იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში და ამიტომ ხელოვნება მისთვის არ ემეტებოდა. მაგრამ როგორც კი პროგრესის ესთეტიკამ ხელოვნებაშიც შეაღწია, იგი სრულიად განიძარცვა პოლიტიკური ამბიციებისგან. ტექნოლოგიური სიახლეების მოტრფიალე ხელოვანთა ჯგუფმა ელექტრონის შუქში ფერთა ლამაზი ელვარება დააფასა და არა — მისი პრაქტიკული ძალა. ეროვნული ინტერესებისთვის ხელოვნების დამმორჩილებელი „მამების“ შემყურე ახალმა თაობამ თავშესაფარი ესკაპიზმში იპოვა.

ზემოხსენებულ სტატიაში ტიციან ტაბიძე სწორედ მსგავს პოზიციას იცავს და „თერგდალეულებს“ ხელოვნებაში პოლიტიკის შეჩრაში ადანაშაულებს: “ამ ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთადო⁸⁹”, — აღნიშნავს ის. ამას თან დაერთო ის გარემოებაც, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაცილებით ძლიერმა დამპყრობელმა ტექნოლოგიის პრაქტიკული ძალის უზურპირება მოახდინა. ახალ რეალობაში ამ იარაღის გამოყენება იმპერიალისტური ცენტრის მსახურებას უდრიდა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტები ბოლშევიკების პოლიტიკური მანიფესტების როლს ასრულებდა.

1.5. ელექტრიფიკაციის საკითხი

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ დაიმორჩილა ტექნოლოგიური პროგრესის

⁸⁷ ბერგჰაუსი, გიუნტერი (2013), 64.

⁸⁸ Suvin , Darko (1972), 372-382.

⁸⁹ ტაბიძე, ტიციანი (1916) „ცისფერი ყანწებით“, 11.

ნარატივი ბოლშევიკურმა რეჟიმმა, თვალი გადავავლოთ ინდუსტრიული რევოლუციის მთავარი ტექნოლოგიური მონაპოვრის, ელექტრიფიკაციისა და მისი რუსულ და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენების ისტორიას. ეს მაგალითი განსაკუთრებით სახასიათოა, რადგან ელექტრიფიკაციის საკითხი საბჭოთა კავშირის შექმნის პირველ პერიოდში ცენტრალური მნიშვნელობის გახლდათ. ამაზე ლოზუნგად ქცეული ლენინის ცნობილი სიტყვები, “კომუნიზმი უდრის საბჭოთა ძალაუფლებას პლუს მთლიანი ქვეყნის ელექტრიფიკაცია⁹⁰”, მეტყველებს.

სრული ელექტრიფიკაციის საკითხი საბჭოთა კავშირისთვის არ ნიშნავდა მხოლოდ განათებულ ქუჩებს, ეს იყო ინდუსტრიალიზაციისა და თანამედროვე, კომპეტენტური სამხედრო ძალის შექმნისაკენ გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯი. როცა ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე ჰერბერტ უელსი მოსკოვს ესტუმრა და კრემლში ვლადიმერ ლენინთან ცნობილი ინტერვიუ ჩაწერა, სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ლიდერის იმ ამბიციურმა — და მისი აზრით, აბსურდულმა — ხედვამ გააოცა და აღაფრთოვანა კიდეც, რომელიც ქვეყნის განათებას ეხებოდა:

როგორც იქნა, ის [ლენინი] დამორჩილდა უტოპიას, ელექტრიკოსების უტოპიას. ის მთელ თავის ძალისხმევას რუსეთში უძლიერესი ელექტროსადგურების აშენების გეგმას ახმარს, რომ მთლიანი პროვინციები სინათლით, ტრანსპორტით და ინდუსტრიული ძალით მოამარაგოს... მსგავსი მასშტაბის ელექტრიფიკაციის პროექტები ჰოლანდიაში განვითარების ფაზაში არიან, ხოლო ინგლისში ამაზე მსჯელობაა დაწყებული, და მსგავს მჭიდროდ დასახლებულ და ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ცენტრებში ასეთი პროექტები, სავარაუდოდ, წარმატებული, ეკონომიური და ზოგადად მომგებიანი იქნება. მაგრამ ამ პროცესების დაწყება რუსეთში საღი წარმოსახვისთვის რთული გასააზრებელია. მე მიჭირს მსგავსი რამის წარმოდგენა ამ ბნელ კრისტალში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, მაგრამ კრემლში მჯდომ ამ პატარა კაცს ეს შეუძლია; ის ხედავს, როგორ იცვლება მოძველებული რკინიგზა ახალი, ელექტრონული ტრანსპორტით, ხედავს, როგორ სერავს ქვეყანას ახალი გზატკეცილები, ხედავს ახალი, უფრო ბედნიერი კომუნისტური ინდუსტრიალიზმის ხელახალ აღორძინებას. სანამ ვესაუბრებოდი, მან ლამის შეძლო და ეს ხედვა მეც გამაზიარებინა⁹¹.

თუმცა, ელექტროენერგიის წარმოება რუსეთის ტერიტორიაზე ლენინის ძალაუფლებაში მოსვლამდე, ჯერ კიდევ 1886 წელს დაიწო. საქართველო მხოლოდ ერთი წლით ჩამორჩა ჩრდილოელ დამპყრობელს და უკვე 1887 წელს ქალაქ თბილისში დაყენებული თბური ძრავების ხარჯზე ქართული დრამატული თეატრი განათდა.

⁹⁰ Стенографический Отчет (1921) “Восьмой Всероссийский Съезд Советов”, 30.

⁹¹ Wells, H.G. Interviews Vladimir Lenin, 1920.

1913 წლისთვის საქართველოში 7 მცირე ჰიდროელექტროსადგური და რამდენიმე ათეული თბოდრავიანი ელექტროსადგური მუშაობდა. საბჭოთა კავშირის ნაწილად ქვეყნის მერე საქართველოს ელექტრიფიკაცია ხუთწლიანი გეგმების ნაწილი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებამდე აღემატებოდა ადგილობრივად გამომუშავებულ რაოდენობას, დანაკლისის შევსება მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოსული ელექტროენერგიით ხორციელდებოდა.

რუსეთში, საქართველოსგან განსხვავებით, ეს პროცესი გაცილებით მტკივნეულად, ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებები და უზარმაზარი ტერიტორია გახლდათ, რამაც არაერთი ფინანსური და ორგანიზაციული პრობლემა წამოჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრიფიკაცია ლენინმა კომუნიზმის დამყარების უმთავრეს პირობად განსაზღვრა და ახალი სისტემის მშენებლობის სამოქმედო გეგმის პირველ პლანზე გამოიტანა, ინტელექტუალური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური რესურსების სიმწირემ ამ გეგმას ფრთები შეუკვეცა⁹². იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ჩამორჩებოდა რუსეთის ელექტრიფიკაციის პროცესი ქართულისას, ტიციან ტაბიძის 1921 წლის მოგონება გამოდგება, სადაც პოეტი აღნიშნავს, რომ 1919 წელს რუსეთიდან ჩამოსული “კულტურული ადამიანები ჩვენ თვალ წინ კოცნიდნენ თბილისის მიწას და ტიროდნენ, როცა ხედავდნენ ელექტრონის სინათლეს”⁹³.

თუ რეალურ ცხოვრებაში ელექტრიფიკაციის პროცესი საქართველოში რუსეთის კვალდაკვალ და საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მეტი წარმატებითაც, ხორციელდებოდა, ცხოვრების გარდაქმნის პოტენციალის მქონე ამ ტექნოლოგიურმა სიახლემ ორი ქვეყნის ლიტერატურაში უკიდურესად განსხვავებული მასშტაბებითა და ფორმებით შეაღწია. რადგან უკვე განვსაზღვრეთ სამეცნიერო ფანტასტიკური ნარატივისადმი რუსულ ხელოვანთა ინტერესის სპეციფიკურობა, მოულოდნელი არ იქნება იმის მოსმენა, რომ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ელექტროენერგია ყოველდღიურობაში შეაღწევდა, მან უკვე დაიმკვიდრა თავი რუსულ მწერლობაში. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ელექტროენერგიამ

⁹² Coopersmith, Jonathan (1992), 1-7.

⁹³ ციტირებულია მაყვალა გაჩეჩილაძის ტექსტში, „ცისფერყანწელები გაზეთ ბარიკადში“ (2001).

დასავლელ ევროპელთა ფანტაზიაში მისტიკურობის ელფერი შეიძინა⁹⁴, რუსულმა მხატვრულმა ლიტერატურამ ელექტროენერგიის ცნებიდან თავიდანვე უკუაგდო ზებუნებრივი ელემენტი და მის მეცნიერულ საწყისზე კონცენტრირდა. 1835 წელს დაწერილ ვლადიმერ ოდოევსკის სამეცნიერო ფანტასტიკურ დაუსრულებელ მოთხრობაში, „4338 წელი,” ელექტროენერგია პრაგმატული, ყოველდღიური დანიშნულებითაა გამოყენებული. მისი მეშვეობით ჰაერში შორეულ მანძილებზე, — პეკინიდან “ჩრდილოეთის სამეფომდე” (იგულისხმება მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის გაერთიანების შედეგად დაარსებული ქალაქი), — გადაადგილდებიან ე.წ. ელექტრომავლები (электроходы); გაღვანური ნათურებით განათებულია ერზრუმი; რუსეთის ცენტრი სავსეა ბროლისსახურავიანი შენობებით, რომლებიც ასევე ელექტრონის შუქით არიან აელვარებულები. ამასთან, სანამ ამ მომავლის სამყაროში გვამოგზაურებდეს, ავტორი ასეთ რამეს წინასწარმეტყველებს: “საბეჭდ მანქანებს მხოლოდ გაზეთებისა და სავიზიტო ბარათებისთვის გამოიყენებენ; მიმოწერა ელექტრონული საუბრით შეიცვლება⁹⁵.”

მაშასადამე, იქამდე, სანამ ყოველდღიურ რეალობად იქცეოდა, ელექტროენერგია რუსულ სამეცნიერო ფანტასტიკაში, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით, ნათელი მომავლის სიმბოლოდ დამკვიდრდა და, როგორც სხვა, უკვე არსებულმა თუ პროგნოზირებულმა ტექნოლოგიურმა სიახლემ, რუსული ეროვნული იდენტობის უპირატესობის წარმომჩენის როლი შეასრულა. მსგავსი უპირატესობა ოდოევსკის ნაწარმოებში როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ კულტურებთან შედარებითაა ხაზგასმული და ტექნიკური სიახლეებისადმი მზაობითაა განპირობებული. რუსეთში მოგზაურ პროტაგონისტს, ჩინელ სტუდენტ იპოლიტ ცუნგუევს მიაჩნია, რომ მის სამშობლოს უკიდურესად გაუმართლა, რუსეთმა რომ დაიპყრო, რადგან ამის შედეგად ჩინელებმა თავიანთი “წინაპრების ნაკვალევი, საბავშვო მეცნიერებები, გაანადგურეს, ფეტიშიზმი ჭეშმარიტი რწმენით შეცვალეს და განათლებული ერების გაერთიანებულ ოჯახში შევიდნენ.” იმავე აზრად დაუყოვნებლივ ხაზგასმულია, რომ ამ ოჯახში „გავლურებული” და გადატაკებული ამერიკელების ადგილი არ არის. ევროპული სახელმწიფოები კი იმდენი ხნის წინ

⁹⁴ მაგალითად, 1818 წლის მერი შელის რომანში „ფრანკენშტეინი,” ელექტრონის მსგავს ენერგიას ცოცხალი არსების შექმნის ძალა აქვს.

⁹⁵ Одоевский, Владимир (2014), 5.

ჩაბარებულან წარსულს, რომ ორმოცდამეოთხე საუკუნეში მცხოვრებლებს ჟამთა სვლისგან გადარჩენილ ხელნაწერებში ამოკითხული სიტყვის, „გერმანელის“ მნიშვნელობის გარკვევა უჭირთ⁹⁶.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ სამეცნიერო ფანტასტიკაში ტექნოლოგიურ პროგრესს არა მხოლოდ რუსული ეკონომიკა ეფუძნება, არამედ ეს პროგრესი მისი პოლიტიკური წყობის განმსაზღვრელიცაა. „4338 წელის“ ფურცლებზე დახატული საზოგადოება ტექნოკრატიულია. სახელმწიფო მოწყობის მოდელის ნაცვლად ოდოევსკი მეცნიერებისგან შემდგარ იერარქიულ წყობას აღგვიწერს. იმ საღამოებზე კი, სადაც ჩინელი სტუდენტია მიპატიჟებული, ნაღები საზოგადოებაა შეკრებილი და მათი გარდერობიდან დაწყებული, მასპინძლის სახლ-კარით დასრულებული, ყველაფერს ფუფუნების ბეჭედი აზის. ამ რეალობაში ზღვარგადასული სიმდიდრე მისი პატრონის გონებრივი შესაძლებლობებისა და სიქველის ანარეკლია.

ნაწარმოების კიდევ ერთ სახასიათო შტრიხს წარმოადგენს ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მოახლოებული კომეტისგან დედამიწის გადარჩენა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. სამწუხაროდ, ოდოევსკის ნაწარმოებზე მუშაობა არ დაუსრულებია და ის თხრობას იქამდე წყვეტს, სანამ ციური სხეული ჩვენს პლანეტასთან საშიშ მანძილზე მოახლოებას მოასწრებს. ამის მიუხედავად, თავად ნაწარმოების ტონიდან გამომდინარე, ვინმეს ძნელად თუ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ თხრობის დრამატურგიული განვითარების კულმინაცია რუსეთის მიერ სამყაროს კომეტისგან ხსნის პასაჟი იქნებოდა. “უცხო ძალებზე გამარჯვების“ ნარატივი რუსულ კულტურაში ხშირად გამოყენებული სქემატური ნარატივის მოდელთაგანია⁹⁷. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა სწორედ მსგავსი მასშტაბური აპოკალიფსური საფრთხეებით დახუნძლული ჟანრია, კიდევ უფრო გასაგები ხდება, რატომ მოიხიბლნენ მისით რუსი ინტელექტუალები.

როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციური რუსეთის მწერლობაში ტექნოლოგიისადმი დამოკიდებულება ორ ძირითად პოზიციაში გამოვლინდა: ავანგარდისტები მასში დესტრუქციულ, წარსულის განადგურების უნარის მქონე

⁹⁶ Ibid., 8. 16-17.

⁹⁷ Wertsch, James V. (2004), 93.

ძალას ხედავდნენ და ამ ძალის დამორჩილებას ცდილობდნენ; ბოლშევიკურ პარტიასთან დაახლოებული მემარცხენე მწერლები კი ტექნოლოგიას მარქსისტული იდეოლოგიის რეალობაში განხორციელების იარაღად სახავდნენ. თუმცა არსებობდა ხელოვან ადამიანთა ისეთი ჯგუფიც, რომელიც კომუნისტური იდეალების მიმდევარი იყო, მაგრამ ბოლშევიკებს მას შემდეგ განუდგა, რაც ამ იდეალების რეალობაში განხორციელების მცდელობის მახინჯ და სასტიკ გამოვლინებებზე თვალი ვერ დახუჭა. მსგავსი პოზიციის მქონე პირებისთვის ისეთი ტექნოლოგიური სიახლის სიაკვარგე, როგორიც ელექტრიფიკაცია იყო, განისაზღვრებოდა არა ამ სიახლის არსებითი ბუნებით, არამედ იმით, თუ ვის ხელში აღმოჩნდებოდა ის.

ასეთ ფიგურას წარმოადგენდა ყოფილი ბოლშევიკი ევგენი ზამიატინი. ზუსტად იმ წელს, როცა ელექტროენერგია საბჭოთა ხელისუფლების მიერ საპროგრამო მიზნად იქცა, ზამიატინმა ინდუსტრიალიზაციისა და ნათელი მომავლის ეს სიმბოლო თავის დისტოპიაში, „ჩვენ,” ტერორისა და სიბნელის განსხეულებად წარმოაჩინა⁹⁸. 1920 წელს დაწერილ ამ სამეცნიერო ფანტასტიკაში ელექტროენერგია ბოროტების სამსახურშია ჩაყენებული. სინათლე კონტროლთან, გამუდმებულ თვალთვალთან ასოცირდება. მის მიერ დახატულ ტოტალიტარულ სახელმწიფოში მოქალაქეების ნაცვლად იდენტობის არმქონე ნომრები ცხოვრობენ, რომელთა შუშებში ჩასმული ბინები მთელი დღეების განმავლობაში ელექტროენერგიითაა გადანათებული, რათა მათი არცერთი ნაბიჯი არ დარჩეს სხვათა თვალსაწიერის მიღმა. პანოპტიკონისეულ ქალაქში მცხოვრები ნომრები გამუდმებული დაკვირვების ქვეშ გრძნობენ თავს და როგორც საკუთარ, ისე მეზობელთა თითოეულ ნაბიჯსა და ამოსუნთქვას აკონტროლებენ. ზამიატინი რეპრესიული სისტემის ხელში ტექნოლოგიის ჩავარდნის საშიშროებას მეტად პირდაპირი მეტაფორითაც უსვამს ხაზს — ელექტროენერგია საზარელი რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანთა დასჯაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს: სისტემის მოღალატეებს სხეულში ელექტრონული ძაბვის გატარებით სახალხოდ კლავენ. ალბათ ყველაზე ანტისაბჭოური ამ ნარატივში სწორედ ის დაშვებაა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი სულაც არ გახლავთ სამართლიანი და მაღალზნეობრივი საზოგადოების არსებობის გარანტი.

⁹⁸ ზამიატინი, ევგენი (2018).

რა გასაკვირია, რომ „ჩვენ” საბჭოთა კავშირში არ დაბეჭდილა. მისი ინგლისური თარგმანი ნიუ-იორკში 1925 წელს გამოიცა. ამ პერიოდისათვის მსგავსი ტექსტების გამოქვეყნება საბჭოთა სინამდვილეში შემოქმედებითი სუიციდის ტოლფასი გახლდათ. 1929 წელს ზამიატინმა მწერალთა კავშირისადმი მიწერილ წერილში ორგანიზაციის დატოვების მიზეზად სწორედ ამ ტექსტის მიმართ კოლეგების მტრული დამოკიდებულება დაასახელა⁹⁹. ორი წლის თავზე კი ამჯერად თავად სტალინს მისწერა წერილი და ქვეყნის დატოვების უფლება სთხოვა: „არ მსურს, შევნიღბო ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ჩემს ცოლთან ერთად საზღვარგარეთ წასვლის უფლებას გთხოვთ. მიზეზი ჩემი, როგორც მწერლის, ის უიმედო მდგომარეობა, ის სასიკვდილო განაჩენია, რომელიც მე, როგორც მწერალს, აქ, სახლში გამომიტანეს¹⁰⁰”. ამ წერილმა ზამიატინს სიცოცხლე კი გადაურჩინა — სტალინმა მას ქვეყნიდან წასვლის უფლება მისცა — თუმცა მან საბჭოთა კავშირში დისტოპიური ტექსტების აღსასრულიც გააცხადა. ამის მერე საბჭოთა ადამიანს წინ ბედნიერების გარდა ვეღარაფერი მოელოდა და ელექტრონის შუქიც მხოლოდ მსგავსი მომავლის გასანათებლად თუ გამოდგებოდა.

სულ სხვა გზით ვითარდებოდა ქართული მწერლობის დამოკიდებულება ელექტრიფიკაციის საკითხისადმი. როგორც აღვნიშნეთ, რეალისტური სკოლის მწერლებისათვის ტექნოლოგიური სიახლეები ეროვნული იდენტობის განსაზღვრის მაგივრად ამ ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისთვის ბრძოლის იარაღთაგანი იყო და მათ მხატვრული ტექსტების ფურცლებზე არაფერი ესაქმებოდა. მხოლოდ ქართველ ფუტურისტთა ლირიკაში გამოჩნდა ელექტრონის შუქისადმი ინტერესი, მაგრამ აქ მან სრულიად დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა და შიდაკულტურული პაექრობის ასპარეზზე გამოვიდა როგორც რომანტიკული მთვარის შუქის დამძლევი, ესთეტიკური ტკბობის ახალი ფორმა¹⁰¹.

ელექტროენერგიამ ქართულ ლიტერატურაში თავისი მეცნიერული პოტენციალი პირველ ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში გამოავლინა. ალექსანდრე აბაშელის ფსევდონიმით ცნობილი მწერლის, ისაკ ჩოჩიას 1930 წლის

⁹⁹ Zamyatin, (1970), 301-304.

¹⁰⁰ იქვე, 309.

¹⁰¹ სიგუა, სოსო (2013), 221.

რომანის, „ქალი სარკეში¹⁰²,” პროტაგონისტი, გურგენ კამარელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ელსადგურთა მმართველი ინჟინერია. ჟურნალი „Electricity” მის უახლეს მეცნიერულ კვლევებზე წერს, მისი დისერტაციის თემა კი „ელექტრონული ენერგიის ცვალებადობა” გახლავთ. როცა მკითხველი კამარელს ხვდება, ის უკაბელო ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მუშაობს. სანახევროდ შესრულებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში მას მარსელი ვაისმანი ეხმარება. ავტორი „ლეტარგინად” წოდებულ ამ გამოგონებას ორი პოზიციიდან აფასებს. საბჭოელი კამარელი მასში კომუნისტური იდეალის — ტექნოკრატიული საზოგადოების ხორცშესხმის შესაძლებლობას და კაცობრიობის ცხოვრების წესის გაუმჯობესების შანსს ხედავს; დასავლური პრესა კი ერთი ქვეყნის შიგნით მიღწეულ ტექნოლოგიურ ნახტომს პოლიტიკურ-სამხედრო ჭრილში განიხილავს:

სად არის გარანტია, — წერდა პარიზელი „Matin” — რომ მოსკოვი არ გამოიყენებს ამ აღმოჩენას წითელი იმპერიალიზმის სამხედრო ძლიერებისათვის. არავინ იცის, რა სიურპრიზებს გვიქადის ეს აღმოჩენა სამხედრო ტექნიკის დარგში. ბავშვობის უვიცობისა და ყაჩაღური ინსტინქტის ძლევამოსილი კავშირი, რომელსაც საბჭოთა პოლიტიკა ეწოდება, ცუდი მასპინძელია გენიალური აღმოჩენის ორლესული მახვილისთვის. ვიდრე გვიან არ არის, საჭიროა ბავშვსა და ყაჩაღს ჩამოერთვას ბასრი დანა, რომელიც მას ბრმა შემთხვევამ ხელში ჩაუგდო^{103, 104}

ამ ციტატის წაკითხვის მერე რთულია, არ გაგახსენდეს ამ თავის დასაწყისში მოყვანილი „ვარსკვლავური ომის” პერიპეტიები და ზოგადად, ცივი ომისთვის ნიშნეული ბირთვული შეიარაღებით მიღწეული ძალთა ბალანსის პოლიტიკა.

საბჭოთა სოცრეალისტური მწერლობის ტრადიციების დაცვით, აბაშელი საბჭოთა ტექნოლოგიურ და სამხედრო ძლიერებას განადიდებს და ხაზს უსვამს მის უპირატესობას დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. ელექტროენერგიის ამ მიზნისთვის გამოყენება იმ დროისთვის ერთობ ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, რადგან, როგორც დავინახეთ, სწორედ ეს ტექნოლოგიური მონაპოვარი მიაჩნია პარტიას კომუნისტური ცხოვრების სიმბოლოდ. თუმცა, იმავდროულად, სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ტრადიციების დაცვით, ავტორი არსებული ტექნოლოგიის

¹⁰² აბაშელი, ალექსანდერ (იგივე ისაკ ჩოჩია) (1964), „ქალი სარკეში“.

¹⁰³ იქვე, 24.

¹⁰⁴ ციტატის უკანასკნელი ორი ფრაზა 1987 წლის გამოცემიდან ამოღებულია, მაშინ, როცა 1964 წლის გამოცემაში ხელუხლებლად გვხვდება. „გლასტნოსტის” პერიოდში მსგავსი ცენზურის არსებობის მიზეზი რთული ასახსნელია და დამატებით ანალიზს მოითხოვს.

ფანტასტიკური ვერსიის დახატვით მკითხველს ტექნოლოგიის სამხედრო მიზნებით გამოყენების საშიშროებებზეც აფრთხილებს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ამგვარი დუალისტური დამოკიდებულების ქონის შესაძლებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ორმა ქართველმა პოეტმა, ალექსანდრე აბაშელმა და ივანე ყიფიანმა, სტალინური რეპრესიების განთიადზე ამ ჟანრს შეაფარა თავი.

30-იან და 40-იან წლებში, როცა მწერლობაზე პარტიის კონტროლმა პიკს მიაღწია, ელექტროენერგიის სიკეთეებისთვის ხოტბის შესხმა დანადმულ ველზე ერთი უსაფრთხო ნაბიჯის გადადგმის გარანტად იქცა. ასე მაგალითად, ამ პერიოდში გალაკტიონ ტაბიძე თავის პოეზიაში ელექტროენერგიის ძალაზე ამახვილებს ყურადღებას¹⁰⁵. ნანა გაფრინდაშვილი ელექტროენერგიით პოეტის დაინტერესებას „სოცრეალისტური მსხვერპლშეწირვის“ აუცილებლობით ხსნის და ამის დასტურად მოჰყავს გალაკტიონის გამომცემლისადმი მიწერილი წერილი, სადაც პოეტი თავისი თხზულებების მეხუთე ტომის რეცენზენტის მკაცრ შენიშვნებს აპროტესტებს: „და ბოლოს 'სინათლის ყვავილი,' რომელშიც გატარებულია იდეა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ელექტროფიკაციის, რეცენზენტს დრომოჭმულ უიდეო აბსურდად მიაჩნიაო¹⁰⁶,“ წერს ის. გაფრინდაშვილი ასკვნის, რომ „სოციალისტური სამშობლოს ელექტროფიკაციის“ ხსენების გზით გალაკტიონი ცდილობს, „ეპიკური პოემების ისეთი ასპექტები წამოწიოს წინ, რომლებიც სოცრეალიზმის ესთეტიკასა და კანონში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა“¹⁰⁷.

მაშასადამე, საბჭოთა სისტემის პირველ დეკადებში ტექნიკური პროგრესისთვის ხოტბის შესხმა მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზე ე.წ. „ლოკომოტივის“ ფორმად — სისტემისთვის ლოიალობის დემონსტრირების საშუალებად იქცა. სწორედ ამ გარემოებასა და არა კულტურულ თუ ტექნოლოგიურ მზაობაში უნდა ვეძიოთ 30-იან წლებში პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტების შექმნის მიზეზიც. თუმცა თავად ჟანრის სტრუქტურულმა თავისებურებამ, რაც ნებისმიერ უტოპიურ ნარატივს პოლიტიკური კრიტიკის გამტარად აქცევს, ამ ნაწარმოებებს სახელმწიფოს მიერ ტექნოლოგიური პროგრესის

¹⁰⁵ ელექტროენერგიისთვის ხოტბის შესხმის ნარატივი იკითხება გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში, „ბევრნაირი ახდა ნატვრა“ (1936 წლის შემდეგ) და „სინათლის ყვავილი“ (1947 წელი).

¹⁰⁶ გაფრინდაშვილი, ნანა (2013), 191.

¹⁰⁷ იქვე, 192.

მონოპოლიზების პროცესისადმი რეზისტენტულობის ხარისხი შეუნარჩუნა. გალაკტიონთან „მთვარის დისკოს დამჩრდილავი“ და ცენზორისთვის თვალისმომჭრელი „ელექტრონის ცეცხლოვანი აფეთქება“¹⁰⁸ აბაშელთან სამხედრო ძალთა ბალანსზე მახვილგონივრული კომენტარის გაკეთების საშუალებაა.

აქ კი ჩნდება კითხვა, თუ რატომ ვერ დაინახა და საფრთხედ ვერ შეაფასა პარტიამ ჟანრისთვის ნიშნეული თვისება, წინ წამოწიოს მის თანამედროვე რეალობაში არსებული უსამართლობები. მომდევნო ქვეთავში სწორედ ამ კითხვაზე გავცემთ პასუხს, რადგან იმ ფაქტორებზე ვისაუბრებთ, რომლებმაც პოლიტიკური კრიტიკის პოტენციალის მქონე სამეცნიერო ფანტასტიკა სოცრეალიზმის შიგნით დაშვებულ ჟანრად აქცია.

1.6. სოცრეალისტური ფანტასტიკა

იმისათვის, რომ გავერკვეთ, რა ადგილი ეკავა სამეცნიერო ფანტასტიკას საბჭოთა კავშირში დაშვებულ ერთადერთ კულტურულ მიმდინარეობაში, სოცრეალიზმში, ამისათვის თავდაპირველად ამ უკანასკნელის ბუნება უნდა განვსაზღვროთ. 1934 წლის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მიღებული დადგენილებით, საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ძირითად მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოცხადდა. საბჭოთა მწერალს მრავალფეროვანი მხატვრული ინიციატივების, ფორმების, სტილებისა და ჟანრების არჩევის უფლება მიეცემოდა, თუკი ის შეასრულებდა მთავარ პირობას — ზედმიწევნით ასახავდა „ისტორიულ-კონკრეტულ სინამდვილესა“ და მის რევოლუციურ განვითარებას. „ამასთან, სინამდვილის ზედმიწევნითი და ისტორიულ-კონკრეტული მხატვრული ასახვა უნდა ემსახურებოდეს მშრომელთა სოციალისტური სულისკვეთების შესაბამის იდეური გარდაქმნისა და აღზრდის ამოცანას“¹⁰⁹, ეწერა წესდებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა მწერალს უნდა აღეწერა რეალობა და ეს რეალობა აუცილებლად პოზიტიური და იმედიანი უნდა ყოფილიყო.

ამ ფორმულაში თითქოს რთულად უნდა ეწერებოდეს თვალუწვდენელ

¹⁰⁸ ტაბიძე, გალაკტიონი (1936 წლის შემდეგ).

¹⁰⁹ Стенографический Отчет (1934) “Первый Всесоюзный Съезд Советских Писателей 1934”, 716.

კოსმოსში თუ შორეულ დროში ფანტასტიკური მოგზაურობების პასაჟები: დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის შენელების ამბავს („ქალი სარკეში“) ისტორიულ-კონკრეტულობისა არაფერი სცხია. მიუხედავად ამისა, 20-იან და 30-იან წლებში მხოლოდ რუსეთში 200-მდე სამეცნიერო ფანტასტიკა დაიწერა და ამდენივე ნაწარმოები ითარგმნა. ძნელად წარმოსადგენია, რომ მსგავსი მასშტაბის ლიტერატურული საქმიანობა საკავშირო საცენზურო ორგანოს, მთავლიტის შეუმჩნევლად გაჩაღებულიყო. ამ პარადოქსის ამოხსნის გზები სოცრეალიზმის — და მასთან მთლიანი საბჭოთა პოლიტიკური რიტორიკის — ოქსიმორონულ ბუნებაში უნდა ვეძიოთ.

მოსკოვიდან ნიუ-იორკში ემიგრირებულმა რუსმა მწერალმა, სერგეი დოვლატოვმა, სოციალისტური რეალიზმი მაგიას შეადარა:

დაფიქრებულხართ, რომ სოციალისტური ხელოვნება მაგიის მსგავსია? წინაპრების რიტუალურ და საკულტო მხატვრობას რომ წააგავს? დახატავ კლდეზე ბიზონს — სადამოს ცხელ ხორცს შეექცევი. [...] თუ რაიმე დადებითს გამოსახავ, ყველა კარგად იქნება. და თუ უარყოფითს — პირიქით. სტახანოვის გმირობას თუ აღბეჭდავ, ყველაფერი შესანიშნავად იმუშავებს. [...] გაიხსენეთ დედაქალაქის მიწისქვეშა მოზაიკები. [...] ქართველები, ლიტველები, სომხები... მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი... ესენიც ხომ იგივე ბიზონები არიან!¹¹⁰

და მართლაც, სოციალისტურ რეალიზმს ცოტა რამ თუ აკავშირებდა რეალობასთან, რადგან მისეულ ნათელფერებიან, მზით გაჩახჩახებულ სამყაროს წარმოსახვის უკიდურესი დამაბვიტაც ვერაფერი საერთო ვერ ექნებოდა სისხლიანი რევოლუციებით, ჩამოშლილი ეკონომიკითა და ჰორიზონტზე შავ ღრუბლად ჩამოწოლილი პოლიტიკური რეპრესიებით დამძიმებულ სინამდვილესთან. ამიტომ, პარტიის დირექტივის ასასრულებლად, მწერლობას რეალობა კი არ უნდა აესახა, ის უნდა შეექმნა. მაგრამ მარქსისტულ იდეოლოგიას ზებუნებრივი ძალების არ სწამდა, მისი იარაღი ჯადოსნური ჯოხი არასოდეს ყოფილა. კლდეზე რიტუალური მხატვრობის ანალოგს სოცრეალიზმის შიგნით დროის მანქანა წარმოადგენდა და მისი მეშვეობით ნათელი მომავალი პირქუში აწმყოს ადგილს იკავებდა. ამავე აზრს ავითარებს ილია ილფიც და ამჯერად უშუალოდ სამეცნიერო ფანტასტიკასა და მაგიას შორის ავლებს პარალელს: „ფანტასტიკურ რომანებში მთავარი რადიო იყო. მასთან ერთად მოელოდნენ მთლიანი კაცობრიობის ბედნიერებას. აი, რადიო არის, მაგრამ

¹¹⁰ Довлатов, Сергей (2013), 145-146.

ბედნიერება — არა“¹¹¹.

შორის გროისი ამაზე შორსაც მიდის და ზოგადად კომუნისტური პარტიის საქმიანობას პოლიტიკურ-ესთეტიკურ პროექტად აღიქვამს, სადაც საბჭოთა ლიდერები ხელოვანების როლს ასრულებენ და სამყაროსა და მასში მცხოვრები ადამიანების ცნობიერებას ისე მერწავენ, როგორც მოეპრიანებათ. ისინი ამ გზით ტოვებენ ისტორიულ განპირობებულობას და პოსტისტორიული კულტურის შიგნით დროის ცნებას ანადგურებენ¹¹². ასეთ დროს სოცრეალიზმს ევალება აღწეროს არა ტიპური — ის, რაც ყველაზე ხშირად ხდება, არამედ არსობრივი — ის, რაც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს იდეალს. შესაბამისად, ის ორიენტირებულია იმისაკენ, რაც ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად მოხდება — ისტორიული მატერიალიზმის შიგნით კაცობრიობის განვითარების ეტაპები წინასწარაა განსაზღვრული. კვლავ დოვლატოვს რომ დავესესხოთ, თუ დავხატავთ ისეთ სამყაროს, სადაც სიღატაკე დაძლეულია, რადგან მძიმე სამუშაოს რობოტები ასრულებენ, ხვალ ეს ფანტაზია რეალობად იქცევა. ამ გზით საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ არმომხდარი წარმატებები ჩაიწერა საკუთარ აქტივში, მომავლის კეთილდღეობის შემოქმედად იქცა აწმყოში და ლენინის სიტყვები, „უნდა ვიოცნებოთ“¹¹³, (Надо мечтать!) გაიხადა ლოზუნგად.

ყველაზე დამაჯერებლად კი სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორი ოცნებობს და რა გასაკვირია, რომ ეს ჟანრი სოცრეალისტურმა ტრადიციამ ხელგაშლილად მიიღო. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 20-იან და 30-იან წლებში რეალისტურ ჟანრში მოღვაწე ცნობილ რუს რომანისტთა შორის ერთგვარ ტენდენციად იქცა ერთი-ორი სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის დაწერა. უფრო მეტიც, რიჩარდ სტაიტსის მტკიცებით, 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში სამეცნიერო ფანტასტიკის მხოლოდ ერთი პროფესიონალი მწერალი არსებობდა და მისი სახელი ალექსანდრე ბელიაევი იყო¹¹⁴. დანარჩენი 200-მდე ნაწარმოები კი ან სხვა ჟანრში მოღვაწე მწერლებს ან სულაც სხვა პროფესიის ადამიანების კალამს ეკუთვნოდა.

ეს ტენდენცია ქართულ მწერლობაშიც აისახა. ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ტრადიციის ჩასახვა არა ქვეყნის სოციალურ-კულტურულმა მზაობამ,

¹¹¹ Ильф, Илья (1957), 108.

¹¹² Groyse, Boris (1992), 36, 41-42.

¹¹³ Ленин, Владимир (1902), 192.

¹¹⁴ Stites, Richard (1989), 172.

არამედ პოლიტიკური დირექტივის ასრულების ინდივიდუალურმა სურვილმა გამოიწვია. პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორი, პოეტი ალექსანდრე (ისაკ) ჩოჩია 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო, რის გამოც დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. თუმცა უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მომენტისათვის ის ლიტერატურული დაჯგუფების, „აკადემიური მწერლობის კავშირის“ წევრია და 1921 წლის 25 თებერვალს კრწანისის დარ ტრაგედიად აფასებს¹¹⁵. წითელი ტერორისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება მას არც მომდევნო წლებში დაუმაღავს. ამაზე მოწმობს 20-იან წლებში გამოცემული ლექსი, „წერილი ნოე ჩხიკვაძეს,“ სადაც პოეტი დარდობს, „ახლა ქუხილი არ ისტამბება“ და „ჩვენთვის გარეშე შემოქმედების რომ ყველაფერი არის ამაო.“

მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილის დროისათვის (1954 წელი), ალექსანდრე აბაშელის ფსევდონიმით მოღვაწე პოეტი ბოლშევიკური იდეოლოგიის ერთგულ მწერალთა სიაშია და მისი მოღვაწეობის აღმწერნი 20-იანი წლების პერიოდს ისეთ „ცდომილებებად“ აფასებენ, რომლებიც პოეტმა ახალგაზრდული დაუდევრობითა და გამოუცდელობით დაუშვა. „ჩვენ [ეს ცდომილებანი] მოვიყვანეთ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი გამბედაობით უპირისპირდებოდა იგი იმ ახალს, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ესმოდა კარგად¹¹⁶,“ 1959 წელს წერს სოცრეალისტი მწერალი, გრიგოლ აბაშიძე და იქვე გვიხსნის, რა გზით დასძლია აბაშელმა ეს მცირეხნიანი დაბნეულობა:

ალ. აბაშელმა ბევრი შთაგონებული სიმღერა უთხრა ახალი საქართველოს მშენებლებს, საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურების შუქის ანთებას, კოლხიდას ჭაობების ამოშრობას. იგი ღრმად ჩასწვდა მშენებლობის ამ არნახული გაქანების აზრს და მასში სამართლიანად დაინახა თავისი ხალხის ბედნიერება¹¹⁷.

თუმცა აბაშიძე არ იყო ერთადერთი, ვინც აბაშელის შემოქმედებით ბიოგრაფიაზე დაგვიტოვა ტექსტი. აკაკი ბაქრაძე, თავის წიგნში, „მწერლობის მოთვინიერება“, რომელიც თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ რეჟიმის მიერ ქართველ ხელოვანთა დამორჩილების ამსახველ ყველაზე ამომწურავ ტექსტად, ასევე საუბრობს

¹¹⁵ ლექსი „მორეული ნაპირი“. დაიბეჭდა 1921 წლის ჟურნალი „ხომალდის“ პირველ ნომერში, 3-8.

¹¹⁶ აბაშიძე, გრიგოლ (1979), 119.

¹¹⁷ იქვე, 120.

აბაშელის ტრანსფორმაციაზე, რომლის შედეგადაც მან ანტისაბჭოური სენტიმენტები უკან მოიტოვა და რეჟიმს დამორჩილდა. რა თქმა უნდა, ბაქრაძე მსგავს ფერისცვალებას აბაშიდისგან საპირისპირო პოზიციიდან აფასებს. ამასთან, ბაქრაძე აბაშელის რეჟიმის მიერ „მოთვინიერების“ ამბის მოყოლისას თავს იკავებს ქართველი პოეტის გაკიცხვისგან. ის არა სამშობლოს ღალატის ისტორიას ჰყვება, არამედ ადამიანის სულიერად მოტეხის დრამას, რომელსაც ამ სიტყვებით აჯამებს:

თითქმის ათი წელიწადი ცდილობდა ალ. აბაშელი დაეცვა და შეენარჩუნებინა პოეტისა და პიროვნების თავისუფლება, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო კომპარტიის მიერ მოწყობილ სულიერ ტერორს. გატყდა და მორჩილად თავი დახარა. 1929 წელს თავისთავი გამოიგლოვა და პირი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ იბრუნა.¹¹⁸

თუ გავიხსენებთ, რომ აბაშელმა თავისი სამეცნიერო ფანტასტიკური რომანი 1930 წელს გამოაქვეყნა, ბაქრაძის მიერ მისი სულიერი გატეხის თარიღად 1929 წლის დასახელება განამტკიცებს ჩვენს იმ ჰიპოთეზას, რომ „ქალი სარკეში“ იმ „სიმღერათაგანი“ იყო, რომლითაც პოეტმა რეჟიმისადმი თავის დახრა დაიწყო. თავად ბაქრაძე ამ ნაწარმოებს ერთხელაც არ ახსენებს, ის აბაშელის მხოლოდ პოეზიაზე დაყრდნობით ყოფს ორად ამ უკანასკნელის შემოქმედებით ბიოგრაფიას, თუმცა ეს ნაშრომისთვის რელევანტური დასკვნების გამოტანაში ხელს ნამდვილად არ გვიშლის.

1929 წლიდან მოყოლებული ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე მდგარ აბაშელს პარტიისადმი თავდადება „სოცრეალისტური“ იდეალების ერთგულებით უნდა გამოეხატა — ნანა გაფრინდაშვილს თუ დავესესხებით, მისთვის მსხვერპლი უნდა შეეწირა — და რეპრესიული რეალობა ნათელ ფერებში დაეხატა. ამისათვის პოეტმა ყველაზე ნაკლებად მტკივნეული კომპრომისი იპოვა: 1930-იანი წლების თბილისი მარსელებით დაასახლა, ქართველ მეცნიერს ფანტასტიკური ტექნოლოგიური სიახლის გასაღები მისცა ხელში და მხოლოდ ამგვარად გადასხვაფერებულ რეალობას შეასხა ხოტბა. მსგავსი კომპრომისების ძებნა აბაშელს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. ის, რომ მას სამეცნიერო ფანტასტიკაში ძალები აღარ უცდია, შეიძლება იმითაც ავსხნათ, რომ 30-იანი წლების მიწურულს მან ახალი, კიდევ უფრო კომფორტული თავმესაფარი უპოვა თავის ნიჭს: „როცა ჩვენს ქვეყანას

¹¹⁸ ბაქრაძე, აკაკი (1990), 76.

ფაშისტური ურდოები შემოესივნენ, აბაშელის მუზამ ერთხელ კიდევ მძლავრად გაშალა ფრთა¹¹⁹”, გვამცნობს აბაშიძე.

1920-1930 წლების საბჭოთა კავშირში სამეცნიერო ფანტასტიკის როლის და მნიშვნელობის გააზრების მერე ლოგიკური ჩანს, რომ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის მეორე ავტორიც ასევე პოეტი, თანაც სიმბოლისტი და „ცისფერყანწელთა” წევრი, ივანე ყიფიანი გახლდათ. 1936 წელს გამოცემულ რომანში, „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ¹²⁰”, მოქმედება მომავლის უტოპიურ კომუნისტურ საზოგადოებაში ვითარდება. ახალი ცივილიზაციის დედაქალაქ ამონს, რომელიც შავ ზღვაში ამოზრდილ ტერიტორიაზე გააშენეს ქართველებმა, ლენინისა და სტალინის ძეგლები ამშვენებთ, ტექნოლოგიურ განვითარებას კი მოქალაქეები სამუშაო პროცესისგან გაუთავისუფლებია და სიცოცხლითა და შემოქმედებით მოღვაწეობის ფუფუნება მიუცია. არცერთ სხვა ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში არ მოიძებნება იმდენი ტექნოლოგიური სიახლე და მათი ყოველდღიური გამოყენების მაგალითი, რამდენიც ამ სიმბოლისტი პოეტის რომანშია, რაც აძლიერებს იმის შთაბეჭდილებას, რომ ყიფიანი პირნათლად ცდილობს „სოცრეალისტური” დაკვეთის ასრულებას.

აღსანიშნავია, რომ 20-იან და 30-იან წლებში ტექნოლოგიურ სიახლეებთან ესთეტიკურად გაცილებით ახლოს მდგომი სკოლის, ფუტურისტების არცერთი ქართველი წარმომადგენელი არ დაინტერესებულა სამეცნიერო ფანტასტიკით, სიმბოლისტმა ყიფიანმა კი სწორედ ამ ჟანრში იპოვა პარტიის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გზა. ეს გარკვეულწილად ლოგიკურიც გახლდათ: მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სიმბოლისტები ხელოვნების პოლიტიზირების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მათ საპროგრამო სტატიებში მკაფიოდაა გამოხატული სუვერენიტეტწარმეულ ქვეყანაში ქართული ეროვნული იდენტობის შექმნის პრობლემატიკა. ეს უკანასკნელი კი, როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თემატურ გადაწყვეტადაც კი იქცა. ამასთან, ამ მხრივ, „ცისფერყანწელები” რეალისტური სკოლის მსოფლხედვასაც იმაზე მეტად ენათესავებოდნენ, ვიდრე ამის აღიარება თავად სურდათ. ამიტომ არაა მოულოდნელი, რომ სამეცნიერო ფანტასტიკისთვის ნიშნეული პოლიტიკური

¹¹⁹ აბაშიძე, გრიგოლ (1979), 120.

¹²⁰ ყიფიანი, ივანე (1987), 203-399.

მგრძნობელობა სიმბოლისტიკებისთვის უფრო ახლობლური აღმოჩნდა, ვიდრე ქართველი ფუტურისტიკებისთვის, რომლებიც სრულიად გაურბოდნენ პოლიტიკურად ოპოზიციური განწყობის გამოვლენასა და ეროვნული იდენტობის პრობლემატიკის წამოჭრას.

ივანე ყიფიანმა, ალექსანდრე აბაშელის მსგავსად, „ამონის“ დაწერით ორ მიზანს მიაღწია: ერთი მხრივ, მან ხარკი გადაუხადა სოცრეალისტურ სკოლას და ისეთი ნათელი მომავალი დახატა, რომლის ავტორობასაც პარტია აწმყოშივე ჩემულობდა; მეორე მხრივ კი, ბოლომდე არ უღალატა საკუთარ მოდერნისტულ მსოფლხედვას და შორეულ მომავალში იპოვა ქართული ეროვნული წარსულისა და გმირებისთვის ხოტბის შესხმის შესაძლებლობა. ამონის უცხო გარემოში XX საუკუნიდან მოხვედრილი ქართველი პროტაგონისტი ჰომეროსისა და ოვიდიუსის გვერდით რუსთაველისა და ვაჟას ჰოლოგრამებს ხვდება. ბესიკთან ერთად სწორედ ეს ორი ქართველი მწერალი მიაჩნდათ ქართველ სიმბოლისტებს თავიანთ იდეურ წინაპრებად და მათ აზიისა და ევროპის უნიკალური კავშირისგან გამომერწილი ქართული სულისა და ეროვნული იდენტობის მქონეებად აღიქვამდნენ.

ის, რომ პირველი ორი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა, დასტურდება არა მხოლოდ მათი ავტორთა შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის თვალის გადავლებით, არამედ იმ ცენტრალური ორი საკითხითაც, რომლის გარშემოც თითოეული ნაწარმოები ვითარდება: ესენია კოსმოსში მოგზაურობა („ქალი სარკეში“) და უკვდავება („ამონი, ანუ ათასი წლის შემდეგ“). სწორედ ამ ორ თემას გამოკვეთს რიჩარდ სტაიტსი, როცა იმ პერიოდის პარტიისგან წახალისებულ სიუჟეტურ გადაწყვეტებზე საუბრობს:

ორივე მათგანი ნათლად წარმოაჩენს ურთიერთობას იმ პერიოდის ფუტურისტულ სპეკულაციურ პათოსსა და იმ რეალობას შორის, რომლიდანაც ის აღმოცენდა: უკვდავებას ესწრაფოდნენ იმ მიწაზე, რომელიც ჯერ კიდევ ოხრავდა ათწლიანი ჰოლოკოსტის ნაიარევებისგან; კოსმოსურ მოგზაურობას ესწრაფოდნენ იმ მიწაზე, სადაც ხის გუთანნი და ქალაქური ცხენშებმული ოთხთვალები ყოველდღიურობას წარმოადგენდა.¹²¹

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ორივე საკითხი იმ ტიპის ოცნების ნაწილის არსს შეადგენდა, რომლის რეალობაში განხორციელების პატივსაც პარტია საკუთარ თავს მიაწერდა და უკვე აწმყოში ელოდა ჯილდოს საბჭოთა მოქალაქეების უპირობო

¹²¹ Stites, Richard (1989), 169.

ერთგულების სახით. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ალექსანდრე აბაშელის „ქალი სარკეში“ დედამიწასა და მარსს შორის კოსმოსური მოგზაურობის, ივანე ყიფიანის „ამონი“ კი დაბალზამების გზით უხრწნადობის მიღწევისა და უზრუნველ მომავალში მკვდრეთით აღდგომი შესაძლებლობებზეა აგებული.

რომ შევაჯამოთ, თავში განხილული თემები ცხადყოფს, ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტების შექმნის იმპულსი ბუნებრივად, ტექნოლოგიური პროგრესისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარების შედეგად არ გაჩენილა. ის რეალობისა და ადამიანის ბუნების გადასხვაფერების მოსურნე პოლიტიკური ძალის პირდაპირი დირექტივის შედეგად გაჩნდა. ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა სოცრეალისტური მწერლობის ნაწილია. ის საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებლად იქცა და სანამ ბოლომდე არ ჩამოემხო არსებული პოლიტიკური სისტემა და ხმამაღლა არ გამოაცხადა კაპიტულაცია, იქამდე დარჩა ჟანრი მის სამსახურში — როგორც შავზნელი რეალობის ნათელ ფერებად დახატვის იარაღი. მაგრამ თავად იარაღის უჩვეულო ფორმამ შეაძენინა ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას სტრიქონთა შორის კრიტიკული პოზიციის გაკრთობის უნარი. სწორედ ამ უჩვეულო ფორმის დამსახურებაა, რომ ჟანრს, უნივერსალურად, ყოველგვარ პოლიტიკურ კლიმატში შეუძლია, მკითხველი რეალობისგან გააუცხოოს იმდენად, რომ მისი ნაკლოვანებების გამოკვეთა შეაძლებინოს. ის გვაფიქრებს ჩვენს პოზიციაზე სამყაროში, ჩვენს დამოკიდებულებაზე რეალობის მიმართ, რადგან არაჩვეულებრივი, ყოველდღიურობიდან ამოვარდნილი, უჩვეულო მოვლენის მაყურებლად ისე გვაქცევს, რომ ამ არაორდინარულ სამყაროსთან თვითიდენტიფიკაციისთვის სივრცეს ტოვებს. მსგავსი გვერდზე გადგომა, მოქმედების არაორდინარულების შეგრძნება მაშინ, როცა ემპირიულ რეალობასთან პარალელების გავლებაც მარტივადაა შესაძლებელი, ამ უკანასკნელის კრიტიკულად გაანალიზების იმპულსს ბადებს.

თავი 2: სტალინიდან გორბაჩოვამდე — მომავლის კომუნისტური ხედვა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში

2.1. „კოსმოსური რბოლა“

„— პარაშუტი გაიხსნა. ეშვება. როგორც ჩანს, ხომალდი წესრიგშია!

— ცოცხალია? სიგნალებს აგზავნის? ცოცხალია? ცოცხალია?..”¹²²

1961 წლის 12 აპრილს მოსკოვისა და ბიჭვინთის დამაკავშირებელი სატელეფონო ზარით შემდგარი ეს დიალოგი საკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას ეხებოდა. ზარის ერთ მხარეს ყურმილი საბჭოთა კოსმოსური პროგრამის მთავარ ინჟინერს, სერგეი კოროლიოვს ეჭირა, მეორე მხარეს — აგარაკზე დასასვენებლად მყოფ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ნიკიტა ხრუშჩოვს. პირი, რომლის ბედიც საბჭოთა კავშირის ლიდერი დაუფარავი აღელვებით ინტერესდებოდა, პირველი ადამიანი კოსმოსში, იური გაგარინი გახლდათ.

„კოსმოსური რბოლის” სახელით ცნობილი შეჯიბრი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამი დეკადის განმავლობაში ცივი ომის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენდა. ყველაფერი 1957 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო, როცა საბჭოთა ინჟინრების მიერ შექმნილი, 57 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე სატელიტური სფერო, „სპუტნიკ 1” დედამიწის ორბიტაზე გავიდა და სამეცნიერო ფანტასტიკაში აღწერილი კოსმოსის დაპყრობის თავბრუდამხვევი ისტორიები ხელშესახებ შესაძლებლობად აქცია. მსგავსი ტექნოლოგიური გარღვევა, რომელიც საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების ირიბი, მაგრამ ეფექტიანი მაჩვენებელი იყო, ამერიკისათვის საკუთარი კოსმოსური პროგრამის შექმნის სიგნალად იქცა. თუმცა, სანამ ნასა¹²³ ძალებს მოიკრებდა, 60-იანი წლების შუამდე საბჭოთა კავშირი ამ შეჯიბრში პირველობას არ თმობდა.

¹²²Siddiqi, Asif A. (2000), 281.

¹²³ ნასა — აშშ-ის აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სააგენტო, არსებობს 1958 წლიდან.

ამგვარად, 1961 წლისათვის საბჭოთა კავშირი „კოსმოსური რბოლის“ უპირობო ლიდერი იყო და გაგარინის გაფრენა ამ უპირატესობის მორიგი, თუმცა კი მნიშვნელობით ყველაზე თვალშისაცემი და საბჭოთა ტექნიკური ძლიერების ყველაზე ეფექტიანი გამოხატულება გახლდათ. ამ მომენტიდან საბჭოთა კავშირს გაუჩნდა ტექნოლოგიური ძლევამოსილების ხელშესახები სიმბოლო, საბჭოთა იდეალების განმასახიერებელი გმირი, რომელსაც შეეძლო, კომუნიზმის უპირატესობანი ექადაგა როგორც საზღვრებს შიგნით, ასევე მის გარეთ. პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში საბჭოთა პროპაგანდისტული გზავნილებით დახუნძლულ ამ ქადაგებას დასავლეთიც კი ყურადღებით მოისმენდა.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის აშკარა იყო ამ უპრეცედენტო ვითარების პოლიტიკურ-იდეოლოგიური პოტენციალი. შესაბამისად, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ კოსმოსიდან დაბრუნებული გაგარინი დედამიწაზე ფეხს დაადგამდა, მთელი მისი მომავალი ცხოვრება პარტიის მიერ მკაცრად ორკესტრირებულ კამპანიად იქცა. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარის, დიმიტრი უსტინოვის წინადადება, პირველ მდივანს გაგარინი იქვე, ბიჭვინთაში მიეღო საზეიმოდ, ხრუმჩოვმა უყოყმანოდ უკუაგდო. მან გადაწყვიტა, რომ აგარაკზე, პირად სივრცეში მოწყობილი შეხვედრით მოვლენის მნიშვნელობა დაკნინდებოდა. სანაცვლოდ, პირველ კოსმონავტს სახალხო, დიდი ზარ-ზეიმით, ჟურნალისტებისა და სატელევიზიო კამერების გარემოცვაში მოსკოვში, ვნუკოვოს აეროპორტში დახვდნენ. ამ გადაწყვეტილებით ჩაეყარა საფუძველი თითოეული მომდევნო საბჭოთა კოსმონავტის საზეიმო დახვედრის ტრადიციას, რომელსაც პირველყოფილი პომპეზურობა 1969 წლიდან მოაკლდა. სწორედ ამ წელს „საიუზ 4-ისა“ და „საიუზ 5-ის“ პატივსაცემად გამართული აღლუმის დაწყების წინ ყოფილმა სამხედრო ოფიცერმა ლეონიდ ბრეჟნევის მოკვლა სცადა, რამაც პარტიულ ელიტას პირში ცუდი გემო დაუტოვა¹²⁴.

1969 წელი სხვა მხრივაც აღმოჩნდა გარდამტეხი თარიღი „კოსმოსური რბოლის“ ორი დეკადისთვის. სწორედ ამ წელს ამერიკელი ნილ არმსტრონგი პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა და ამ ერთი ადამიანური ნაბიჯითა და საკაცობრიო ნახტომით ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიტოვა უკან საბჭოთა კოსმოსური

¹²⁴ Gerovitch, Slava (2011), 103-104.

პროგრამა. ამან, თავის მხრივ, საბჭოთა მოქალაქეების ენთუზიაზმი და პირველობით ნასაზრდოები სიამაყე მიანავლა. მიუხედავად ამგვარი დასასრულისა, რბოლის პირველმა ათწლეულმა წაუშლელი კვალი დაამჩნია რუსეთის საბჭოთა კულტურას და მოქალაქეთა ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია.

რაც შეეხება საქართველოს — კოსმოსში გასვლით გამოწვეულმა აჟიოტაჟმა მას გვერდით ჩაუარა. საბჭოთა საქართველომ კოსმოსური ციებ-ცხელება ისეთი მსუბუქი ფორმებით გადაიტანა, რომ არც კულტურასა და არც მოსახლეობის ცნობიერებაზე მას მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია.

2.2. 14-წლიანი პაუზა

ნუგზარ აფხაზავას 1976 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ფანტასტიკურ კრებულში, „შეხების წერტილი¹²⁵,“ ერთი მოთხრობა, „1+1=1“, პლანეტა მეირადან გამოგზავნილი ბიორობოტის ორი იდენტური ნაწილის შეერთების ისტორიას გვიყვება. კიბორგის რუსეთში გაზრდილი ერთი ნახევარი მწვანე კონცხის გავლით თბილისში ჩამოდის და საქართველოში გაზრდილ მეორე ნახევარს უერთდება, რათა დედამიწა ერთხელ და სამუდამოდ დააკავშიროს მისი ატმოსფეროს გარეთ არსებულ სამყაროსთან. რეალობაში, მსგავსი *საბედისწერო შეხება*, რომელსაც საქართველოს კოსმოსურ სიმაღლეებთან დააკავშირებდა, არ შემდგარა; დედამიწაზე დაბრუნებული პირველი კოსმონავტი კაცობრიობას არა ბიჭვინთიდან, არამედ მოსკოვიდან მიესალმა და ამით ერთხელ და სამუდამოდ განდევნა საქართველო საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსის დაპყრობის ნარატივიდან.

საბჭოთა კავშირში ალბათ ყველაზე ამაღელვებელი და გულწრფელი სიამაყის დამბადებელი მოვლენებიდან საქართველოს გამოთიშვის სიმბოლურად ამსახველი ეს ისტორია თანმიმდევრულად ეწერება იმ ნარატივში, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას დასავლური ინდუსტრიალიზაციიდან მოყოლებული აღწერს. ეს გარემოება, თავის მხრივ, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ანალიზის დროსაც ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, მართალია, საბჭოთა ხომალდების კოსმოსში გაჭრამ

¹²⁵ აფხაზავა, ნუგზარ (1976), „1+1=1“, 25-37.

რამდენიმე ქართველ მწერალს ჟანრისადმი ინტერესი გაუძლიერა, თუმცა ის სალიტერატურო წრეებში კვლავ „დაბალხარისხოვან ლიტერატურად“ დარჩა.

მაგრამ სანამ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმონავტი მაღლების ერაში შევაბიჯებდეთ, ის ერთ-ნახევარი დეკადა უნდა მიმოვიხილოთ, რომლის განმავლობაშიც ქართულმა მწერლობამ სამეცნიერო ფანტასტიკა სრულად მიივიწყა. მას შემდეგ, რაც ორმა ქართველმა პოეტმა 1930-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ მწერლობაში ჟანრს დასაბამი დაუდეს, მომდევნო 14 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ერთი ნაწარმოებიც კი არ დაწერილა.

რადგან წინა თავში უკვე განსაზღვრეთ ის მჭიდრო კავშირი, რაც სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტებსა და ისტორიულ მოცემულობას შორის არსებობს, ბუნებრივია, ის ფაქტიც, თუ რატომ გაქრა ჟანრი ქართული მწერლობიდან, ასევე პოლიტიკური პერიპეტიებისთვის თვალის შევლებით უნდა აიხსნას. ამისათვის ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ რატომ დაინტერესდნენ სამეცნიერო ფანტასტიკით ქართველი მწერლები, რათა შემდგომ იმ მიზეზებს შევხედოთ, რომელთა გამოც ჟანრისადმი თავდაპირველი ინტერესის გამღვივებელმა ფაქტორებმა აქტუალობა დაკარგა.

როგორც უკვე ავხსენით, ალექსანდრე აბაშელმა და ივანე ყიფიანმა სამეცნიერო ფანტასტიკას კონკრეტული მიზნით შეაფარეს თავი: ამ გზით მათ რეჟიმს მორჩილება გამოუცხადეს და, ამასთან, გარკვეულ დონეზე საკუთარი პრინციპებისა და ღირებულებების ერთგულნი დარჩნენ. ამ გათვლამ რომ გაამართლა, განსაკუთრებით კარგად აბაშელის შემთხვევაში ჩანს. როგორც გრიგოლ აბაშიძე გვიყვება, პოეტმა რეჟიმის თვალში „ახლის მიღების სულიერი მეტამორფოზა¹²⁶“ განიცადა.

უშუალოდ რუსეთში მანამ, სანამ კოსმოსის დაპყრობა საბჭოთა პოლიტიკისა და კულტურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცეოდა (და საბჭოთა მოქალაქეებში, 1917 წლის რევოლუციის მერე პირველად, კომუნისტური იდეალებისადმი რწმენას, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც გააღვივებდა), რთული პერიოდი დადგა. ქვეყანამ სტალინური წმენდები, მასობრივი შიმშილობები და მეორე მსოფლიო ომის საშინელებები გადაიტანა. რუსული მწერლობა ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე იტევდა სოციალური კრიტიკის ფუნქციას და ის

¹²⁶ აბაშიძე, გრიგოლ (1979), 119.

პოლიტიკურ-ფილოსოფიური დებატების არეალად აღიქმებოდა¹²⁷. ქართული რეალისტური სკოლა, ამ მხრივ, სრულად იზიარებდა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ იმ პოზიციას, რომ მხატვრულ ტექსტს კონკრეტული პოლიტიკური თუ სოციალური ფუნქცია უნდა ეკისრა. ქართველი სამოციანელებისთვის მწერალი რიგით ადამიანზე მაღლა მდგომი, კონკრეტული მისიის მქონე არსება იყო. ილიას ცნობილი სტრიქონები, „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“, ამ პოზიციის ყველაზე პირდაპირი და ლაკონური შეჯამება გახლდათ.

მართალია, ლიტერატურისადმი მსგავსი დამოკიდებულება ქართველი მოდერნისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ მათ ესთეტიკურ პოზიციას, რომელიც ფორმალისტური ლოზუნგით, „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ მოქმედებდა, არსებულ პოლიტიკურ კლიმატში დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა. როცა 1934 წლის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ანდრეი ჟდანოვმა საბჭოთა მწერლობის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მისი იდეურობა და რევოლუციურობა დაასახელა¹²⁸, იმ მომენტიდან მხატვრული ლიტერატურა საბჭოთა იდეოლოგიის მსახურად იქცა. შედეგად, საბჭოთა მწერლობის სიაკვარგეც იმით განისაზღვრებოდა, თუ რამდენად პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ როლს. ამ ახალ დირექტივებზე მორგებას არაერთი ხელოვანის სიცოცხლე შეეწირა. ისაია ბერლინი წმენდაგადატანილ რუსულ მწერლობაზე წერდა: „1939 წლიდან გამოღწეული რუსული ლიტერატურა და აზრი ჰგავს ომისგან გაჩანაგებულ არეალს, სადაც რამდენიმე საუცხოო შენობა ჯერ კიდევ შედარებით ხელუხლებლად დარჩა, მაგრამ ისინიც გაუკაცრიელებული ქვეყნის ნანგრევთა შორის ყველაფრისგან გამოცალკევებულად დგანან¹²⁹.“ იმავეს თქმა შეიძლებოდა ქართულ მწერლობაზეც, რომელმაც ყველაზე მძიმე დარტყმა 1937 წელს მიიღო. ამ პერიოდში მწერალთა სახლის ყოველი მომდევნო კრება ახალ-ახალ გვარებს ამატებდა სამშობლოს მოღალატეთა გრძელ სიას, რაც პაოლო იაშვილის თვითმკვლელობით და ლავრენტი ბერიას მიერ ტიციან ტაბიძის, მიხეილ

¹²⁷ რუსული მხატვრული ლიტერატურის იდეოლოგიზებულ ხასიათზე მეტის გასაგებად იხილეთ, Katerina Clark (1981) *The Soviet Novel: History as a Ritual*; Rafail Nudelman (1989) *Soviet Science Fiction and the Ideology of Soviet Society* და Anindita Banerjee (2012) *We, modern People*.

¹²⁸ Стенографический Отчет (1934), 3.

¹²⁹ Berlin, Isaiah (1992), 6.

ჯავახიშვილის, ნიკოლო მიწიშვილისა და სხვა მრავალი ხელოვანის სიკვდილით დასჯით დასრულდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ალექსანდრე აბაშელის წინა თავში აღწერილი ფერისცვალება ერთობ დროული აღმოჩნდა. პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორი „დიდ წმენდას“ იმით გადაურჩა, რომ პარტიული ელიტა მისი შემოქმედებით ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაინტერესდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მიხეილ კახიანმა 1927 წელს პოეტს თბილისის პარტკონფერენციაზე ანტისაბჭოთა აბდაუბდის წერაში დასდო ბრალი. ამ ბრალდებას ათი წლით რომ დაეგვიანა, ის აბაშელისთვის სასიკდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ „ნეპის“ სახელით ცნობილი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში¹³⁰ ხელისუფლება მოქალაქეების მიმართ გაცილებით ლოიალური იყო და პარტიამ გზააცდენილ მწერალს მონაწიეობისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა მისცა. ის, რომ აბაშელისთვის ამ შესაძლებლობის გამოყენება მარტივი არ ყოფილა, კარგად ჩანს აკაკი ბაქრაძის მოგონებებიდან. ეს ჩანაწერები, ერთი შეხედვით, გესლიან მხილებას შეიძლება ჰგავდეს: „ამის მერე ალ. აბაშელი შეუერთდა კომუნიზმიადის მღალაღებელთ. დაადგა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გზას და გაითქვიფა საბჭოური პოეზიის მღვრიე ნაკადში. სამაგიეროდ, მოიპოვა ხელისუფლების ცრუ სიყვარული, სუტ-თანაგრძნობა და ფუჭი ქება-დიდება¹³¹“, — ვკითხულობთ ბაქრაძის წიგნში. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, კრიტიკოსი არაა დაინტერესებული ქართველი რეპრესირებული მწერლებისთვის სამშობლოს მტრების იარაღის მიკერებით. სანაცვლოდ მსგავსი მოტეხის მიზეზებს ეძებს და პოულობს კიდევ: „...ალ. აბაშელს უარი [უთხრეს] თანაგრძნობას, სიყვარულსა და სათნოებაზე ხელისუფლებამაც და კოლეგებმაც. იგი მარტო დარჩა. არც ერთ კაცს მაშინ პოეტის დასაცავად ხმა არ ამოუღია. არავინ გამოქომაგებია მას.“¹³² და მხოლოდ ამის

¹³⁰ ნეპის პერიოდი საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1928 წლამდე გაგრძელდა და სისტემის მოღვაწეობითა და კაპიტალისტურ რელსებზე შემობრუნებით ხასიათდებოდა. სწორედ მისი დასრულებით დაუდო დასაბამი სტალინმა თვისობრივად ახალ, კიდევ უფრო რეპრესიულ რეალობას, რომელსაც მილიონობით ადამიანი, მათ შორის ქართული კულტურული ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა.

¹³¹ ბაქრაძე, აკაკი (1990), 76.

¹³² იქვე.

მერე, კუთხეში მომწყვდეულმა პოეტმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო; პარტიამ კი — მისი მსხვერპლშეწირვა.

1920-იან წლებში, როცა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები საბჭოთა ყაიდაზე მოქცევის და ახალი ცხოვრების დაწყების ნარატივით იყო აჭრელებული, ძველი ყაიდის ადამიანთა „ჰომო სოვიეტიკუსად“ ტრანსფორმაცია პოსტრევოლუციური საბჭოთა პროექტის ნაწილი გახლდათ. მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, ადამიანთა ცნობიერების შეცვლა ეტაპობრივად, ეკონომიკურ სისტემათა თანდათანობითი ცვლის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. საბჭოთა კავშირში სოციალისტური წყობა ხელოვნურად, განვითარებული კაპიტალიზმის ეტაპის გაუვლელად და ძალადობრივი გზით დამყარდა. შესაბამისად, ფეოდალურ სისტემაში დაბადებულ მილიონობით ადამიანს ცხოვრების შუა გზაზე ერთბაშად უნდა შეეცვალა ცნობიერება და, მასთან ერთად, ცხოვრების წესი. ნიკოლაი ბუხარინის ტერმინი, „ორგანიზმის პლასტიკურობა“, მსგავსი გადასხვაფერების და, შესაბამისად, ჭეშმარიტად კომუნისტური საზოგადოების შექმნის შესაძლებლობის თეორიულ საფუძვლად იქცა¹³³. ალექსანდრე აბაშელის „ჭეშმარიტების გზაზე მოქცევა“ ამ ნარატივის ნაწილი გახლდათ — როგორც სანიმუშო მაგალითი იმისა, რომ საბჭოთა პროპაგანდა წარმატებით მუშაობდა. ამ ნარატივში აბაშელის მიერ საკუთარი პრინციპების დასაცავად გაჩაღებული ათწლიანი ბრძოლა გმირული ტრანსფორმაციისთვის აუცილებელ საფასურად ითარგმნა და მისი მთლიანი ბიოგრაფიის აპროპრიაციით კომპრომისზე წასვლის ტრაგიზმი გაუფასურდა. ალექსანდრე აბაშელის გადაწერილი ბიოგრაფია, მართალია, ბაქრამისეული ვერსიის დრამატულობას ინარჩუნებს, თუმცა 1953 წელს ის ტრაგედიის ნაცვლად ტრიუმფად იკითხება:

მან დიდი სულიერი განსაწმენდელი გაიარა და ჩვენს თაობას მოევლინა მითიური ფრინველივით ცეცხლში გარდაქმნილი და განახლებული. ეს იყო სრული გარდაქმნა, რომელიც ხელახლა დაბადებას უდრიდა. მან უკან დასახევად ერთი ხიდიც აღარ დაიტოვა და განახლებულ სამშობლოს მთლიანად მიუძღვნა თავისი შთაგონება. ამ სულიერ მეტამორფოზას მით უფრო დიდი ჰქონდა ფასი, რაც უფრო ძნელი იყო ეს გზა, გზა ძველის უარყოფისა და ახლის მიღებისა¹³⁴.

¹³³ Fitzpatrick, Sheila (2000), 75

¹³⁴ აბაშიძე, გრიგოლ (1979), 119.

აბაშელის ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაში რომანმა, „ქალი სარკეში“, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, რაზეც ნაწარმოების წარმატება მეტყველებს. სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში 70-80-იან წლებში მოღვაწე მწერლის, ნუგზარ აფხაზავას ცნობით, აბაშელი არა მარტო პირველი, არამედ ერთადერთი ქართველი მწერალი გახლდათ, „რომლის ფანტასტიკური ნაწარმოებიც საკავშირო არენაზე გამოჩნდა. [...] მას ვხვდებით ი. ლიაპუნოვის ‘საბჭოთა ფანტასტიკის ბიბლიოგრაფიაში’, რომელსაც წლების განმავლობაში ბეჭდავდა ალმანახი ‘ფანტასტიკა’¹³⁵“. ამის მიზეზად აფხაზავა იმ ფაქტს ასახელებს, რომ „ქალი სარკეში“, სხვა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისგან განსხვავებით, რუსულად ითარგმნა და გამოიცა¹³⁶.

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტი პიროვნულ პრინციპთა და პოლიტიკურ მოთხოვნათა თანხმობაში მოყვანის წარმატებული მცდელობის ნაყოფი გახლდათ. როგორც აღვნიშნეთ, ეს არ იყო სრული კაპიტულაცია, თუმცა ის თვითგადარჩენისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მაშინ, რატომ არ აურჩევიათ სხვა მწერლებს რეპრესიების ყველაზე რთულ წლებში იგივე გზა? რატომ დასჭირდა ქართულ მწერლობას 14-წლიანი პაუზა იქამდე, სანამ ჟანრისადმი ინტერესი ხელმეორედ გაღვივდებოდა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კვლავ შედარებით ანალიზს უნდა მივმართოთ და საქართველოში ჟანრის ბედზე საუბრის პარალელურად განვსაზღვროთ, როგორ ვითარდებოდა 1930-40-იან წლებში სამეცნიერო ფანტასტიკა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რესპუბლიკაში, რუსეთში.

მეოცე საუკუნის რუსული სამეცნიერო ფანტასტიკის ქრონოლოგიურად მიმოხილვისას, რაფაილ ნუდელმანი გვიანდელ 20-იან და 30-40-იან წლებს სტაგნაციის პერიოდად მოიხსენიებს¹³⁷. ეს იმ რევოლუციური ციებ-ცხელების შემდეგ დამდგარი დროა, როცა მომავალი შესაძლებლობებით იყო სავსე და სამეცნიერო ფანტასტიკაც მწერალთა თუ პოლიტიკოსთა უტოპიური ხედვის ხორცშესხმის არეალად ქცეულიყო. მაგრამ ოცნებებს ფრთები რეპრესიულმა სინამდვილემ

¹³⁵ აფხაზავა, ნუგზარ (1987), 45.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ Nudelman, Rafail (1989), 44-48.

მოუკვეცა. შედეგად, სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტებში რეალობის თვისობრივი ტრანსფორმაციის შესაძლებლობა შეიზღუდა და დროც და სივრცეც დაპატარავდა: „სოციალური სივრცე პლანეტარულიდან ლოკალურამდე შემცირდა. დრო აღარ იტოტება რეალობის სხვადასხვაგვარ უტოპიურ გაგრძელებებად და უტოპიათა შორის სხვაობებიც ქრება. სანაცვლოდ კი ოფიციალური უტოპიისადმი ერთგანზომილებიანი დამოკიდებულება იკიდებს ფესვებს¹³⁸“. მარტივად რომ ვთქვათ, თუ 1910-20-იანი წლების რუსულ სამეცნიერო ფანტასტიკაში დახატული ტექნოლოგიური სიახლე გმირს მარსზე ამოგზავრებდა, უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მხატვრულ ტექსტებში ასახული პროგრესი კი პროტაგონისტს გაუმჯობესებული ტრაქტორით მეტი მოსავლის აღების საშუალებას აძლევს.

ამგვარი ცვლილების უმთავრესი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური რეჟიმის გარდაქმნა იყო. პოსტრევოლუციურ საბჭოთა კავშირში მარქსისტული იდეალების რეალობაში განხორციელების გზებზე დებატები საყოველთაოდ იყო გაჩაღებული. მომავლის საკუთარი ხედვის წარმოჩენისას ერთადერთი შეზღუდვა ის გახლდათ, რომ საბოლოო მიზნად აუცილებლად კომუნიზმი უნდა დაგესახა — თუმცა მისკენ მიმავალი გზის არჩევაში თავისუფალი იყავი. მაგრამ მას მერე, რაც სტალინმა ისეთი მოაზროვნე პოლიტიკოსები, როგორებიც ტროცკი, ზინოვიევი და ბუხარინი იყვნენ, ასპარეზიდან ჩამოიშორა, საბჭოთა მეცნიერულ-კულტურული დისკურსი დოგმატურ შეხედულებათა კრებულად იქცა. ამიერიდან დაშვებულ თეორიათა ინტერპრეტაციის უფლება სტალინის თანხმობის გარეშე აღარავის ჰქონდა. ისაია ბერლინი პოლიტიკის ამგვარად შემოტრიალებაში სტალინის იმ ჭკვიანურ გათვლას ხედავს, რომელმაც ამ უკანასკნელს ძალაუფლება შეანარჩუნებინა. ფილოსოფოსის თქმით, ბელადი მალევე მიხვდა, რომ დესპოტური რეჟიმისთვის ყველაზე საშიში ისეთ, პოლიტიკისგან ერთი შეხედვით შორს მდგომ, სფეროთა შიგნით დისკუსიების არსებობაა, როგორიც მეტაფიზიკა, ლოგიკა ან ესთეტიკა გახლავთ¹³⁹.

იმ ჟანრისთვის, რომლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაც ცივილიზაციის განვითარების შესაძლო ტრაექტორიების დასახვის უნარია, მსგავსი ჩარჩოების დაწესება, ბუნებრივია, ტექსტთა ხარისხობრივ ცვლილებაში აისახა.

¹³⁸ იქვე, 44.

¹³⁹ Berlin, Isaiah (1992), 143.

წინასწარგამზადებული ტროპების გამოყენების ვალდებულებამ ჟანრს მიმოხიდელობა დაუკარგა და თუ წინა ათწლეულში მწერლობის გამოჩენილი წევრები მასში საკუთარი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური ხედვის წარმოჩენის საშუალებას ხედავდნენ, ამ ხედვების უკანონოდ გამოცხადებამ სამეცნიერო ფანტასტიკა შიგთავსგამოცლილ ნაჭუჭად აქცია.

ამასთან, პარადოქსულად, 1930-40-იან წლებში სამეცნიერო ფანტასტიკაში ფანტასტიკური ელემენტის შესუსტების პარალელურად, ტრადიციული სოცრეალისტური ტექსტები სულ უფრო დაუჯერებელნი ხდებოდნენ. იმ დროის საბჭოთა მწერლობა „რეალობისა“ და მასში დასახლებული პერსონაჟების ჰიპერბოლიზებული სახე-ხატებით შეივსო: „გმირები ზღაპრულები გახდნენ, მათი საგმირო საქმეები სულ უფრო ფანტასტიკურ და ეპიკურ ელფერს იძენდა, ტექსტების ენა კი ეპითეტებით და ხალხური ტრადიციისგან ნასესხები სურათებით დაიხუნძლა¹⁴⁰“. შესაბამისად, თუ იდეოლოგიური მრავალფეროვნების აკრძალვამ სამეცნიერო ფანტასტიკას შინაარსობრივი სიღრმე და გაქანება წაართვა, რეალისტურ მწერლობად გასაღებული ტექსტების მიერ ფანტასტიკური ელემენტის ამგვარმა უზურპირებამ ჟანრს ფორმალური ავტონომიურობაც კი დაუკარგა.

სამეცნიერო ფანტასტიკაზე ამ ორმაგი შეტევის შედეგად რუსეთში ჟანრმა პრესტიჟულობა კი დაკარგა, თუმცა, სანაცვლოდ, ისეთი ახალბედა მწერლებისთვის იქცა ხელსაყრელ სარბიელად, რომლებმაც მოღვაწეობა სოცრეალისტური პრინციპების დამკვიდრების შემდეგ დაიწყეს. ასეთ მწერალთა რიგებში იყვნენ ალექსანდრე კაზანცევი, გრიგორი ადამოვი და გრიგორი გრებნევი. 1930-იან წლებში სწორედ ამ ადამიანების თაოსნობით პირველად შეიქმნა საბჭოთა მწერალთა ჯგუფი, რომლებისთვისაც სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში წერა არ გახლდათ ერთგვარი აზრობრივი ექსპერიმენტი — ერთჯერადი გადახვევა მეტად ტრადიციული ტიპის ლიტერატურიდან. ისინი ოფიციალურად სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლები გახლდნენ. რაც შეეხება ალექსანდრე ბელიაევს, რომელსაც რიჩარდ სტაიტსი მეოცე საუკუნის 20-იანი წლების რუსული სამეცნიერო ფანტასტიკის ერთადერთ პროფესიონალ მწერლად მოიხსენიებს¹⁴¹, ნელ-ნელა ისიც მორჩილდება ახალი დროის

¹⁴⁰ Clark, Katerina (1981), 148.

¹⁴¹ Stites, Richard (1989), 172.

მოთხოვნებს და სულ უფრო ნაკლები აზრობრივი, დროითი და სივრცული გაქანების ნაწარმოებების წერას იწყებს.

პოლიტიკური რეჟიმის ცვლა, რასაკვირველია, ზეგავლენას ქართულ სამწერლო სივრცეში ჟანრის განვითარებაზეც მოახდენდა გავლენას. თუმცა ფაქტია, რომ პოლიტიკურად ყველაზე მკაცრი რეჟიმის დროს აქ არც ძველი და არც ახალი თაობა სამეცნიერო ფანტასტიკით არ დაინტერესებულა. ერთადერთი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, რომელიც 1936 წლის მერე სტალინის მმართველობის პერიოდში შეიქმნა, აპოლონ ბასილაიას 1950 წლის რომანი, „კოსმიური ბრძოლა“ გახლდათ. ამ ნაწარმოებს მომდევნო ქვეთავში მივუბრუნდებით. ამჯერად კი ის უნდა ავხსნათ, თუ რატომ მიივიწყა ჟანრი ათწლეულზე მეტი ხნით ქართულმა მწერლობამ მაშინ, როცა ის ხელსაყრელი თავშესაფარი აღმოჩნდა სოცრეალისტურ რელსებზე გადაწყობის მსურველი ორი ქართველი პოეტისთვის.

ცენტრსა და პერიფერიას შორის ჟანრის განვითარების კუთხით მსგავსი აცდენა რომ ავხსნათ, კვლავ ის უნიკალური ისტორიულ-კულტურული კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ, რომელმაც განაპირობა საქართველოში სამეცნიერო ფანტასტიკის დაბადება. კერძოდ, უნდა გავიხსენოთ, რომ ეს უკანასკნელი სოცრეალისტური მოძღვრების თანადროულად შეიქმნა და ორი პოეტისთვის საკუთარ იდეალებთან კომპრომისზე წასვლის ყველაზე უმტკივნეულო საშუალებად იქცა. მაგრამ ორივე ფაქტორი, რომელთა გამოც სამეცნიერო ფანტასტიკამ ალექსანდრე აბაშელისა და ივანე ყიფიანის დაინტერესება შეძლო, უკვე 1937 წლიდან ფაქტობრივად აღმოიფხვრა: ერთი მხრივ, რეჟიმის გამკაცრებასთან ერთად ჟანრისთვის დამახასიათებელი ფანტასტიკური ელემენტი კრიტიკული აზრის შესაფარად ვეღარ გამოდგებოდა; მეორე მხრივ — და რაც უფრო მნიშვნელოვანია — მწერლებს სულ მალე ქართული ლიტერატურული ტრადიციისთვის სამეცნიერო ფანტასტიკაზე გაცილებით მშობლიური მიმართულება, ისტორიული რომანი მოევლინათ. ეს უკანასკნელი მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში პატრიოტიზმის და მტრის წინააღმდეგ დარაზმვის მოტივით გახდა დაშვებული და წახალისებულიც კი. ხოლო უკვე 1945 წლიდან მან „სამამულო ომში“ გამარჯვების ყოვლისმომცველი ნარატივის ფორმა მიიღო. ეს ნარატივი, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო მომენტამდე დარჩა ბოლშევიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციის უძლიერეს იარაღად.

სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ რეჟიმის საქებრად მწერლებს მომავალში წასვლა აღარ სჭირდებოდათ — ნაციზმის დამმარცხებელი და მშობლიური მიწის დამცველი მეომრების ქება-დიდება მორალურ კომპრომისს საერთოდ თუ არ აქრობდა, საგრძნობლად ამარტივებდა მაინც. სამამულო ომის პერიპეტიების აღწერისას რეალისტური თხრობა, თემატიკის დრამატულობიდან გამომდინარე, ბუნებრივად იღებდა სოცრეალიზმში დამკვიდრებულ პანეგირიკულ ფორმას. ამასთან, მტერზე გამარჯვების სქემატური ნარატივი საქართველოს ისტორიული წარსულის გმირული ფურცლების გამხატვრულებასაც დასაშვებს ხდოდა. ამგვარად, ქართული ეროვნული იდენტობისა და მეომარი სულისკვეთების წარმოჩენა სოცრეალისტურ ფორმას მოერგო. ამიტომაც, რომ თავად პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალიც კი აღარ მიბრუნებია ჟანრს და სანაცვლოდ „ომის წლებში მართლაც რომ ახალგაზრდული ენერგია და მგზნებარება გამოიჩინა და არაერთი საბრძოლო შედეგით გაამდიდრა ომისა და გმრობის სიმღერებით ისედაც მდიდარი ქართული პოეზია¹⁴²“.

აბაშელი ამ მხრივ გამონაკლისი ნამდვილად არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩართვისთანავე საბრძოლო თემატიკა აქტიურად შემოდის ქართულ პოეზიაშიც და პროზაშიც. „ყველა საომრად გავიდეთ“, — მოუწოდებს ხალხს გალაკტიონი, თავის ლექსში, „იცოდეს ყველამ“. „ხალხის პატრიოტული დარაზმულობის კეთილმყოფელი ზეგავლენით ჩამოყალიბდა ქართული პოეზიის ახალი ესთეტიკური იდეალი: ყველაფერი სამშობლოს დასაცავად, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“, — ვკითხულობთ 1980 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VIII ტომში, რომელსაც მრავლისმთქმელი სათაური აქვს: „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941-1975 წწ)“¹⁴³.

ამასთან, უშუალოდ მეორე მსოფლიო ომისთვის მიძღვნილი ტექსტების მხარდამხარ შექმნილი ისტორიული ნაწარმოებები ავტორებს საშუალებას აძლევდა, ნაციონალური ნარატივით მომსახურებოდა საბჭოთა სისტემას. მაგალითად,

¹⁴² აბაშიძე, გრიგოლ (1979), 120.

¹⁴³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1980), 228.

„ნარკვევების“ იმავე ტომში გრიგოლ აბაშიძის მიერ 1942 წელს დაწერილი პოემისთვის, „გიორგი მეექვსე“, შორეული წარსულის გაცოცხლება იმითაა გამართლებული, რომ ის აწმყოში აღვივებდა ქართველ მკითხველთა პატრიოტულ სულისკვეთებას: „სახელოვან წინაპართა გმირული ბრძოლის თემა ახლობელი იყო საბჭოთა ხალხის პატრიოტული მისწრაფებისათვის, ისინი შთააგონებდნენ მეომრებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში¹⁴⁴“, — გვიხსნიან მატთანეს ავტორები.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ტენდენცია ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების მომდევნო წლებშიც შენარჩუნდა, ომის შემდგომ გამოცემული ლიტერატურული ჟურნალებისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია. მაგალითად, 1949 წლის *მნათობის*¹⁴⁵ 9 სექტემბრის ნომერში — იქამდე ერთი წლით ადრე, სანამ ქართულ მწერლობაში 14-წლიანი პაუზის მერე პირველად გამოჩნდება სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოები — ოთხი გამოქვეყნებული პროზაული ნამუშევრიდან ერთი სამამულო ომს ეძღვნება, ორი კი ისტორიული რომანია¹⁴⁶. ისიც საგულისხმოა, რომ მოცემულ პერიოდში ჟურნალის სარედაქციო გუნდში თავად ალექსანდრე აბაშელიც შედიოდა.

ამგვარად, თემატური ნიშა, რომლის შევსებაც 1930-იანი წლების დასაწყისში ქართულმა სამეცნიერო ფანტასტიკამ დაიწყო, რამდენიმე წელში საომარმა თემატიკამ ამოავსო. ამის მიუხედავად, ჟანრს ქართველ მწერალთა შორის მუშტარი ხელმეორედ 50-იან წლებში გამოუჩნდა — თუმცა ამჯერად მისით სხვა თაობა და სულ სხვა მიზეზებით დაინტერესდა. კერძოდ, სამწერლობო ასპარეზზე 50-იან წლებში გამოჩენილმა ახალგაზრდა თაობამ სამეცნიერო ფანტასტიკა აღარ აღიქვა სინდისთან კომპრომისზე წასვლის შესაძლებლობად, არამედ ჟანრი ისეთად მიიღო, როგორადაც ის სტალინის მმართველობის პერიოდში ტრანსფორმირდა — სოცრეალიზმის შიგნით ნაკლებად პრესტიჟულ მიმდინარეობად. შედეგად, ამ ახალმა თაობამ სამეცნიერო

¹⁴⁴ იქვე, 232.

¹⁴⁵ ჟურნალი *მნათობი* 1924 წლიდან მოყოლებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში გამოდიოდა.

¹⁴⁶ ნომერში გამოქვეყნებულია დემნა შენგელიას „წითელი ყაყაჩოს“ მეხუთე, დასკვნითი ნაწილი, რომელიც „სამამულო ომის უკანასკნელი გაზაფხულის“ საბრძოლო პერიპეტეებს აღწერს; კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელის“ ნაწილი და ადამ მიცკევიჩის ისტორიული მოთხრობის, კონრად ვალენროდის თარგმანი.

ფანტასტიკაში ძალები ან კონკურენციის არარსებობის, ან სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკისადმი ბუნებრივი ინტერესის გამო სცადა.

2.3. მტრის ხატი, პარანოია და დესტალინიზაციის უკუეფექტები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი სამეცნიერო ფანტასტიკის ოქროს ხანის დასაწყისად მიიჩნევა. ეს ერთნაირად ეხება როგორც ამერიკულ, ასევე საბჭოთა რუსულ მწერლობას და მარტივად იხსნება იმ პერიოდში გლობალურ პოლიტიკაში განვითარებული პერიპეტიებით. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდებიან ინგლისურენოვან ლიტერატურულ სარბიელზე ის ადამიანები, რომელთა სახელებიც დღეს ტერმინ „სამეცნიერო ფანტასტიკის“ ხსენებისას ასოციაციურად ჩნდება ჩვენს გონებაში: აიზეკ აზიმოვი, რეი ბრედბერი, არტურ კლარკი, ფილიპ დიკი თუ ურსულა ლე გუინი. საბჭოთა კავშირში კი ივანე ეფრემოვი და მოგვიანებით ძმები სტრუგაცკები რუსულ სამეცნიერო ფანტასტიკას ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანენ. ჟანრის განვითარებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ასევე ადრეულ 50-იან წლებში მოხდა: დასავლურმა სალიტერატურათმცოდნეო წრეებმა სამეცნიერო ფანტასტიკას პირველად გაუღეს სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების კარები. დაიწყო ჟანრის თეორიული მახასიათებლებისა და ფორმალისტური თვისებების ანალიზი¹⁴⁷, რამაც მას „დაბალი დონის ლიტერატურის“ იარლიყი ჩამოაშორა. ამ გარემოებამ კი, თავის მხრივ, სამეცნიერო ფანტასტიკისადმი არა მხოლოდ ახალი ტიპის მკითხველი, არამედ მეტი ნიჭიერი მწერალიც მიიზიდა.

ჟანრისადმი როგორც თეორეტიკოსთა, ასევე მწერალთა გაზრდილი ინტერესი ტექნოლოგიური პროგრესისადმი შეცვლილი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას. როცა კაცობრიობამ საუკუნის ომებითა და რევოლუციებით დამძიმებული პირველი ნახევარი წარსულში მოიტოვა, აშკარა გახდა, რომ გლობალური გეოპოლიტიკა ძირეულ გადახედვას საჭიროებდა. ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის შედეგად გამოაშკარავებულმა ატომური იარაღის გამანადგურებელმა ძალამ მშვიდობის შენარჩუნების და ტექნოლოგიის არა დამანგრეველი, არამედ პროგრესულ-საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება პრიორიტეტად აქცია. შედეგად,

¹⁴⁷ Vint, Sherryl (2014), 37.

სამეცნიერო ფანტასტიკაშიც სოციალურმა საკითხებმა წინა პლანზე წამოიწია: მხატვრულ ტექსტთა ცენტრში ტექნოლოგიური ნოვუმის ნაცვლად ადამიანი და პროგრესისადმი მისი შიშები თუ იმედები მოექცა. სულ რამდენიმე წელიწადში კი ადამიანმა მზერა კოსმოსისკენ მიაპყრო და ჟანრის თემატიკაც უპრეცედენტოდ აქტუალური გახდა.

მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაწყებული გლობალური თუ ლოკალური პოლიტიკური ცვლილებების გამო საბჭოთა რუსეთში ჟანრი გადასხვაფერების პროცესს გადის, ქართული მწერლობა სამამულო ომის და აღმშენებლობის თემატიკასაა ჩაბლაუჭებული. შედეგად, 40-იან წლებში საქართველოში სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტები არ იბეჭდება. სიტუაცია მომდევნო ათწლეულში იცვლება, როცა ასპარეზზე ორი ახალგაზრდა მწერალი, აპოლონ ბასილაია და ოთარ სადრაძე გამოდის. თუმცა მათ მიერ 50-იან წლებში დაწერილი რომანები გენეტიკურად ისე ახლოს ჩამოჰგავს საბჭოთა რუსეთში სტაგნაციის პერიოდში შექმნილ სამეცნიერო ფანტასტიკას, რომ თითქოს ემპირიულ რეალობაში გასული ერთ-ნახევარი ათწლეული შიდაჟანრულ დროსივრცულ განგრძობითობაზე არ ასახულა. ამის გამო ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას 50-იან წლებში უწევს იმ სახადთა მოხდა, რომელიც მისმა რუსულმა ანალოგმა “სტალინიზმის” პიკში გადაიტანა.

სტაგნაციის პერიოდის რუსული სამეცნიერო ფანტასტიკის აღწერისას ნუდელმანს ირაციონალური პარანოიის ცნება შემოაქვს, რასაც თანამდევით ისტორიული კონტექსტით ხსნის¹⁴⁸. სტალინური რეჟიმისთვის „ხალხის მტრის“ გამოაშკარავების და მისი დასჯის აუცილებლობის ყოვლისმომცველი რიტორიკა იყო დამახასიათებელი. მოსახლეობამ ამგვარ ფსიქოლოგიურ ტერორთან გამკლავება აბსურდული რიტორიკის დაჯერებით მოახერხა და მათ თავიანთ ირგვლივ მართლა დაიწყეს „ჯაშუშების“ შემჩნევა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როცა ადამიანები გაცნობიერებულად იყენებდნენ შექმნილ რეპრესიულ ვითარებას და ნაცნობებს პირადი გამორჩენის მიზნით — და ხშირად უსაფუძვლოდაც — ასმენდნენ. თუმცა ჩასაფრებული მტრის გამოვლენის გულწრფელი სურვილის არსებობას ისეთი შემთხვევები ადასტურებს, როცა ადგილობრივი თუ ცენტრალური

¹⁴⁸ Nudelman, Rafail (1989), 47.

ხელისუფლებისთვის მიწერილ დასმენის წერილებში „დამნაშავეს“ კონკრეტული სახელი საერთოდ არ ფიგურირებს. მაგალითად, როცა ზინოვიევისა და კამენევის სიკვდილით დასჯის დღეს მოსკოვის რადიოში შოპენის სამგლოვიარო მარში დაუკრეს, მოლოტოვის სახელზე გაიგზავნა წერილი, სადაც გამოთქმული იყო შემფოთება, რომ ეს ტროცკისტების კოდირებული გზავნილი გახლდათ, რაც, თავის მხრივ, ზოგადად ხელოვნების კომიტეტში მტრების არსებობის ფაქტს ადასტურებდა¹⁴⁹. მსგავსი პარანოიდული განწყობების შექმნა-გამძლიერება პრესის მიერაც იყო წახალისებული. გაზეთებში გამუდმებით იწერებოდა რიგითი მოქალაქეების მიერ ჯაშუშების აღმოჩენის შესახებ ისტორიები, სადაც ზოგჯერ სკოლის მოსწავლეებიც კი ფიგურირებდნენ, რომელთა მახვილ მზერასაც არ ეპარებოდა საბჭოთა მოქალაქედ შენიღბული მტერი. ასევე პრესის ფურცლებზე ჩნდებოდა გაფრთხილებები მოქალაქეებისთვის, რომ სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ უცხო ადამიანების მიერ მათ მიმართ გამოვლენილ რომანტიკულ ინტერესს, რადგან ისინი ჯაშუშები შეიძლება აღმოჩენილიყვნენ¹⁵⁰.

სამეცნიერო ფანტასტიკაში ეს პარანოია „ყველაფერი უცხოა დამი“ ირაციონალურ შიშში და სამყაროს მანიქეიზმისეულ შავ-თეთრ ფერებად დაყოფის ტროპში გამოვლინდა. ამასთან, რადგან ამ პერიოდში სამეცნიერო ფანტასტიკური სიუჟეტიც კი ტრივიალურ ყოფას დამორჩილდა, ხშირად ეს საშიში მტერი უცხოპლანეტელის ხატის მეტაფორასაც კი არ იყო ამოფარებული და პირდაპირ საბჭოთა ტექნოლოგიის ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი დასავლელი ჯაშუშის სახით ჩნდებოდა სიუჟეტში. ნუდელმანი პარტიისეული ოფიციალური მითის სამსახურში ჟანრის ამგვარი ჩადგომით ხსნის ტექსტებში სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტების კლებას: „გამოცხადებულ პროგრესსა და სტატიკურ რეალობას შორის არსებული წინააღმდეგობის შედეგად არნახული მოცულობით ჩნდება მავნე განზრახვების მქონე სხვადასხვაგვარი ‘მტერი’, რომლისთვის ნიღბის ჩამოგლეჯვაზე კონცენტრირება სამეცნიერო ფანტასტიკის ყველაზე უმნიშვნელო ნარჩენებსაც კი დევნის სიუჟეტიდან”.¹⁵¹

¹⁴⁹ Fitzpatrick, Sheila (2005), 162.

¹⁵⁰ Fitzpatrick, Sheila (2000), 205-209.

¹⁵¹ Nudelman, Rafail (1989), 47-48.

აწმყოსთან მაქსიმალური კავშირი, დასავლელი მტრების მხილება, ბოლშევიკური იდეოლოგიის წინ წამოწევით სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტების მეორე პლანზე გადაწევა — ეს სწორედ ის ტენდენციებია, რომელიც 50-იანი წლების ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკასაც ახასიათებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟანრის შიგნით ქართულ ლიტერატურაში სხვა არცერთ პერიოდში არ შექმნილა მხატვრული თუ კრიტიკული ღირებულებებისგან ისე დაცლილი ტექსტები, როგორებიც ამ ათწლეულში დაიწერა.

14-წლიანი პაუზის მერე პირველ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ფანტასტიკურ რომანს „კოსმიური ბრძოლა“ ჰქვია. იმის ახსნა, თუ როგორ მიემართება ეს სათაური სიუჟეტის განვითარებას, არცთუ ადვილი ამოცანაა: ნაწარმოების მთლიანი სიუჟეტი დედამიწაზე ვითარდება და თუ მასში რაიმე სახის შებრძოლებაზე გაკრთება სიტყვა, ეს ყოველთვის ისტორიულ კონტექსტსა და კონკრეტული პოლიტიკური პოზიციის ხაზგასმის მიზნით ხდება. კერძოდ, ნაწარმოების პირველი გვერდები მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის იმ სამხედრო კონფლიქტების ჩამოთვლასა და შეფასებას ეძღვნება, რომლებშიც რუსეთი იყო ჩართული. სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტში მსგავსი ისტორიული პასაჟის არსებობა იმით მართლდება, რომ რომანის გმირი, მეცნიერი-ინჟინერი გიორგი კეზელი, პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციების შემსწრე და თეთრგვარდიელებსა და წითელარმიელებს შორის გამართული სამოქალაქო ომის ვეტერანია. ავტორს არც დასავლური იმპერიალიზმის კრიტიკა ავიწყდება, როცა სამეცნიერო მისიით კეიპტაუნში აღმოჩენილი პროტაგონისტი გაოგნებით უყურებს, როგორ მიერეკებიან „ცივილიზებული“ თეთრკანიანი ჯენტლმენები ცემითა და გინებით თეთრი ბატონების მძიმე ტვირთქვეშ ორად მოკეცილ ნახევრად შიშველ ზანგ მამაკაცებსა და ქალებს¹⁵². იმის გათვალისწინებით, რომ რომანი სკოლის მოსწავლეებისთვისაა დაწერილი, ბასილაია მკითხველის გამჭრიახობის იმედად არ რჩება და პირდაპირ განგვიმარტავს, რომ სამხრეთ აფრიკაში მოხვედრილი ჩვენი გმირი დიდი ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიაზე, „მისთვის უცხო და ანგარებიან საზოგადოებაში“ იმყოფება¹⁵³.

¹⁵² ბასილაია, აპოლონ (1950), „კოსმიური ბრძოლა“, 26.

¹⁵³ იქვე.

ტექსტში სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტი, რომლითაც რომანის სახელწოდება უნდა გამართლდეს, იმით შემოდის, რომ დედამიწას მოახლებული კომეტა განადგურებით დაემუქრება. საბჭოთა ტექნოლოგია კი, ქართველი მეცნიერების ინჟინრული გენიის ხარჯზე, ერთადერთი აღმოჩნდება მთელ პლანეტაზე, რომელსაც ციურ სხეულთან კოსმოსში შეხვედრა და მისი იქვე განადგურება შეუძლია. სიმართლე ითქვას, მთლიანი რომანის ფაბულა ამ ერთი ფრაზით ამოიწურება; მკითხველი საბჭოთა შუშხუნას¹⁵⁴ კოსმოსში არ მიჰყვება. სანაცვლოდ ის დედამიწაზე მყოფთა პერსპექტივიდან იგებს, რომ კომეტა კოსმოსში აფეთქდა. თხრობა კი იმით სრულდება, რომ მისიის შემსრულებელი კოსმოსური ხომალდი დანიშნულ დროს გაურკვეველი მიზეზების გამო დედამიწაზე არ ბრუნდება.¹⁵⁵

ამ ფაბულაზე დაყრდნობით, მკითხველი რომანის გაცნობისას არათუ ბრძოლას, არამედ დრამატურგიული განვითარებისთვის საჭირო რაიმე სახის კონფლიქტის შემსწრეც კი ვერ ხდება. თუმცა ფაბულის მიღმა სიუჟეტური განვითარება სულ სხვა, სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტებისგან დაცლილ დაპირისპირებას ხატავს. ეს უმეცრებისა და მისტიციზმის ჭაობში აღმოჩენილი კაპიტალისტური სამყაროს და ტექნოლოგიურ პროგრესით ცივილიზაციის სათავეში მოქცეული საბჭოთა კავშირის შორის იდეური დაპირისპირებაა, რომელიც სიბნელისა და სინათლის ჭიდილს ზღაპრული ნარატივისთვის დამახასიათებელი პრიმიტიულობით გადმოსცემს.

რომანში კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროთა განვითარების დონეებს შორის ნაპრაღის არსებობა მაშინვე ვლინდება, როცა მსოფლიო მოახლებული კომეტის შესახებ იგებს. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი კატასტროფის თავიდან აცილების მეცნიერული გზების ძიებას იწყებს, რელიგიური უმეცრებით ინტელექტუალურად დაჩაივებულ დასავლეთს სრული ქაოსი იცავს და კომეტას უფლის მიერ მოვლენილ სასჯელად აღიქვამს. ავტორისეული ენა მხატვრულ გამომსახველობით პიკს სწორედ ამ პასაჟებში, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის იდეური დაპირისპირების ამსახველ ნაწილში აღწევს — თხრობის ტემპი სწრაფდება

¹⁵⁴ ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში ხშირად „კოსმოსური ხომალდის“ ნაცვლად სიტყვა „შუშხუნა“ გამოიყენება.

¹⁵⁵ აპოლონ ბასიალაიამ ისტორია ათი წლის შემდეგ გამოცემულ რომანში, „ბრძოლა კოსმოსში“, გააგრძელა, სადაც ვიგებთ, რა თავგადასავლები გადახდა ეკიპაჟს მისიის განმავლობაში.

და მკითხველი პირველად გრძნობს ემოციურ დამაბულობას. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ტექსტის მთავარი კონფლიქტი სწორედ ამ გვერდებზე თამაშდება.

დამაბულობა იმ მომენტში განიმუხტება, როცა ზღაპრისთვის დამახასიათებელ ჰიპერბოლიზებულ თხრობაში, სოცრეალისტური დირექტივის შესრულების მიზნით, მოულოდნელად რეალისტური ელემენტები იჭრება და მთლიანი სცენის კომიკურობა ახალი სიცხადით აშკარავდება:

ისტერიულ განწირულებას მოეცვა ყველაფერი ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ასტროლოგიამ, მარჩიელობამ და სხვა ათასგვარმა თაღლითურმა წინასწარმეტყველებამ გაშალა ფრთები და აყვავების ზენიტს მიაღწია. „კატასტროფა, კატასტროფა!“ — გაისმოდა რადიოში, ჟურნალ-გაზეთებში, გზაჯვარედინებზე, ქუჩებსა და კაფე-შანტანებში. საქმიანი ბირჟა ღელავდა, დოლარის კურსი მინიმუმამდე დაეცა¹⁵⁶.

თუმცა სოცრეალისტურ ნაწარმოებს ზღაპართან კიდევ ერთი საერთო ის აქვს, რომ მასაც კეთილის ბოროტზე გამარჯვების ტროპი ახასიათებს. ნაწარმოებში დასავლეთში გავრცელებული პანიკა იმ მომენტში ქრება, როცა მსოფლიოს რადიოთი მოსკოვიდან „იმედიანი, გამამხნეველი, თამამი და დამაჯერებელი სიტყვები“¹⁵⁷ გადაეცა, რომლითაც კაცობრიობას ეცნობა, რომ მოახლებული კომეტა სულაც არ უქადდა დედამიწას სრულ განადგურებას. სინამდვილეში, ის მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებთათვის იყო საფრთხის შემცველი და ამ საფრთხესაც საბჭოთა კოსმოსური საექსპედიციო ხომალდი კოსმოსშივე გაანეიტრალებდა. იდეოლოგიურ ბრძოლაში მოსკოვის მიერ მხოლოდ ხმის ამოდებით მოპოვებული ერთპიროვნული ტრიუმფი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ დამარცხებულ მხარესაც კი უმეცრების ჯადოსგან ათავისუფლებს და თვალახელილ დასავლეთს ჭეშმარიტების გზაზე აყენებს:

მუდამ მართალმა მოსკოვმა გაუფანტა მსოფლიოს შიში და სასოწარკვეთა. ხალხი გამოუთქმელმა სიხარულმა შეიპყრო. შორეულ ქვეყნებში, სოფლებსა და ქალაქებში, ქუჩებში, მოედნებსა და შარაგზებზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ტიროდნენ, ხარხარებდნენ, დარბოდნენ, ცრემლად იღვრებოდნენ. [... დედები კი] ძუძუთა ბავშვებს [ეუბნებოდნენ], „შვილებო. გახსოვდეთ, რომ ჩვენ სიცოცხლე და მომავალი დიდმა საბჭოთა კავშირმა გვაჩუქა! გიყვარდეთ ეს ქვეყანა ყველაზე მეტად! იცოდეთ, რომ თქვენ მისი შვილები ხართ“¹⁵⁸.

¹⁵⁶ ბასილაია, აპოლონ (1950), „კოსმიური ბრძოლა“, 89.

¹⁵⁷ იქვე, 92.

¹⁵⁸ იქვე, 93-94.

შეგახსენებთ, რომ სიუჟეტურად ამ მომენტში კომეტა ჯერ კიდევ მოიწევს დედამიწისკენ, თუმცა როგორც უკვე განვმარტეთ, რომანში „კოსმიური ბრძოლა“ ამ ციურ სხეულთან კი არა, კაპიტალისტური სამყაროს მმართველ ძალების ბოროტებასთანაა გაჩაღებული. შესაბამისად, დრამატურგიულად თხრობა კულმინაციას სწორედ აქ აღწევს, დანარჩენი გვერდები კი სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტის გარკვეულ სიუჟეტურ დასასრულამდე მიყვანას ემსახურება.

ბასილაია რომანში რამდენიმე ადგილას აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური სამყაროსთვის ნიშნეული უმეცრება ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის — „საქმოსანი მილიონერებისა“ და ქვეყანათა მმართველების — მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია. ამის მიუხედავად, ტექსტში მტრის ხატი და მისი მუხანათი ბუნება ბოლომდე კარგად გამოკვეთილი არაა, რადგან აქცენტი უბრალო ხალხის უმეცრებაზე კეთდება. ეს ნაკლი ოთარ სადრაძის სამეცნიერო ფანტასტიკურ რომანში, „ბარათი მარსიდან“¹⁵⁹ კომპენსირებულია — შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად კომპენსირებულიც კი. აღნიშნული რომანი ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარების სტაგნაციური პერიოდის ქრონოლოგიურად უკანასკნელი ნიმუშია, რაც ამ პერიოდს 1950-1962 წლებით შემოსაზღვრავს.¹⁶⁰

ეს, ერთი შეხედვით, ისტორიული კონტექსტით ვერაფრით მართლდება, რადგან, ბოლოს და ბოლოს, 1953-1964 წლები ხრუმწოვისეული დათბობის პერიოდია. ეს ის დროა, როცა საბჭოთა კულტურამ სტალინის რეპრესიული რეჟიმის მერე პირველად ამოისუნთქა, თანაც ისე ღრმად, რომ მანუქის გამოფენის ინციდენტამდე¹⁶¹ ნეომოდერნისტულმა ესთეტიკამაც კი გამოიღვიძა. თუმცა ეს ყველაფერი მოსკოვსა და ლენინგრადში ხდებოდა. საქართველოსთვის კი მოცემული ათწლეული დესტალინიზაციის მტკივნეულ პერიოდთან ასოცირდება. 1921 წლის მერე ქართულ ეროვნულ იდენტობას ისეთი ძლიერი დარტყმა არ მიუღია, როგორიც 1956 წლის

¹⁵⁹ სადრაძე, ოთარ (1962), „ბარათი მარსიდან“.

¹⁶⁰ ამ პერიოდში მთლიანობაში ოთხი სამეცნიერო ფანტასტიკური რომანი დაიწერა: აპოლონ ბასილაიას სამი ნაწარმოები — „კოსმიური ბრძოლა“ (1950), „ჩვენი მიმასამრთი“ (1956) და „ბრძოლა კოსმოსში“ (1960) და ოთარ სადრაძის „ბარათი მარსიდან“ (1962).

¹⁶¹ 1962 წლის 1 დეკემბერს ნიკიტა ხრუმწოვი მოსკოვში მანუქის გამოფენას ეწვია, სადაც სოცრეალისტური ნიმუშების გვერდით ავანგარდისტი ხელოვნების შემოქმედებაც იყო გამოფენილი. ნანახით აღშფოთებულმა პარტიის ლიდერმა ავანგარდისტების გამოფენა ანტისაბჭოურად შეაფასა. ხელოვნების მიმდინარეობის წინააღმდეგ პარტიის ეს გალაშქრება „დათბობის“ დასასრულის დასაწყისად მიიჩნევა.

მარტს იწვნია. ქართველებმა 1924 წლის აჯანყების მცდელობის მერე პირველად გამოხატეს მასობრივი ფორმით ბოლშევიკური მმართველობისადმი უკმაყოფილება და სტალინის ძეგლთან მისი კულტის დამხობა გააპროტესტეს. 9 მარტს ქუჩაში გამოსულ ამ ხალხს საბჭოთა ხელისუფლება ფიზიკურად გაუსწორდა, რამაც თბილისელებს ცხადად დაანახა, რამდენად ფუყე იყო პარტიისეული დაპირებები დემოკრატიული პრინციპების დამყარებაზე. ამგვარად, მაშინ, როცა მოსკოვი კულტურული რენესანსისთვის იმედიანად ემზადებოდა, კოსმოსურ რბოლაში მოპოვებული გამარჯვებები კი ხალხში გულწრფელ აღფრთოვანებასა და ენთუზიაზმს იწვევდა, ქართული პრესა რამდენიმე წელი ჯიუტად აგრძელებდა სტალინის საბჭოთა ძლევამოსილების სიმბოლოდ წარმოჩენას — თითქოს, კრემლში მისი მმართველობის პერიოდი კომუნიზმამდე სავალი გზიდან გადახვევად არც კი შეფასებულიყო¹⁶². 1950-იანი წლების ქართული სამეცნიერო ფანტასტიკაც ამგვარი სირაქლემური პოზიციის გამომხატველია და ამ პერიოდში შექმნილი ტექსტები სტალინური პერიოდის სოცრეალიზმის გენეტიკურ კოდს ანაქრონისტულად იზიარებს.

აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელი პარანოია სადრამის რომანში ისეთ ხარისხს აღწევს, რომ ის სიუჟეტური განვითარებისთვის თვალის მიდევნებასაც კი ართულებს. როგორც ბასილაიასთან, აქაც სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტი ერთგვარი ფონია სხვა მხრივ რიგითი, 1930-იანი წლების სტილის სოცრეალისტური რომანისთვის. მაგრამ თუ „კოსმიურ ბრძოლაში“ სიუჟეტი სიმარტივით გამოირჩევა, სადრამესთან ჯაშუშური ისტორია ჩახლართული და ერთმანეთთან რთულად დაკავშირებული სცენების უკიდურესად დამაბნეველი ნაზავია. ნაწარმოების ფაბულა ყველაზე ლაკონიურად ასე შეიძლება გადმოიცეს: მთვარის ობსერვატორიის სადგურზე მყოფი ქართველი მეცნიერები მარსიდან წამოსული ხომალდის დედამიწაზე (კერძოდ, კავკასიის მთებში) დაშვების მომსწრენი გახდებიან. მარსული ხომალდის ადგილმდებარეობის მოძებნის ოპერაციის პარალელურად საბჭოთა საზღვარს ამერიკელი ჯაშუში კვეთს, რომლის მიზანიც მარსზე გაფრენის

¹⁶² მაგალითად, გაზეთ *ავანგარდი*-ის 9 მარტის ტრაგედიიდან სამ დღეში, 11 მარტს გამოსული ნომერი სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს ეძღვნება. ნომრის პირველივე სტატიაში, სახელწოდებით, „ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი“, ამ უკანასკნელის ლეგიტიმაცია იმის ხაზგასმით მტკიცდება, რომ ის „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ვ.ი. ლენინის გამოჩენილი მოწაფე“, მისი იდეური მემკვიდრე გახლდათ. რაღა თქმა უნდა, გაზეთში სიტყვაც არაა დაცდენილი მიტინგებსა და 9 მარტის სისხლიან დარბევაზე.

შესაძლებლობის მქონე შუშხუნის საბჭოთა ინჟინრების მიერ შემუშავებული სქემების მოპარვაა. ამის შესახებ საბჭოთა დაზვერვა იგებს და იწყება ჯაშუშის აღმოჩენის ოპერაცია, რომლის სისრულეში მოყვანაც ქართველ გამომძიებლებს დაევალებათ. გამომძიებების კვალდაკვალ ამერიკის სხვა აგენტების ვინაობებიც ირკვევა, რომლებიც წლებია, საქართველოს ტერიტორიაზე არიან ჩანერგილნი. ამასთან, პერსონაჟები მარსულ შუშხუნასაც გადააწყდებიან, თუმცა ეს სიუჟეტური ხაზი მოვლენების განვითარების პარალელურად საგრძნობლად იკლებს მნიშვნელობაში და ბოლოს ისიც კი ირკვევა, რომ კავკასიის მთებში დაშვებული ხომალდი მარსელებს კი არა, სულ სხვა პლანეტის მცხოვრებლებს ეკუთვნოდათ. თუმცა ამით არაფერი იცვლება: ამ დროისათვის უკვე აბსურდამდე მისული დეტექტიური ამბის ცენტრალური სიუჟეტური ხაზი ამერიკული ჯაშუშური ქსელის მოსპობის მცდელობის გარშემო ვითარდება. ნაწარმოების ბოლოსკენ იმ თავდადებულ მკითხველს, რომელიც ტექსტს ამ დრომდე შემორჩა, ეუწყება, რომ მტერი განეიტრალებულია.

1930-იანი წლების სოცრეალისტურ ტროპებზე საუბრისას კატერინა კლარკი აღნიშნავს, რომ გარე მტრის, იმავე „ბოროტმოქმედის“ ყველაზე გავრცელებული ტიპი უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ჯაშუში გახლდათ, რომელიც თავს საბჭოთა მოქალაქედ ასალებს. მისი მუხანათობა სწორედ ამ ორსახოვნებაში იყო: „ამგვარად, მხატვრული სამყაროს ბოროტმოქმედები გამოიყენებოდნენ იმ გაკვეთილის სასწავლებლად, რომ საჭიროა 'სიფხიზლე', საჭიროა, რომ 'ბრმად არაფერს ენდო, არამედ ყველაფერი ძალიან ახლოდან შეისწავლო'“.¹⁶³ სადრამისეული ბოროტმოქმედი ამ მიზანს ვერაფრით აღწევს, რადგან ლოდის ფორმის საზღვაო ნავით მოძრავი ამერიკელი ჯაშუში იმდენად ფანტასმაგორიულია, რომ რეალიზმის ყველანაირ ნიშან-წყალს კარგავს. სწორედ ამ ფანტასტიკურობის გამო, რომელიც ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების მეცნიერებით ახსნის ცდას სრულად დაუჯერებელს ხდის, არსებობს ცდუნება, რომ „ბარათი მარსიდან“ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის სიაში არც კი შევიყვანოთ.

ამ ცდუნებას თეორიული საფუძველიც აქვს. დარკო სუვინი, რომელიც სამართლიანად ითვლება მკვლევრად, რომელმაც სამეცნიერო ფანტასტიკას ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით დაუმკვიდრა ადგილი, ჟანრის განმარტებისას

¹⁶³ Clark, Katerina (1981), 188.

აღნიშნავს, რომ ნაწარმოები ორ მოცემულობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტს, რითაც მხატვრული სამყარო რადიკალურად ან მნიშვნელოვნად მაინც იქნება განსხვავებული იმ ემპირიული დროისგან, ადგილებისგან თუ პერსონაჟებისგან, რომლებიც მიმეტიკურ ან ნატურალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება; 2) ეს ელემენტები, ამავედროულად, ტექსტის ავტორის ეპოქისთვის დამახასიათებელი კოგნიტიური ნორმების შიგნით არ უნდა აღიქმებოდეს შეუძლებლად. „არსებითად, სამეცნიერო ფანტასტიკა განვრცობილი ოქსიმორონია, რეალისტური ირეალიზმია გაადამიანურებული არაადამიანებით, ამქვეყნიური არაამქვეყნიურობით და ასე შემდეგ“¹⁶⁴, — ასკვნის სუვინი. სწორედ ეს ოქსიმორონულობა სძენს ჟანრს კოგნიტიური გაუცხოების გამოწვევის უნარს, რაც სუვინისვე აზრით, სამეცნიერო ფანტასტიკის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. სწორედ მსგავსი ლიმინალური პოზიციის გადმოცემით, ტექსტი მკითხველს ერთდროულად თავისი ემპირიული სამყაროსგანაც აუცხოებს და, ამასთან, მასზე გვერდიდან დაკვირვების და რეფლექსიის საშუალებასაც აძლევს.

სუვინი იმასაც ხსნის, თუ კონკრეტულად როგორ მიიღწევა მსგავსი ოქსიმორონულობა: ამისათვის ნარატივში ისეთი მხატვრული ნოვუმის დომინანტურობა ან ბატონობაა აუცილებელი, როგორიც რაციონალური ლოგიკით იქნება გამყარებული.¹⁶⁵ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ ჯულიეტას რამდენიმე სცენაში რობოტი ძალდი რომ ჰყოლოდა, მხოლოდ ამ გარემოების გამო პიესა სუვინისთვის სამეცნიერო ფანტასტიკად ვერ იქცეოდა. ამისათვის ძალდის არსებობას თხრობის განვითარებაში „დომინანტური“ ანუ გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, რაც შექსპირის თანამედროვე მკითხველს ტრაგედიისეული რეალობისგან გააუცხოებდა და, მაგალითად, სისხლის აღებით მიღწეული სამართლის ეთიკურ პრობლემებზე დააფიქრებდა.

ბასილაიასა და სადრადის ტექსტებთან მიმართებით ნოვუმის ნარატიული ცენტრალურობის მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული. როგორც ვნახეთ, მათში ტექნოლოგიური ელემენტი ერთგვარი ფონია, რომელსაც მთავარი მოქმედი გმირების მოტივაციაზეა მინიმალური გავლენა აქვს. ის, ამასთან, ნებისმიერი

¹⁶⁴ Suvin, Darko (1979), viii.

¹⁶⁵ იქვე, 63.

არატექნოლოგიური ობიექტითა თუ მოვლენით ისე შეიძლება ჩანაცვლდეს, რომ ცენტრალურ სიუჟეტურ განვითარებაში არსებითად არაფერი შეიცვალოს. ამ ტექსტებში მართლდება სუვინისეული მეორე დაშვებაც: ის ნაწარმოებები, რომლებიც ყველაზე კონფორმისტულია და არანაირად არ აკრიტიკებს რეალობას, არ იყენებს ნოვუმს როგორც ამბის მამოძრავებელ ელემენტს. ანუ დასტურდება ის სტრუქტურალისტური წესი, რომ როცა ნოვუმი ცენტრალურია, მაშინ ტექსტი რეალობას აკრიტიკებს. ამ ლოგიკური ბმის მესამე კომპონენტშიც თუ დავესესხებით სუვინს, არაცენტრალური ნოვუმის მქონე ტექსტი სამეცნიერო ფანტასტიკად არც კი უნდა განვიხილოთ და ბასილაიას და სადრამის ეს ტექსტები ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწარმოებთა სიიდან უნდა ამოვიღოთ. თუმცა ამგვარი პოზიციის არჩევა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის არაპროდუქტიული იქნებოდა. მეტიც, ჩვენ თუ ასე მოვიქცეოდით, იმავე შეცდომას დავუშვებდით, რის გამოც „სასირცხვილო“ სოცრეალისტური მწერლობა თითქმის ბოლომდე განდევნილია თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობიდან.

სამეცნიერო ფანტასტიკური ტროპებით იმგვარად მანიპულირება, რომ ტექსტმა ვეღარ შეინარჩუნოს სუვინის მიერ განსაზღვრული ოქროს შუალედი რეალიზმსა და ირეალიზმს შორის, ნამდვილად შესაძლებელია. მაგალითად, თუ რომანებს, „კოსმიური ბრძოლა“ და „ბარათი მარსიდან“, შევხედავთ, ტექსტთა ყველაზე ფანტასტიკური პასაჟები ნოვუმისგან დაცლილი, „რეალისტური“ ნაწილებია. ეს კი წაკითხულის და ემპირიული რეალობის კრიტიკული შედარების შესაძლებლობას, ფაქტობრივად, მთლიანად სპობს. ასეთ დროს თხრობაში შემოტანილი ნოვუმი, რამაც მხატვრული სამყაროსადმი გაუცხოების გრძნობა უნდა გაგვიჩინოს, უკვე ისედაც ფანტასტიკურ ნარატივში ითქვიფება. შედეგად, ტექსტი სრულად ესკაპისტურ ფუნქციას ასრულებს და დახატულ სამყაროსთან თუ პერსონაჟებთან თვითიდენტიფიკაციის შანსს გამორიცხავს.

ამის მიუხედავად, ამ ტექსტების სამეცნიერო ფანტასტიკად შერაცხვა სრულიად არ აკნინებს ჟანრის პოლიტიკურ ძალას. პირიქით, ამით ცხადდება, რამხელა ძალისხმევაა იმისთვის საჭირო, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა კოგნიტიური გაუცხოებისგან, რეალობის კრიტიკულად შეფასების უნარისგან განაიარაღო: საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის 70 წლის განმავლობაში ტოტალიტარული სისტემა

გახლდათ. თუმცა ამ სისტემის შიგნითაც კი რეჟიმის მხოლოდ უკიდურესი გამკაცრების, ირაციონალური პარანოიის, ურთიერთდასმენების, უწყვეტი ტერორის ათწლეულებში მოახერხა დესპოტიზმმა ჟანრის მოდრეკა. მხოლოდ ამ პერიოდში გახდა შესაძლებელი, რომ ის სრულად განმარცვლიყო იმ თვისებისგან, რომელიც მის მკითხველს რეალობაზე კრიტიკულად რეფლექსიის საშუალებას მისცემდა. ის, რომ ქვეთავში გაანალიზებული ორი ნაწარმოები ამ დაკვირვების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, საკმარისი გამამართლებელი საბუთია იმისათვის, რომ ორივე მათგანი ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის სიაში ჩავწეროთ.

იმის საბუთად კი, რომ სწორედ პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავდა ამ პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო ფანტასტიკის ფორმასა და შინაარსს, ოთარ სადრაძის ამჯერად 1980-იანებში გამოცემული ტექსტები გამოდგება. როგორც გაზეთ *ლენინელის* 1962 წლის 12 იანვრის ნომერში განთავსებული ცნობიდან ვიგებთ, „ბარათი მარსიდან“ მწერლის სადებიუტო ნამუშევარია¹⁶⁶. ამიტომ ლოგიკური იქნებოდა ამ ნაწარმოების სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ნაკლები მწერლის გამოუცდლობისთვის მიგვეწერა. მაგრამ ოტია პაჭკორიას მიერ 1962 წელს დაწერილი რეცენზიიდან ირკვევა, რომ სადრაძეს 1986 წელს გამოქვეყნებული ოთხი მოთხრობიდან სამი ამ დროს უკვე დაწერილი ჰქონდა¹⁶⁷, უბრალოდ „ბარათი მარსიდან“ დაბეჭდვის ღირსად ცნეს. ის ტექსტები კი, რომლებიც ეპოქისეული პარანოიის გაზიარების ნაცვლად უცხო ცივილიზაციათა შესწავლის, განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლებს შორის საერთო ენის გამონახვის პრობლემებზე კონცენტრირდებოდა, ორი ათწლეულით თაროზე შემოიღო.

1986 წელს გამოქვეყნებულ კრებულში შესულ მოთხრობათაგან ერთადერთი, „უსასრულობიდან“, რომელსაც პაჭკორია თავის რეცენზიაში არ ახსნებს და ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის მოგვიანებით დაიწერა, ერთგვარი თვითრეფლექსიაა იმ რეჟიმზე, რომლის მსხვერპლიც თავად ავტორი 60-იან წლებში გახდა. 1934 წელს საბჭოთა კავშირში ერთადერთ დაშვებულ კულტურულ მიმდინარეობად სოცრეალიზმის გამოცხადების შემდეგ მწერალთა კონგრესმა სანიმუშო ტექსტების („ობრაცზი“) ყოველწლიურად განახლებადი სია გაწერა. მასში

¹⁶⁶ სახვამე, ი. (1962), 4.

¹⁶⁷ პაჭკორია, ოტია (2015), 108-112.

შესული ნაწარმოებები საბჭოთა მწერლებისთვის ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არა მხოლოდ გმირის ტიპების თუ სასურველი თემატიკის, არამედ სიუჟეტური განვითარებისა და დრამატურგიული გადაწყვეტების მიმართულებითაც¹⁶⁸. სულ მალე კანონიკური ტექსტების გადამღერებამ, რეჟიმის მიერ წახალისებულ ტროპთა მუდმივმა გამეორებამ ისეთი ტექსტობრივი ურჩხულები შექმნა, რომლებიდანაც ზოგჯერ აზრის გამოტანაც კი რთულდებოდა. ფარული, მისტიკური, ყველგანმყოფი და ეშმაკი მტრის ხატი სადრამესთან სწორედ ზემოთაღწერილი მექანიზმის მეშვეობით იღებს აბსურდულ ფორმებს. მისი ქმედებების შემსწრე მოხუცის რეაქცია იდეალურად გადმოსცემს მთელი ტექსტისთვის დამხასიათებელ პარანოიას: „ჩრდილები დადიოდნენ, ხეები იცინოდნენ, ზეცაში ცხენებს დააჭენებდნენ, მგელი, დიდი მგელი! კედელზე დაბობლავდა ორთავა ადამიანის ვეება ჩრდილი, შუქი ხან ქრებოდა, ხან ინთებოდა”¹⁶⁹.

ამ ტექსტის გამოქვეყნებიდან 24 წლის მერე სადრამე თავის მოთხრობაში, „უსასრულობიდან“, შემდეგ სიტყვებს წერს:

გაერთფერება ზოგს ხელს აძლევს, რადგან ერთად ქცეულ მრავალში მოწინააღმდეგე არ არსებობს და უვიცობა თამამად ხარობს. ის, ვინც მოითხოვს ბოხოქარ აზრის სტანდარტიზაციას, ადრე თუ გვიან დაიღუპება. [...] როგორც შეუძლოა ერთგვაროვან, რაღაც ერთ მასად შეჰკრა სამყარო, ასევე შეუძლებელია სულყველაფრის გაერთაზრება. და თუ მაინც ძალადობით, იძულებით, ან სხვა ხერხით, დროებით ვინმე დედაკანონს დაარღვევს და მიზანს ეწევა, ეს გამარჯვება კი არაა, სიკვდილია. და როგორც ჩირქი ჯანსაღ სხეულზე, ზედმეტი ხორცი ფუჭი და უქმი, თავად ბუნება მოიშორებს და კვლავ აღდგება წონასწორობა¹⁷⁰.

რთულია იმის თქმა, რამდენად გაცნობიერებული ჰქონდა მწერალს, რომ ამ სიტყვებით ის, ფაქტობრივად, საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ტრაექტორიას აფასებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ამონარიდი კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურობას ადასტურებს: სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, კვლევა არა მხოლოდ ამ ტექსტთა სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა, არამედ ზოგადად ჟანრის გარშემო დაგროვილი თეორიული ცოდნის განვრცობისა თუ შევსების შესაძლებლობითაც გვამარაგებს.

¹⁶⁸ Clark, Katerina (1981), 4-5.

¹⁶⁹ სადრამე, ოთარ (1962), „ბარათი მარსიდან“, 23.

¹⁷⁰ სადრამე, ოთარ (1986), „უსასრულობიდან“, 169.

2.4. დროთა კავშირი

ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ოქროს ხანის შემოსაზღვრა რომ დაგვჭირდეს, ამ პერიოდის ათვლის წერტილად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ედიშერ ყიფიანის 1967 წლის ნაწარმოები, „დროთა კავშირი“¹⁷¹. სწორედ ამ მომენტიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ფაქტობრივად წელი არ გავა ისე, რომ საქართველოში ერთი სამეცნიერო ფანტასტიკური წიგნი მაინც არ დაიბეჭდოს. ამასთან, გარდა ისეთი მწერლებისა, რომლებიც ყიფიანის მსგავსად, ტრადიციულ, რეალისტურ ჟანრში წარმატებით მოღვაწეობენ და სამეცნიერო ფანტასტიკაში უბრალოდ ძალებს ცდიან (ჯემალ ქარჩხაძე, გურამ ფანჯიკიძე), ასევე ჩნდებიან ავტორები, რომლებიც ჟანრის შიგნით აქტიურად მოღვაწეობენ და საკუთარ სამეცნიერო ფანტასტიკურ სამყაროებსაც კი ქმნიან (როდამ ჩაჩანიძე, ნუგზარ აფხაზავა, შოთა გაგოშიძე). მაგრამ 1967-1989 წლების „ოქროს ხანად“ მოხსენიების უფლებას მხოლოდ ტექსტთა რაოდენობრივი ზრდა არ გვაძლევს. ჟანრის განვითარების ახალი ეტაპი ტექსტების ხარისხზეც აისახა.

სანამ ამ ხარისხობრივ ცვლილებაზე ვკონცენტრირდებოდეთ, ამჯერადაც პირველ რიგში მზერა რუსეთზე უნდა გადავიტანოთ. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსულენოვანი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში 30-40-იანი წლების სტაგნაცია ხელისუფლებაში ხრუმწოვის მოსვლისა და კოსმოსური პროგრამის შექმნა-გააქტიურების პარალელურად დასრულდა. აღორძინების ეტაპმა კი კულმინაციას 60-იან წლებში მიაღწია. პოსტსტალინისტურ პერიოდში ამგვარ ცვლას ნუდელმანი პირდაპირ უკავშირებს იდეოლოგიის ერთი კონკრეტული, სტალინის მიერ დაშვებული ინტერპრეტაციის მონოპოლიის დასრულებას და ღირებულებათა ისეთი ჰიბრიდული მოდელების დაბადებას, რომლებიც ნაციონალიზმის, რელიგიური ჰუმანიზმის, ლიბერალიზმის, ტექნოკრატიული უტოპიის და სოციალისტური იდეოლოგიის ნარჩენების ელემენტებისგან შედგება¹⁷². ამ გარემოებამ რუს მწერლებს ხელ-ფეხი გაუხსნა, რომ ჟანრი კიდევ ერთხელ გამოეყენებინათ საკუთარი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეთიკური და ფილოსოფიური

¹⁷¹ ყიფიანი, ედიშერ (1967), „დროთა კავშირი“.

¹⁷² Nudelman, Rafai (1989), 48.

ნააზრევის გადმოსაცემად. მაგალითად, ძმები სტრუგაცკების ნაწერებში ეს შედარებითი და ხანმოკლე თავისუფლება ტექნოლოგიისადმი ოპტიმისტური განწყობებით ვლინდება. თუმცა მათ შემოქმედებაზე ცენზურის გამკაცრების კვალდაკვალ, მწერლები სულ უფრო პესიმისტურად უყურებენ მომავალს და ტექნოლოგიის ნაცვლად ხსნას ადამიანის ინიდივიდუალურ ჰეროიზმში ხედავენ.

ამის მიუხედავად, სტრუგაცკების შემოქმედების მთავარი ხიბლი ალბათ ისაა, რომ ისინი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ცივ ომისეულ ჭიდილში მხარეს არ ირჩევენ: არც რეჟიმს მორჩილდებიან და არც დისიდენტობას იხდიან თვითმიზნად. სანაცვლოდ, ისინი გულწრფელად და ლამის ერთნაირი სიმძაფრით ახერხებენ ორივე სისტემის შიგნით არსებული მანკიერებების მხილვას. შედეგად, ძმები სტრუგაცკები საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში კაპიტალიზმის ერთ-ერთ ყველაზე სიღრმისეულ და მახვილგონივრულ კრიტიკას წერენ.¹⁷³ მეორე მხრივ კი ისინი საბჭოთა რეჟიმის დაცინვასაც არ ერიდებიან, რაც, თავის მხრივ, კულმინაციას შედეგში, „ლოკოკინა ფერდობზე“¹⁷⁴ აღწევს. საბჭოთა ბიუროკრატია და სისტემის ლპობა ვირტუოზულადაა გადმოცემული ტექსტის სიუჟეტში, რომლის აბსურდულობაც სტალინური კულტურისთვის დამახასიათებელი პარანოიის სრული ანტიპოდია, რადგან კონკრეტული მიზნით და ქირურგიული სიზუსტით შექმნილ ქაოსს წარმოადგენს. სტრუგაცკები წერას 80-იანი წლების ბოლომდე აგრძელებენ და ალბათ გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ 1960-იან წლებში უშუალოდ მწერლობაში რუსულენოვანი სამეცნიერო ფანტასტიკის სტაგნაციიდან გამოსვლაზე საუბარი მათი შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

სამწუხაროდ, ქართულ მწერლობას სტრუგაცკების დონის სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი არ გამოსჩენია და ამის სავარაუდო მიზეზებზე მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ. ამის მიუხედავად, ჟანრის შიგნით გარკვეულ ევოლუციაზე საუბარი მაინც შესაძლებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარებაში ახალი ეტაპის დადგომა ედიშერ ყიფიანის სახელთანაა დაკავშირებული. ყიფიანის ფიგურას ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის

¹⁷³სტრუგაცკების მიერ კაპიტალიზმის კრიტიკის ყველაზე ნათელ მაგალითად 1964 წლის რომანი, *Хищные вещи века*, შეიძლება ჩაითვალოს.

¹⁷⁴ Стругацкие, Аркадий и Борис (2015).

ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი რამდენიმე გარემოების გამო უკავია: პირველ რიგში, ის ივანე ყიფიანის შემდეგ სამი დეკადის განმავლობაში პირველი მწერალია, რომელიც ჟანრში თავის ძალებს მას შემდეგ ცდის, რაც მეტად ტრადიციული, რეალისტური მიმართულების ლიტერატურაში წარმატებისთვის აქვს მიღწეული. ის, ამასთან, ლიტერატურულ ჟურნალებს რედაქტორობს და ნიჭიერი მწერლის სახელი სრულიად სამართლიანად აქვს დამკვიდრებული. თუმცა, მართალია, „დროთა კავშირს“ ამკარად ეტყობა გამოცდილი ხელოვანის ხელი და სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკისადმი ავტორის გულწრფელი ინტერესიც, ყიფიანს ჟანრში ამ ერთი მოზრდილი მოთხრობის გარდა არაფერი დაუწერია. ამის მიუხედავად, მთელ მის პროზას თან გასდევს სამეცნიერო ფანტასტიკური ენისათვის ნიშნული მგრძნობელობა, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ მის ცნობილ რომანში, „ცაში ასროლილი ქუდები“, ჩანს.

რეალისტურ ჟანრში დაწერილ ამ ისტორიას შინაარსობრივად არაფერი აკავშირებს სამეცნიერო ფანტასტიკასთან, თუმცა მის შესავალ აბზაცში დაწერილი ფრაზა, — „ტელეეკრანივით ციმციმებდა დილა ჩემი ოთახის ფანჯარაში. ეკრანი თითქოს ჩართული იყო, ოღონდ ჯერ არაფერი მოჩანდა¹⁷⁵“, — არათუ ქართულ მწერლობაში, მსოფლიო ლიტერატურის დონეზეც თამამად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ფანტასტიკური ესთეტიკის ნიმუშად. და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ითვლება კიდევ — თუმცა, არა ედიშერ ყიფიანის ავტორობით. საქმე ისაა, რომ ამ სიტყვების დაწერიდან ჩვიდმეტი წლის თავზე უილიამ გიბსონი დღეს უკვე კიბერპანკის კლასიკად ქცეულ თავის რომანს, „ნეირომანსერს“, ამ ფრაზით დაიწყებს: „ნავსადგურის თავზე ცას მკვდარ არხზე მომართული ტელევიზორის ეკრანის ფერი ედო¹⁷⁶“. ამ წინადადებაში, რომელიც საოცრად ჩამოჰგავს ყიფიანის აღწერას, ჟანრის შიგნით საკულტო მნიშვნელობა შეიძინა და მრავალი მწერლისა თუ მკვლევრის მიერ არაერთხელ გაანალიზდა და გადათამაშდა¹⁷⁷.

¹⁷⁵ ყიფიანი, ედიშერ (2010), „ცაში ასროლილი ქუდები“, 3.

¹⁷⁶ “The Sky above the port was the color of television, tuned to a dead channel” (Gibson, William (2016), 3).

¹⁷⁷ მაგალითად, ნილ გეიმანმა თავის რომანში, *Neverwhere*, ამ ფრაზის ისე გათანამედროვება გადაწყვიტა, რომ ხაზი გაესვა, როგორ იცვლება დროის სვლასთან ერთად იმ მეტაფორების მნიშვნელობა, რომლებიც მუდმივად პროგრესირებადი ტექნოლოგიის ტერმინოლოგიას იყენებენ. ამ პატარა ლიტერატურული ექსპერიმენტის შედეგად გეიმანი ციფრულ ეპოქასთან შესაბამისობაში მყოფ ამ ფრაზას იღებს: „ცას მკვდარ არხზე მომართული ტელევიზორის ეკრანის იდეალურად

საკუთრივ „დროთა კავშირი“ ჟანრის განვითარების ისტორიაში არა მხოლოდ მხატვრული ღირებულების გამო შეიძლება ჩაითვალოს რეგრესულ-სტაგნაციური პერიოდის დასასრულად. ის, ამასთან, ჟანრისთვის სუვინის მიერ წაყენებულ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს: ერთი მხრივ, ნოვუმი სიუჟეტურ განვითარებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, მეორე მხრივ კი მყარდება ბალანსი რეალისტურსა და ფანტასტიკურს შორის, რაც ავტომატურად იძლევა ტექსტიდან იმ პასაჟების გამოხშირვის შესაძლებლობას, რომლებიც რაღაც მნიშვნელოვანს ამბობს საბჭოთა რეალობაზე, სისტემის ნაკლოვანებებსა თუ რეჟიმის შიგნით ინდივიდის არსებობის პრობლემატიკაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღები პროტაგონისტის მიერ დღიურის წარმოების პასაჟია. როცა ახალგაზრდა ექიმი, ლევანი თავისი პირველი კოსმოსური ფრენის წინ თანხმდება კაპიტნის გეგმას, თვითნებურად ასწრავს ხომალდი, რაც მათი მოგზაურობისას დედამიწაზე გავლილ დროს ათ წლამდე გაზრდის, მისი პიროვნული გაორების ისტორია იწყება. იგი ერთი მხრივ მომავალში ნახტომის გაკეთების ცდუნებას ვერ უძლებს, მეორე მხრივ კი თბილისში დატოვებული ცოლისა და შვილის ერთი დეკადით, თანაც გაუფრთხილებლად მიტოვების გამო სინდისის ქენჯნას განიცდის. ეს პიროვნული გაორება ლევანის დღიურში მანიფესტირდება: დედამიწაზე დაბრუნების წინ ექიმი აღმოაჩენს, რომ მთელი მგზავრობის განმავლობაში გაკეთებულ ჩანაწერებში ის საკუთარ თავს ატყუებდა, თითქოს გაფრენამდე მგზავრობის გახანგრძლივების შესახებ არაფერი იცოდა და კაპიტანმა ის ისევე გააცურა, როგორც — დედამიწაზე დარჩენილები:

ვათვალიერებდი დღიურს და მწარედ მეცინებოდა საკუთარ თავზე, ჩემს პატარა, ქვეშეცნულ ცბიერებაზე; აღმოვაჩინე¹⁷⁸, რომ მთელი დღიური თინათინისთვის მქონდა გათვალისწინებული, მისი გულის ასაჩუყებლად და ჩემს გასამართლებლად. დღიურის მიხედვით, ვითომ გზაში გამიგია, რომ “ციცარი” 55 ათასი კილომეტრით სწრაფად მიჰყავდა კაპიტანს, ვიდრე გათვალისწინებული იყო და ერთი ამბავი ამიტეხია, რომ დედამიწაზე თორმეტი წელი გავიდოდა ჩვენს დაბრუნებამდე და თავზარი დამცემია, რადგან ძვირფასი, საყვარელი თინათინი ჩემზე უფროსი დამხვდებოდა.¹⁷⁹

აღუშფოთებელი ლურჯი ფერი ედო“ („The sky was perfect untroubled blue of a television screen, tuned to a dead channel“) (Gaiman, Neil (1998), 221).

¹⁷⁸ გამუქებულია ნაშრომის ავტორის მიერ.

¹⁷⁹ ყიფიანი, ედიშერ (1967), „დროთა კავშირი“, 15.

რეპრესიული რეჟიმის შიგნით დღიურის წერის ფენომენი იოჰან ჰელბეკს იმ ფსიქოლოგიური წნეხის კონტექსტში აქვს განხილული, რომელიც საბჭოთა მოქალაქეს აიძულებდა, მორგებოდა „ახალ ადამიანად“ გარდაქმნის პარტიისეულ იდეალს¹⁸⁰. მისი მოსაზრებით, ადამიანები ამ უადრესატო ჩანაწერებით საკუთარ თავთან გამართულ დიალოგს იმ მონოლითური შიდა ხმის მოპოვების იარაღად იყენებდნენ, რომელიც საკუთარი თავსაც და გარე სამყაროსაც დაარწმუნებდა სისტემისადმი მათ ერთგულებაში¹⁸¹. მორალური დილემით გამოწვეულ კოგნიტიურ დისონანსთან გამკლავების ლევანისეული მცდელობა ამ მექანიზმს იმ მხატვრული ხერხებით ხდის შესაძლებელს, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკას აქვს არსენალში. თუმცა ამ პასაჟის ანალიზისას სიღრმეში კიდევ ერთი ნაბიჯით თუ წავიწევთ, შეგვიძლია, თავად ეს ნაწარმოები განვიხილოთ ედიშერ ყიფიანის მიერ შინაგანი გაორების დამღევის ცდად. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს თავად მწერლის მიერ ახლობლებისთვის ხშირად ნათქვამი სიტყვები, „ჩემში ცენზორი ზისო“¹⁸². როგორც მწერლის შვილი, ბაო ყიფიანი იხსენებს, ედიშერ ყიფიანს საცენზურო ორგანო განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა, რასაც იმ შინაგანი ხმის დაბადება შეიძლება გამოეწვია, რომელიც მის დაწერილ ყოველ სიტყვას აკონტროლებდა. ის გარემოება, რომ ამ გაორების გადმოსაცემად მწერალმა გაცნობიერებულად თუ ინტუიციურად სამეცნიერო ფანტასტიკური სიუჟეტი არჩია, „დროთა კავშირს“ იმ უნიკალურ ნაწარმოებად აქცევს, რომელმაც სოცრეალიზმის მარწუხებიდან თავის რაღაც დოზით დაღწევა მსგავსი თვითრეფლექსიით შეძლო.

მართალია, ნაწარმოები ჟანრის შიგნით სტალინისტური ნარატივის დამღევის პირველი ნიმუში გახლდათ, მაგრამ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ევოლუცია 70-80-იან წლებში სოცრეალისტური მიმდინარეობის შიგნითვე გაგრძელდა. ეს გარემოება განსაკუთრებით ხაზგასასმელი იმ ფაქტორის გათვალისწინებითაა, რომ აღნიშნულ პერიოდში პარტიული დირექტივის ჩარჩოებს მიღმა უკვე შექმნილია ალტერნატიული კულტურული სივრცე. მაშასადამე, ჟანრს ჰქონდა იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ განვითარების სულ სხვა გზას დასდგომოდა.

¹⁸⁰ Hellbeck, Jochen (2006).

¹⁸¹ იქვე, 2

¹⁸² ინტერვიუ ედიშერ ყიფიანის შვილთან, ბაო ყიფიანთან.

ქართულ საბჭოთა მწერლობის ანალიზისას ხშირად ესმება ხაზი 70-იანი წლებში მომხდარ გარდატეხას — როცა იქამდე დომინანტური სოცრეალისტური მგრძნობელობის ტექსტების პარალელურად მეტად ინდივიდუალისტური ხელწერის მქონე ნაწარმოებები ჩნდებიან. ამ მოვლენას ბელა წიფურია ალტერნატიულ კულტურულ სივრცედ მოიხსენიებს, რომელიც „ტიპოლოგიურად ქართული მოდერნიზმის სივრცეს უკავშირდება და ესთეტიკურად ნაციონალური ნარატივის სივრცის ალტერნატივას წარმოადგენს¹⁸³“. იმავე გარდატეხას მარიამ მირესაშვილი და ოლგა პეტრიაშვილი კონკრეტულად ისტორიული რომანის ევოლუციის პერსპექტივიდან ანალიზებენ და 70-იან წლებში „ახალი ისტორიული რომანის“ დაბადებაზე საუბრობენ, რომელიც საბჭოურ იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაში სწორედ ინდივიდუალისტური, სოცრეალისტური ყალიბისგან თავდაღწეული მგრძნობელობის ქონის გამო მოდის¹⁸⁴.

ამ შეფასებებში ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღები ის ფაქტორია, რომ ტექსტების ანტისაბჭოურობა არ განისაზღვრება იმით, გაკრიტიკებულია თუ არა მასში რეჟიმი ან წინ არის თუ არა წამოწეული ქართული ნაციონალური მარკერები. სანაცვლოდ, ყურადღება გამახვილებულია ფორმისა და ესთეტიკის ცვლილებაზე. მართლაც, ნაციონალური სულისკვეთების გაღვივების მცდელობა საბჭოთა კავშირის არსებობის ვერცერთ ეტაპზე ვერ ჩაითვლება ანტიბოლშევიკურად, რადგან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ეროვნულობის, კულტურული თვითმყოფადობის სრულად მოსპობა არასოდეს დამდგარა უშუალო დღის წესრიგში¹⁸⁵. მართლაც, ლენინის მმართველობისას „ფორმით ნაციონალური შინაარსით სოციალისტური“ პოლიტიკა არარუსულ ნაციონალობათა წახალისებას ისახავდა მიზნად; სტალინის დროს, მართალია, რუსული შოვინიზმი გამოიკვეთა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის საფრთხემ წევრ რესპუბლიკათა მოსახლეობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება გახდა საჭირო, რაც ეროვნულ წარსულზე

¹⁸³ წიფურია, ბელა (2016), 72.

¹⁸⁴ მირესაშვილი, მარიამ და პეტრიაშვილი ოლგა (2012), 221-225.

¹⁸⁵ ანტიეროვნული პოლიტიკის ყველაზე მწვავე გამოვლინება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ კონსტიტუციის ახალ გეგმაში ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გახლდათ, რასაც 1978 წლის 14 აპრილს თბილისის ქუჩებში დემონსტრანტთა გამოსვლა მოჰყვა. ამის შედეგად, კონსტიტუციაში აღნიშნული ცვლილება აღარ მიუღიათ.

აპელირებით ხდებოდა; ბრეჟნევის მმართველობისას საქართველოში ცეკას პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის პარალელურად ნელ-ნელა ქართული მოდგმის, ბუნებისა და კულტურის უნიკალურობის მითმა საკავშირო დონეზე გაიშალა ფესვები¹⁸⁶, ხოლო გორბაჩოვის გარდაქმნისეულმა საჯაროობამ სიტყვის თავისუფლების დემოკრატიული პრინციპის ღირებულება აღიარა, რაც თავისთავად უხსნიდა გზას ეროვნულ სულისკვეთებას.

რეალურად, საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ქართულ ნაციონალურ სიამაყეს მოსკოვი ორჯერ შეეხო — პირველად სტალინის კულტის დამხობისას, ხოლო მეორედ ქართული ენისთვის რესპუბლიკის ოფიციალური ენის სტატუსის მოცილების მცდელობისას — და ორივეჯერ ქართველები ქუჩაში გამოვიდნენ. რაც შეეხება უშუალოდ რეჟიმის კრიტიკას, ამას ქართველი ხელოვანები, რეპრესიების პერიოდებს თუ არ ჩავთვლით, ეზოპეს ენის გამოყენებით ყოველთვის ახერხებდნენ, ამიტომ ამ მხრივაც ქართულ მწერლობაში რაღაც კონკრეტულ გარდატეხაზე საუბარი გაუმართლებელი იქნებოდა.

სწორედ ეს ორი ფაქტორია მიზეზი იმისა, რომ როცა 70-იანი წლების მწერლობაზე საუბრისას საკუთრივ სამეცნიერო ფანტასტიკაზე ვკონცენტრირდებით, ალტერნატიული კულტურის ხმების გაჩენაზე საუბარი რთულდება. რადგან ჟანრი სოცრეალისტურ მოთხოვნებზე მორგების მიზნით ჩამოყალიბდა, მისი ფორმალური, — ენობრივი, თემატური, დრამატურგიული, — მახასიათებლებიც სწორედ მასთან მიმიკრიის საფუძველზე შეიქმნა და განვითარდა. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ გარდაქმნის პერიოდშიც კი, როცა უკვე ბუტაფორიად ქცეული რეჟიმის კრიტიკა არათუ მეტად დაშვებული, არამედ პრესტიჟული და მოდურიც კი გახდა,¹⁸⁷ ჟანრის შიგნით ჯიუტად და ტრაფარეტულად იწერებოდა კაპიტალისტური დასავლეთის გარყვნილებასა და საბჭოთა იდეალების მაღალზნეობრიობაზე. და მაშინაც კი, როცა რეჟიმის მხილების სურვილმა გამონაკლის შემთხვევებში, მაგრამ მაინც შეადწია 80-იანი წლების ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში, ამ უკანასკნელმა

¹⁸⁶ ამის შესახებ აკა მორჩილაძე დოკუმენტური პროზის ჟანრში დაწერილ ტექსტში აღნიშნავს: „ეროვნული ხელოვნება, რომელიც უფრო ეროვნულ კოლორიტად სადღებოდა ამხელა ესესესერში, იქცა ქვეყნის შიდა საბჭოთა იდენტიფიკაციის მთავარ იარაღად, მთავარ ძალად, შიგნით კი მას დაემატა ეროვნული ისტორია, სიდიადე, გენიოსთა რეკლამირება“ (მორჩილაძე, აკა (2014), 150).

¹⁸⁷ მორჩილაძე, აკა (2014), 156.

ამ შემთხვევაშიც კი ვერ შეძლო სოცრეალისტური ჩარჩოებიდან თავის დაღწევა. ამის ყველაზე სწორხაზოვანი ნიმუში ნუგზარ აფხაზავას 1986 წელს გამოქვეყნებული მოთხრობა, *Ab Irato*, გახლავთ,¹⁸⁸ სადაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ისტორია ორი უცხო პლანეტის ურთიერთობის მაგალითზეა მოთხრობილი. მკითხველი ამბავს ჩრდილოეთ პლანეტის მიერ დაპყრობილი პატარა, მაგრამ რესურსებითა და ბუნების სილამაზით მდიდარი პლანეტის, დაინას უკანასკნელი მკვიდრის სიკვდილისპირა მონოლოგით ეცნობა.

აფხაზავა ისევე ხვდება სამეცნიერო ფანტასტიკისთვის ნიშნეული კოგნიტიური გაუცხოების ძალას კონკრეტული ისტორიული ვითარების უსამართლობის წარმოჩენაში, როგორც ამას ზუსტად ერთი საუკუნის წინ მიხვდა სამოციანელი იაკობ მანსვეტაშვილი, როცა რუსულ-ქართული ურთიერთობების თავისებურებების აღსაწერად მთვარის ზედაპირი გამოიყენა. ამის მიუხედავად, საბჭოთა მწერალთან სათქმელის გამოსახატად შერჩეული ფორმის სიტლანქე ვერ ილახება. ამის მიზეზი ისაა, რომ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ენა იმ დროისთვის სოცრეალისტურ ენასთანაა გადაჯაჭვული და საბჭოურ პათეტიკურობას ანტისაბჭოურ სიუჟეტშიც კი ინარჩუნებს, რაც თხრობას ხელოვნურობას სძენს. თუმცა თავად ეს სიუჟეტიც, ფორმასთან ტანდემში, დასაჭურისებულია იმ ტრადიციით, რომელმაც სოცრეალისტი მწერლისთვის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის ჩაკვლა და მზა ყალიბების გამოყენება აქცია იდეალად. რადგან საბჭოთა მწერლის მთავარ მოვალეობად ახალი ადამიანის აღზრდა მიიჩნეოდა, მწერლობა დიდაქტიკური უნდა ყოფილიყო. პედაგოგიური ენა კი ფორმის სიმარტივეს, აზრის სიცხადეს და შეგონებათა მუდმივ განმეორებას მოითხოვს. მსგავს მოთხოვნებში ენა — სისხარტეს, ხოლო აზრი გამჭრიახობას ვერაფრით ინარჩუნებს.

აფხაზავაც არ ისახავს თვითმიზნად აზრის სიღრმეს და რუსეთ-საქართველოს შორის საუკუნოვანი ურთიერთობის უნიკალური პერსპექტივით დანახვებას. ამასთან, ის მკითხველთან ვერც ემოციური კავშირის დამყარებას ახერხებს: იმის ნაცვლად, რომ მწერალმა მიკრო, ადამიანურ მასშტაბზე დაიყვანოს კონფლიქტი და მკითხველში გულწრფელი გრძნობების გამოწვევის ხარჯზე ახადოს ფარდა ცენტრი-პერიფერიის უთანასწორო კავშირის, ის, პირიქით, მასშტაბებს პლანეტარულ დონემდე

¹⁸⁸ აფხაზავა, ნუგზარ (1986), „*Ab Irato*”, 35-52.

ზრდის. აფხაზავა ტრაგედიის გაადამიანურების ნაცვლად ორ ქვეყანაზე არსებული სტერეოტიპების უშველებელ სიას არგებს საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო ფანტასტიკურ ალეგორიებს. დაინა ის პლანეტაა, სადაც მზის სისტემაში სიცოცხლე პირველად აღმოცენდა და კულტურის აკვანი დაირწა: „მეტისმეტად ლამაზი იყო ეს პაწია პლანეტა, სამოთხისებური გახლდათ მისი კლიმატი და წალკოტს ჰგავდა მისი ბუნება¹⁸⁹“. დაინას ჩრდილოეთით არსებული ცივი და დიდი პლანეტა, ურიბი კი დიქტატორი მეუფის მიერ იმართება. ამ პლანეტაზე ცივილიზაცია შედარებით გვიან განვითარდა, თუმცა ტექნოლოგიური პროგრესის წახალისებით მალე მილიტარისტულად ანგარიშგასაწევ ძალად იქცა (თუმცა კი, მის მოსახლეობას არყის სმა მაინც ყველაფერზე მეტად უყვარს). ექსპანსიის და ბუნებრივი რესურსების მოპოვების სურვილით შეპყრობილმა ურიბმა მზერა დაინასკენ მიაპყრო და იქაურ მოსახლეობას ჯერ მეგობრობის ფიცი დაუდო, შემდეგ კი სტუმარ-მასპინძლობით ცნობილ დაინელებში საკუთარი ენის გავრცელება და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაც დაიწყო.

აფხაზავა ნიკო მარის მიერ ქართული ენის იაფეტურ ოჯახში გაერთიანების მცდელობასაც ეხმიანება. კერძოდ, მის მონათხრობში ჩრდილოელი დამპყრობლები „ცრუ მეცნიერსაც“ დაიხმარენ იმის სამტკიცებლად, რომ დაინა ისტორიულად ურიბების საცხოვრებელი იყო: „თავისი ‘თეორია’ ამ ვაი-მეცნიერმა სამიოდე დაინური ტოპონიმის ურიბულ სიტყვებთან შემთხვევით მსგავსებაზე ააგო. ეს მტკნარი წყლის სისულელე თვით ოკუპანტებსაც კი არა სჯეროდათ, მაგრამ ‘თეორიას’ მაშინვე დაუჭირეს მხარი და ლინგვისტური მეცნიერების მიღწევად გამოაცხადეს¹⁹⁰“. მწერალი ქართველებისთვის ნიშნულ „ციხის შიგნიდან გატეხის“ სქემატურ ნარატივსაც იყენებს და დაინას საბოლოო დამორჩილებას „სულმოკლეების და შინაით გამცემლების“ საქმიანობას მიაწერს. ხოლო ისინი, ვინც ურიბებისადმი დანებება არ ისურვებს, „უმკაცრესი რეპრესიების“ და უდაბურ ცდომილზე გადასახლების მსხვერპლნი ხდებიან.

აფხაზავა თხრობის დრამატურგიას ალეგორიის სიმარტივეს სწირავს და ყველა შესაძლო ხერხით ყოველ მეორე წინადადებაში თვალის ჩაკვრით გვეუბნება, რომ

¹⁸⁹ იქვე, 45

¹⁹⁰ იქვე, 49

სინამდვილეში ორ შორეულ პლანეტაზე სულაც არ გვიყვება. ის, ამასთან, დახატული უსამართლო მდგომარეობიდან თავდასაღწევად ღირებული სამოქმედო გეგმის დასახვასაც ვერ ახერხებს. ორი პლანეტის ურთიერთობის ისტორიას აფხაზავა იმით ასრულებს, რომ რეპრესიებგადარჩენილი ათიოდე დაინელი მეცნიერი პლანეტის მტრის ხელში დარჩენას მის მთლიანად მოსპობას ამჯობინებს. ისინი დაინას ააფეთქებენ და მათგან ერთ-ერთი, მოხუცი, რომლის მონათხრობსაც მკითხველი ისმენს, გალაქტიკის ცენტრისკენ იმ მიზნით გაფრინდება, რომ სიკვდილამდე ამ ამბის მოყოლა შეძლოს, რათა „სხვებს მაგალითად გამოადგეთ [მათი] მწუხარე თავგადასავალი¹⁹¹“. მაგრამ თუ ჩვენ ამ ისტორიას ჭკუის სასწავლებლად ვისმენთ, გაუგებარია, მისგან რა გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ — რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, რომ საქმე თვითმკვლელობის აუცილებლობამდე არ მივიდეს.

ამგვარად, რეჟიმის უსამართლობის წარმოჩენის მცდელობისას აფხაზავა იმავე რეჟიმის მიერ მწერლობისადმი დაწესებულ ყველა მოთხოვნას პირნათლად ასრულებს. მაგრამ ამ გზით მხატვრული ღირებულებებისგან დაცლილი ტექსტი მკითხველში ემოციური პასუხის გამოწვევას ისევე ვერ ახერხებს, როგორც სოცრეალისტურმა ლიტერატურამ ვერ მოახერხა ჰომო სოვიეტიკუსის გამომერწვა. მსგავსი ფორმით მოწოდებული სათქმელი განსაკუთრებით იმ მკითხველისთვის იქნებოდა ფუჭი, რომლის ორგანიზმსაც სოცრეალისტური კულტურა იმხელა დოზებით ჰქონდა მიღებული, რომ მის წინააღმდეგ იმუნიტეტის გამომუშავება კარგა ხნის წინ მოესწრო.

თუმცა უსამართლობა იქნებოდა, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის სიაკვარგე მხოლოდ იმით გაგვეზომა, რამდენად უსახავს ის მკითხველს ჩაგრული მდგომარეობიდან თავის დაღწევის კონკრეტულ სამოქმედო გეგმას. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ჟანრის პოლიტიკურობა იმით განისაზღვრება, რომ ის ახერხებს, მკითხველს დაანახოს, რომ ნორმები, რომლებიც მის რეალობას განსაზღვრავენ, არც უნივერსალურები არიან და არც უცვლელნი; პირიქით, თუ დამკვიდრებულ ნორმათაგან რომელიმე მჩაგვრელ სისტემას ემსახურება, მისი შეცვლა აუცილებელიც კია. მაგრამ საქმე ისაა, რომ საბჭოური სოცრეალიზმი სწორედ მსგავსი ცვლილების შესაძლებლობას გამორიცხავდა, რადგან ისტორიული

¹⁹¹ იქვე, 50

მატერიალიზმის თანახმად, სოციალისტური წყობა უკვე თავისუფალი იყო მჩაგვრელი იდეოლოგიისგან. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ სოცრეალისტურ კლანჭებში მოქცეულ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას უჭირს, მიზანმიმართულად დახატოს ალტერნატიული, არასოციალისტური, არასაბჭოური რეალობა. როგორც კი სოცრეალისტი ავტორი სწორედ ამის დახატვას ისახავს მიზნად, ის თვითგანადგურების, ისტორიის დასრულების გარდა გამოსავალს უბრალოდ ვერ ხედავს. თავად ჟანრის სტრუქტურალისტური ბუნებიდან გამომდინარე, ნაწარმოები ამ შემთხვევაშიც თეორიულად მაინც ინარჩუნებს მკითხველში კოგნიტიური გაუცხოების გამოწვევის უნარს. თუმცა თავისი სრული პოტენციალის მიღწევა რომ შესძლებოდა, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, პირველ რიგში, სოცრეალისტური ფორმის მპყრობელობიდან უნდა გამოსულიყო.

2.5. შინაგანი ცენზორის დაუძლეველობის პრობლემა

ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაზე სიტყვის ჩამოგდებისას ადამიანები ყველაზე ხშირად იმით ინტერესდებიან, ბევრი გვაქვს თუ არა ქართველებს ამ ჟანრში დაწერილი ტექსტი. ამ კითხვაზე პასუხი ნუგზარ აფხაზავამ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ანალიზისთვის მიძღვნილ 1987 წლის სტატიაში, „ჩვენ და ფანტასტიკა“, ასე ლაკონიურად და ერთმნიშვნელოვნად გასცა: „საქართველოში ფანტასტიკა — ა) ცოტა იწერება; ბ) ცოტა იბეჭდება; გ) იმ ცოტასაც მცირე ყურადღება ექცევა¹⁹²“. თავად სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი, აფხაზავა ამ დაშვებას აქსიომად იყენებს და მთელ თავის მსჯელობას მისი გამომწვევი მიზეზების ახსნას ახმარს. თუმცა, რეალურად, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის რაოდენობის შეფასების საკითხი არც ასე მარტივია, რადგან, პირველ რიგში, ის ცვლადი უნდა განისაზღვროს, რომელთან მიმართებითაც შეიძლება დადგინდეს ტექსტთა სიბევრე თუ სიცოტავე — იქნებ, ეს ქვეყნის ზომაა? ან ტექნოლოგიური განვითარების დონე? ან, სულაც, პოლიტიკური კონტექსტია გადამწყვეტი ერთეული? ალბათ ყველა ამ კითხვისა და კიდევ სხვა მრავალი ისტორიულ-კულტურული ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო

¹⁹² აფხაზავა, ნუგზარ (1987), 46.

იმის გასააზრებლად, რომ პრობლემა პასუხის პოვნის სირთულეში კი არაა, არამედ — კითხვის ფორმულირებაში.

საქმე ისაა, რომ ჩვენს მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკას ზუსტად იმ მოცულობის წილი უკავია, რამდენიც უნდა ეკავოს — არც მეტი და არც ნაკლები. ეს ნაშრომი, ფაქტობრივად, ამ მარტივი მოსაზრების დასაბუთებაა: იმის ჩვენებით, თუ რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული სამეცნიერო ფანტასტიკური სამწერლო ტრადიციის შექმნა-განვითარება ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ კონტექსტთან, ზემოხსენებულ კითხვას აზრი ეკარგება. სანაცვლოდ, აქცენტი არა რაოდენობაზე უნდა გაკეთდეს, არამედ — ხარისხზე. კერძოდ, ჟანრის ქართული მწერლობის შიგნით განვითარებასთან დაკავშირებით შემდეგი ფუნდამენტური კითხვა უნდა დავსვათ: რატომ ვერ მოიპოვა პრესტიჟულობა სამეცნიერო ფანტასტიკამ საქართველოში იმ რეჟიმის არსებობის პირობებშიც კი, რომელიც ტექნოლოგიას საზოგადოებრივი პროგრესის ქვაკუთხედად სახავდა და რომლის იმპერიულ ცენტრსაც უტოპიური მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის პოვნა დაგვეხმარება იმის ახსნაშიც, თუ რატომ ვერ მოახერხა ჟანრმა, რომ 70-იან წლებშიც კი — მაშინ, როცა ალტერნატიული კულტურისთვის ადგილი გამოთავისუფლდა, — გამოსულიყო „საბჭოური იდეოლოგიის მიერ შემოსაზღვრული სივრციდან“¹⁹³ და გაეგრძელებინა ედიშერ ყიფიანის მიერ დაწყებული ის პროცესი, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკას სოციალისტური რეალიზმის კლანჭებიდან გამოიხსნიდა.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ქართულ კულტურაში ჟანრის პრესტიჟულობის ხარისხის განსაზღვრაზე გადის. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, პრესტიჟულობის მწვერვალს სამეცნიერო ფანტასტიკამ საქართველოში მისი ჩასახვის წლებში მიაღწია — მაშინ, როცა სოცრეალისტური მოძღვრება ფორმირების პროცესში იყო. ამ დროს მწერლები სწრაფი ტემპით ცვალებად რეალობასთან მორგებას იმ გამომსახველობითი ფორმების პოვნით ცდილობდნენ, რომელიც მათ პირად და პროფესიულ პრინციპებს შეძლებისდაგვარად ხელშეუხებლად დატოვების საშუალებას მისცემდა. შედეგად, ქართული ლიტერატურისთვის სრულიად უცნობი ჟანრისთვის საფუძვლის ჩაყრას მწერლობაში გაწვრთნილი ხელოვანის ნიჭი მოხმარდა. ამასთან, იმის გამო, რომ

¹⁹³ წიფურია, ბელა (2016), 73.

ალექსანდრე აბაშელსა და ივანე ყიფიანს კულტურის სფეროში სახელი უკვე დამკვიდრებული ჰქონდათ, სტალინისეული „კულტურული რევოლუციის“ უაღრესად ტურბულენტურ პერიოდში, როცა მწერალთა ბედი ღირებულებების „სწორად“ ანუ რეჟიმისთვის მოსაწონად გადაფასებაზე იყო დამოკიდებული, მათი ავტორობით გამოცემული სამეცნიერო ფანტასტიკა კანონიკურ ტექსტთა შორის ზედმეტი კითხვების დაუსმელად მიიღეს. ეს ფაქტორებია იმის მიზეზი, რომ დღესაც კი, როცა საქმე გასული საუკუნის ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ანალიზს ეხება, სწორედ ეს ორი ნაწარმოები, „ქალი სარკეში“ და „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“ მიჩნევა ანალიზის ღირსად და მკვლევართა ყურადღების ცენტრშიც ექცევა ხოლმე.

30-იან წლებში წარმატებით აღებულ სტარტს, როგორც ვნახეთ, ქართულ მწერლობაში „სამამულო ომის“ და მასთან დაკავშირებული ისტორიული რომანის თემატიკა გადაეღობა. 14-წლიანი პაუზის მერე ჟანრით ამჯერად ახალგაზრდა თაობა დაინტერესდა, თუმცა ამ დროისათვის უკვე ამ თაობის წარმომადგენლებიც კი გრძნობენ ვალდებულებას, თავი იმართლონ იმაზე, თუ რატომ შეეჭიდნენ ამ ახირებულ თემატიკას. მაგალითად, 1950 წელს გამოცემული „კოსმიური ბრძოლის“ აუდიტორიად მოზარდები მოიაზრებიან: წიგნი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერაა დაბეჭდილი და ანოტაციაშიც ვიგებთ, რომ რომანი საუკეთესო საბავშვო მხატვრული ნაწარმოების კონკურსზე იყო პრემირებული. რომანის 20-გვერდიან შესავალში მწერალი სასკოლო სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი დოკუმენტურ-პედაგოგიური ენით გვაცნობს იმ ცოდნას, რომელიც კაცობრიობამ კოსმოსის შესახებ საუკუნეების განმავლობაში დააგროვა. ეს მოზრდილი პრეამბულა ახალგაზრდა მკითხველებისთვის თუ მისი მშობლებისთვის სამეცნიერო ფანტასტიკური სიუჟეტის აქტუალობის წარმოჩენის მცდელობაა. ამას ბასილაია არც მალავს და შესავლის ბოლოს თავმდაბლურად გვეუბნება:

თუ აქ ნორჩი მკითხველები თავისი მშვენიერი ფანტაზიისა და ოცნებისათვის იპოვიან თუნდაც მცირედენ საზრდოს, რაც მათ ოდნავ ბიძგს მისცემდა ბუნების დასაუფლებლად ადამიანის ბრძოლის დიად გზაზე, — მაშინ ასტრონომიულ მონაცემებსა და ფანტასტიკურ ელემენტებზე აგებული ამ წიგნის ერთადერთი მიზანიც მიღწეულად ჩაითვლება.¹⁹⁴

¹⁹⁴ ბასილაია, აპოლონ (1950), „კოსმიური ბრძოლა“, 23

სამეცნიერო ფანტასტიკის ინტელექტუალური თუ მხატვრული პოტენციალის მსგავსი დახურდავება პირნათლად აჩვენებს, რამდენად გაუცხოებულია 1950-იან წლებში ქართული მწერლობა ჟანრისგან. თანაც ეს იმ პირობებში ხდება, როცა ქართულ მწერლობას სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკის წინ წამოწევის პირდაპირი დირექტივა აქვს მიღებული. ამის შესახებ სადრამის რომანს, „ბარათი მარსიდან“, დართულ ანოტაციაში გამომცემლობა „ნაკადულის“ სარედაქციო ჯგუფი პირდაპირ წერს, როცა აღნიშნავს, რომ ქართველებმა რუსული მწერლობის მაგალითს უნდა მისდიონ: „უკანასკნელ ხანებში რუსულმა მწერლობამ მრავალი საყურადსაღებო მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოები შექმნა. ქართველმა მწერლებმაც უფრო ნაყოფიერად უნდა იმუშაონ ამ ჟანრში¹⁹⁵“. წიგნის გამოცემის შესახებ გაზეთ ლენინელში გაკეთებულ განცხადებაში კი დანაწევრებითაა აღნიშნული, რომ „ქართული პროზა ძალზე ღარიბია ამ ჟანრში¹⁹⁶“.

ცენტრიდან წამოსული მსგავსი მოწოდებების მიუხედავად, საქართველოში უჭირთ ჟანრის სერიოზულად აღქმა. ამასთან, სახასიათოა, რომ არაქართული სამეცნიერო ფანტასტიკისადმი მსგავსი დისკრიმინაციული დამოკიდებულება არ არსებობდა: თუ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა ზღაპრად აღიქმებოდა და ამის გამო მწერლები თავს ვალდებულადაც კი გრძნობდნენ, ხაზი გაესვათ მათი ნაწერის შემეცნებით ღირებულებაზე, ჰერბერტ უელსს, ჟიულ ვერნს ან თუნდაც რეი ბრედბერისა და ივანე ეფრემოვს საქართველოში „ირონიული ღიმილის¹⁹⁷“ გარეშე კითხულობდნენ. მაგრამ როცა საქმე „თეთნულდის საპლანეტათმორისო ბაზაზე¹⁹⁸“ მიდგებოდა ან გალაქტიკის სივრცეთა დამსერავ კოსმონავტად გივი ოძელი გახლდათ დახატული, ტექსტებისადმი დამოკიდებულება იცვლებოდა. როგორც ჩანს, ქართველ მწერლებსა და მკითხველსაც მომავლის ფანტასტიკურ სცენარებში საკუთრივ ქართული ლანდშაფტისა და ქართველი პერსონაჟების წარმოდგენა ეჩვენებოდა იმდენად არარეალისტურად, რომ მსგავსი ტექსტების „სერიოზულად“ აღქმა უჭირდა.

¹⁹⁵ სადრამე, ოთარ (1962), „ბარათი მარსიდან“, თავფურცელი.

¹⁹⁶ სახვამე, ი. (1962), 4.

¹⁹⁷ სწორედ ამ ფრაზას იყენებს აფხაზავა, როცა არადამარწმუნებელი სიუჟეტის მქონე სამეცნიერო ფანტასტიკის მიმართ მკითხველის დამოკიდებულებაზე საუბრობს.

¹⁹⁸ მერაბიშვილი, ელგუჯა (1984) „შორეული აბელბი“, 77.

მართალია, აფხაზავა ზემოხსენებულ ესეიში ჩვენთვის არარელევანტურ კითხვაზე, — რატომ იწერება საქართველოში ცოტა რაოდენობის სამეცნიერო ფანტასტიკა, — ეძებს პასუხს, თუმცა ამ მსჯელობას ისიც ჟანრის პრესტიჟულობის საკითხამდე მიჰყავს. მწერალი დანაშებით აღნიშნავს, რომ “ლიტერატურული კრიტიკა, როგორც წესი, ფანტასტიკისთვის ვერ იცლის და ახალ წიგნსაც და ახალ მოთხრობასაც დუმილით უვლის გვერდს¹⁹⁹”, რადგან „ჯერჯერობით [...] ბევრი გამომცემლობისა და რედაქციისათვის ფანტასტიკა ლიტერატურის მეორეხარისხოვანი დარგია²⁰⁰“.

მსგავსი დამოკიდებულება სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკისადმი გულწრფელი ინტერესის მქონე მწერლებსაც უქრობდა ჟანრის შიგნით ძალების ცდის სურვილს. ამის ნათელი მაგალითი ედიშერ ყიფიანია. მისი პირველი — და, როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი — სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობის, „დროთა კავშირის“ წიგნად გამოცემას არანაირი კრიტიკული გამოხმაურება არ მოჰყოლია²⁰¹. მაშინ, როცა ჟურნალი „დროშის“ ლიტერატურული განყოფილების ყოფილი რედაქტორის ყველა ნაწარმოებს კოლეგები მაშინვე ეხმიანებოდნენ რეცენზიებით, ეს დუმილი ყიფიანისთვის განსაკუთრებით მრავლისმთქმელი უნდა ყოფილიყო.

იმისათვის, რომ ავხსნათ, რატომ ვერ ამოიცნეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა ავტორებმა სამეცნიერო ფანტასტიკის ის ფორმალისტური პოტენციალი, რომელიც ახალი ფორმების, ალტერნატიული კულტურული სივრცის მაძიებელი მწერლებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, კვლავ დარკო სუვინის ნააზრევი უნდა მოვიშველიოთ. მის თანახმად, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტის ხარისხი პირდაპირპროპორციულია იმ დისტანციის ოპტიმალურობისა, რომელიც მკითხველის ემპირიულ „ნორმას“ და ნაწარმოების მიერ შეთავაზებულ ახალ, ბოლომდე არარსებულ, თუმცა საკმარისად გასაგებად გადმოცემულ პარადიგმას შორის არსებობს²⁰². ამ ფორმულიდან შეგვიძლია შემდეგნაირი დასკვნა გამოვიტანოთ: შორეულ კომოსურ ოდისეებზე იმ კულტურათა შიგნით შექმნილი ტექსტები, რომლებიც სათავეში ედგნენ კაცობრიობის

¹⁹⁹ აფხაზავა, ნუგზარ (1987), 46.

²⁰⁰ იქვე, 52.

²⁰¹ ინტერვიუ ედიშერ ყიფიანის შვილთან, ბაო ყიფიანთან.

²⁰² Suvin, Darko (1988), 204-205.

ტექნოლოგიურ განვითარებას და რომელთა მომავლის ამბიციებიც წარსულის მიღწევებით იყო გამყარებული, მკითხველში რეალურობასა და ირეალურობას შორის გამოკიდებული ლიმინალურობის განცდის შექმნას ახერხებენ. ეს შუალედური მდგომარეობა კი, როგორც ავხსენით, აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა მკითხველისთვის თვითრეფლექსიის წყაროდ იქცეს. უფრო მეტიც, თუ ჟანრის ერთ-ერთ გამოჩენილ თეორეტიკოსს, კარლ ფრიდმანს დავუჯერებთ, განსხვავებულსა და ნაცნობს შორის ბალანსის დაჭერაა სწორედ ის, რაც სამეცნიერო ფანტასტიკას ფენტეზიგან (და ზღაპრისგანაც) განასხვავებს. ამასთან, ფრიდმანისვე აზრით, ფენტეზი, რეალურად, არსებული რეჟიმის განმტკიცებასაც კი ემსახურება, რადგან მის ერთადერთ ალტერნატივად ისეთ ესკაპისტურ სამყაროს სახავს, რომლის მიღწევის შესაძლებლობაც მკითხველისთვის გამოირიცხება²⁰³.

სწორედ იმის გამო, რომ საქართველო იმ ტექნოლოგიურ პროგრესში ჩართული არ ყოფილა, რომელმაც გაგარინი ატმოსფეროს მიღმა გაიყვანა, ფოთში აშენებული კოსმოდრომიდან აფრენილი ხომალდები და უცხო პლანეტებზე მოხვედრილი პერსონაჟები, რომელთა იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი თვისება მათი ქართველობა გახლდათ, ტექსტებს ზღაპრებივით დაუჯერებელს ხდიდა. შესაბამისად, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა მოკლებული იყო იმ ინტელექტუალური სტიმულირების გამოწვევის უნარს, რომელიც ნაცნობ და უცნობ სამყაროთა შორის პარალელების გავლებით მიიღწევა. ამასთან, სუვინისეული „ოქსიმორონულებისთვის“ საჭირო ბალანსის არარსებობა ქართველ მკითხველს დაუჯერებლობის განცდის მოთოკვის, იმავე Suspension of disbelief-ის შესაძლებლობასაც არ აძლევდა, ამან კი ჟანრში დაწერილ წიგნებს საბავშვო ლიტერატურის თაროზე დაუმკვიდრა ადგილი.

იმის ახსნისას, თუ რატომ აღიქმება სამეცნიერო ფანტასტიკა ქართული გამომცემლობების მიერ „მეორეხარისხოვან დარგად“ და რატომ ვერ დაბადა ქართულმა კულტურამ სამეცნიერო ფანტასტიკის ვერცერთი გენიოსი, აფხაზავა ინტუიციურად გასაოცრად ახლოს მიდის სუვინის მიერ შემუშავებულ და ფრიდმანის მიერ განვრცობილ მსჯელობასთან. მას სრულყოფილად აქვს გააზრებული

²⁰³ Freedman, Carl (2000), xvi-xvii.

სამეცნიერო ფანტასტიკის პოლიტიკური პოტენციალი — მისი ძალა, გარდაქმნას რეალობა:

...უელსიდან მოკიდებული, ფანტასტიკა იქცა მაძიებელი გონების ერთ-ერთ იარაღად დამყაყებული და ობმოდებული 'აზრის' წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში იგი აზროვნების სტერეოტიპთა დამამსხვრევლის როლს ასრულებს. ფანტასტიკა აუცილებლად რაიმე ახალს ან მარტო ახალს კი არ გვასწავლის, არამედ მოგვიწოდებს ვეძებოთ, აღმოვაჩინოთ და შევიცნოთ ეს ახალი; იგი გვიხსნის, რომ ის, რაც ძველია, ერთხელ და სამუდამოდ როდია მოცემული და დაკანონებული²⁰⁴.

სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე ცდილობს აფხაზავა დაადგინოს, რატომ ვერ ახერხებს ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა ჟანრის პოტენციალის გამოყენებას და ისიც, სუვინისა და ფრიდმანის მსგავსად, დამაჯერებლობის პრობლემამდე მიდის. ესეის ბოლოს მას ასეთი დასკვნა გამოაქვს: “ზევრი ჩვენი თანამემამულე, ჯერ კიდევ, ფანტასტიკას ალმაცერად უყურებს (მასში მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვით ტერმინის შინაარსში დევს). იგი რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი ჰგონია და მხოლოდ და მხოლოდ გასართობ ჟანრად მიაჩნია²⁰⁵”. თუმცა აფხაზავა დამაჯერებლობის მისაღწევად ერთობ საკამათო გზას სახავს, რადგან აღნიშნავს, რომ პრობლემა მაშინ გადაიჭრება, როცა ტექსტში წარმოდგენილი ნოვუმი, ტექნოლოგიური სიახლე, რაც მხატვრულ სამყაროს ემპირიული რეალობისგან „ოპტიმალური დისტანციით“ დააშორებს, დაგროვილი მეცნიერული ცოდნის ლოგიკას უნდა ემორჩილებოდეს. არამეცნიერული გადახვევები კი, მისი მტკიცებით, თავისი აბსურდულობით აგდებენ მკითხველს სიუჟეტიდან და ნაწარმოების სამყაროსთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას აქრობენ. ამ მსჯელობაში ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია: სამეცნიერო ფანტასტიკისთვის იმ მოთხოვნის წაყენება, რომ აუცილებლად მისი დაწერის მომენტში დაგროვებულ მეცნიერულ ცოდნასთან შესაბამისობაში მოიყვანოს ტექნოლოგიური სიახლე, სიზიფეს გარჯის მსგავსია. მეცნიერება გამუდმებით ვითარდება — ის, რაც ერთ დროს ფანტასტიკის სფერო იყო, გარკვეული პერიოდის მერე რეალობა ხდება, ამიტომ ეს კრიტერიუმი სამეცნიერო ფანტასტიკის დამაჯერებლობის ხარისხის გასაზომად ვერაფრით გამოდგება. როგორც ჯემალ ქარჩხაძემ თქვა, „მეცნიერული თეორია ორგვარია: ერთია მცდარი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში სწორით შეიცვლება, და მეორეა სწორი თეორია,

²⁰⁴ აფხაზავა, ნუგზარ (1987), 41.

²⁰⁵ იქვე, 54.

რომელიც დროთა განმავლობაში უფრო სწორით შეიცვლება“²⁰⁶. ამის საილუსტრაციოდ ჟიულ ვერნის მიერ ჰერბერტ უელსის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები გამოდგება:

ჩვენ ერთნაირ გზას არ ვადგავართ. ჩემი აზრით, მისი ამბები სამეცნიერო საფუძვლებს არ ემყარება. [...] მე ფიზიკას ვიყენებ. ის იგონებს. მე მთვარეზე ქვემეხისგან გატყორცნილი ბირთვით მივდივარ. ის მარსზე მიდის ჰაერმფრენით, რომელსაც აგებს მეტალისგან, რომელიც გრავიტაციის კანონებს ეწინააღმდეგება. ეს ერთობ სახალისოა... მაგრამ მაჩვენეთ ეს მეტალი²⁰⁷.

ამგვარი აბსურდული მოთხოვნის სანაცვლოდ, ერთადერთი პირობა, რაც სამეცნიერო ფანტასტიკურ ნოვუმს უნდა წაეყენოს, ტექსტის შიგნით არსებული მეცნიერული ლოგიკის დაცვაა. ტექსტისეული გაუცხოების ხარისხი უნდა შეფასდეს იმით, თუ როგორაა ახსნილი ნოვუმის სამყაროში არსებობა: ის არაამქვეყნიურმა ძალებმა შექმნეს თუ მისი წარმომავლობა რაციონალურ აზროვნებასთან ასოცირებული ლოგიკური მსჯელობითაა ახსნილი — თუნდაც ეს მსჯელობა მეცნიერულად მცდარ ფაქტებს ეფუძნებოდეს²⁰⁸.

ჟანრისთვის წაყენებული მსგავსი, აფხაზავას მოსაზრებაზე გაცილებით ლიბერალური მოთხოვნა, თითქოს ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკას იმ შებოჭვებისგან ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მართლაც, თუ სწორად აგებული სიუჟეტური ხაზით დამაჯერებლობა მეცნიერული ცოდნის „გაყალბებითაც“ მიიღწევა, საბჭოთა კავშირის შიგნით ისეთი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შექმნა, რომელიც მკითხველში ირონიულ ღიმილს არ გამოიწვევდა, თეორიულად მაინც შესაძლებელი ხდება. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ საქართველო ტექნოლოგიური განვითარების პროცესიდან გამოთიშული იყო, ბოლომდე ვერ ხსნის იმას, თუ რატომ არ იქმნებოდა ჟანრის შიგნით ხარისხიანი ლიტერატურა.

მართლაც, სრული სურათის დასახატად აქ კიდევ ერთი ფაქტორის გახსენებაა საჭირო. საქმე ისაა, რომ სოცრეალისტური მწერლობის მიერ ჟანრის უზურპირება მხოლოდ ისტორიული კონტექსტით არ იხსნება. სამეცნიერო ფანტასტიკასა და სოციალისტურ რეალიზმს ერთი ცენტრალური თვისება აერთიანებთ: ორივე მათგანი

²⁰⁶ ქარჩხაძე, ჯემალ (2009), 333.

²⁰⁷ ციტატა მოხმობილია პოლ ალკონის წიგნში, *Science Fiction Before 1900: Imagination Discovers Technology* (2002), 7.

²⁰⁸ Vint, Sheryl (2014), 47.

ბუნებით უტოპისტურია. სამეცნიერო ფანტასტიკის მსგავსად, „სოციალისტური რეალიზმი იმისკენაა მიმართული, რაც ჯერ რეალობად არ ქცეულა, მაგრამ უნდა შეიქმნას“²⁰⁹. ამ მიმდინარეობის მიერ მომავლის მსგავსმა უზურპირებამ ისედაც არამყარ ნიადაგზე აღმოცენებული ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა საკუთარი ხედვის ქონის უნარისგან განძარცვა, ინდივიდუალობა დააკარგვინა და პარტიისეული დირექტივების გამხმოვანებლად აქცია.

მსგავსი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე შენარჩუნდა და მოჰადოებელი წრე შექმნა: ჟანრის არაპრესტიჟულობის გამო მისით არ დაინტერესებულან ის მწერლები, რომლებსაც მისთვის სოცრეალიზმის იარლიყის მოშორების ძალა შესწვდათ. მათ, უბრალოდ, ჟანრისთვის საკუთარი შემოქმედებითი და ინტელექტუალური რესურსის დახარჯვა დაენანათ, რადგან ის თავისი ფორმითაც და შინაარსითაც მეინსტრიმულ, საბჭოთა კულტურაში იყო გათქვეფილი. ამით იხსნება ის გარემოება, რომ 1980-იან წლებშიც კი, როცა სისტემის კრიტიკა გახდა პრესტიჟული, სამეცნიერო ფანტასტიკა შინაარსით მეტწილად რეჟიმის ერთგული დარჩა და ვერც გამომსახველობითი ფორმების მხრივ მოახერხა სოცრეალისტური ტროპებისა და ესთეტიკისგან თავის დახსნა.

²⁰⁹ Groys, Boris (1992), 51.

ნაწილი II — ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ბოლშევიკურ-ნაციონალური ნარატივის პოლიტიკური კონტექსტი

სამეცნიერო ფანტასტიკის მჭიდრო კავშირი იმ ისტორიულ განპირობებულობასთან, რომლის წიაღშიც ის იქმნება, დაგვეხმარა გამოგვეკვეთა მისი განვითარების ტრაექტორია გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში. ემპირიულ რეალობასთან ჟანრის ამგვარი გადაჯაჭვულობა კიდევ უფრო თვალსაჩინო და მრავლისმთქმელია იმ რეჟიმის შიგნით, რომელშიც მმართველი პოლიტიკური ძალის მონოპოლია კულტურაზეც ვრცელდება. ასეთ დროს მხატვრული ტექსტი შეუძლებელია მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიით შეიარაღებულებმა გამოვიკვლიოთ და უგულებელვყოთ მეტატექსტუალური გარემო, რომლის შიგნითაც ხელოვანს არსებობა უწევდა. საბჭოთა კავშირის მსგავს ტოტალიტარულ სისტემაში კი ერთ-ერთი ყველაზე ინდივიდუალისტური ქმედება, რაც კი ადამიანს შეუძლია შეასრულოს — შემოქმედებითი აქტი — პოლიტიზებული ხდება. სწორედ ეს გარემოება ანიჭებს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში შექმნილ ამ ნაშრომს ინტერდისციპლინურობას, რადგან მხატვრული ტექსტის ანალიზი რელევანტურობას კულტურის სფეროს მიღმაც ინარჩუნებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნაშრომის მეორე ნაწილი ჟანრის განვითარების ქრონოლოგიურ თხრობას უკან მოიტოვებს და რამდენიმე ისეთ ინტერტექსტუალურად განმეორებულ ტროპზე კონცენტრირდება, როგორიც საქართველოს საბჭოთა წარსულის გააზრების და ამ წარსულში ქართული ეროვნული იდენტობის ბედზე დამატებითი ცოდნის დაგროვების შესაძლებლობას მოგვცემს. კერძოდ, ჩვენ სამეცნიერო ფანტასტიკურ ნარატივებს თავდაპირველად პოსტკოლონიური პრიზმით გავაანალიზებთ, რათა ვნახოთ, რა მექანიზმებით ცდილობდა ქართული კულტურა ცენტრისგან დამოუკიდებლად არსებობის მითის შექმნას და ეროვნული თვითმყოფადობის შეგრძნების შენარჩუნებას. ამის შემდეგ კი უტოპიის ცნებაზე ვკონცენტრირდებით და ვნახავთ, რა პოლიტიკური დატვირთვის მქონე შეიძლება იყოს ფიქციური სივრცეების შექმნა.

თავი 3: ქართველი საბჭოთა გმირი სამყაროს წინააღმდეგ — სამეცნიერო ფანტასტიკა როგორც ქართული ეროვნული იდენტობის შემოქმედი

3.1. „ერთი მიწის შვილები“

მეტაგალაქტიკის ოთხი ცივილიზაციის შვილი კოსმოსური ფოტონური ქარიშხლისგან თავის შესაფარებლად დაუსახლებელი პლანეტის ზედაპირზე ეშვება. სანამ ქარიშხალი ჩადგება, გასაკეთებელი დიდად არაფერია, დრო კი გასაყვანია. მრავალ განსაცდელში გამობრძმედილი კაპიტნები უჩვეულო ამბების გახსენებით იქცევენ თავებს.

საუბარს პირველი კოსმონავტი იწყებს. ის მეტაგალაქტიკის პერიფერიაში მცხოვრებ ატლანტებთან შეხვედრის ისტორიას ჰყვება: ამ უაღრესად კარჩაკეტილ ცივილიზაციას მეტაგალაქტიკის გარშემო შემოვლებული ქაოსის გარღვევა და მის ადგილას ახალი გალაქტიკების შექმნა განუზრახავს, რათა გაფართოების პროცესში მყოფი კოსმოსი აფეთქებისგან იხსნას. ატლანტებს ბუნების დამორჩილება თურმე აქამდეც უცდიათ. მაშინ ისინი დედამიწაზე ცხოვრობდნენ და ატომზე ჩატარებული მათი ექსპერიმენტების შედეგად მიწის უდიდესი მონაკვეთი ოკეანეში ჩაძირულა. გადარჩენილ ატლანტებს დედამიწა სწორედ მაშინ დაუტოვებიათ და მეტაგალაქტიკის განაპირა სისტემაში გადასახლებულან.

ჯერი მეორე კოსმონავტისაა. ის იმ შემთხვევაზე ჰყვება, ახალგაზრდა ცივილიზაციის მქონე აბორიგენებმა ღმერთად რომ გამოაცხადეს: პლანეტა კაარზე კოსმონავტს ტირანთა ქვეშ დაბეჩავებული, „პრიმიტიული“ ხალხი დახვედრია და რადგან ზეციური ცივილიზაციების ეთიკური კანონი უცხო ცივილიზაციათა ისტორიულ განვითარებაში აქტიურ ჩარევას უკრძალავდა, მხოლოდ მოძღვრებითა და სამხედრო წვრთნით დაუჩქარებია კაარის ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების პროცესი.

მესამე კოსმონავტის ისტორია ლინზისებური გალაქტიკის მკვიდრებთან შეხვედრის ამბავს გვიყვება: უაღრესად გამრავლებულ ამ ელიფსოიდურ არსებებს მეზობელი ვარსკვლავური სისტემების გარდაქმნით ლინზისებური გალაქტიკის მიღმა დაუწყიათ თავიანთი სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მსგავსი

ექსპერიმენტები მილიონი წლის მერე მათი გალაქტიკის განადგურებას გამოიწვევს, მაგრამ ელიფსოიდებს ეს არ ანაღვლებთ — იმ დროისათვის მათ მეტაგალაქტიკის ექსპანსიის დაწყება აქვთ გადაწყვეტილი.

თხრობას მეოთხე კოსმონავტი, გივი ოძელი იწყებს: ერთხელ ის მზის სისტემის სიახლოვეს გაჩენილი უცნაური სივრცის დასაზვერად გაფრენილა და ქაოსის გავლის მერე სარკისებურ სამყაროში აღმოჩენილა. იქ ყველაფერი მისი რეალობის ანარეკლი დახვდომია და რადგან იდენტურ, მაგრამ ანტისამყაროთა შეხვედრა კატასტროფას გამოიწვევდა, მალევე დაბრუნებულა უკან, სამყაროთა შორის გაჭრილი ხვრელი კი ამოუვსია.

ისტორიები მოყოლილია, ქარიშხალი — ჩამდგარი. კოსმონავტებს დამშვიდობებისა და თავ-თავიანთ გზებზე გაფრენის გარდა არაფერი დარჩენიათ. თუმცა, მათ დღეს ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთეს: ქაოსი, რომელსაც ატლანტები იმორჩილებენ, ის დამცავი სივრცეა, რომელიც ორ საპირისპირო სამყაროს ერთმანეთთან შეხლისგან იცავს. ატლანტებს ვინმემ უნდა გააგებინოს, რომ ექსპანსია სასწრაფოდაა შესაჩერებელი, თორემ ისინი მხოლოდ დედამიწის ერთ კონტინენტს კი არა, მთლიან მეტაგალაქტიკას დალუპავენ. ამ მისიას გივი ოძელი კისრულობს. მას ხომ ატლანტებთან მშობელი პლანეტა აკავშირებს. ამგვარად, წარსულში საერთო მიწის ქონა უსაფრთხო მომავლის წინაპირობა ხდება.

3.2. სამეცნიერო ფანტასტიკის კოლონიური ფესვები

ზემოთ ნაამბობი ისტორია 1979 წელს გამოქვეყნებული მოთხრობიდანაა²¹⁰, რომელშიც შოთა გაგოშიძე უცხო სივრცეთა ათვისება-დაპყრობისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ცივილიზაციათა ურთიერთობების ტიპებს გვიხატავს. ამ ურთიერთობათაგან ზოგი მეტად მშვიდობიანია, ზოგი კი მეტად აგრესიული. ამის მიუხედავად, ყველა მათგანს ცენტრალური თემა — ახალი სივრცის დაპყრობის ნარატივი აერთიანებს. ამ მოთხრობის კითხვისას რთულია, თავი შეიკავო იმაზე ფიქრისგან, თუ რომელი გამოგონილი ცივილიზაცია რომელი რეალური პოლიტიკური ერთეულის ანალოგია: ვის განასახიერებენ ატლანტები, კაარელები თუ

²¹⁰ გაგოშიძე, შოთა (1979), „ერთი მიწის შვილები“, 116-159.

ელიფსოიდები? ცივი ომის ეპოქაში მარტივი მისახვედრია, რისი მეტაფორაა ორი სარკისებური სამყარო, რომელიც ერთმანეთთან შეჯახებისა და შედეგად მთლიანი მსოფლიოს განადგურების პირას არიან. თუმცა ამ მეტაფორის ზედაპირულობის გამო გაგოშიდის გაკრიტიკების სურვილი იმ გარემოების გათვალისწინებით ქრება, რომ ამბის ზოგადი გზავნილი თვალშისაცემად ანტიიმპერიალისტურია. „სხვა ცივილიზაციების“ „პრიმიტიულებად“ და „ველურებად“ მოხსენიების პრობლემურობა ცოტა ხნით გვერდით რომ გადავდოთ, ამბის მორალი მარტივად გადმოსაცემია: უცხო მიწების დაპყრობა ცუდი საქციელია. ამ გზავნილის მორალური სიმარტივის მიუხედავად, ამ სულისკვეთებით დაწერილი ტექსტებით ჟანრი ნამდვილად არ შემოიფარგლება და საპირისპირო პოზიციასაც ხშირად გამოხატავს. ამას თავისი ახსნა აქვს და ის, ისევ და ისევ, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ჩამოვყალიბოთ.

საზღვრის გადაკვეთა, უცხო მიწების აღმოჩენა თუ განსხვავებულ ევოლუციურ საფეხურზე მყოფ უცხო არსებებთან შეხვედრა სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრად ჩამოყალიბების პირველივე წლებიდანვე მის დომინანტურ ტროპებად — ინტერტექსტუალურად გამეორებულ თემად, მოტივად, სიუჟეტურ გადაწყვეტად — იქცა. საუბარია XIX საუკუნის დასაწყისზე, როცა ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მოპოვებული ტექნოლოგიური სიახლეების მეშვეობით დასავლურმა კოლონიურმა ექსპანსიამ ახალი ენერგიით განაგრძო უცხო მიწების ათვისება და მათზე მოსახლე ხალხების დამორჩილება. პრაქტიკული ღირებულების მხარდამხარ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლიც იკისრა: ის იმგვარი ცნობიერების ჩამოყალიბება-გამდიერების საფუძვლადაც იქცა, რომელზე დაყრდნობითაც იმპერიათა ცენტრებში მცხოვრებლებს ექსპანსირებულ კულტურათა მიმართებით საკუთარი უპირატესობის მტკიცება და, შედეგად, აგრესიული პოლიტიკის გამართლება შეეძლოთ. მსგავსი ისტორიული კონტექსტი და იმპერიალისტურ პრაქტიკასთან ჟანრის თემატური სიახლოვე გახდა იმის მიზეზი, რომ სამეცნიერო ფანტასტიკის რიგმა მკვლევრებმა მისი წარმოშობა სწორედ კოლონიურ პოლიტიკასა და მსოფლმხედველობას დაუკავშირეს²¹¹.

²¹¹ სამეცნიერო ფანტასტიკისა და კოლონიალიზმის ურთიერთკავშირის დეტალური აღწერისთვის იხილეთ: Rieder, John (2008) "Colonialism and the Emergence of Science Fiction"; Kerslake, Patricia (2007) "Science Fiction and Empire" და Langer, Jessica (2011) "Postcolonialism and Science Fiction".

მართლაც, ის ლიტერატურული ტრადიციები, რომლის წიაღშიც სამეცნიერო ფანტასტიკის პირველი ავტორები გამოჩნდნენ, იმპერიალისტური ამბიციების მქონე ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის (ცარისტული და შემდგომ საბჭოთა), იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების — კულტურებს მიეკუთვნებოდნენ. ბუნებრივი იყო, რომ ამ სახელმწიფოთა სამეცნიერო ფანტასტიკა პირველივე დღეებიდან იმ ცნებებით დაინტერესდა, რითაც კოლონიური იდეოლოგია იკვებებოდა. კულტურული თუ რასობრივი „სხვა“ აქ უცხოპლანეტელი გახდა, აღმოსავლეთის თუ სამხრეთის შეუსწავლელი მიწები — შორეული პლანეტები, მათი დაპყრობა კი — ის ცენტრალური პოლიტიკურ-მორალური დილემა, რომელზეც მხატვრული ტექსტის დრამატურგიისთვის აუცილებელი კონფლიქტი უნდა აგებულიყო. შესაბამისად, სამეცნიერო ფანტასტიკამ იმპერიალისტური მიზნების მქონე მმართველ ელიტებსა და საზოგადოების რიგით წევრებს შორის მარტივად აღსაქმელი და უმტკივნეულოდ გადასამუშავებელი შუამავლის როლი იკისრა. მშრალი პოლიტიკური დირექტივებისგან განსხვავებით, ამ ჟანრის უპირატესობა იმაშიც ვლინდებოდა, რომ აქ საზღვრების გაფართოების ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად ის რომანტიზებული ხიბლიც იხსნებოდა, რომელიც უცხო მიწის აღმოჩენასა და მის ეგზოტიცირებას ედო საფუძვლად. ეს კი, თავის მხრივ, დაპყრობის აქტის სასტიკი ბუნების იგნორირებით ხდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მცდარი იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს სამეცნიერო ფანტასტიკა ერთმნიშვნელოვნად კოლონიური იდეოლოგიის გამამყარებელი ყოფილიყო. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწერილ მოთხრობათა და რომანთა დიდი ნაწილი მილიტარისტული ექსპანსიის გასამართლებელი და კოლონიური იდეოლოგიის დამსაბუთებელი ტექსტები იყო, მაგრამ მსგავსი მიდგომა ჟანრის არსებობისთვის აუცილებელ მახასიათებელს ნამდვილად არ წარმოადგენდა. ამის დამადასტურებლად იმ ნაწარმოებთა გახსენებაც კმარა, სადაც კოლონიური ნარატივი ამ პრაქტიკის მახინჯი მხარის დანახვას ემსახურება. მაგალითად, ჰერბერტ უელსის 1897 წლის „სამყაროთა ბრძოლაში“²¹², ავტორი იმპერიული ცენტრის, ინგლისის, მასზე ტექნოლოგიურად განვითარებული მარსის ექსპანსიის მსხვერპლად წარმოჩენის

²¹² Wells, H. G. (2008).

მეშვეობით კოლონიებში მცხოვრები ადამიანების ჰუმანიზირებას ახდენს; ხოლო ჯექს ლონდონის 1918 წლის მოთხრობაში, „წითელი რამ²¹³“, ის ფაქტი, რომ უცხოპლანეტური ობიექტი ერთნაირად ამოუხსნელ გამოცანად რჩება როგორც კაციჭამია აბორიგენებისთვის, ისევე დასავლელი მეცნიერისთვის, დასავლოცენტრიზმის კრიტიკად შეიძლება მივიჩნიოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეცნიერო ფანტასტიკა განსაკუთრებულ ინტერესს კი იჩენს იმპერიისადმი, მაგრამ თავად ეს ინტერესი საკუთარ თავში მრავალ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას იტევს: „საი-ფაი ხელოვანები აგებენ ისტორიებს იმაზე, თუ რატომაა იმპერია სასურველი, როგორ მიიღწევა ის, როგორ ნარჩუნდება ის, როგორ რყვნის ის (რადგან ის აუცილებლად რყვნის), როგორ სუსტდება და ემხოზა ის, როგორ უმკლავდება ის მოქიშპე იმპერიალისტურ ძალებს, ან როგორ ეწინააღმდეგებიან მას²¹⁴.“ თუ ამ კუთხით შევხედავთ, სამეცნიერო ფანტასტიკა იმ კულტურულ იარაღად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომლის მეშვეობითაც ადამიანთა ცნობიერებაში მომხდარი ის ძირეული ცვლილებები იხსნება, რომლებიც კოლონიალურმა ეპოქამ მოიტანა.

ტექნოლოგიური, კულტურული თუ მორალური უპირატესობა სხვა ცივილიზაციებთან მიმართებაში, უცხო კულტურის მქონე არსებებთან ურთიერთობა, ახალი სივრცეების შექმნა და ათვისება ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის განმსაზღვრელი ტროპებიცაა. მსგავსი პასაჟების ანალიზი ჟანრის შიგნით იმ ახალი ქართული ეროვნული ცნობიერებისა და იდენტობის შექმნის მცდელობების გამოაშკარავებაში დაგვხმარება, რომლის დაბადებაც ქვეყანაში 1921 წელს წითელი არმიის შემოსვლით სახეცვლილ რეალობასთან მოსარგებად გახდა საჭირო. თუმცა, სანამ უშუალოდ ტექსტების პოსტკოლონიური დისკურსის შიგნით ანალიზზე გადავიდოდეთ, წინასწარ რამდენიმე თეორიული საკითხისა და მიდგომის განმარტება და დაზუსტება არის საჭირო.

მართალია, საბჭოთა კავშირის კოლონიურ იმპერიად აღქმა-გაანალიზებას თავისი მოწინააღმდეგეები ჰყავს²¹⁵, თავად პოსტკოლონიური თეორია არაა

²¹³ London, Jack (2017).

²¹⁴ Csicsery-Ronay, Istvan Jr. (2003), 236.

²¹⁵ საბჭოთა იმპერიაზე საუბარი, როგორც წესი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ანალიზისას ჩნდება. მაგალითისთვის, ვლადისლავ ზუბოვის მტკიცებით, სწორედ ამ დროს მოიკიდა ფესვები საბჭოთა ელიტაში საბჭოთა კავშირის გლობალურ იმპერიად ქცევის ამბიციამ. თუ „სამამულო

შეზღუდული კონკრეტული ისტორიული კონტექსტით და ზოგადად, დამპყრობლისა და დაპყრობილის უთანასწორო ურთიერთობის ანალიზით ინტერესდება. როგორც პოსტკოლონიური სწავლების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკი ამბობს, „როცა უცხო ერი-სახელმწიფო საკუთარ თავს მმართველად ადგენს, თავისი კანონები და საგანმანათლებლო სისტემა შემოაქვს და წარმოების საშუალებებს პირადი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად ცვლის, ტერმინები ‘კოლონიზატორი’ და ‘კოლონიზებული’ შეგვიძლია გამოვიყენოთ“²¹⁶ ამიტომ, მოცემული ნაშრომის საკვლევი საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პოსტკოლონიური ჩარჩოს გამოყენება გამართლებულია: რადგან ჩვენ პოლიტიკურად ექსპანსირებული ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას ვაანალიზებთ და მასში იმ პასაჟებს ვეძებთ, სადაც დამპყრობლისადმი დამოკიდებულების ტიპების ამოკითხვაა შესაძლებელი, ცენტრი-პერიფერიის ბინარული წყვილის ედვარდ საიდისეული ხედვა ხელსაყრელი მეთოდოლოგიური გასაღებით გვამარაგებს. ამასთან, რადგან კოლონიური კულტურის წიაღში შექმნილი მხატვრული ტექსტები იმპერიალისტური პოლიტიკის პროცესის ნაწილადაც აღიქმება, ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში შესაბამისი თემატიკის მქონე პასაჟების კვლევა გაცდება წმინდა ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრებს და რუსეთ-საქართველოს არაერთგვაროვან ურთიერთობაში ერთი დამატებითი შრის დანახვის შესაძლებლობას მოგვცემს. მაგრამ, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საიდისეული ბინარულობა იმპერიის ბუნების შესასწავლად გამოიყენება და პერიფერიის თვითიდენტიფიკაციის

ომამდე” კორენი ზაცის პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვა-აღორძინებას ითვალისწინებდა, ომის მერე რუსოცენტრული პოლიტიკა გამოიკვეთა. მაშინ, როცა ლენინის იდეოლოგია იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამ პერიოდიდან დაწყებული მსგავსი დამოკიდებულება მხოლოდ პლაკატებსა და ლოზუნგებს შემორჩა, რეალობაში კი იმპერიის მშენებლობა დაიწყო. ამ პოლიტიკას ზუბოვი რევოლუციურ-იმპერიალისტურ პარადიგმას უწოდებს და ამტკიცებს, რომ სწორედ მსგავსი ხედვა წარმოადგენდა საბჭოთა ელიტის კოლექტიური იდენტობის ბაზისურ ელემენტს სტალინის მმართველობიდან მოყოლებული „პერესტროიკის“ წლებამდე. მსგავსი იმპერიალიზმის პრაქტიკულ გამოვლინებებად მკვლევარი ცივი ომის პერიოდის იმ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას სახავს, რომელსაც იდეოლოგიურ ბაზისად რუსეთის, როგორც სამყაროს მხსნელის, ეროვნული ნარატივი ედო. პრაქტიკაში ეს ხედვა, ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, მეორე მხრივ კი, აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფიზიკურ თუ იდეოლოგიურ ექსპანსიაში ვლინდებოდა (Zubok, Vladislav M. (2009) “A Failed Empire: The Soviet Union in the Cold War from Stalin to Gorbachev”, 336-344). საბჭოთა კავშირის იმპერიალისტურ მისწრაფებებს ასევე აანალიზებენ Hirsch, Francine (2005) “Empire of Nations”; Maier, Charles S. (2007) “Among Empires” და სხვები.

²¹⁶ Spivak, Gayatri Chakravorty (2006), 828.

პრობლემით არ ინტერესდება. საიდისთვის კოლონიის იდენტობა დასავლური წარმონაქმნია, რომელთან დაპირისპირებითაც ის საკუთარ თავს განისაზღვრავს²¹⁷. ჩვენ კი პერიფერია გვაინტერესებს — თანაც, მერყევი ცენტრის მქონე პერიფერია — და მისი ბრძოლა თვითგამორკვევისათვის²¹⁸.

სიტუაციას ის ართულებს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტების პოსტკოლონიური დისკურსის შიგნით ანალიზის დროსაც ყურადღება, როგორც წესი, იმპერიულ ცენტრზეა ხოლმე გადატანილი. მსგავს კვლევებში კოლონიური ნარატივების ანალიზი დასავლური კულტურის პერსპექტივიდან ხორციელდება და მიზანი იმ კავშირების გამომჟღავნებაა, რომლებიც ისტორიულ მოვლენებსა და ამ მოვლენების ამსახველ, — ან თუ ედვარდ საიდის პოზიციას მივემხრობით, ამ მოვლენების თანამონაწილე, — კულტურას შორის არსებობს²¹⁹. შესაბამისად, სამეცნიერო ფანტასტიკის ტექსტების შესწავლისას ხშირად კითხვები იმპერიის პოზიციიდან ისმება და მათზე პასუხებიც იმავე იმპერიის ბუნების უკეთ გასაგებად თუ გამოდგება. რადგან ჟანრი სწორედ დასავლურ კულტურებში შეიქმნა და საფუძვლადაც მას სამყაროს დასავლური აღქმა უდევს, ეს ტენდენცია მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს. მაგრამ ფაქტია, რომ სამეცნიერო ფანტასტიკას პერიფერიებიც ქმნიდნენ და ქმნიან. ისიც ფაქტია, რომ ამ ტექსტებში კოლონიური თემატიკა

²¹⁷ Said, Edward W. (1979), 3,12.

²¹⁸ იმგვარი ჩვენ/სხვა დიქტომია, სადაც საქართველო პოლიტიკურად დაჩაგრულ „სხვას“ წარმოადგენს, კი არის ამ თავის საბაზისო დაშვება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ქართული ეროვნული იდენტობა მხოლოდ ამ ფორმულის შიგნით ნამდვილად არ განისაზღვრებოდა. მაგალითად, 1923 წლის რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე იოსებ სტალინმა განაცხადა, რომ საქართველოს ნაციონალური შოვინიზმი, რომელიც, თავის მხრივ, რუსული შოვინიზმისგან დასაცავ მექანიზმადაც მუშაობდა, ხშირად საქართველოს საზღვრებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებების შევიწროებას იწვევდა. იმავე 20-იან წლებში ნიკო მარი ქართველების მიერ აფხაზების ეროვნული იდენტობის ნიადაგზე ჩაგვრაზე საუბრობდა. მაშინ, როცა ერთმნიშვნელოვნად უსამართლო იქნებოდა რუსული იმპერიალისტურ ამბიციებსა და ქართულ ნაციონალიზმს შორის ტოლობის ნიშნის დასმა, არც იმაზე თვალის დახუჭვაა გამართლებული, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ შოვინისტური დამოკიდებულებები და დისკრიმინაციის ფაქტები ისტორიულადაა დადასტურებული. ამიტომ მაშინ, როცა ნაშრომის ამ თავში ჩვენ საქართველოს დამორჩილებულ პერიფერიის სტატუსით ვაანალიზებთ, მნიშვნელოვანია გაცნობიერებული გვექნდეს ის მრავალშრიანი პოზიცია, რომელიც ქვეყანას კავკასიის სხვა ხალხებთან მიმართებით ეკავა (საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ ათწლეულებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მის შიგნით მოსახლე ეთნიკური თუ ეროვნული უმცირესობების ურთიერთობებზე იხილეთ: Martin, Terry (2001) “The Affirmative Action Empire” და Tolz, Vera (2011) “Russia’s Own Orient”).

²¹⁹ იმპერიალისტური პოლიტიკისა და კულტურის ურთიერთკავშირზე იხილეთ Said, Edward W. (1994) “Culture and Imperialism”.

მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და მსგავსი თემატიკის შემცველი პასაჟები განსხვავებული ტიპის ანალიზს საჭიროებს და ამ მხრივ პოსტკოლონიური სწავლების შიგნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე იდგმება.

თუმცა როგორც ჯესიკა ლანგერი აღნიშნავს, რადგან პოსტკოლონიური კრიტიკა დასავლეთ-აღმოსავლეთის — ოქსიდენტ-ორიენტის — ურთიერთობაზე კონცენტრირდება, არ არსებობს საკმარისი ლიტერატურა, რომელიც არადასავლური იმპერიალიზმისა და იმ კოლონიების შესახებ ისაუბრებს, იმ გამოცდილებას შეისწავლის, რომელიც აღმოსავლეთიდან ან ჩრდილოეთიდან წამოსული ექსპანსიის მსხვერპლი იყო და/ან რომლის მოსახლეობაც მშობლიური მიწიდან არსად გადაუსახლებიათ. სწორედ ამ ვაკუუმის ამოვსება აქვს მიზნად ლანგერს, როცა კანადის აბორიგენი მოსახლეობის სამეცნიერო ფანტასტიკას პოსტკოლონიური დისკურსის შიგნით აანალიზებს. მისი განმარტებით, ანექსირებულ ხალხებში დეკოლონიზაციის პროცესი იწყება კოლონიად ქცევის მომენტიდან და ამ პერიოდის განმავლობაში კოლონიზებული ხალხი იმპერიისგან დამოუკიდებელ იდენტობას ქმნის. ამ პროცესში, ლანგერის თქმით, სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლები და რეჟისორები უნიკალურ როლს თამაშობენ, რაშიც ჟანრის თავისებურება უწყობთ ხელს²²⁰. ამ თავის მიზანიც ესაა: დავინახოთ, რა ხდება, როცა პერიფერია — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — ცენტრის — რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — მიბაძვით, სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტების შიგნით კოლონიური ნარატივების შექმნას იწყებს.

პატრიცია კერსლეიკი ცენტრის მიერ პერიფერიის შექმნის პროცესს ახასიათებს როგორც ცალმხრივ ქმედებას, სადაც „სხვას“ პასიური ობიექტის როლი აქვს და მას ის თავისებურებები მიეწერება, რომელთა საკუთარ თავში დანახვის სურვილი ცენტრს არ გააჩნია²²¹. მაგრამ როცა მსგავს პერიფერიას იმპერიის მიერ დამორჩილებული კოლონია ქმნის, ის „ნახევრად-წარმოდგენილი და ნახევრად-გაცნობილი მონსტრები²²²“, რომლებთან შეპირისპირებაშიც იგება ცენტრის იდენტობა, სარკვეში ჩახედვის, საკუთარი ჩაგრული მდგომარეობისთვის თვალის გასწორების მტკივნეულ

²²⁰ Langer, Jessica (2011), 8-11.

²²¹ Kerslake, Patricia (2007), 9.

²²² Said, Edward W. (1979), 63.

პროცესს ემსგავსება. მეორე მხრივ, როცა ცენტრის მიერ ხარ განსაზღვრული როგორც „სხვა“, ამ ბინარულობისგან დამოუკიდებლად საკუთარი თავის პოვნა, საკუთარი ცენტრის შექმნა, თვითგადარჩენის წინაპირობა ხდება. და რადგან შეუძლებელია, იყო ცენტრი, თუ არ გაქვს შენი კუთვნილი პერიფერია, ის უნდა ფანტაზიებში წარმოიდგინო. და ვინ ქმნის ყველაზე დამაჯერებელ არარსებულ სივრცეებს და ვინ ასახლებს ამ სივრცეებს ერთდროულად ყველაზე ფანტასმაგორიული და ყველაზე რეალისტური, საშიში და მიმზიდველი, ამოუხსნელი და მაინც საოცრად ახლობელი უცხო არსებებით, თუ არა სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი.

კანადაში მცხოვრები აბორიგენი ავტორების მიერ შექმნილი სამეცნიერო ფანტასტიკის ტექსტების ანალიზისას ჯესიკა ლანგერი ამტკიცებს, რომ მწერლებმა თავიანთი ნაწერებით აბორიგენ ხალხთა ეროვნული იდენტობის განმტკიცება შეძლეს. მათ ამ ტექსტებით კოლონიზატორებისგან მომავალი გამოიხსნეს, რადგან ის ისეთი იდენტობის მქონე ადამიანებით დაასახლეს, როგორებადაც საკუთარ თავებს თავად აღიქვამდნენ²²³. სამწუხაროდ, იმ ტექსტების ანალიზისას, რომლებიც ისეთი უნიკალური პოლიტიკური ექსპერიმენტის შიგნით იქმნებოდნენ, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, მსგავსი მიდგომის გამოყენება დროის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა. როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლებამ, ისტორიული მატერიალიზმის მარქსისტულ მოდელზე დაყრდნობით, ძალაუფლების მოპოვების პირველივე წლებიდან დაისაკუთრა მომავალი. ეს მომავალი მკაცრად იყო განსაზღვრული და მხოლოდ იმ ადამიანებით იყო დასახლებული, რომლებიც პარტიის მიერ წინასწარგანსაზღვრულ თვისებებსა და მსოფლმხედველობას ფლობდნენ. ამ მომავლის გამოხსნის, ალტერნატიული ხედვის შექმნის მცდელობა რეჟიმის განსაკუთრებული გამკაცრების პერიოდებში მწერლისთვის ხვალინდელ დღესთან გამომშვიდობების საფრთხესაც კი შეიცავდა.

საბჭოთა კავშირის მომავალი აწმყოშივე არსებობდა და მასში მხოლოდ ერთი ტიპის აზროვნების მქონე ადამიანთათვის იყო ადგილი. ამ ხედვის ნებისმიერი სახის თვითნებური კორექცია ცენზურის მახვილ თვალს ძნელად თუ გამოეპარებოდა. შესაბამისად, სოციალისტური რეალიზმის ის ქვეყანარი, რომლის მთავარი ინტერესიც კაცობრიობის მომავალი იყო, ამ მომავლის პარტიისეულ წარმოდგენებს უნდა

²²³ Langer, Jessica (2011), 45.

დამორჩილებოდა. საბჭოთა პერიოდში გამოცემული ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, მართალია, ამ წარმოდგენების მიღმა იშვიათად თუ გადის, მაგრამ მათ შიგნით დაშვებული ტროპების უჩვეულო გადათამაშებით სამყაროს ისეთი მოდელების კონსტრუირებას ახერხებს, როგორშიც საქართველო კომუნისტური ცივილიზაციის შემქმნელადაა დახატული, რუსეთი კი ან სრულიად უჩინარდება, ან თანასწორ სახელმწიფოებრივ ერთეულად ფიგურირებს.

3.3. სამყაროს ცენტრში მდგომი ქართველი გმირი

ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა სოციალისტური რეალიზმის კანონებს ემორჩილებოდა. სწორედ ამიტომ მასში წარმოსახული ქართული იდენტობა სუვერენიტეტის ჩამომრთმევ პოლიტიკურ ცენტრთან, რუსეთთან, დაპირისპირების ნაცვლად, მასთან მიმსგავსებით იძერწებოდა. როცა პერიფერია თავს ცენტრად წარმოაჩენს, იქმნება კონსტრუქტი, რომელსაც ჰომი ბაბა ჰიბრიდულ იდენტობას უწოდებს. მსგავსი იდენტობის მქონე ადამიანები ორმაგი ცნობიერების მქონენი არიან — ისინი ცენტრისა და პერიფერიის შესაყარზე არსებობენ და საკუთარ დაქვემდებარებულ მდგომარეობას რიგი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მოქმედებებით ნიღბავენ²²⁴. ცენტრთან პერიფერიის გაიგივების პრაქტიკას ჰომი ბაბა მიმიკრიას უწოდებს. ფრანგი ფსიქოანალიტიკოს ლაკანისგან ნასესხები ეს ტერმინი პოსტკოლონიურ ლიტერატურაში განიმარტება როგორც კოლონიზებული ხალხის მიერ დამპყრობლის ქცევის, დამოკიდებულებების, ენის და კულტურის საკუთარ კუთვნილებად წარმოჩენის პროცესი.

თუმცა, ბაბა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიმიკრიის მიზანი არაა დამპყრობლის იდენტობის მიღება საკუთრის გამეგების ხარჯზე; ამ ქმედების მიზანი კამუფლაჟია, ანუ თავის მოჩვენება, რომ დამპყრობლის იდენტობის ნაწილი ხარ. ჰომი ბაბა მიმიკრიას დიდ პოლიტიკურ ძალას ანიჭებს: მისი მტკიცებით, ამ ქმედებას იმპერიისთვის ძირის გამოთხრის პოტენციალი აქვს, რადგან მისეული ცივილიზებული მისიის მიღმა მდგარ სიმართლეს — ეკონომიკური გამორჩენის სურვილს — ააშკარავებს: იმპერიას მხოლოდ იქამდე შეუძლია განმანათლებლის

²²⁴ Bhabha, Homi K. (1985), 144-165.

როლის თამაში, სანამ მის კოლონიებში მცხოვრებთა შედარებით განუვითარებლობას უსვამს ხაზს. ხოლო როცა დაპყრობილი დამპყრობლის სამოსს ირგებს, შედეგად კოსტიუმირებული ფარსი იდგმება. “მიმიკრიასა და დაცინვას შორის არსებული ეს სივრცე არის ის ადგილი, სადაც [ცენტრის] რეფორმირების და ცივილიზაციის შეტანის მისიას საფრთხე მისი დისციპლინური ორეულის უკან დაბრუნებული მზერის შედეგად ემუქრება”²²⁵.

ცენტრთან მიმსგავსების სურვილი მხოლოდ ისეთი ცნობიერების მქონე ადამიანში შეიძლება გაჩნდეს, რომელსაც ამ ცენტრისადმი გარკვეული სიმპათიები თუ არა, მისგან რაღაც ტიპის გამორჩენის მოლოდინი მაინც აქვს. დამპყრობლის მიმართ მსგავსი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომელიც ერთდროულად იტევს ასიმილაციისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილს, ტერმინით „ამბივალენტურობა” განისაზღვრება. საბჭოთა რუსეთის მიმართ საქართველოს მოქალაქეთა ამბივალენტური დამოკიდებულების მთავარი ხაზი სტალინის ფიგურაზე გადიოდა. საბჭოთა ბელადის ქართული წარმომავლობა ათწლეულების განმავლობაში კვებავდა იმ წარმოდგენას, რომ საქართველო, კავკასიისა თუ აზიის სხვა სოციალისტური რესპუბლიკებისგან განსხვავებით, კულტურულად და პოლიტიკურად დაწინაურებულ პოზიციაზე იდგა და განვითარების დონით ცენტრს, რუსეთს უთანაბრდებოდა. რადგან საქართველოს საკუთარი უნიკალური და მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობითა და დამწერლობით სიამაყე შეეძლო, რუსეთთან მიმსგავსების სურვილი იმაში ვლინდებოდა, რომ საკუთარ თავს ცენტრის შესაბამის პოლიტიკურ ძალაუფლებასა და დამოუკიდებლობის ხარისხს აწერდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაშიც ცენტრთან მიმსგავსების სურვილი მოსკოვის დირექტივებისგან დამოუკიდებელი პირადი და პოლიტიკური ნებელობის მქონე გმირებში გამოიხატა.

მსგავსი გმირების არაერთგვაროვანი იდენტობის თვალსაჩინო გამოვლინებაა ის, რომ ისინი ყოველთვის ტექნოლოგიურად განვითარებული ცენტრის სახელით მოქმედებენ. ისეთ შორეულ მომავალშიც, სადაც ეროვნული სახელმწიფოებიც კი წყვეტენ არსებობას, ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და გარეგნობას ეს გმირები

²²⁵ Bhabha, Homi K. (1994), 86.

ჯიუტად ინარჩუნებენ. მაგალითად, ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობაში, „თეთრი უსასრულობა“²²⁶, აღწერილია დრო, როცა დედამიწაზე ეროვნული საზღვრები მოშლილია, მეცნიერება კი ისეა განვითარებული, რომ გენეტიკური მოდიფიკაციის გზით ფიზიკურად და ფსიქიკურად სრულქმნილი ადამიანები იბადებიან. მიუხედავად ამისა, მთავარი გმირის, ალან კოლხის გარეგნობის აღწერისას ავტორი მიგვანიშნებს, რომ ბუნებრივი სრულყოფილება, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ქართველობასთან იგივედება, კორექტირებას არ საჭიროებს:

ნავარჯიშევი, მხრებგანიერი და სხარტი [ალან კოლხი] მუდამ გრძნობდა საკუთარი სხეულის სრულყოფილობით გამოწვეულ სიამოვნებას. სახეც მიმზიდველი ჰქონდა, პლანეტაზე მოსახლეობის მიგრაციის დიდ ნიაღვარს ვერ წაეშალა მის არსებაში ქართული მემკვიდრეობა: ოდნავ მოღუნული თხელი ცხვირი, გადაბმულ წარბებს ქვემოდან ჯიქურ მომზირალი თაფლისფერი თვალები და მუქი წაბლისფერი თმა-წვერი.²²⁷

ჩვენ სწორედ მომავალში დასახლებული ამგვარი ქართველი გმირების იდენტობის ანატომია გვაინტერესებს და იმ წარმოსახული რეალობების შემადგენელი ნაწილაკების გამოცალკევება გვინდა, რომლებიც მსგავსი იდენტობის არსებობას შესაძლებელსა და სარწმუნოს ხდის. ამისათვის უნდა ვნახოთ, რას წარმოადგენს ის ცენტრი, რომლის წარმომადგენელიცაა ქართველი გმირი; ვინაა მისი ანტაგონისტი და როგორია ის სივრცე, რომელშიც ის სახლობს; როგორ პოულობს საერთო ენას მთავარი გმირი ამ უცხო არსებებთან ან რა გზებით უპირისპირდება მათ, როცა ცივილიზაციათა შორის იმხელა ნაპრალი ჩნდება, რომლის ამოვსების მცდელობაც ჩანასახშივე წარუმატებლობისთვისაა განწირული. ამ კითხვებზე პასუხების პოვნა იმ ახლებური ქართული იდენტობის თავისებურებების დანახვაში დაგვხმარება, რომლის შექმნაც, პოლიტიკური დამოუკიდებლობის არქონის პირობებში, ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად გახდა საჭირო.

ეს იდენტობა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში პარტიის იდეოლოგიით ნაკარნახევი ჩარჩოების შიგნით მოქცეულ და ინტერტექსტუალურად განმეორებულ მხატვრულ გადაწყვეტებში ვლინდება. კერძოდ, ცივილიზებული ცენტრი, რომელსაც ქართველი გმირი განასახიერებს, ფორმით ყოველთვის კომუნისტურია და სხვა ცივილიზაციებთან მიმართებაში თუ ტექნოლოგიური არა, მორალური უპირატესობით მაინც ყოველთვის სარგებლობს. მსგავს ჰომოგენურ

²²⁶ მერაბიშვილი, ელგუჯა (1978), „თეთრი უსასრულობა“, 103-147.

²²⁷ იქვე, 105.

სისტემაში მხოლოდ ქართველი ინარჩუნებს თავის უნიკალურად ეროვნულ შტრიხებს და ეს უნიკალურობა ხდის მას იმის ღირსად, რომ ნაწარმოების პროტაგონისტად მოგვევლინოს. ქართველი პერსონაჟის სიღრმე, ხასიათის სპეციფიკური მახასიათებლები და პიროვნული ღირსებები, რომლებითაც ის თავისი ამხანაგებისგან თუ მტრებისგან გამოირჩევა, ყოველთვის ქართული ცნობიერების ქონასთანაა მიბმული.

ესაა მიზეზი იმისა, რომ ქართველ გმირს დედამიწა თუ ენატრება, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზედაპირზე კავკასიონის ქედებს შორის მოქცეული საქართველო ეგულება. ეს გარემოება მის ქმედებებს ყველა სხვა მოქმედი პირისგან გამორჩეულ მოტივაციას აძლევს, რადგან მხოლოდ მას აქვს ღირსეული მიზეზი, იბრძოდეს სახლში მშვიდობიანად დაბრუნებისთვის. რაც უნდა შაბლონურად ქართული იყოს მისი ხასიათის ეს დამატებითი შრე, ის საკმარისია იმისათვის, რომ პერსონაჟთა უეროვნებო, ჰომოგენური მასიდან გამოცალკევდეს როგორც გმირი, რომელიც ყველა ტიპის გასაჭირს თავის ეროვნულ იდენტობაში ჩაკირული ამა თუ იმ თვისების, ერთგვარი მაგიური ინგრედიენტის, ხარჯზე სძლევს. მაგალითად, მოთხრობაში „აიას მძივი“²²⁸, კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის ორივე წევრი, ქართველი ვილენ მესხი²²⁹ და ეროვნების არმქონე ადამ კონი, „კოსმოსური ნოსტალგიით“ სასიკვდილოდ ავადდება²³⁰. ის, თუ რა ენატრება თითოეულ გმირს, ანუ რა სიმპტომით გამოიხატება მათი ავადმყოფობა, განაპირობებს მათ გამძლეობას ამ დაავადების მიმართ: ადამს ყანაში მოსეირნე გულისწორის, ლუსიას ზმანება ტანჯავს: „არფის მზინავი სიმებივით გაშლოდა ლუსიას ქარით აწეწილი თმები, ნელი რწევით მოდიოდა, ლამაზი გრძელი თითებით ოდნავ ეხებოდა არფის მზინავ სიმებს და აპრილში აფეთქებული ატმების სილამაზეზე, პირველ სიყვარულზე მღეროდა...“²³¹.

ამ დროს კი ვილენს სატრფოს ნაცვლად თბილისზე ეფიქრება. მის მოგონებებში ქალაქი პერსონიფიცირებულია, ის მისი მიჯნურია, რაც იმით გამოიხატება, რომ

²²⁸ აიად უძველეს მითებში კოლხეთის სამეფოა მოხსენიებული. მოთხრობაში მერაბიშვილი ამ სახელს უცხო პლანეტაზე არსებულ უტოპიურ სახელმწიფოს არქმევს, რითაც ქართული კულტურის გამორჩეულობას ესმება ხაზი.

²²⁹ სახელი ვილენი, რომელსაც საბჭოთა პერიოდის საქართველოში არქმევდნენ ბავშვებს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის აბრევიატურა გახლავთ.

²³⁰ მერაბიშვილი, ელგუჯა (1978), „აიას მძივი“, 174-202.

²³¹ იქვე, 178.

ვილენის მოგონებებში გაცოცხლებული თბილისი იმავე ინტიმური ენით არის აღწერილი, როგორც ლუსია. „[...]მზიანი დილა თბილისში, ჩრდილის ჩუქურთმები ქვაფენილზე... დანამული ელბაქიდის დაღმართი, მოჩურჩულე გოგოები ხიდზე, პარაპეტზე მიტოვებული გადამლილი წიგნი...”²³², — ასეთია ქართველი გმირის ზმანება. და თუ ადამს ლუსიას მონატრება სიკვდილის პირა აგონიაში აგდებს, ვილენისთვის თბილისი ძალების მოკრებისა და სიკვდილთან შეუდრეკელი ბრძოლის სტიმული ხდება. მოთხრობის ბოლოს მერაბიშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მშობლიური მიწის მნიშვნელოვნებას ქართველი გმირისთვის, როცა ვილენი, ადამისგან განსხვავებით, უტოპიური ცივილიზაციით დასახლებულ პლანეტა აიაზე დარჩენას იუარებს და იქ გაცნობილ თავის გულისწორსაც უყოყმანოდ ტოვებს იმისათვის, რომ დედამიწაზე დაბრუნდეს.

რაც უფრო შორეულ კოსმოსში იჭრება ქართველი გმირი, მით უფრო ფართოვდება იმ ცენტრის საზღვრები, რომელსაც ის წარმოადგენს; რაც უფრო შორეულ მომავალში იდებს ის ბინას, მით მეტი დაჟინებით ქრებიან დედამიწაზე არსებული კულტურები და ეროვნებები. მაგრამ მაშინაც კი, როცა საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობს, მისი კულტურული მახასიათებლები მთავარ გმირშია პერსონიფიცირებული. ნუგზარ აფხაზავას მიერ შექმნილი XXV საუკუნის სამყაროში, რომლის პროტაგონისტიც ქართველი გმირი კოსმონავტი, უტა ფაზიაა, ეროვნულად ჰომოგენური დედამიწა „ირმის ნახტომის NR ასოციაციის“ წევრია²³³. საქართველო, როგორც გეოგრაფიული ტოპონიმი, აღარ არსებობს, თუმცა დედამიწამ განვითარების იმ დონეს, რომელმაც ის ასოციაციის წევრობის ღირსი გახადა, სწორედ საქართველოს თაოსნობით მიაღწია. მკითხველი მალევე იგებს, რომ ვერეს ხეობაში, თბილისის ახლოს, XX საუკუნის 80-იან წლებში აშენებულ ქალაქ სადარისსში დაარსებულმა „ფოლადაურის სკოლამ“ გამოზარდა ის თაობა, რომელიც კოსმოსში გაიჭრა და სხვა ცივილიზაციებთან კონტაქტი დაამყარა²³⁴. ნიშანდობლივია, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებული უტა თავს არა ქართული,

²³² იქვე, 176.

²³³ აფხაზავა, ნუგზარ (1980) „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“.

²³⁴ იქვე, 10.

არამედ „ძველი კოლხური“ კულტურის შთამომავლად მიიჩნევს, რაც მისი ეროვნული მიკუთვნებულობის აპოლიტიკურ ხასიათს უსვამს ხაზს.

ქართველობის განსაკუთრებულობის კულტურულ — და არა პოლიტიკურ — სიბრტყეში წარმოჩენა საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმის გამოვლენის ის უკიდურესი ზღვარი იყო, რომლის იქით გადაბიჯებაც სისტემისთვის საშიში პოზიციის გამოვლინებად აღიქმებოდა. თუ არ ჩავთვლით ივანე ყიფიანის 1936 წლის რომანს, „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, ეს საბედისწერო ნაბიჯი სამეცნიერო ფანტასტიკის არც ერთ ქართველ მწერალს არ გადაუდგამს. ნიშანდობლივია, რომ ყიფიანის ტექსტშიც საქართველო დედამიწის უეროვნებო, კომუნისტური საზოგადოების შემქმნელადაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი „მთელი ქვეყნის უმშვენიერესი გეოგრაფიულ კუთხედ“ გახდომა ქართველი პროტაგონისტისთვის, მეოცე საუკუნიდან ოცდამეათე საუკუნეში უცაბედად აღმოჩენილი გიორგისთვის, „არავითარ ნუგეშს არ წარმოადგენს“²³⁵.

3.4. დასავლეთი როგორც ეგზოტიკური სხვა

რადგან „სხვის“ შექმნა საკუთარი თავის განსაზღვრის აუცილებელი პირობაა, ქართველი სამეცნიერო ფანტასტიკური გმირის იდენტობის სრულყოფილად წარმოსაჩენად იმასაც უნდა შევავლოთ თვალი, თუ ვინ მოიაზრება მის ანტაგონისტად. დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციაში სამეცნიერო ფანტასტიკური „უცხო“, — იქნება ის უცხო პლანეტის მკვიდრი თუ ადამიანის ხელით შექმნილი რობოტი, ხელოვნური ინტელექტი ან სხვა ტიპის ჰიბრიდული არსება, — როგორც წესი, საზოგადოების მარგინალიზებული ჯგუფის მხატვრულ პროტოტიპს წარმოადგენს ხოლმე: „ტრადიციულად, სამეცნიერო ფანტასტიკური უცხოპლანეტელები იძერწებიან ‘უცხოობის’ იმ გარკვეული პრაქტიკული კატეგორიებისგან, რომლებიც კულტურის დომინანტი წარმომადგენლების გაოცებულ ინტერესს იწვევენ. ესენია ბავშვები, ქალები (და ზოგჯერ კაცებიც), მანქანები, მარგინალიზებული ხალხი,

²³⁵ ყიფიანი, ივანე (1987) „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, 256-257.

ცხოველები და 'ანომალიური გენდერები'.²³⁶ მსგავსი „უცხო“ ორ საპირისპირო მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს: ჩაგრულ მდგომარეობას წარმოაჩენდეს როგორც ნორმას და ამ გზით განამტკიცებდეს სტატუს-კვოს, ან პირიქით — მჩაგვრელი პრაქტიკის უსაფუძვლო და არასაჭირო სისასტიკის წარმოჩენით ებრძოდეს მას.

პირველი ტიპის სამეცნიერო ფანტასტიკისთვის „ერთადერთი კარგი უცხოპლანეტელი მკვდარი უცხოპლანეტელია²³⁷“, მეორე ტიპისთვის კი ავტორი უცხოს ჰუმანიზებას და იმ მახასიათებლების წარმოჩენას ცდილობს, რაც „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის ერთი შეხედვით შეუმჩნეველ მსგავსებებს შესამჩნევს გახდის. ამ ორივე შემთხვევაში ტექსტი იწერება პრივილეგირებულის, ანუ „ჩვენ-ის“ პოზიციიდან და ამ პრივილეგირებულების ბუნების და ზოგჯერ მისთვის დამახასიათებელი პრობლემების გაშიშვლებას ისახავს მიზნად. ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკისთვის ეს მიზანი მიუღწეველი ფუფუნებაა. ქართული საბჭოთა იდენტობა რეალობაში პოლიტიკურად დაქვემდებარებულ პოზიციაში მყოფ, პერიფერიულ „სხვას“ წარმოადგენს და ტექსტში ფანტასტიკური ელემენტი უცხოპლანეტელის გამოჩენით კი არა, საქართველოს ცივილიზაციის ცენტრად წარმოჩენისთანავე შემოდის — სწორედ ამ მომენტიდან წყდება რეალისტური თხრობა და მკითხველი გამოგონილ სამყაროში აბიჯებს. შესაბამისად, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის დამახასიათებელი ანტაგონისტების ბუნების გარკვევა დაგვანახებს არა იმას, თუ რეალობაში როგორი იყო ქართული საბჭოთა იდენტობა, არამედ იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის იდეალურ ვარიანტში; „უცხო“ ამ ტექსტებში არა უკვე არსებული იდენტობის დეკონსტრუქციას ემსახურება, არამედ — ჯერ არარსებული იდენტობის კონსტრუქციას.

საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში ორი ტიპის ანტაგონისტი გვხვდება: პირველი, რომელსაც ამ ნაშრომში პირობითად „უცხოთი“ მოვიხსენიებთ, ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი „არა-ადამიანია“ (უცხოპლანეტელი, რობოტი, კიბორგი, ჰიბრიდი); მეორე კი, რომელსაც „სხვათი“ მოვიხსენიებთ, საკუთრივ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკისათვისაა დამახასიათებელი და დასავლელი ადამიანის ტიპურ რეპრეზენტაციას წარმოადგენს.

²³⁶ Csicsery-Ronay, Istvan Jr (2008), 200.

²³⁷ Le Guin, Ursula K. (1992), 94.

დასავლელის დეჰუმანიზაცია და ზოგ შემთხვევაში დემონიზებაც კი ამ ტიპის ქართულ ლიტერატურაში 50-იანი წლებიდან იწყება — მაშინ, როცა ცივი ომისეული დაძაბულობა პიკს აღწევს. ამასთან, როცა საბჭოთა იდეოლოგიისადმი ბრმა ერთგულების ხარისხი ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში ტექსტიდან ტექსტამდე მერყეობს, კაპიტალისტური სამყაროსადმი დეკლარირებული ზიზღი მის ფურცლებზე საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წამამდე არ ნელდება.

მაინც, რას წარმოადგენდა ეს დასავლელი, რომლისადმი ყოვლისმომცველი ზიზღიც რეჟიმის მიერ გამართლებული იყო იმით, რომ იგი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის ნათელ მომავალს უქმნიდა საფრთხეს? ამ კითხვას მოკლედ ასე შეგვიძლია ვუპასუხოთ: ის იყო ყველაფერი ის, რაც საბჭოთა მოქალაქე არ უნდა ყოფილიყო. ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში დასავლელი ერთდროულად ამორალურიცაა და ფანატიკურად რელიგიურიც, უსაშველოდ მდიდარიც და გამუდმებით ფულზე მოწუწუნეც, საშიშად ვერაგიცა და კომიკურად ჭკუასუსტიც. მას ინტერტექსტუალურად მონოლითური გარეგნობა აქვს: მსუქანია, წვრილი, ეშმაკური თვალები აქვს და „სავარძელში ძალად ჩაჭედილი ადამიანისთავიანი სელაპის, მორჟის (sic)²³⁸ ან თვით ვეშაპის ასოციაციას” იწვევს²³⁹. ის ყოველთვის სპეციფიკური არტეფაქტების გარემოცვაშია: ეწევა სიგარას და სვამს ალკოჰოლს, როგორც წესი — ვისკის. მისი გარემო ეგზოტიზირებულია — ეს ურბანული ჯუნგლებია, სადაც ცამდე აწვდენილ ცათამბჯენებში გახერგილ მაგისტრალებზე მყვირალა ფერის კაბრიოლეტები დაქრიან. აქაური რიტუალი დოლარების აღებ-მიცემობაა და ეს ქმედება ყოველთვის ხაზგასმულად ამაზრზენია. აქაურობა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხმასაც კი გამოსცემს, აქ „გაისმის უგემური და მცქმუტავი აკორდები ჯაზ-ბანდისა“, რომელსაც ფონად გასდევს „მამაკაცის ყეყეჩი და იდიოტური ხმა.”²⁴⁰ ეს თვალისმომჭრელი ფერები, ეს თავბრუდამხვევი სიმაღლეები და გულის ამაჩქარებელი სისწრაფეები, ეს გამაყრუებელი სიმფონია დასავლეთს აკრძალული ხილის ხიბლს სძენს და, პარადოქსულად, ორიენტალისტური ეგზოტიკურობისა და ველურობის ბეჭედს ასვამს.

²³⁸ იგულისხმება ლომვეშაპი.

²³⁹ აფხაზავა, ნუგზარ (1976), „კინგ ჰიუსტონის საბოლოო სიტყვა“, 4.

²⁴⁰ ბასილაია, აპოლონ (1956), „ჩვენი მისამართი“, 45.

რადგან „ტექნოლოგიურად განვითარებული ველური“ ოქსიმორონია, დროის რაღაც მომენტში ის მეცნიერული მომწიფებულობისგან უნდა განიძარცვოს. შედეგად, შორეული მომავლის დასავლეთი გარემოსთან ადაპტაციის უნარს კარგავს და ტექნოლოგიური გამოგონებების უნარის მქონე პოლიტიკურ-კულტურულ ერთეულად არსებობას წყვეტს; ის ან ფიზიკურად ნადგურდება, ან კომუნისტურ საზოგადოებასთან ასიმილირდება — და ორივე შემთხვევაში ცივილიზებული ცენტრისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს აღარ წარმოადგენს. თუმცა ასიმილაცია, როგორც წესი, სრული არასოდესაა, რაც, თავის მხრივ, დასავლეთის საბოლოო კათარსის შეუძლებელს ხდის, რადგან მასში ზედმეტად ღრმადაა ფესვგადგმული კაპიტალისტური მისწრაფებები. მაგალითად, უტა ფაზიასეულ XXV საუკუნის დედამიწაზე, სადაც სახელმწიფოები გამქრალია და მთლიანი დედამიწა გალაქტიკური ასოციაციის წევრადაა ქცეული, რუს და ქართველ პერსონაჟთა შორის მყოფი გერმანელი ჰერერი ფონ კელერი, რომელსაც უტა ერთგვარი ნიშნის მოგებით გერმანულად და თანაც „წმინდა ბერლინური აქცენტით“²⁴¹ ელაპარაკება (რაც ამ პერსონაჟის უცხოობის ხაზგასმას ემსახურება), დედამიწელთაგან ერთადერთი უსიამოვნო პერსონაჟია — როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურადაც. წვრილი თვალების, უფერული წარბების და სველი ტუჩების მქონე კელერი ასტეროიდ ჰიდალგოზე დატრიალებული ადამიანური ტრაგედიისადმი შეუფერებელ უგრძნობლობას იჩენს. ეს გარემოება მისადმი ისედაც უარყოფითად განწყობილ უტასაც აღიზიანებს და „შეფ ფრაუ ლუდმილასაც“, რომელიც გერმანელის სრული ანტიპოდია — „ჭადარაშერეული ბანოვანი“, რომელსაც „ოდნავ სევდიანი, დიდი ცისფერი თვალები“ აქვს²⁴², უტაზე მომნუსხველად მოქმედებს და გერმანელის არსებობით გამოწვეულ დისკომფორტსაც კი ავიწყებს.

ნაწარმოებში დასავლეთის უარყოფით კონტექსტში წარმოდგენა ამ პასაჟით არ სრულდება; ასტეროიდზე დაღუპული ოთხი დედამიწელი კოსმონავტი თავისი სასირცხვილო, კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი მსხვერპლი ხდება, რადგან „ბოროტების თესლი ზოგჯერ ჭანგა ბალახივით სიცოცხლისუნარიანია.“²⁴³

²⁴¹ აფხაზავა, ნუგზარ (1980) „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“, 107.

²⁴² იქვე.

²⁴³ იქვე, 122.

კოსმონავტები ოთხი საუკუნის წინ გასროლილ და მას შემდეგ ასტეროიდის გარშემო მბრუნავ ტყვიებს ეწირებიან. ჰიდალგოს ორბიტაზე ამ ტყვიების მოხვედრის ისტორიას უტა ფაზია გვაცნობს: 1993 წელს „ამერიკული მონოპოლიის — ‘ვანადიუმ-კომპანის’”²⁴⁴ ხელმძღვანელობას ბანდიტთა და მეცნიერთა ჯგუფი დაუქირავებია. მათ საექსპედიციო ვარსკვლავთმფრენი გაუტაცებიათ, რათა დედამიწაზე ამოწურვის პირას მყოფი წიაღისეული, ვანადიუმი მზის სისტემაში მოძრავ ასტეროიდებზე მოედებნათ. ჯგუფს სწორედ ჰიდალგოზე უპოვია სასურველი ლითონი, მაგრამ სიხარბეს აქაც თავისი გაუტანია და ბანდიტებსა და მეცნიერებს „ვანადიუმ-კომპანის” მიერ დაწესებული პრემიის დიდი ულუფის დასასაკუთრებლად ერთმანეთისთვის ცეცხლი გაუხსნიათ.

როგორც ამ მოთხრობიდან ჩანს, დასავლეთის ანტიცივილიზებულობის მიზეზი მის კაპიტალისტურ წყობაშია საძიებელი. მისი ყველა ნაკლი, მისი ყველა წარუმატებლობა, მისი ყველა მარცხი და იმედგაცრუებით ნასაზრდოები სივერაგე და ბოროტება სარგებელს გამოკიდებული ცნობიერებით იხსნება. ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტებში ხშირად განმეორებული ეს ტროპი რეალობაში არსებული საბჭოთა რიტორიკის გამოძახილი იყო.

1957 წელს „სპუტნიკ 1-ის“ დედამიწის ორბიტაზე გაშვებით დაწყებულ „კოსმოსურ რბოლაში” საბჭოთა კავშირის ამერიკის შეერთებულ შტატებთან უპირატესობის წარმოჩენისა და სახლში და გარეთ სოციალისტური იდეოლოგიის პროპაგანდის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად საბჭოთა კოსმოსური პროექტის არაკომერციულობაზე ხაზგასმა გამოიყენებოდა.²⁴⁵ ამ გზით საბჭოთა ხელისუფლება კოსმოსში გაჭრის რომანტიზებას ახდენდა. ეს კი მას იმის მტკიცების საფუძველს აძლევდა, რომ, თუკი ამერიკასთან ტექნოლოგიურად ასე თუ ისე თანაბარ დონეზე იმყოფებოდა, მორალურად მაინც მასზე მაღლა იდგა.

ამავე რიტორიკის გაგრძელებას წარმოადგენდა საბჭოთა ათეიზმის დაპირისპირება დასავლურ მისტიციზმთან, რაც, თავის მხრივ, ქრისტიანულ რწმენასთან იგივედებოდა. კოსმოსური ენთუზიაზმის ხანაში, როცა 1961 წელს იური გაგარინმა კოსმოსში გაფრენა ოცდამეორე პარტიულ ყრილობას მიუძღვნა, ხრუმჩოვმა

²⁴⁴ იქვე, 120.

²⁴⁵ Gerovitch, Slava (2011).

სახალხოდ განაცხადა, რომ კომუნიზმი ოც წელიწადში მიღწეული იქნებოდა. მაშინ, როცა მოსახლეობაში რელიგიური სენტიმენტები ბოლომდე ამოძირკვეული არ იყო, კოსმოსის ათვისების პროგრამამ ერთი დამატებითი იდეოლოგიური ფუნქცია იკისრა — მას უნდა დაედგინებინა სამყაროს მატერიალისტური აღქმის სისწორე:

ადამიანის ახალი უნარი, დაეტოვებინა დედამიწა — კოსმონავტის მიერ პირდაპირი მნიშვნელობით ცაში ასვლა — ფილოსოფიურ მნიშვნელობას ატარებდა: მას უკანასკნელი დარტყმა უნდა მიეყენებინა რელიგიისთვის, რომელიც, მარქსისტული პროგნოზების საწინააღმდეგოდ, კვლავ განსაზღვრავდა მრავალი საბჭოთა მოქალაქის ყოველდღიურ კოსმოლოგიას.²⁴⁶

ამ მიზნის მისაღწევად ნაცადი ხერხი, საბჭოთა იდეალის მტრის ხატთან შეპირისპირების მეთოდი გამოიყენებოდა. სამეცნიერო ფანტასტიკამ კი კოსმოსთან თემატური სიახლოვის ქონის გამო ჯერ კიდევ გაგარინის ისტორიულ გაფრენამდე იკისრა ამ მისიის შემსრულებლის როლი. ქართულ ტექსტებში ეს დამოკიდებულება პირველად აპოლონ ბასილაიას ჩვენ მიერ უკვე განხილულ რომანში, „კოსმიური ბრძოლა“ (1950 წელი) გამოიკვეთა. რომანში დედამიწისკენ კომეტა მოემართება, რომელსაც მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია. მაშინ, როცა ეკონომიკური შიდა შუღლისა და მისტიკური შიშებისგან გათავისუფლებული „სამყაროს პროგრესული ნაწილი“, ²⁴⁷ ანუ საბჭოთა კავშირი, პლანეტის მესიის როლს ირგებს, პრეაპოკალიფსური განწყობა კაპიტალისტური წყობის სიმახინჯეებს აშიშვლებს: „მდიდრები თავდავიწყებისთვის უიმედო განწირულებით დაეწაფნენ ლოთობას, მრუმობას და სისხლიან გასართობებს.“ ²⁴⁸ ამგვარი განწყობის მთავარ შემოქმედად კი „ხავსმოდებული ვატიკანი“ ²⁴⁹ გვევლინება, რაც, თავის მხრივ, ძველი თუ ახალი, უფრო და უფრო ირაციონალური რელიგიების აღმოცენებას უწყობს ხელს:

ბნელი სამღვდელოება ჯვრებითა და ხატებით დაძრწოდა. ეკლესიებში განუწყვეტლივ რეკდნენ ზარებს და პარაკლისებს იხდიდნენ. აქა-იქ დაიწყეს „კუდიანებისა“ და „ეშმაკთა მოზიარების“ გამოძებნა. [...] ნაავდრალზე ამოხეთქილი სოკოებივით აღმოცენდნენ ახალი სარწმუნოებრივი სექტები. კუდიანი ვარსკვლავის მრისხანე გამოსახულების კერპებს აგებდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ... ²⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ აპოლონ ბასილაია მთლიან რომანს დასავლეთის ლანძღვასა და საბჭოთა კავშირის განდიდებას უთმობს, ენის ტრაფარეტულობა და სიყალბე, რომელიც ჰიპერბოლების შედეგია, ტექსტს მკითხველში სასურველი

²⁴⁶ Smolkin-Rothrock, Victoria (2011), 161.

²⁴⁷ ბასილაია, აპოლონ (1950) „კოსმიური ბრძოლა“, 89.

²⁴⁸ იქვე, 87.

²⁴⁹ იქვე.

²⁵⁰ იქვე, 88.

ემოციური მუხტის გამოწვევის უნარს აკარგინებს. თუმცა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში მოიძებნება სხვა ტექსტი, რომელიც ამ ამოცანას გაცილებით წარმატებით ართმევს თავს სწორედ იმის ხარჯზე, რომ დასავლეთის ამორალურობა გაცილებით ნიუანსური ენითა და სიუჟეტური ხაზითაა მიღწეული. ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობა, „დაკარგული ანდრომაქე“²⁵¹, გვიყვება ამბავს ასტეროიდის ბაზაზე უწონობაში სამკურნალოდ მყოფი მერვეკლასელი ბიჭის, გუზან ვარძიელის შესახებ, რომელიც სკაფანდრში გამოწყობილი გოგოსგან უცნაურ რადიოგრამებს იღებს. თავდაპირველად გოგო შველას ითხოვს, დღეების სვლასთან ერთად კი მისი სიტყვები ჩურჩულში გადადის და სულ უფრო მეტად ემსგავსება ბოდვას. ის ხან იუპიტერის სიახლოვეს სიცივესა და მარტოობაში ყოფნაზე მოთქვამს, ხანაც კი მისი გონება ალაბამაში ინაცვლებს და გულისწორ ადამს ესაუბრება.

მერაბიშვილი ოსტატურად ახერხებს, გოგოსადმი ემპათიურად განგვაწყოს და მხოლოდ ამის მერე გვაგებინებს, რომ ის ამერიკული კერძო კომპანიის ექსპერიმენტის შედეგია. ანდრომაქე — ასე უწოდებს რადიოგრამების გამგზავნელი ქმნილება საკუთარ თავს — ავარიაში დაღუპული ალაბამელი გოგოს ტვინისა და ხელოვნურად გამოყვანილი სხეულისგან შეკოწიწებული კიბორგია. ის კოსმოსში „ფულისა და სენსაციის მოყვარულ საქმოსნებს“²⁵² გაუშვიათ და პირველივე გაუთვალისწინებელი ვითარების შექმნისთანავე ცივ უსასრულობაში უპატრონოდ მიუტოვებიათ. კიბორგის ამღვრეული ტვინი შეშინებული გოგოს ცნობიერებას ვეღარ ერევა და დაუსრულებელ კოშმარსა და აგონიაში მყოფი ანდრომაქე სრულ მარტოობაში სერავს კოსმოსის სივრცეებს. ამ შემადრწუნებელი სურათის აღწერის მერე მერაბიშვილი მკითხველს კიდევ ერთხელ უმეორებს, რომ ანდრომაქე „დასავლეთელი ‘ტვინიკოსების’ ნაცოდვილარია, ტექნიკისა და მეცნიერების, ასე ვთქვათ, ერთობლივი მიღწევა“,“²⁵³. ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება იმას, რომ ჩაგვრაზე აგებული ეკონომიკურ სისტემაში მიღწეული ტექნოლოგიური პროგრესი კაცობრიობის განვითარების წამახალისებლის ნაცვლად მის შემაბრკოლებელ, ამორალურ ძალად იქცევა.

²⁵¹ მერაბიშვილი, ელგუჯა (1978) „დაკარგული ანდრომაქე“, 3-40.

²⁵² იქვე, 36.

²⁵³ იქვე, 38.

ზემოთ განხილულ პასაჟებში დასავლეთი იმპერიული მზერის უსამართლობას საკუთარ ტყავზე ცდის. ის აღარ დგას ცივილიზაციის ცენტრში არსებულ კვარცხლბეკზე — მას ამ კვარცხლბეკიდან აკვირდებიან. საბჭოთა პროპაგანდის პრიზმით ამგვარად წარმოჩენილი დასავლეთი დეჰუმანიზდება და ურჩხული ხდება. ამ გადმოსახედიდან ეს ტექსტები პოსტკოლონიური ნარატივის ნიმუშებად შეიძლება განგვეხილა, რომ არა ერთი უხერხული გარემოება: საქმე ისაა, რომ არც ისტორიულად და არც ამ ნაწარმოებთა დაწერის პერიოდში ქართველს ამერიკელთან ან დასავლელ ევროპელთან გასაყოფი არაფერი ჰქონდა. როცა რეალობაში არარსებულ კონფლიქტს სამეცნიერო ფანტასტიკის ენაზე თარგმნი, ის ფარსად იქცევა. შედეგად, დისკრიმინაციულ სტატუს-კვოზე შეტევის ნაცვლად ეს ტექსტები განამტკიცებენ მას, რადგან ამ ნარატივის მიზანი არა დასავლეთის შერცხვენა, არამედ ნამდვილი ცენტრის — მოსკოვის მოთაფვლაა. იმის გააზრებით, რომ დასავლეთს მტრად მოსკოვი აღიქვამს და მისი ძაგებაც კრემლის დირექტივების ასრულებას უდრის, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორთა მიერ შექმნილი ეს მტრის ხატი კოლონიური ნარატივის ნაწილი ხდება.

3.5. მომავლის ელინები, წარსულის ბარბაროსები და ზედროული ჩვენ

ცივილიზაციათა განვითარების პროცესი ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში გამონაკლისების გარეშე ერთგვარ უნივერსალურ და ვერტიკალურად განლაგებულ ევოლუციურ სკალაზეა წარმოდგენილი. მის ყველაზე დაბალ საფეხურზე გროტესკული გარეგნობის ველური მონსტრები დგანან, ხოლო უმაღლესზე — მაღალტექნოლოგიური ზეგონიერი არსებები. ის გარემოება, რომ ეს ტროპი ინტერტექსტუალურადაა განმეორებული ტექსტებში, მარტივად იხსნება: საბჭოთა კავშირის ოფიციალური იდეოლოგია მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის ხედვაზე დაფუძნებით ამართლებდა ბოლშევიკურ რევოლუციასა და მომდევნო წლებში ქვეყანათა გასაბჭოების მიზნით განხორციელებულ მილიტარისტულ ექსპანსიას, რადგან ერთსაც და მეორესაც ისტორიულ გარდაუვალობად ასაღებდა. მარტივად რომ ვთქვათ, ისტორიული მატერიალიზმი დასავლეთ ევროპის ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების ისტორიას ერთგვარ უნივერსალურ ფორმულად იყენებს

და ამტკიცებს, რომ ამ გზას პლანეტაზე არსებული ყველა კულტურა გადის. საბოლოო დანიშნულების ადგილი კი, ასევე ყველასთვის, კომუნიზმია. ამგვარად, როგორც ერთ დროს ქრისტიანობა გამოიყენებოდა დასავლური ექსპანსიის განმანათლებლურ მისიად გასასაღებლად, რათა კოლონიზაციის რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა მიჩქმალულიყო, ზუსტად იმავე მეთოდითა და მიზნით იყენებდა საბჭოთა რეჟიმი კომუნიზმის იდეას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოულოდნელი არაა, რომ საბჭოთა კავშირის შიგნით ჟანრმა, რომელიც ხშირად ინტერესდება განსხვავებული ცივილიზაციების ურთიერთობების პრობლემატიკით, სწორედ ეს მსოფლმხედველობა გაიხადა სიუჟეტურ განვითარებათა ბაზისად. ამ ტესტებში წარმოდგენილ ევოლუციურ კიბეზე ინტელექტუალური განვითარების დონე სახეობათა ზნეობრივი მომწიფებულობის პირდაპირპროპორციულადაა აღქმული. ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში დედამიწელები განვითარების ყველა საფეხურზე გვხვდებიან და, როგორც წესი, მათი ტექნოლოგიური განვითარების დონე მორალურ-ინტელექტუალური განვითარების დონეს ემთხვევა. გამონაკლისს მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ — მაშინაც კი, როცა ტექსტში ქართველთა პრეისტორიული ხანის წინაპრებს ვხვდებით, ისინი მაღალტექნოლოგიური ცივილიზაციების დარი, და ზოგ შემთხვევაში უპირატესი, მორალური პრინციპებითა და ინტელექტით აღჭურვილები არიან. მსგავს პასაჟებში ქართველს ყოველთვის აქვს რაღაც ისეთი თვისება — იქნება ეს პოეტური აზროვნების უნარი, გაუგონარი სიმამაცე თუ ლოგიკის დამმარცხებელი პატიოსნება — რომლითაც ის ცივგონებიან უცხოპლანეტელსაც კი განაცვიფრებს და ტექნოლოგიური უპირატესობით ნასაზრდოებ ამპარტავნულ მედიდურობას უკვალოდ უნადგურებს.

მოთხრობაში, „ოპერაცია ‘დინოზავრი’“, ²⁵⁴ უცხო გალაქტიკის წარმომადგენლები პრეისტორიულ დედამიწაზე ეშვებიან და გონიერი არსებების განვითარების ხელშესაწყობად დინოზავრებს ანადგურებენ. პლანეტაზე 60 მილიონი წლის გავლის მერე ისინი თავიანთი ექსპერიმენტის შედეგის სანახავად ბრუნდებიან და საოცრად იმედგაცრუებულები რჩებიან — XX საუკუნის დედამიწაზე ადამიანი ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებს. ეს ყველაზე არაჰუმანური ცივილიზაციაა, რაც კი მათ ოდესმე შეხვედრიათ და, შესაბამისად, მათთან კონტაქტის დამყარებას არ

²⁵⁴ გაგოშიძე, შოთა (1988) „ოპერაცია ‘დინოზავრი’“, 111-131.

იმსახურებს. უცხოპლანეტელებმა სახლში დაბრუნება რომ შეძლონ, დედამიწელებს საწვავისთვის საჭირო ნივთიერება უნდა გამოსთხოვონ და ამ მიზნისთვის მათი ყველაზე გონიერი — და შესაბამისად, ეთიკური — წარმომადგენლები უნდა აირჩიონ. კიბერტვინის მიერ დედამიწელთა ტვინების გამოსხივების ტალღების შესწავლის მერე არჩევანი საქართველოს მთებში გაშენებულ ერთ მიყრუებულ სოფელში მცხოვრებ მოხუც მეცხვარესა და მის ქალაქელ ჟურნალისტ სტუმარზე კეთდება. ქართველების გამორჩეულობას ჟურნალისტისა და უცხოპლანეტელის ამ გასაუბრებით ესმება ხაზი: „ჩვენ ხომ კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს არ წარმოვადგენთ?“ — უკვირს ჟურნალისტ ვახტანგ კვეზერელს უცხო სტუმრის არჩევანი. ეს უკანასკნელი კი მიუგებს, „მთავარია არა ის, თუ რა შეხედულება გაქვთ ამაზე თვითონ თქვენ, არამედ ის, თუ სინამდვილეში როგორია საქმის ვითარება. თქვენი ინტელექტუალური დონე ჩვენთვის სავსებით მისაღებია²⁵⁵.“ თუმცა, ის ფაქტი, რომ ქართველი არაჰუმანურად მიჩნეული ცივილიზაციის საუკეთესო წარმომადგენელია, სტუმრისთვის დიდს არაფერს ნიშნავს. კიბერტვინის მათემატიკური სიზუსტით გამოთვლილი სტატისტიკით შეიარაღებული უცხოპლანეტელი კვლავ ამპარტავნული ზიზღით უყურებს ყველა დედამიწელს. სწორედ ეს ცივი ქედმაღლობა ხდება ის ნაკლი, რომელსაც მეცხვარე ჯუანშერი გაკიცხავს და დანამუსებულ სტუმარს აიძულებს, გადააფასოს ის მორალური ბაზისი, რომელსაც მთელი მისი სუპერცივილიზაცია ეფუძნება:

ღრმად ჩაფიქრებული უცხოპლანეტელი დუმდა. „ეს რა მესმის?! — ფიქრობდა იგი, — ჩვენ ამათზე უსაზღვროდ მაღლა ვდგავართ როგორც ცოდნით ისე მორალის თვალსაზრისით და თურმე მომწიფებული არა ვართ საიმისოდ, რომ უცხო გონიერ არსებებთან საერთო ენა გამოვნახოთ! ნუთუ რაიმე გამოგვრჩა მნიშვნელოვანი? იქნებ მართლაც და ყველანი კიბერტვინის მონებად ვიქცეით და დავკარგეთ სინამდვილეში წვდომის საკუთარი უნარი, დამოუკიდებლობა?! იქნებ დიდი ხანია, რაც შეცდომა ჩავიდინეთ და საჭიროა მისი დროულად გამოსწორება...“²⁵⁶

ამ პასაჟში ქართველი განასახიერებს იმ იდეალს, რომლის მიღწევის პოტენციალიც დედამიწისეულ ცივილიზაციას იმის მიუხედავად აქვს, რომ მასში კონფლიქტები და დანაშაულებრივი ქმედებები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. ამგვარად, დედამიწა ევოლუციური სკალის შუაშია განთავსებული, ქართველი კი ისეთ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც ამ ვერტიკალზე მინიჭებულ პოზიციას

²⁵⁵ იქვე, 126.

²⁵⁶ იქვე, 128.

მღევს — ის ისტორიული მატერიალიზმის ბორკილებს ამტვრევს. აქ ისიც ხაზგასასმელია, რომ ქართველის სიქველე ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაპირისპირებით განისაზღვრება. მთავარი თვისება, რაც ქართველ მწყემსს სხვა ადამიანებისგან გამოარჩევს, ბუნების ზღვარდაუდებელი სიყვარულია: მას მიზანმიმართულად აქვს არჩეული ქალაქური უსულგულო ყოფისგან შორს, სოფლად მთების სიმშვიდეში ცხოვრება²⁵⁷.

როგორც ამ ტექსტებში, ისევე რეალობაშიც, ქართველთა გამორჩეულობის ნარატივი დესტალინიზაციის შედეგად ქართულ ეროვნულ სიამაყეზე მიყენებული ტრავმის მოშუშებასაც ემსახურებოდა. მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლისთვის თავის მოწონების დაუოკებელი სურვილი მიამიტური გულწრფელობითაა გადმოცემული ნუგზარ აფხაზავას რომანში, „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“. როცა უტა პირველად შეხვდება მაღალტექნოლოგიური რასის მოხუც წარმომადგენელს, მისდამი აუხსნელ გაღიზიანებას იგრძნობს. მაშინ, როცა იმავე პლანეტის „ველურებთან“ ქართველი გმირი შემწყნარებელი განმანათლებლის კომფორტულ როლს ირგებს და იმის შესაძლებლობასაც განიხილავს, რომ მაღლიერი აბორიგენები მას მომავალში ღმერთად შერაცხავენ, სიკვდილის პირას მყოფ მაღალი ინტელექტის მქონე მოხუცს უტა იმას ვერ აპატიებს, რომ ის მასთან, ანუ „უცხოპლანეტელ გონიერ არსებასთან“ შეხვედრის სიხარულს²⁵⁸ სათანადოდ არ გამოავლენს.

რადგან ვერც თავიანთი წარმომავლობით გააკვირვებენ მოხუცს და ვერც ტექნოლოგიით, უტა ფაზია და მისი თანამგზავრი ხათუნა ხავთასი თავიანთი განსაკუთრებულობის წარმოჩენის დაუოკებელ სურვილს იქამდე მიჰყავს, რომ პირადი მიღწევებით ტრაბახს იწყებენ. როცა მოხუცი უცხოპლანეტელი სტუმრების ასაკს იგებს, დედამიწელებს ნანატრი დაფასებისა და აღფრთოვანების ღირსად ხდის: „საოცარია!.. ასეთი ახალგაზრდა ხარ და... ყმაწვილო, რაკი თექვსმეტი წლის ასაკში კოსმოსური ექსპედიციის მეთაურობა მოგანდეს, ეს შენ დიდ პატივს გდებს...“²⁵⁹

²⁵⁷ სოფლის იდილიის სიქველესთან, ხოლო ურბანიზაციის უსულგულობასთან გაიგივება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ და ქართულ პროზასა თუ პოეზიაში ერთობ გავრცელებული ტროპი იყო (იხილეთ Katerina Clark (1981), 241-246).

²⁵⁸ აფხაზავა, ნუგზარ (1980) „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“, 63.

²⁵⁹ იქვე, 64.

ამბობს ის. თუმცა, ამ აღიარებას ჭეშმარიტი ფასი მხოლოდ მაშინ ენიჭება, როცა ინდივიდის მიღწევა მისი მშობელი ერის დამსახურებად ითარგმნება, შესაბამისად, უცხოპლანეტელის მომდევნო ხოტბა უკვე მთლიან ცივილიზაციას მიემართება: „საოცარია... რაოდენ ძლიერი უნდა იყოს ცივილიზაცია, რომელიც თქვენნაირ ახალგაზრდებს ეგზომ პასუხსაგებ მისიას აკისრებს...²⁶⁰” აი, ამ სიტყვების შემდეგ კი უტას და ხათუნას უხერხულობა სრულიად ქრება და ისინი მაღალგანვითარებული ცივილიზაციის ორ უკანასკნელ წარმომადგენელთან გათანაბრებული სტატუსით ურთიერთობენ.

ის, თუ ევოლუციური კიბის რომელ საფეხურზე იმყოფება ცალკეული ცივილიზაცია, ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში სხვა ცივილიზაციებთან ურთიერთობის ფორმასაც განსაზღვრავს. მაგრამ ქართველი გმირით წარმოდგენილი ცივილიზაცია აქაც გამონაკლისს წარმოადგენს, რასაც ხშირად თხრობის ლოგიკაც კი ეწირება. მაგალითად, უტა ფაზიას პირველი მოგზაურობისას „ირმის ნახტომის NR მიკროასოციაციის“ (რომლის წევრი დედამიწაც არის) კოდექსის იმ ნაწილს ვეცნობით, რომელშიც უცხოპლანეტელებთან პირველი კონტაქტის სამი სცენარი სწორედ განვითარების სკალის გათვალისწინებითაა სკრუპულოზურად გაწერილი: 1) დედამიწელებზე უფრო მაღალი ინტელექტის მქონე ცივილიზაციისგან უტა საშიშროებას არ უნდა მოელოდეს, რადგან „მაღალი ინტელექტი [...] თანაბრად ჰუმანური, მშვიდობისმოყვარე, კეთილშობილი და სამართლიანი იქნება იმათ მიმართაც, ვინც მასზე მაღლა ან დაბლა დგას, და იმათ მიმართაც, ვინც მისი თანატოლია.“²⁶¹ 2) დედამიწელთა თანაბარი ცივილიზაცია შეიძლება მტრულიც აღმოჩნდეს და მეგობრულიც, რადგან ინტელექტუალური და, შესაბამისად, ტექნოლოგიური განვითარების ეს დონე ვერ იქნება ჰუმანურობის გარანტია. ამის საილუსტრაციოდ კოდექსში XX საუკუნის დედამიწის მაგალითია მოყვანილი, „როცა სოციალისტურმა და კაპიტალისტურმა სისტემებმა კოსმოსის ათვისების საქმეში ერთდროულად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს,”²⁶² მაგრამ, იმავედროულად, ადამიანთა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლუატაციაზე

²⁶⁰ იქვე.

²⁶¹ იქვე, 28.

²⁶² იქვე.

დაყრდნობილი საზოგადოება, მაღალი ინტელექტის მიუხედავად, ვერც ჰუმანური იქნებოდა და ვერც მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი. 3) განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ცივილიზაცია აგრესიული კი შეიძლება იყოს, მაგრამ ინტელექტუალურ-ტექნოლოგიური განვითარებლობის გამო მათთან „კონტაქტის ხასიათს ძირითადად დედამიწელთა ნება განსაზღვრავს.²⁶³”

მაშინ, როცა პირველი კონტაქტის პირველი და მესამე სცენარი სწორხაზოვნადაა გაწერილი, მეორე — ის, რომელიც, კოდექსის თანახმად, უცხო ცივილიზაციასთან შეხვედრის ყველაზე საშიშ ფორმას აღწერს — დამატებით კითხვებს აჩენს. პირველი, რაც უნდა გავიხსენოთ, ისაა, რომ უტა XXV საუკუნეში ცხოვრობს — სამყაროში, სადაც დედამიწაზე კომუნისტური უტოპიაა დამყარებული და ჩვენი პლანეტა იმ პლანეტათაშორისი ასოციაციის ღირსეული წევრია, რომლის შიგნითაც გალაქტიკის გარშემო სინათლეზე სწრაფი სიჩქარეებით მოგზაურობა რეალობადაა ქცეული. მაშასადამე, როცა ამ სამყაროს ტექნოლოგიური განვითარების დონე გატოლებულია XX საუკუნის შუა ათწლეულების დონესთან, ტექსტის შიდა ლოგიკაში ბზარი ჩნდება. მკითხველისთვის აშკარაა, რომ ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების მოთხოვნები მწერლის მიერ მეტატექსტუალურ გარემოებებზე დაყრდნობით მიღებულ არჩევანს ემორჩილება.

მიზეზი, რატომაც მწერალი თავს ვალდებულად გრძნობს, მეორე ტიპის სცენარი ნაწარმოებისეული ქრონოტოპიდან ამოაგდოს, შემდეგია: იმ დროს, როცა ორ ქვეყანას შორის გამართულ ტექნოლოგიურ რბოლაში ერთმნიშვნელოვნად დაწინაურებული არცერთი მხარე არ იყო, საბჭოთა რიტორიკის თანახმად, რკინის ფარდის საპირისპირო მხარეს ჩაგვრაზე დაფუძნებული სისტემა იდგა. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ ტექნოლოგიური განვითარება მაღალი მორალის გარანტია, ცივილიზაციის პერიოდის საბჭოთა კავშირისთვის საფრთხის შემცველი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა. მართალია, რადგან სამეცნიერო ფანტასტიკას სოცრეალისტური დირექტივების შესრულებისას მცირე თავისუფლება იმის ხარჯზე ეძლეოდა, რომ შორეულ მომავალზე შეედლო კონცენტრირება, ამ შემთხვევაში აფხაზავა საკუთარ დაგებულ ხაფანგში ებმება. ის ცივილიზაციათა ურთიერთობის უნივერსალურ კოდექსს ქმნის, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში გაწერილი წესები

²⁶³ იქვე, 29.

თანაბრად უნდა ერგებოდეს კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ პერიოდს. ამის გამო, მას შემდეგ, რაც გაიწერება ფორმულა, რომ ტექნოლოგიური განვითარება მორალური მომწიფებულობის პირდაპირპროპორციულია, აზრთა ლოგიკურ ბმაში უნდა გაჩნდეს ერთი უხერხული დანამატი, რომელიც სახელდახელოდ განმარტავს, რომ ზოგადი წესი მორალურად გაბანკროტებულ დასავლეთზე არ ვრცელდება. რაც უნდა ღრმად შეიჭრას კოსმოსში, რაც უნდა მეტ ციურ სხეულებზე დადგას ფეხი, კაპიტალისტური დასავლეთი ვერასოდეს მოიშორებს განუვითარებელი „სხვის“ იარლიყს, რადგან სწორედ მის განუვითარებლობასთან შეპირისპირებით წარმოჩნდება ყველა ის ფაქტორი, რომელთა გამოც საბჭოთა მოქალაქეს პარტიისადმი მაღლიერება მართებს. მაქსიმუმი გასაქანი, რაც ამ დირექტივაში ქართველ ავტორს ეძლევა, იმ ქართველი გმირის დახატვაა, რომელიც საბჭოთა იდეალს ეროვნულ დონეზე განასახიერებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარების ზემოხსენებულ უნივერსალურ სკალაზე განთავსებულ ცივილიზაციათა არსებობას ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში მეცნიერული ხედვა — ისტორიული მატერიალიზმი განსაზღვრავს. ის მჭიდრო კავშირშია კოლონიურ იდეოლოგიასთან, რომელიც, ვალენტინ მუდიმბეს თქმით, დასავლეთის გამოცდილებას ნებისმიერი კულტურისა თუ საზოგადოების განვითარების უნივერსალურ მოდელად აქცევს²⁶⁴. ამ ხედვის მიხედვით, ყველა კულტურა განვითარების ზუსტად იმავე საფეხურებს გადის, რომლებიც დასავლეთის იმპერიებმა გაიარეს. შესაბამისად, „ველურებზე“ დაკვირვება საკუთარი წარსულისთვის თვალის შევლების ტოლფასი ხდება, მათი შესწავლა კი — საკუთარ თავში არსებული პრიმორდიალურ ინსტინქტებში უკეთ გარკვევის გზა. ამ მოსაზრებას სრულად იზიარებენ ნუგზარ აფხაზავას მოთხრობის, „გენის“²⁶⁵ უცხოპლანეტელი მოგზაურები, რომლებიც დედამიწაზე ჩამოსვლის მიზანს ასე განუმარტავენ ქართველ გმირ, ზევახს:

შენი თავის ტვინი ინახავს უზარმაზარ ინფორმაციას მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე. ამ ინფორმაციის დამუშავება და შესწავლა მნიშვნელოვანწილად დახმარებას გაუწევს დინელ სოციოლოგებს, რომ დედამიწის მაგალითით აღადგინონ პლანეტა დინის მოსახლეობის განვითარების ადრინდელი სურათები.²⁶⁶

²⁶⁴ Mudimbe, V.Y. (1991), 5-6.

²⁶⁵ აფხაზავა, ნუგზარ (1986), „გენი“ 52-85.

²⁶⁶ იქვე, 83.

ამგვარ მიდგომას ჯესიკა ლანგერი „ფსევდომეცნიერულ დისკურსს“ უწოდებს, რომელიც დასავლურმა იმპერიებმა იმის სამტკიცებლად გამოიყენეს, რომ აფრიკელი ხალხი ევოლუციურ კიბეზე თეთრკანიანებზე დაბალ საფეხურზე იდგნენ.²⁶⁷ თუ კოლონიებში მცხოვრები ხალხის ამგვარად წარმოდგენა მათი დეჰუმანიზაციის საშუალება იყო და მათდამი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის გასამართლებლად გამოიყენებოდა, ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში ხშირად ესმება ხაზი იმას, რომ როგორც კი უცხო ქმნილება უნივერსალურ ევოლუციურ კიბეზე ადგილს იკავებს, მას მაშინვე ამ კიბის მაღალ საფეხურებზე ასვლის პოტენციალი ენიჭება და, შესაბამისად, ადამიანურ მოპყრობას იმსახურებს.

მსგავსი „უცხო სადმი“ პატივისცემით მოპყრობის პასაჟები ხშირად დასავლური იმპერიალიზმის გასაკრიტიკებლად გამოიყენება. მაგალითად, უკვე ნახსენებ მოთხრობაში, „ოპერაცია „დინოზავრი““, უცხოპლანეტელები დინოზავრებს მხოლოდ მას შემდეგ გაანადგურებენ, როცა დარწმუნდებიან, რომ ისინი გონიერი არსებების ევოლუციური სკალის მიღმა დგანან და გონიერ არსებებად ჩამოყალიბების პოტენციალი არ გააჩნიათ²⁶⁸. თუმცა ყველა ქმნილების ევოლუციურ სკალაზე განთავსება და აბორიგენი ხალხისადმი სასტიკი მოპყრობის გამო დასავლეთის მუდმივი კრიტიკა ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას ბუმერანგივით უბრუნდება. კაპიტალისტური სამყაროს მსგავს იმპერიალისტურ სისასტიკეზე დაჟინებული ხაზგასმა უხეშ კონტრასტს ქმნის იმ პასაჟებთან, რომლებშიც ნაწარმოების პროტაგონისტი, მწერლისგან გაუცნობიერებლად, ტექნოლოგიურად განუვითარებელი არსებების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ავლენს. რადგან ამ ტექსტთა ავტორებს დასავლური იმპერიალიზმის ცოდვათა განკითხვაზე აქვთ პრეტენზია, ძალაუვნებურად ჩნდება მოლოდინი, რომ თავად იმავე ჩაგრული ნარატივის განმამტკიცებლად არ მოგვევლინებიან და როცა ეს მოლოდინი არ მართლდება, ჩაგვრის ამსახველი პასაჟები განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება.

მსგავსი პასაჟების კითხვისას განცდილ დისკომფორტს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ქართველი გმირი ხაზგასმულად უმწიკვლო ზნეობრივი კომპასის მქონე ინდივიდადაა წარმოჩენილი — სხვანაირად ის მორალურად გახრწნილი

²⁶⁷ Langer, Jessica (2011), 83.

²⁶⁸ გაგოშიძე, შოთა (1988) „ოპერაცია ‘დინოზავრი’“, 115-116.

დასავლეთის ანტიპოდს ვერ განასახიერებდა. ამიტომ, როცა ავტორის გაუცნობიერებლად, ქართველი გმირი დასავლელი კოლონისტის როლს ირგებს და „სხვისადმი“ ამპარტავნულ და ზოგჯერ სასტიკ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, მისი ეს დისკრიმინაციული ქცევაც ავტომატურად სიქველედ საღდება. უცხოსადმი ორი, ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება ერთი ნაწარმოების შიგნითაც კი გხვდება ხოლმე, რაც ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკისთვის ნიშნეული ზოგადი ტენდენციის ილუსტრაციაა: ტექსტის პროტაგონისტს გააზრებული აქვს დასავლური იმპერიალიზმის უსამართლო ბუნება და, როგორც უფრო მაღალ მორალურ საფეხურზე მდგომი, განიკითხავს კიდეც მას, მაგრამ მწერალი იმავდროულად ხატავს კლასიკურ ორიენტალისტურ „სხვას“²⁶⁹, რომლის სიცოცხლეს სრულიად დაცლილია ღირებულებისგან. ეს ჯიუტი დაჟინება, რომ საბჭოთა მოქალაქე დასავლელზე კეთილშობილია, გაუთვალისწინებელ ეფექტს ქმნის. მის გამო არათეთრკანიანი პერსონაჟის წინააღმდეგ გმირის მიერ გამოვლენილ უნებლიე სისასტიკის მაგალითებს კლასიკური ვიქტორიანული სათავედასავლო რომანისთვის დამახასიათებელი უგრძნობლობა ახალ საფეხურზე აჰყავს.

ცივი ომისას ხშირად ჩაღებოდა სიტყვიერი შეტაკებები და ამ იდეოლოგიურ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი იარაღი დასავლეთისთვის მისი იმპერიული ცოდვების შეხსენება გახლდათ. ამ დროს ხაზი ესმებოდა იმას, რომ რასიზმი და დისკრიმინაციის სხვა ფორმები კაპიტალისტური სისტემის არსებით მახასიათებელს წარმოადგენდა, რადგან ის უთანასწორობის პრინციპზე და დისკრიმინირებულ ჯგუფთა ჩაგვრაზე იყო დაშენებული. ამ რიტორიკას იმდენად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ საქართველოში გამომავალ გაზეთებშიც კი მუდმივად ჩნდებოდა მსგავსი მორალური გახრწნის დამამტკიცებელი ისტორიები და ანეკდოტური ამბები საზღვარგარეთიდან. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ყოვლისმომცველი იყო ეს ინფორმაციული ომი, შეგვიძლია თვალი შევავლოთ სალიტერატურო ჟურნალ „ცისკარის“ 1960 წლის ერთ-ერთ ნომერს, სადაც მუდმივი რუბრიკის, „ყოველი მხრიდან“, ქვეშ სტატია, სახელად „რასისტი რექტორი“ არის დაბეჭდილი. ეს ერთაბზაციანი ცნობა ქართველ მკითხველს „ვანდერბილდის“

²⁶⁹ ტერმინ „ორიენტალისტურში“ აქაც და ქვემოთაც იგულისხმება ნებისმიერი „არადასავლური“ სამყარო, რომლის წარმომადგენელიც დასავლეთის მიერ „განუვითარებელი“, „ეგზოტიკური“ კულტურის მქონედ აღიქმება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ „ბოხოქარ დღეებზე“ უყვება, როცა დაწესებულების რექტორმა შავკანიან სტუდენტს სწავლის გაგრძელება იმიტომ აუკრძალა, რომ მან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა²⁷⁰.

როგორც ჩანს, ცივი ომის მსვლელობისას ამ დაპირისპირებისგან მოშორებული რესპუბლიკის სალიტერატურო ჟურნალის რედაქციაც კი გამუდმებით უმეორებდა მკითხველს, რომ დასავლეთში არსებული რასისტული თუ გენდერული დისკრიმინაციის მიზეზი კაპიტალისტური სისტემა იყო. თუმცა როცა საქმე არათეთრკანიანთა მხატვრულ რეპრეზენტაციაზე მიდგებოდა, სოცრეალისტურ ტექსტებში ხშირად იპარებოდა რასისტული დამოკიდებულებები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო სამეცნიერო ფანტასტიკურ ტექსტებში გახლდათ: როცა გმირი პროტაგონისტი მორალურად გახრწნილ დასავლელ კოლონიალისტთან კონტრასტშია დახატული, მწერლის მიერ საკუთარი ცრურწმენების მიმართ სრული სიბრმავის იგნორირება მკითხველისთვის განსაკუთრებით რთული ხდება. საკუთრივ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის შიგნით მსგავსი სიბრმავის ყველაზე ნათელ ნიმუშად ალბათ თამაზ ჭეიშვილის რომანი, „სირიუსი, იდუმალი სტუმარი“, უნდა ჩაითვალოს. ამ ნაწარმოებში პარადოქსული ჰარმონიულობით თანაარსებობს ორი არსებითად განსხვავებული ცენტრისადმი სწრაფვის გამომხატველი ნარატივი: ერთი მხრივ, რუსული იდენტობის მორგების მცდელობა, რაც დასავლეთის შეურიგებელ მტრად გამოცხადებას უდრიდა; ხოლო, მეორე მხრივ, დასავლური იმპერიალიზმის რომანტიზაცია, რასაც რუსეთის პოლიტიკურ პერიფერიად ყოფნის დისკომფორტი ედო საფუძვლად.

სკოლის მოსწავლე გიას შორეული პლანეტიდან ჩამოფრენილი რობოტი, სირიუსი ეწვევა და ამცნობს, რომ მისი მისიაა, იხსნას დედამიწა არესელ უცხოპლანეტელთაგან, რომელთაც ადამიანთა ცივილიზაციის მოსპობა განუზრახავთ. მათ მიერ გამოსროლილმა დამანგრეველმა სხივებმა დედამიწამდე რომ ვერ მოაღწიოს, პლანეტას ანტიგრავიტაციული ჯავშანი უნდა შემოეფლოს, რისთვისაც მის ზედაპირზე არსებული ყოველგვარი ბირთვული იარაღი უნდა მოისპოს. ამ პირობას ყველა სახელმწიფო თანხდმება, გარდა ერთისა: რეირიკის პრეზიდენტი

²⁷⁰ ცისკარი (1960), 154.

ამეგანი (რთული მისახვედრი არაა, რომ სახელები სიტყვებში, „ამერიკა“ და „რეიგანი“, არსებული ასოების გადანაცვლებითაა მიღებული), „ჰუმანურ ჩანაფიქრს“ წინ აღუდგება, სირიუსს „კომუნისტების აგენტად²⁷¹“ მონათლავს და მთელ კაცობრიობას განადგურების საშიშროების წინაშე დატოვებს. რომანის ბოლოს სირიუსი იძულებული ხდება, არესელების ხომალდს თავისი ვარსკვლავთმფრენით დაეჯახოს და დედამიწისთვის სიცოცხლე გაწიროს. შეჯახებას, რომელიც პირდაპირი ეთერით მთელ დედამიწაზე გადაიცემა, ამეგანის კონტროლქვეშ მყოფი დიქტორი სატელევიზიო მხატვრულ-ფანტასტიკური ფილმის ნაწყვეტად გამოაცხადებს და პრეზიდენტს პოსტს ამ ტყუილის ხარჯზე შეანარჩუნებინებს.

ეს პასაჟი ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში ინტერტექსტუალურად გამეორებულ ტროპებს აერთიანებს. ქართველს ამ ნარატივში „უცხოადმი“ გაცილებით მეტი საერთო აქვს, ვიდრე დასავლელი „სხვისადმი“. „სხვასთან“ მხოლოდ ერთი ტიპის დამოკიდებულება არსებობს: საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია, ის თავისი გარეგნობითაც კი უფრო განსხვავდება ქართველისგან, ვიდრე სხვა გალაქტიკიდან ჩამოფრენილი არსება. „უცხო“ შეიძლება დაიმეგობრო და თუ ვერ დაიმეგობრებ, მაშინ მას მარტივად და ერთხელ და სამუდამოდ გაანადგურებ. ამის საპირისპიროდ, „სხვას“ ვერასოდეს დაიმეგობრებ. მაგრამ მას ვერც ვერასოდეს გაანადგურებ, რადგან ის იმ მუდმივი მტრის ხატის განსახიერებაა, ურომლისოდაც საბჭოთა კავშირის ხალხთა შიდა კონსოლიდაცია და საერთო იდენტობის გარშემო გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ამ რომანში ჩვენ მესამე ტიპის უცხოსაც ვაწყდებით — მას, რომელიც იმპერიალისტური პერსპექტივიდანაა დახატული.

სანამ სირიუსი დედამიწისთვის თავს გაწირავდეს, ის გიას სამ განსხვავებულ დროსა და სივრცეში ამოგზავრებს: ჯერ XII საუკუნის საქართველოში გადაისვრის და დავით აღმაშენებლის მხარდამხარ დაასწრებს დიდგორის ბრძოლას; შემდეგ ინგლისელ ფიზიკოსს, ერნესტ რეზერფორდს გააცნობს და ატომური იარაღის სიაკვარგეზე მოასმენინებს მსჯელობას; ბოლოს კი წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე დანიელ დეფოსთან და მის „ველურებთან“ ამოაყოფინებს თავს. ჩვენთვის ამ ეტაპზე სწორედ ეს მესამე მოგზაურობაა საინტერესო იმდენად, რამდენადაც გიასა და კუნძულის აბორიგენების შეხვედრა კოლონიური ნარატივის კლასიკურ ნიმუშს

²⁷¹ ჭეიშვილი, თამაზ (1985), „სირიუსი, იდუმალი სტუმარი“, 11.

წარმოადგენს. ამ ნიმუშში გია — დასავლელი ცივილიზებული დამკვირვებლის, აბორიგენები კი დეჰუმანიზებული ველურების როლში გვევლინებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე მოგზაურობა დროის მცირე მონაკვეთში სრულდება, კუნძულზე აღმოჩენილი გია თვალშისაცემ, თუმცა აუხსნელ, ტრანსფორმაციას განიცდის: როგორც კაცობრიობის განვითარებული ნაწილის წარმომადგენელი, ის ბავშვურ მიაშიტობას კარგავს და ახლად მორგებული იდენტობის — დასავლელი დამკვირვებლის — შესაბამის ამპარტავნულ პოზიციას ირგებს. ის არა თუ გონებრივად, ფიზიკურადაც აბორიგენებზე უპირატეს არსებად გვევლინება; იმდენად, რომ ათ „ველურსაც“ კი უჭირს სკოლის მოსწავლის გაკავება. თავად თხრობის მანერაც განიცდის ცვლილებას და ვიქტორიანული პერიოდის სათავგადასავლო რომანის სტილზე გადადის. იმ ტომის ქურუმი, რომელიც გიას შეიპყრობს, ორიენტალისტური ტექსტისთვის დამახასიათებელი ტიპური „ველურია,” რომელსაც ჯონ რიდერი ასე ახასიათებს:

ის დემონურობის განსახიერებაა, [...] რაც იმას ნიშნავს, რომ ის შეპყრობილია ერთადერთი თვისებით, რომელიც განსაზღვრავს მის გარეგნობას და მის ყველა ქცევას ერთი ვიწრო არხით წარმართავს. მსგავსი ფიგურებისგან დამაჯერებლობას ყველაზე ნაკლებად უნდა ელოდო. მათი კომიკური და კრიტიკული ეფექტიანობა იმ უარყოფითი ან სულელური თვისების ჰიპერბოლიზებულ წარმოჩენაშია, რომელსაც ისინი განასახიერებენ.²⁷²

ჭეიშვილისეული ქურუმი ზედმიწევნით აკმაყოფილებს რიდერის დახასიათებას. სანამ გია ძელზეა მიბმული, ის იძულებულია, ტომის წარმომადგენელთა „პრიმიტიულ რიტუალებს“ ადევნოს თვალი: „ქურუმი ‘ცეცხლის ცეკვას’ ასრულებდა, გიას განსაკუთრებით სძულდა, ეჯავრებოდა ეს საზარელი შესახედაობის კაცი, მეტად ბოროტი რომ ჩანდა“.²⁷³ გია ტყვეობიდან თავს ქურუმის შვილის დახმარებით დაიხსნის, რომელიც რაღა თქმა უნდა, მიჯნურდება მისტიკურ, წარმოსადგენ თეთრ კაცზე, ვინც ამ შემთხვევაში 15 წლამდე ასაკის ბავშვია. სანამ გია საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდეს, ქურუმის კომიკურობას კიდევ ერთხელ ესმევა ხაზი: „გია მოედნის შუაგულისკენ გაექანა და ისეთი პანდური უთავაზა ქურუმს, რომ ეს უკანასკნელი ბალახზე გაიშლართა“, ²⁷⁴ — ვკითხულობთ რომანში.

²⁷² Rieder, John (2008), 72.

²⁷³ ჭეიშვილი, თამაზ (1985) „სირიუსი, იდუმალი სტუმარი“, 105.

²⁷⁴ იქვე.

გიას ამ თავგადასავლის აღწერისას ჭეიშვილი ერთ ნიშანდობლივ ნარატიულ არჩევანს აკეთებს: მაშინ, როცა უცხოგალაქტიკელ სირიუსთან, ისევე როგორც ევროპელ მეცნიერებთან კონტაქტისას გიას სპეციალური აპარატის დახმარებით უპრობლემოდ შეუძლია საუბარი, კუნძულზე ის მოწყობილობას კარგავს და „ველურთა“ აზრისგან დაცლილი უხეში ბგერები ჩაესმის ყურში. ეს გარემოება მას და კუნძულის მოსახლეთა შორის არსებულ გადაულახავ კულტურულ უფსკრულს უსვამს ხაზს.

დასავლელი დიდსულოვანი განმანათლებლის როლს გია მაშინ ირგებს, როცა ტომის წევრებს კანიბალიზმის მიუღებლობაზე გრძელ ლექციას წაუკითხავს, ისინი კი თბილისელ მოზარდს ღმერთად შერაცხავენ და მისი ყველა სურვილის გაუპროტესტებლად ასრულების პირობას დადებენ. გიას მართლაც აქვს სურვილი: მას უნდა, რომ შეხვდეს დეფოს, რომელიც მეზობელ კუნძულზე სახლობს. პრობლემა ისაა, რომ ოკეანეში ქარიშხალი იკრებს ძალას და აბორიგენები ცდილობენ, დაარწმუნონ გია, მოგზაურობა იქამდე გადადოს, სანამ წყალში შესვლა უსაფრთხო არ გახდება. მაგრამ გიას საღი აზრის გაგონება არ სურს: მას ჯიუტად გადაუწყვეტია კუნძულის სასწრაფო წესით დატოვება. „ველურთა“ დეჰუმანიზაცია მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა კუნძულიდან ნებაყოფლობით გამოყოფილი ორი აბორიგენი მენიჩზე ეწირება გიას ახირებას, არ დაელოდოს ქარიშხლის ჩადგომას და მაშინვე გაცუროს იმ კუნძულზე, სადაც დანიელ დეფო განმარტოებულა. თუკი დროში პირველი ორი მოგზაურობისას გია ადამიანის სიცოცხლეს ყველა ღირებულებაზე მაღლა აყენებს და დაღუპულებს აწმყოში დაბრუნების მერეც კი გლოვობს, ის ამ ორი მენიჩბის სიკვდილს ვერც კი ამჩნევს. და რაც კიდევ უფრო შემამფოთებელია, მათი ბედით არც ავტორი წუხდება — როგორც კი ოკეანის ტალღებში ჩაიკარგებიან, ისინი რომანის ფურცლებიდანაც უკვალოდ ქრებიან.

მაშინ, როცა რომანში ემოციურადაა აღწერილი, რამდენად მძიმე დანაკლისია გიასთვის უცხოპლანეტელი რობოტის სიკვდილი, კუნძულის მკვიდრთა მსგავსი გაუცნობიერებელი დეჰუმანიზაცია თავად ტექსტის შიდა ლოგიკასაც კი ეწინააღმდეგება. საქმე ისაა, რომ აზრთა თანმიმდევრულობა აქ უფრო მნიშვნელოვან მიზანს, იმგვარი ჰიბრიდული იდენტობის შექმნას ეწირება, როგორიც ეროვნული ღირსების დატევასაც შეძლებს და — მმართველი ცენტრის დირექტივების

ასრულებასაც. კერძოდ, მაშინ, როცა ქართველი გმირი შორეული მომავლის იმ კომუნისტური უტოპიის წარმომადგენელი არაა, რომელშიც დასავლეთი ან აღარ არსებობს ან განადგურების პირასაა, მწერლები პროტაგონისტის კლასიკური დასავლელი დამკვირვებლის როლში წარმოდგენის ცდუნებას ვერაფრით უძლებენ. ამგვარად, იმ სამეცნიერო ფანტასტიკურ ნარატივებში, სადაც მოქმედება წარსულში და/ან აწმყოში მიმდინარეობს, ეს მოდელი ქართველი გმირის უპირატესობის წარმოჩენისთვის გამოიყენება. მეორე მხრივ, „კულტურულ დასავლელთან“ იდენტიფიცირების ეს ინსტინქტური სურვილი უნდა დაბალანსებულიყო იმავე დასავლელის ურჩხულად დახატვის ხარჯზე. ჭეიშვილის რომანის შემთხვევაში, ეს პრაქტიკული გადაწყვეტილება იმით ისხამს ხორცს, რომ ცივ ომში საბჭოთა კავშირის მთავარი ოპონენტის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ძალაუფლების ქონის სურვილით შეპყრობილი მეგალომანიაკი გვევლინება.

3.6. პოსტკოლონიური ნარატივი და ქართული ჰიბრიდული იდენტობა

იმ მომენტიდან, როცა სახელმწიფოებრივი ერთეული იმპერიის კოლონიად იქცევა, მასში მცხოვრები ხალხი ავტომატურად ერთვება დეკოლონიზაციის პროცესში, რომელიც იმპერიის დაშლის მერეც მიმდინარეობს. ეს პროცესი კოლონიზებული ხალხის მიერ საკუთარი ეთნიკური და ეროვნული გამორჩეულობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებას გულისხმობს და პოლიტიკური სუვერენიტეტის ხელახლა მოპოვების მერე ყოფილი ცენტრისგან დამოუკიდებელი ეროვნული იდენტობის შექმნა/გარდაქმნის მისიად რეფორმირდება. პროცესის მსვლელობისას წარმოებული ნარატივების ერთობლიობა პოსტკოლონიურ დისკურსს ქმნის, რომელიც საკუთარ თავში აპრიორი მოიაზრებს იმპერიალიზმის კრიტიკას და უპირისპირდება იმ რწმენით სისტემას, რომელიც ორიენტალისტური ტექსტებით (იქნება ეს მხატვრული თუ არამხატვრული) არის გამყარებული. როგორც უკვე თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, როცა საქმე ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკას ეხება, ამ ტექსტებში დაპყრობილ ქვეყნად ყოფნის ფსიქოლოგიურ წნეხთან გამკლავების მთავარ იარაღად მიმიკრია გვევლინება. მართლაც, ქართველი მწერლების მიერ წარმოდგენილ ფანტასტიკურ სამყაროებში ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო საბჭოთა

სამხედრო ანექსიის მსხვერპლი არასოდეს გამხდარა, რადგან ის თავად წარმოადგენს კომუნისტური იმპერიის ცენტრს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხშირად სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორები ორიენტალისტურ ნარატივს ქმნიან, რომელშიც წარმოსახვითი საქართველო XVII-XIX საუკუნეების დასავლეთ ევროპული ქვეყნის მსგავს პოლიტიკურ სტატუსს იძენს და ქართველი გმირი პერიფერიებში მცხოვრებ აბორიგენებს საუკეთესო შემთხვევაში შემწყნარებლური ქედმაღლობით, უარეს შემთხვევაში კი ემპათიისგან განძარცვული სისასტიკით ეპყრობა.

ამის მიუხედავად, ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში მოიძებნება ისეთი ტექსტებიც, სადაც კოლონიური წყობა პერიფერიის პოზიციიდანაა დანახული და შედეგად, იმპერიული მსოფლმხედველობაა გაკრიტიკებული. მაგალითად, როდამ ჩაჩანიძის 1984 წელს გამოცემულ მოთხრობაში, „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“, ჩვენ ვხედავთ, უცხო ცივილიზაციასთან პირველი კონტაქტისას რამდენად ძლიერია ცდუნება, მის დასამორჩილებლად საკუთარი ტექნოლოგიური უპირატესობა გამოიყენო და კეთილშობილური მიზნები გამორჩენის სურვილს დაუმორჩილო. მოთხრობაში ამბავი ჩხრიალას მღვიმეში დაკარგული ექსპედიციის წევრების გადასარჩენად ჩასულ ქართველ მშველელთა თავგადასავლის გარშემო კონცენტრირდება²⁷⁵. მას შემდეგ, რაც ჯგუფი მიწისქვეშა დერეფნებს სიღრმეებში ჩაუყვება, იეტების სოფელში ამოყოფს თავს. ეს უკანასკნელები მათ შეიპყრობენ და თავიანთ სახლთაგან ერთ-ერთში გამოკეტავენ. დატყვევებულები იეტების ცხოვრების წესის შესწავლას აშკარა ცინიზმით იწყებენ. მიუხედავად იმისა, რომ იეტები მეტყველების უნარის მქონე გონიერი არსებები არიან და ერთი მათგანი ქართველებისადმი იმხელა სიკეთესაც კი იჩენს, რომ საბოლოოდ მათ გაქცევაში ეხმარება²⁷⁶, არქეოლოგები ადგილობრივთა რიტუალებს ირონიული ზიზღით აკვირდებიან და საკუთარი საზოგადოების კულტურული ნორმების, ქცევის წესებისა და გამოცდილების მიხედვით აფასებენ მათ ქცევებს. მაგალითად, რადგან იეტები დილით ადრე არ დგებიან, მათ ზარმაცებად რაცხავენ იმის მიუხედავად, რომ თავად იხილეს, როგორ გაატარეს წინა ღამე თევზაობასა და საცეკვაო რიტუალებში. ამ

²⁷⁵ ჩაჩანიძე, როდამ (1984), „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“, 167-213.

²⁷⁶ ამ იეტს ჩაჩანიძე „თეთრ იეტად“ მოიხსენიებს, რაც, რაღა თქმა უნდა, მოთხრობის ზოგად ანტიიმპერიალისტურ პოზიციას ნამდვილად აყენებს ჩრდილს.

პასაჟებში ქართველი გმირებისთვის „ეგზოტიკური სხვა აღქმულია მხოლოდ როგორც დამკვირვებლის გამრუდებული პროექცია“²⁷⁷. მკითხველი, ამასთან, ცხადად ხედავს, რომ ადამიანები გამოქვაბულის მკვიდრებს უსამართლოდ განსჯიან. დაკარგული ექსპედიციის ის წევრი, რომელმაც მიწისქვეშა სოფელში ყველაზე დიდი დრო დაყო, მოთხრობის ბოლოს აღნიშნავს, რომ იეტები ზარმაცები სულაც არ არიან და რომ მათ წარმატებით მოახერხეს არამეგობრული გარემოს თავიანთ სასიკეთოდ გამოყენება.

ქართველი პერსონაჟების მიერ იეტების დეჰუმანიზაცია მწვერვალს აღწევს, როცა ორი მათგანის დახმარებით სამშვიდობოს აღმოჩენილი ჯგუფის წევრი, გივი სინანულით ამბობს, „კარგი კი იქნებოდა, ეს ორი იეტი გაბაწრული მიგვერთმია ცივილიზებული საზოგადოებისთვის“²⁷⁸. ამ პასაჟში მნიშვნელოვანი ისაა, რომ გივი მოთხრობაში სამაგალითო გმირად დახატული არაა (მსგავსი შემთხვევები ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში იშვიათია, რადგან, როგორც წესი, ქართველი გმირი ყოველთვის იდეალიზებულია). სანაცვლოდ, მკითხველი თხრობის დასაწყისშივე ხედავს მის ნაკლებსა და მისდამი ავტორისეულ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ის ექსპედიციის ერთადერთი წევრია, რომელიც პანიკის ნიშნებს ავლენს, როცა სამაშველო ჯგუფი შეამჩნევს, რომ მღვიმეში მათ გადაადგილებას უთვალთვალებენ. მაშინაც, როცა გივი მოთხრობის ბოლოს იეტების შეპყრობის სურვილს გამოთქვამს, ჩაჩანიძე ხაზგასმით გვანახებს, რომ მისი ეს პოზიცია დასაძრახია. ეს მთლიან მოთხრობაში ერთადერთი მომენტია, როცა ექსპედიციის წევრებს შორის ფარული დაძაბულობა ღია დაპირისპირების ფორმას იღებს. არქეოლოგთა ჯგუფის ლიდერი, ჯურხა გივის „ისეთი თვალებით შეხედა[ვს], გივი დაპატარავდება“ და მიუგებს: „სირცხვილია! სიკეთისათვის ბოროტება ვის მიუზღვია!“²⁷⁹

მაგრამ ჩაჩანიძეს არ ავიწყდება, რომ გივი, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა მოქალაქეა — ქართველია, ამიტომ ნაწარმოებში სასწრაფოდ მისი ფერისცვალება თუ არა, იმის ჩვენება მაინც უნდა მოასწროს, რომ შერცხვენამ მასზე სათანადოდ იმოქმედა. „ვიხუმრე, ჯურხა ბატონო, როგორ დაიჯერეთ, განა ასეთი ცუდი ვინმე ვარ?“ — ამბობს ის და ჯურხაც შემწყნარებლურად აღნიშნავს, „არა, ცუდი ვინმე სრულებითაც არა ხარ

²⁷⁷ Rieder, John (2008), 68.

²⁷⁸ ჩაჩანიძე, როდამ (1984), „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“, 213.

²⁷⁹ იქვე.

და მით უფრო გამიკვირდა, ასეთი რამ რომ ბრძანე“.²⁸⁰ კონფლიქტის მსგავსი სასწრაფო გზით მოგვარება იმ სოცრეალისტური დირექტივითაა ნაკარნახევი, რომ ტექსტში საბჭოთა მოქალაქეში ყველა ნაკლის დაძლევისა და ცნობიერების გარდაქმნის პოტენციალი და უნარი უნდა წარმოჩინდეს. ამ დირექტივას კარგად ერგება საკუთრივ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის დამახასიათებელი, ქართველი პერსონაჟის დადებით გმირად დახატვის ტროპი. ამის მიუხედავად, მოთხრობა ისე ახერხებს ორიენტალისტური ხედვის კრიტიკას, რომ ეს უკანასკნელი დასავლეთის იმპერიალიზმის ლანძღვის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ თავად ამგვარი მსოფლხედვის გაუმართლებლობას უსვამს ხაზს.

უცხო დეჰუმანიზაციის კრიტიკა ირინე ტალიაშვილის 1987 წლის სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობების კრებულის, „ნატვრის“ ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსარჩევია მოთხრობა „ექსპერიმენტი“²⁸¹, რომელშიც მწერალი არბიტრარული ნიშნით განსხვავებული არსებებისადმი სისასტიკით მოპყრობის ამბავს ჰორორისეული ენით გვიყვება. ჩაჩანიძის მოთხრობის არ იყოს, აქაც ტალიაშვილი „უცხოს“ წარმოსაჩენად სხვადასხვა კულტურაში გავრცელებულ ფოლკლორულ ქმნილებას, „თოვლის კაცს“ იყენებს. ნაკრძალში გამოკეტილ ამ არსებებს ხელოვნურად ამრავლებენ, შემდეგ კი მათი ბეწვისგან ოქროზე ძვირფას ნივთიერებას ადნობენ, კანის ქვეშ არსებული ცხიმისგან გამაახალგაზრდავებელ ნაერთს ამზადებენ, ხოლო სისხლისგან — ყველა დაავადების განმკურნებელ წამალს. ტალიაშვილი არ ერიდება თოვლის კაცების ცოცხლად მოხარშვის, გატყავებისა და მოკვლის სცენის დეტალურად აღწერას:

ადამიანის მკლავებივით გამართული ხელსაწყოები[...] ცხელ ობზიდარზე ატრიალებდნენ ცოცხალ არსებებს. [...] გონებაარეული, შეშლილი კაცის თვალები მისკენ იყურებოდნენ... ქვაბებში ოქროსფერი, მზინვარე ლავა მოჩხრიალებდა. გამოწურული ბეწვი ხელმეორედ იხარშებოდა, ლანცეტივით ბასრი, გრძელპირიანი ელექტრული მახვილი თვალისდახამხამებაში ჰფატრავდა სისხლის სადინარებს და ალისფერი ნაკადით ივსებოდა გამჭვირვალე ჭურჭელი.²⁸²

ექსპლუატაციის მიზნით წამების ამსახველი ეს პასაჟი ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ალეგორიადაც შეგვიძლია დავინახოთ. მაგრამ მწერალი მიზანმიმართულად მიდის ამაზე შორს და ისეთ პარალელებს ავლებს, როგორებიცაა

²⁸⁰ იქვე.

²⁸¹ ტალიაშვილი, ირინე (1987) „ექსპერიმენტი“, 16-32.

²⁸² იქვე, 30.

მკითხველის გონებაში კოლონიურ ჩაგვრასთან დაკავშირებულ ასოციაციებს გამოიხმობს. ნაკრძალის მფლობელი კომპანია ამ არსებებს, რომელთაც „ნამდვილი ადამის შვილები ეთქმით“, მხეცებად წარმოაჩენს, რადგან „სხვანაირად როგორ უნდა გაამართლოს მეცნიერებამ ეს სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა“²⁸³. მოგვიანებით კი იმასაც ვიგებთ, რომ თოვლის კაცები სხვა ადამიანებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ სახე გრძელი, ქარვისფერი ბეწვით აქვთ დაფარული. აშკარაა, რომ ამ პასაჟებით ტალიაშვილი თეთრკანიანთა მიერ კოლონიების მოსახლეობის ექსპლუატაციის, თავიანთი მიწებიდან განდევნის და ფიზიკური განადგურების გამამართლებელი ნარატივების აბსურდულობას გამოკვეთს.

ასევე პოსტკოლონიური ნარატივის შემცველია ოთარ სადრამის მოთხრობა, „უსასრულობიდან“. მაშინ, როცა პლანეტა ურუ დაუსახლებელ პერიფერიადა და სამყაროს საზღვრად მიჩნეული სივრციდან სიგნალებს მიიღებს, გალაქტიკის ცენტრში სასიცოცხლოდ საჭირო ენერგიის საძებნელად გამზადებულ პროტაგონისტ ერას მარშრუტის შეცვლა და სიგნალის წყაროს დადგენა დაევალება²⁸⁴. ერასთვის ეს ბრძანება თავდაპირველად მიუღებელია, მისთვის „პერიფერიაში გამგზავრება უკან, წარსულში დაბრუნებაა.“²⁸⁵ მაგრამ ის აზროს მას შემდეგ იცვლის, როდესაც სამყაროს მისთვის აქამდე უცხო პერსპექტივით დანახვას შეძლებს: „შეიძლება მათთვის [სიგნალის გამომგზავნთათვის] ჩვენ სწორედ სამყაროს ის ნაწილი ვართ, სიცარიელედ, პერიფერიადა, რომ მივიჩნევთ. ხედავთ, როგორ იცვლება სუფველაფერი, როგორც კი სამყაროს სხვა წერტილიდან დაუწყებთ ცქერას.“²⁸⁶

იმპერიალისტური იდეოლოგიის საფუძველი — უნივერსალური ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიაა გაკრიტიკებული შოთა გაგოშიძის თორმეტგვრდიან მოთხრობა, „ორმხრივ შეცდომაშიც.“²⁸⁷ უცხო გალაქტიკის ცენტრში მდებარე გიგანტური პლანეტის გიგანტური ზომის უცხოპლანეტელები ირმის ნახტომის გალაქტიკის პერიფერიას პირველად ზვერავენ. დედამიწის აღმოჩენისას ისინი გადაწყვეტენ, რომ ამ ერთი ბეწო პლანეტაზე შეუძლებელია, გონიერი არსებები

²⁸³ იქვე, 17.

²⁸⁴ სადრამე, ოთარ (1986) „უსასრულობიდან“, 139-179.

²⁸⁵ იქვე, 174.

²⁸⁶ იქვე, 176.

²⁸⁷ გაგოშიძე, შოთა (1979), „ორმხრივი შეცდომა“, 90-102.

განვითარებულიყვნენ. ეს იმიტომ, რომ, მათი გამოცდილების თანახმად, „საპიენსები ჩნდებიან მხოლოდ კოლოსალური მიზიდულობის მქონე დიდ პლანეტებზე და ისინი, როგორც წესი, გიგანტები არიან,” ამასთან კი ყველამ იცის, რომ „სამყაროში, როგორც გალაქტიკის ცენტრში, ისე მის პერიფერიებშიც უნივერსალური კანონზომიერებანი მოქმედებენ²⁸⁸.” რწმენა იმაში, რომ უნივერსალურ ჭეშმარიტებას ფლობენ, უცხოპლანეტელებს იმ წამს უქარწყლდებათ, როცა დედამიწიდან გამოშვებული წყალბადის რაკეტების პირისპირ აღმოჩნდებიან. იმ განცდას, რომელიც მათ „ყბადაღებული უნივერსალური კანონზომიერების კრახის²⁸⁹” შემყურე ეუფლებათ, ჯონ რიდერი უწოდებს „შოკს, რომელსაც განიცდი, როცა ეგზოტიკურთან პირისპირ შეყრა საკუთარი თავის გადაფასებას გაიძულებს²⁹⁰”. თუმცა, მოთხრობაში ეს შოკი ცალმხრივი არაა: დედამიწელებიც თავიანთ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნით მოქმედებენ. მზის სისტემაში გამოჩენილ უცხო ციურ სხეულს ისინი კომეტად მიიჩნევენ, რადგან „ავსტრალიის კონტინენტის ოდენა“²⁹¹ ხომალდის არსებობა მათთვის იქამდე წარმოუდგენელია, სანამ უცხო სხეული მის გასანადგურებლად გაშვებული რაკეტებისგან თავს არ დაიძვრენს და მზის სისტემას არ გაეცლება.

„ორმხრივ შეცდომაში” უცხოპლანეტელებსა და დედამიწელებს შორის კონტაქტი არ მყარდება; მათ შორის განსხვავება ზედმეტად დიდია იმისათვის, რომ შეუმზადებლად შეძლონ საერთო ენის გამონახვა. მაგრამ ბოლომდე შეუმდგარი კონტაქტიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ორივე ცივილიზაციაში იმგვარი ტიპის ცოდნა დაიბადოს, რომელიც სამყაროს ძველებური აღქმის გადაფასებას იწვევს. ეს დედამიწელი ოპერატორის იმ შეგონებით დასტურდება, რომლითაც სრულდება მოთხრობა: „თქვენი ეგრეთწოდებული კანონზომიერებანი საპნის ბუშტივით გასკდა წყალბადის ბომბების აფეთქებასთან ერთად. ჩვენ ამიერიდან სულ სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ და შევაფასოთ სამყაროში მიმდინარე პროცესები. აი, მთავარი გაკვეთილი, რაც გიგანტური კოსმოსური ძმების სტუმრობიდან მივიღეთ²⁹².”

²⁸⁸ იქვე, 91.

²⁸⁹ იქვე, 99.

²⁹⁰ Rieder, J. (2008) “Colonialism and the Emergence of Science Fiction”, 67.

²⁹¹ გაგოშიძე, შოთა (1979), „ორმხრივი შეცდომა“, 100.

²⁹² იქვე, 101.

პოსტკოლონიურ სამეცნიერო ფანტასტიკას ლანგერი ასე ახასიათებს: „ეს ნაშრომები უპირისპირდებიან დასავლური მეცნიერების, პროგრესისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის პარადიგმას, როგორც სამყაროს აღქმის ერთადერთ კანონიერ მეთოდს.“²⁹³ ისინი ამ გზით „თავად სისტემას აყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ, კერძოდ კი, იკვლევენ იმ გამანადგურებელ ეფექტებს, რომელიც ამ სისტემას აქვს ისეთ საზოგადოებებსა და კულტურებზე, რომელთა მსოფლმხედველობაც სრულიად განსხვავებულ საფუძველზეა დაშენებული“²⁹⁴. „ორმხრივ შეცდომაში“ „გამანადგურებელ ეფექტებამდე“ საქმე არ მიდის — ტექნოლოგიური უპირატესობის მქონე ცენტრი ნებაყოფლობით ამბობს უარს იმგვარ კონტაქტზე, რომელიც კონფლიქტით შეიძლება დასრულდეს და სწორედ ამ წინდახედულობასა და ჰუმანურობაში იკითხება კოლონიური აგრესიის კრიტიკა.

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა — ტექნოლოგიურად სატურირებული საზოგადოებების ლიტერატურა — საქართველოში ბუნებრივად არ დაბადებულა. იმის გამო, რომ ჟანრი სოცრეალიზმთან მრავალ თავისებურებას იზიარებდა, ის იმ ტიპის მწერლობად იქცა, რომელიც კომუნისტური პარტიის მიერ გახლდათ წახალისებული. ამგვარად, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში მოღვაწეობა მწერლისთვის არა მხოლოდ პროფესიული კარიერის ქონის უზრუნველყოფას უდრიდა, არამედ რეჟიმისადმი ლოიალობის დემონსტრირების მარტივ გზას წარმოადგენდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ 1930-1991 წლებში შექმნილი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა იშვიათად უპირისპირდება ავტორიტარული მმართველობის მიერ დადგენილ პრინციპებს. ამის მიუხედავად, თავად ჟანრისთვის დამახასიათებელმა ფანტასტიკურობის ელემენტმა მწერლებს საშუალება მისცა, ნაციონალისტური ნარატივი დაშვებული საზღვრების მიღმა განევრცო, რაც იმპერიალიზმის კრიტიკასა და ცენტრისგან დამოუკიდებელი, პოლიტიკური ნებელობის მქონე ეროვნული იდენტობის შექმნის მცდელობაში გამოიხატა. ამ მიზნის მიღწევის მთავარ მეთოდოლოგიურ იარაღად ქართველებმა მიმიკრიის მექანიზმები გამოიყენეს.

²⁹³ Langer, Jessica (2011), 131.

²⁹⁴ იქვე, 132.

კოლონიური მიმიკრია არ გულისხმობს ცენტრთან სრულ გაიგივებას, შესაბამისად, ამ პრაქტიკის შიგნით ნაციონალური სიამაყის შენარჩუნება მარტივადაა შესაძლებელი. როცა საქართველო კომუნისტური საზოგადოების შემოქმედად და ცენტრადაა წარმოდგენილი, ან როცა მის უმთავრეს მტრად დასავლეთია დასახული, ქართველობა რუსობას კი არ უტოლდება, არამედ მისგან პოლიტიკური ძალაუფლების ხარისხობრივ ღირებულებას ითვსებს.

ის ფაქტი, რომ რუსეთი, თავის მხრივ, ამერიკისა და ევროპის პერიფერიის სტატუსიდან თავის დამკრეწას ცდილობს, ქართული ეროვნული იდენტობის ამბივალენტურობას ორმაგად ჩახლართულსა და წინააღმდეგობრივს ხდის. მაგრამ მისი სიძლიერე სწორედ ამ კომპლექსურობაშია, რადგან სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი შრე ბალანსირებისა და, შესაბამისად, თვითგადარჩენის უკეთეს შანსს იძლევა. მონოლითური იდენტობის არარსებობა, ჰეტეროგენული ცნობიერების ამოვარდნილობა დროსივრცული კანონზომიერებიდან, მისი ჰიბრიდული აგებულება, ერთგვარ უნიკალურობას სძენს ქართულ საბჭოთა იდენტობას. პარადოქსულად, სწორედ ამგვარ სპეციფიკურ არამდგრადობაშია მისი მდგრადობა, რადგან მისი ნაწილები შინაგანი ლოგიკით, კერძოდ კი თვითგადარჩენის იმპულსით მოძრაობენ. რომ არა ეს განუწყვეტელი მოძრაობა, თვითიდეტიფიკაციის ერთი გამოხატულებიდან მეორემდე მუდმივი გადანაცვლება, ქართული ნაციონალური სხეულის სახელდახელოდ შეკოწიწებული ორგანოები ერთ მთლიანობად ყოფნის უნარს დაკარგავდა და უსიცოცხლო ნაწილებად დაიშლებოდა.

ამ იდენტობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ზემოხსენებული ნაციონალური სიამაყე, დამოუკიდებლობაწართმეულ საბჭოთა საქართველოში საყრდენს პრესაბჭოთა, ფეოდალურ ხანაში პოულობს. ისტორიული წარსული იმ ეროვნული იდეალის არსებობას ხდის შესაძლებელს, რომელიც როგორც რუსეთის, ასევე დასავლეთის დამოუკიდებლად არსებობდა და, შესაბამისად, მომავალშიც შეეძლო არსებობა. ამ ტიპის ნარატივში ყველა ძლევამოსილი და მრავალარიცხოვანი მტერი დამარცხებულია და საქართველოს წარსულის დიდება ნათელი აწმყოსა და მომავლის წინაპირობა ხდება. სწორედ ამგვარი, საკუთრივ ქართული იდენტობის შექმნის სამეცნიერო ფანტასტიკურ მცდელობებს მომდევნო თავში გავაანალიზებთ.

თავი 4: გამოყენებითი უტოპია — სამეცნიერო ფანტასტიკა
როგორც არმოხდენილ ისტორიათა და არარსებულ სივრცეთა
კოლექტიური მოგონების წყარო

4.1. „ყველაზე ძვირფასი რელიკვია“

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი კაპიტანი, გივი ოძელი მორიგ კოსმოსურ რეისს ასრულებს. როგორც ყოველთვის, მას ახლაც თან აქვს თავისი სამშობლოდან წამოღებული ყველაზე ძვირფასი რელიკვია — ერთი პეშვი მიწა.

შორეული სივრცეების გადაკვეთისას ის სრულებით ახალ პლანეტას გადაეყრება. პლანეტა სიდიდით მარსის ხელაა, თუმცა ატმოსფეროთი დედამიწას ჰგავს. ერთი განსხვავებით: მის ჰაერში ჟანგბადის გაცილებით მეტი დოზაა, რასაც მთლიანი ციური სხეული ნამდვილ სამოთხედ უქცევია. მასზე თვალწარმტაცი ბუნებაა გაშენებული, ტყე-ველი და წყალსაცავები კი სავსეა ცოცხალი ორგანიზმებით. თუმცა პლანეტას ცივილიზაციის კვალი არსად ატყვია: აქ არც გზებია, არც სოფლები და არც ქალაქები.

იმის მიუხედავად, რომ ეს ბოლო გარემოება პლანეტაზე გონიერი არსების არყოფნაზე მიუთითებს, გივი მის ზედაპირზე მაღალგანვითარებულ უცხოპლანეტელებს მაინც გადააწყდება. ქართველ კოსმონავტს გაკვირვებისთვის დიდი დრო არ რჩება, რადგან მალევე გაარკვევს, რომ უცხო არსებები პლანეტის მკვიდრნი სულაც არ არიან. მათი სამშობლო, რომელიც სულ სხვა ვარსკვლავის სისტემაშია, თავის დროზე ცივილიზაციის სწრაფი განვითარების შედეგად გარემოს არაგონივრული ექსპლუატაციის მსხვერპლი გამხდარა და ახლა მასზე ცოცხალი ბუნების განვითარების ჰარმონიულობა ერთხელ და სამუდამოდაა დაკარგული. სწორედ ამიტომ დაუწყიათ პლანეტის მკვიდრებს კოსმოსში სხვა სამყაროების ძებნა და ეს ოაზისი აღმოუჩენიათ.

ოძელი მათგან იმასაც იგებს, რომ უცხოპლანეტელებს ეს ციური სხეული კოლონიის გასაშენებლად სულაც არ სჭირდებათ: ისინი აქ მხოლოდ დასასვენებლად, ტურისტების სტატუსით დადიან. შესაბამისად, პლანეტაზე სასტიკადაა აკრძალული მადნეულის მოპოვება და ნებისმიერი სხვა ისეთი სამუშაო, რომელიც გარემოს დაბინძურებას გამოიწვევს. თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან ამ წესს ეს არსებები, ნათელი ხდება, როცა ოძელს პლანეტის ნიადაგიდან მინერალთა ნიმუშების აღება მოუწდება, უცხოპლანეტელები კი მას მიწაში ერთი მეტრის სიღრმის ორმოს გაბურღვასაც კი არ დაანებებენ.

ეს ინციდენტი ორი პლანეტის შვილებს შორის კონფლიქტს არ იწვევს. სიტუაციის განსამუხტად უცხო ცივილიზაციის მკვიდრნი ოძელს შესთავაზებენ, დედამიწელები პლანეტა-ნაკრძალს მაშინ ეწვიონ, როცა მოესურვებათ. ახალგაცნობილ არსებათა კეთილშობილური ბუნებით, რაინდული სულითა და სიბრძნით მოხიბლული გივი

პლანეტას მათ პატივსაცემად „ტარიელს“ უწოდებს. უცხო ცივილიზაციის შვილები, რომლებიც პლანეტებს მხოლოდ რთულად დასამახსოვრებელ ციფრების კომბინაციას არქმევენ ხოლმე, დედამიწელის მიერ მოფიქრებული სახელით მოიხიბლებიან და გივის საზეიმო ვითარებაში შეატყობინებენ, რომ ამიერიდან ამ ციურ სხეულს თავადაც „ტარიელს“ დაუძახებენ. ამგვარად, პლანეტა „ტარიელი“ ორი მაღალგანვითარებული საზოგადოებისთვის სრულად ნეიტრალურ, იდილიურ, უკონფლიქტო, განტვირთვის ადგილად იქცევა.²⁹⁵

ასე სრულდება პირველი კონტაქტი უცხო მიწაზე, რომლის უტოპიურობაც ცივილიზაციის სრული უკუგდებით მიიღწევა.

4.2 საბჭოთა დროის სასწაულები

მართალია, სამეცნიერო ფანტასტიკასა და უტოპიას შორის ტოლობა არ ისმევს, თუმცა მათი გზები ხშირად იკვეთება, რადგან მრავალი მოაზროვნის თუ მწერლისთვის უსამართლო სისტემის აღმოფხვრის წინაპირობა ტექნოლოგიური პროგრესი გახლავთ. მაგალითად, „სტარ ტრეკის“ სამყაროში, რომელიც უტოპიური ხედვის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელს წარმოადგენს, დედამიწაზე გაჭირვების პრობლემა მეტწილად ერთმა გამოგონებამ, რეპლიკატორმა გადაჭრა, რომელსაც თითქმის ნებისმიერი მატერიის (მათ შორის საკვების) წარმოება შეუძლია. სამეცნიერო ფანტასტიკურ უტოპიათა უმეტესობა — მათ შორის, თავად „სტარ ტრეკიც“ — სოციალისტურ იდეებს იზიარებს. ამის მიზეზი საერთო მიზნის ქონაა: ორივე მათგანს ყოველგვარი სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრა კოლექტიური ბედნიერების მიღწევით სურს. თუმცა როგორც რეალობაში, ისე გამოგონილ სამყაროებშიც უტოპია სიუჟეტის განვითარების პარალელურად თითქმის ყოველთვის ან აშკარა დისტოპიად იქცევა ან დამაჯერებლობას კარგავს.

ჩვენი კვლევისთვის უტოპიის ცნება ორმაგად მნიშვნელოვანია. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ მნიშვნელობის წარმოჩენაზე გადავიდოდეთ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნაშრომის ფარგლებში ტერმინი არ მოიაზრება ისეთი განზოგადებული მნიშვნელობით, როგორითაც მას ერნსტ ბლოხი იყენებს. ეს უკანასკნელი უტოპიით

²⁹⁵ გაგომიძე, შოთა (1979), „ყველაზე ძვირფასი რელიკვია“, 102-108.

აღნიშნავს ყველა იმ გამომსახველობით ფორმას (იქნება ეს ზეპირსიტყვიერება, მწერლობა, მუსიკა თუ არქიტექტურა), რომელთა დახმარებითაც ადამიანები უკეთეს ცხოვრებაზე ოცნებობენ.²⁹⁶ სანაცვლოდ, ტერმინით ჩვენ მოვიაზრებთ კონკრეტულ ხედვას, რომელიც მიზანმიმართული თანმიმდევრობით ხასიათდება და მისიად აწმყოს ალტერნატიულ რეალობათა წარმოდგენა და, ზოგ შემთხვევაში, ამ წარმოდგენის რეალობაში განხორციელება აქვს. უფრო კონკრეტულად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია უტოპიის იმგვარი გამოყენებაა, როცა მისით, ერთი მხრივ, ის პოლიტიკური რეჟიმი ხასიათდება, რომლის შემოქმედიც საბჭოთა ხელისუფლება გახლდათ, მეორე მხრივ კი — სამეცნიერო ფანტასტიკის „სოციალურ-ეკონომიკური ქვეყანრი²⁹⁷“, რომელსაც საკუთრივ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა განსაკუთრებით სწყალობდა. ამგვარად, სანამ უშუალოდ მხატვრული უტოპიის ანალიზზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია, ცნების საბჭოთა კავშირთან მიმართების თავისებურებები განვსაზღვროთ.

ის ფაქტი, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი რეჟიმის დამამყარებელი პოლიტიკური ერთეული, საბჭოთა კავშირი უტოპიური ხედვის კარნახით შეიქმნა, ამ კონცეფციის დადებით, პროგრესულ ძალაზე საუბარს მნიშვნელოვნად ართულებს. შექმნილი უხერხულობიდან თავის დასაძვრენად, საბჭოთა კავშირის უტოპიური ხასიათის ანალიზისას ხშირად ამ უკანასკნელი ცნების ორპირობას უსვამენ ხაზს. მაგალითად, რონალდ სუნისთვის „სიტყვა [უტოპია] ისეთ ასოციაციებს აჩენს, როგორებიცაა სრულყოფილება და სრულქმნილება, ადამიანური არსებობის ყოფითი პრობლემების შესაძლო გადაჭრა. მაგრამ ის ასევე დაკავშირებულია შეუძლებელ იდეალთან, რეალიზმის უკმარისობასთან ან სოციალური გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ არაპრაქტიკულ სქემასთან“.²⁹⁸ ხოლო მარინა ბალინა და ევგენი დობრენკო საბჭოთა კავშირს „გახევებულ უტოპიას“ ადარებენ. უტოპიურ იდეალებზე დაშენებული რეჟიმის სისასტიკეზე საუბრისას ისინი იმას უსვამენ ხაზს, რომ სისტემის შიგნით იდეალად განსაზღვრულ

²⁹⁶ ერნსტ ბლოხი კულტურაში უტოპიანიზმის ცნების განხილვას არაერთ ნაშრომს უძღვნის. ამ თემის გარშემო შესრულებული მისი პირველი ნამუშევარი, *The Spirit of Utopia* (2000), გახლავთ, თუმცა მოგვიანებით ბლოხმა თავისი ნააზრევი სამტომიან ნაშრომში, *The Principle of Hope*, განავრცო.

²⁹⁷ Jameson, Fredric (2005), xiv.

²⁹⁸ Suny, Ronald (2010), 26.

კოლექტიური ბედნიერების იდეას, რომლისთვისაც საზოგადოებას მომავალში უნდა მიეღწია, აწმყოში მცხოვრები ინდივიდების ბედნიერება ეწირებოდა²⁹⁹. მართალია, ეს ახსნა ზედმიწევნით მიესადაგება საბჭოთა უტოპიანიზმს, თუმცა თავად ტერმინი, „გახევებული უტოპია“, თავისი ოქსიმორონული ბუნებით, უტოპიის კიდევ ერთ ისეთ მნიშვნელოვან თვისებაზე მიგვითითებს, რომელიც საბჭოთა კავშირის შიგნით ვერაფრით განხორციელდებოდა. საქმე ისაა, რომ „უტოპიურ სურვილთა მნიშვნელობა მატერიალური სამყაროს უსრულობაზეა მთლიანად დამოკიდებული. ეს სამყარო რაღაცად ქცევის გამუდმებულ მდგომარეობაში იმყოფება. მომავალი ‘ჯერ არაა’ და შესაძლებლობის სფეროში იმყოფება. უტოპია ამ მომავლისკენ იწვდენს ხელს და მას განჭვრეტს“.³⁰⁰ ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირისეული სამყარო სასრული გახლავთ და, მართალია, აწმყოში ის მართლაც რაღაცად ქცევის მდგომარეობაში იყო გაყინული, თუმცა ოფიციალური, ისტორიულ-მატერიალისტური რიტორიკით, ამ „რაღაცად“ ის უკვე ქცეული იყო. მაშასადამე, საბჭოთა მხატვრულ უტოპიას არა გარდამქმნელის, არამედ აღმწერის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

აქ უტოპიის კიდევ ერთი ორგვარი გაგება უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან — ეს ცნება ერთდროულად მდგომარეობასაც მიემართება და კონკრეტულ სივრცესაც. ერთი მხრივ, ესაა ისეთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური იდეალი, რომლის განხორციელების შედეგადაც შინაგანი, სისტემური პრობლემებისგან და უსამართლობებისგან სრულად თავისუფალი რეჟიმის ჩამოყალიბება იქნება შესაძლებელი. ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის ადგილი, სადაც თანასწორი საზოგადოების ეს იდეალი უკვე მიღწეულია. თუმცა ამ მიზნის რეალობაში განხორციელების შეუძლებლობა ტომას მორის ნეოლოგიზმში თავისთავად იგულისხმება: ბერძნული უარყოფითი ნაწილაკის და სიტყვა „ადგილის“ შეერთებით მიღებული ტერმინი, *უტოპია*, ქართულად *უადგილობად* ითარგმნება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თანამედროვე ადამიანის გონებისთვის ისეთი წყობის წარმოდგენაც კი რთულია, რომელიც საზოგადოების თითოეული წევრის ჩაგვრას აღმოფხვრის — თანაც ისე, რომ ამ ამოცანას თავისუფლების არცერთი ფორმა თუ გამოვლინება არ შეეწირება. შესაბამისად, უტოპია ყოველთვის და მუდამ ნაკლოვანია.

²⁹⁹ Balina, Marina and Dobrenko, Evgeny (2009), xv-xxiv

³⁰⁰ Levitas, Ruth (1990), 14.

თუმცა სრულყოფილად დადებითი უტოპიის ჯერ წარმოდგენის და მერე ამ წარმოდგენის რეალობაში განხორციელების შეუძლებლობა ცნებისთვის ჩიხის შემქმნელი სულაც არაა. ეს იმიტომ, რომ უტოპიის წარმოდგენა ერთგვარ გონების ვარჯიშს ჰგავს, რომლის მიზანიც არა იმდენად სამოქმედო გეგმის დასახვა, არამედ აწმყოს განშრევაა მის ნაკლოვანებათა გამოაშკარავების მიზნით. რადგან ნაკლთა განსაზღვრა მათ აღმოფხვრაზე ზრუნვის დაწყებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, შესაბამისი მოქმედების გამოწვევის თვისება ხშირად უტოპიის არსებით მახასიათებლად აღიქმება ხოლმე³⁰¹. თუმცა როგორც ქვემოთ დავინახავთ, როცა უტოპია კონკრეტულ სამოქმედო გეგმად იქცევა, მას, როგორც წესი, დადებითი გარდაქმნის მოხდენის პოტენციალი უქრება. ეს გარემოება იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ დადებითი ცვლილების მოტანის უნარი უტოპიის არა „არსებითი“, არამედ „ფარდობითი“ თვისებაა.³⁰² მეორენაირად, უტოპიური ხედვა კი ქმნის დადებითი პოლიტიკური ცვლილებებისთვის თეორიულ საფუძველს, მაგრამ პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ ქცევისას ის ამ ცვლილებათა წარმატებით განხორციელების გარანტიად ვერ გამოდგება.³⁰³

უტოპიის ამგვარი გაგება ისეთ კითხვებზე პასუხის პოვნის საშუალებას იძლევა, როგორებიცაა: თუ უტოპიის რეალობაში განხორციელების რწმენამ ადამიანებს რევოლუციის მოხდენა შეაძლებინა, მაშინ რატომ ვერ შეინარჩუნა რეჟიმის შიგნით უტოპიამ გარდაქმნის მომხდენი ძალა? უფრო მეტიც — რატომ და როგორ იქცა უტოპიური ხედვა საბჭოთა კავშირში მჩაგვრელი რეჟიმის გამამყარებლად? ასეთად რომ იქცა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ პარტიას უტოპიების მეტად დისტოპიების ემინოდა. ეს შიში იყო იმის მიზეზი, რომ ევგენი ზამიატინის მიერ 1920-1921 წლებში დაწერილი დისტოპიური რომანი, „ჩვენ“ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 1988 წელს გამოიცა. დისტოპიების სიუხვით არც ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა

³⁰¹ იხილეთ Ruth Levitas (2013), „Utopia As method“.

³⁰² ცნებათა თუ მოვლენათა არსებითი და ფარდობითი თვისებების შესახებ დაწვრილებითი ანალიზისთვის იხილეთ David Weberman (2000) „A New Defense of Gadamer's Hermeneutics“, 45-65.

³⁰³ ფრედრიკ ჯეიმსონი უტოპიის პოლიტიკური ძალის დაკნინების კუთხით ამაზე შორსაც მიდის და აღნიშნავს, რომ მთავარი მიზეზი, რატომაც უტოპიას ცვლილებების მოხდენის უნარს მიაწერენ, პოლიტიკურ გარდატეხათა მომენტში მსგავსი ნარატივების რაოდენობათა ზრდა გახლავთ. თუმცა ის ამტკიცებს, რომ ეს კორელაცია არ იხსნება იმით, რომ უტოპია ამ ცვლილებათა გამომწვევ მიზეზთაგანია, არამედ, პირიქით — მსგავსი ტურბულენტური პერიოდები იწვევენ უტოპიურ ხედვათა მომრავლებას (იხილეთ, Jameson, Fredric (2005) 10-21).

გამოირჩევა. და იმ თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებშიც, როცა მკითხველს აშკარა უსამართლო სისტემის ან პოსტაპოკალიფსური რეალობის ხილვის საშუალება ეძლევა, 1980-იანი წლების მიწურულამდე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში მოქმედება ყოველთვის დედამიწიდან შორს, სხვა პლანეტაზე მიმდინარეობს. ამ რეალობის დამკვირვებლად კი იდილიური კომუნისტური საზოგადოების ქართველი იდეალური გმირი გვევლინება. დისტოპიების საპირისპიროდ, ნათელი მომავლის დამხატველი ტექსტები, როგორც ამ ნაშრომშიც ვნახეთ, სოცრეალისტურ დირექტივათა ასრულების ერთ-ერთი, რეჟიმის მიერ წახალისებული საშუალება გახლდათ.

მათ, ვინც სამეცნიერო ფანტასტიკური უტოპიის პოლიტიკურ ძალაზე შექმნილ ლიტერატურას გასცნობია, უტოპია/დისტოპიისადმი პარტიის ეს დამოკიდებულება გულუბრყვილო შეიძლება ეჩვენოს. როგორც აღვნიშნეთ, უტოპია სამოქმედო გეგმად კი ვერ გამოდგება, მაგრამ მას საზოგადოებაში უკმაყოფილების გაჩენის უნარი ნამდვილად შესწევს. სამეცნიერო ფანტასტიკური უტოპიის კვლევისას დარკო სუვინი აღნიშნავს, რომ უტოპიის ეს თვისება, გამოიწვიოს პოლიტიკური ცვლილების სურვილი, გამომდინარეობს იმისგან, რომ „ყველანაირი უტოპიური დებატის საფუძველი, მის ღია თუ ფარულ დიალოგებში, არის თითის გაშვების ქესტი, ფართოდ გახელილი თვალებით გადატანილი მზერა ამ ადგილიდან იმ ადგილზე, 'მოგზაური კადრი', რომელიც ავტორის ყოველდღიური სათვალთვალო პუნქტიდან შორეული მიწის გასაოცარ პანორამაზე გადადის³⁰⁴“. სწორედ ორი სამყაროს მსგავსი შედარების ხარჯზე მკითხველს შეუძლია დაინახოს, რა განასხვავებს მის აწმყოს იდეალური რეალობისგან, რადგან უტოპიური სამეცნიერო ფანტასტიკური სამყარო ჩვენი სინამდვილისგან „არა მხოლოდ დროით და ადგილით განსხვავდება, არამედ, ამასთან, მისი მთავარი ინტერესი ისაა, თუ რა განსხვავებას იწვევს ეს განსხვავება³⁰⁵“.

მართლაც, თუ უტოპიური წარმოსახვითი საზოგადოება აწმყოს ნაკლოვანებებს განახებს, დისტოპიური კი, როგორც წესი, ყოველთვის უტრირებულად ნეგატიურია და აწმყოს უფრო მიმზიდველად წარმოჩენის უნარიც კი აქვს, რატომ არჩია საბჭოთა რეჟიმმა პირველი ხედვა სოცრეალისტური მწერლობის საფუძველად? საქმე ისაა, რომ

³⁰⁴ Suvin, Darko (1979), 37.

³⁰⁵ Freedman, Carl (2000), xvi.

ბოლშევიკური პარტია აწმყოს გაჭირვებაზე მეტად მომავლის კეთილდღეობაზე იყო პასუხისმგებელი. ამის შესახებ საუბრობს კატერინა კლარკი, როცა 1930-იან წლებში საბჭოთა რეალობაში პოზიტივისტური ხედვის მისტიციზმამდე მისული იდეალიზმით ჩანაცვლების ტენდენციას უსვამს ხაზს. კოლექტივიზაციის წლებში, როცა მოსახლეობა ეკონომიკური სიდუხჭირისა და შიმშილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, პარტიისეულ რიტორიკაში აწმყოსეული სტატისტიკის თუ ეკონომიკური მაჩვენებლების ღირებულებამ იკლო და აქცენტი „ხარისხობრივ ნახტომებზე“ დაისვა³⁰⁶. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოქალაქეს აწმყოსეული გაჭირვება იმ ნათელი მომავლის რწმენით უნდა გადაეტანა, რომელიც, ისტორიული მატერიალიზმის ხედვის თანახმად, გარდაუვალი იყო. ნიშანდობლივია, რომ კლარკი, ნუდელმანის მსგავსად, 30-იანი წლების მწერლობის დახასიათებისას ფსიქიკური აშლილობის აღმნიშვნელ ტერმინს იყენებს. თუ ნუდელმანისთვის სტალინისტური სამეცნიერო ფანტასტიკა პარანოიას გამოხატავს, კლარკისთვის იმავე პერიოდის ზოგადი პროზა ხასიათდება „მოდალური შიზოფრენულობით“. შიზოფრენია მისთვის გამოიხატება ტექსტების „მიდრეკილებით, გაეკეთებინათ უცაბედი, მოტივაციისგან დაცლილი გადასვლები რეალისტური დისკურსიდან მითურზე ან უტოპიურზე“³⁰⁷.

სწორედ ამგვარ რეალისტურ-უტოპიურ ხედვაზე მორგებას სახავდა იდეალად სოცრეალისტური დოქტრინა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას ორი ურთიერთგამომრიცხავი დავალების შესრულებას სთხოვდა: ტექსტებს ზედმიწევნით უნდა აღწერათ რეალობა და ეს რეალობა აუცილებლად ვარდისფერ ფერებში უნდა ყოფილიყო დახატული. შედეგად შეიქმნა რეალობის ერთობ უცნაური ხედვა: რადგან აწმყოში საამაყო არაფერი იყო, დაწერილმა აზრმა მომავალს მიმართა. ამასთან, რადგან კომუნიზმი და კარგი ცხოვრება ისტორიის ბუნებრივი ევოლუციის ერთადერთ გზად იყო დასახული, ეს ნათელი მომავალი, ფაქტობრივად, უკვე არსებობდა და, შესაბამისად, მის გამო უკვე აწმყოში უნდა ყოფილიყო საბჭოთა მოქალაქე ცხოვრებით კმაყოფილი. ამ გადმოსახედიდან, აშკარა ხდება, რომ მთავარი თვისება, რის გამოც სამეცნიერო ფანტასტიკა სოცრეალიზმს იდეალურად მოერგო, უტოპიისადმი მისი ბუნებრივი ინტერესი გახლდათ.

³⁰⁶ Clark, Katerina (1981), 136-137.

³⁰⁷ იქვე, 37.

მომავალზე ორიენტირება იმდენად გამჭადარი იყო საბჭოთა კულტურაში, რომ უტოპიური ენა არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ პუბლიცისტურ, დოკუმენტურ და სამეცნიერო ლიტერატურასაც შეთვისებული ჰქონდა. ამის ნათელი მაგალითი 1961 წელს გამოცემულ ბორის შატბერაშვილის პოპულარულ-მეცნიერული წიგნი, “ჩვენი დროის სასწაულები”, გახლავთ³⁰⁸. სანამ წიგნის შინაარსს გაეცნობოდეს, სათაური თანამედროვე მკითხველს გარკვეული მოლოდინებისკენ უკვე განაწყობს. საბჭოთა კონტექსტის გათვალისწინებით, ეს მოლოდინები ტექნოლოგიურ სფეროსთანაა დაკავშირებული და ამ მხრივ მკითხველი არ ტყუვდება. თუმცა სიტყვა „სასწაულები“ ფანტასტიკურობის განწყობასაც აჩენს, რაც გარკვეული ტიპის გარღვევას, გარდატეხას, მნიშვნელოვან სიახლეს მოიაზრებს. ამის სანაცვლოდ კი შატბერაშვილი ისეთ არცთუ ისე ამაღელვებელ ტექნოლოგიურ მიღწევებზე გველაპარაკება, როგორიცაა ყარადაღ-თბილისის გაზსადენი ტრასის გაყვანა, გეოფიზიკის ინსტიტუტში წარმოებული რუტინული დაკვირვებები თუ დუშეთში დედამიწის მაგნიტური ველის ძალხაზების უმნიშვნელო (sic) ცვლილებების შესწავლა.

თუმცა ტექსტიდან ჩვენ ვიგებთ, რომ ამ კვლევების „სასწაულებრიობა“ არა აწმყოსეულ მიღწევებში, არამედ მათ მომავალ განვითარებაშია. მაგალითად, მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მუშაობაზე მიძღვნილ თავს ბორის შატბერაშვილი ამ სიტყვებით ასრულებს:

აქ, მინგეჩაურში არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა. რა იქნება ხვალ? ხვალ ცხადად ახდება პროექტები და ჩანაფიქრები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ფანტასტიკურად გვეჩვენებოდა. ხვალ ავტომატურად მომუშავე საწარმოები გვექნება. იმათი კონვეიერებიდან მზა მანქანები გადმოვა, რომელთაც არ შეეხება ადამიანის ხელი. ავაგებთ უდიდესი სიმძლავრის ავტომატურად სამართავ ელექტროსადგურებს, გაუშვებთ მატარებლებსა და თვითმფრინავებს, რომელთაც არ დასჭირდებათ მემანქანეები და მფრინავები. ადამიანს მოუხდება მხოლოდ მისი გონებისა და ნებისყოფისადმი მორჩილი, გონივრული მანქანების მართვა. ასე იქნება ჩვენს ხვალისდელ კომუნისტურ დღეს, რომელსაც თავდადებით ვაშენებთ პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.³⁰⁹

მიუხედავად იმისა, რომ ამ აზნაცით სოციალისტური რეალიზმის ენაში შატბერაშვილის გაწაფულობა უდავოდ მტკიცდება, ეს ავტორის შესაძლებლობების მაქსიმუმი ნამდვილად არაა. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშაობის აღმწერი თავის, „ბალადა შენადნობებზე“, ერთ-ერთ ქვეთავში შატბერაშვილი

³⁰⁸ შატბერაშვილი, ბორის (1961).

³⁰⁹ იქვე, 9-10.

საწარმოდან „ბოლქვებად ამომავალი კვამლის“ საკითხს ეხება³¹⁰. პრობლემას, ავტორის თქმით, არა მხოლოდ გარემოს დაბინძურება, არამედ ისიც წარმოადგენს, რომ ამ გზით ძვირფასი ნედლეული ნიავედება. ამის მიუხედავად, სანერვიულო არაფერია, რადგან

გავა ცოტა ხანი და ჩვენ ვეღარ დავინახავთ ფეროშენადნობის ქარხნის მილებიდან ბოლქვებად ამომავალ მახრჩობელა კვამლს, ახლა რომ მთელს არე-მარესა და ბუნებას სწამლავს. ელექტროსადნობ ღუმელებთან მომუშავე ადამიანებს სუნთქვა გაუადვილდებათ. მილიონობით კუბომეტრი აირიდან, რომელიც ახლა უნაყოფოდ იფანტება ჰაერში, დაამზადებენ მრავალ ათასობით ტონა სინთეტიურ მასალას — “დიდი ქიმიის” ძვირფასს პროდუქტს.³¹¹

ამ პასაჟით შატბერაშვილი გვეუბნება, რომ არა მხოლოდ აწმყოში განხორციელებული შედარებით მოკრძალებული წარმატებაა მეტად დასაფასებელი, რადგან ის მომავლის არნახულ პროგრესს უდევს საფუძვლად, არამედ აწმყოში არსებული პრობლემაც კი სინამდვილეში წარმატებაა, რადგან ის მომავალში არათუ გადაწყვეტილია, არამედ ადამიანთა კეთილდღეობისთვისაც კი გამოიყენება. და, რაც მთავარია, ეს მომავალი უკვე არსებობს; შესაბამისად წარმატება გარდაუვალია; შესაბამისად, აწმყოს პრობლემაზე ყურადღების გამახვილება ანტისაბჭოური საქციელია.

ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკისთვის დამახასიათებელმა უტოპიანურმა ენამ და ესთეტიკამ არა მხოლოდ მხატვრული სოცრეალისტური ლიტერატურა მოიცვა, არამედ — არამხატვრულიც. შედეგად, ის, რაც სამეცნიერო ფანტასტიკაში რეალისტურობისა და უტოპიის ბალანსს ქმნის, სოცრეალისტურ მწერლობაში „შიზოფრენიად“ ითარგმნა. ამასთან, სოცრეალისტურ უტოპიას მოქმედების გამოწვევის უნარიც დაეკარგა, რადგან თუ უტოპიური მომავლის საზოგადოება განახებს, რა ნაკლი აქვს აწმყოს, საბჭოთა ხელისუფლება აწმყოსეულ ნაკლზე პასუხისმგებლობას არ იღებდა — მისი სამფლობელო მომავალი იყო, აწმყო კი მხოლოდ მისკენ მიმავალი გზა.

თუმცა რაც სოცრეალიზმში შიზოფრენიაა, ის სამეცნიერო ფანტასტიკის ფორმალისტური მახასიათებელია. ამიტომ კლარკის მიერ აღწერილი შიდანარატიული ნახტომები ამ ტექსტებში თანმიმდევრულ თხრობად იქცევა: როცა მწერალი მკითხველთან შეთანხმებულია, რომ წარმოსახვით სამყაროზე უყვება, მის

³¹⁰ იქვე, 76-79.

³¹¹ იქვე, 78.

შიგნით ფანტასტიკური ელემენტების მიღება უფრო მარტივია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სოცრეალიზმმა სამეცნიერო ფანტასტიკას იდენტობა მოჰპარა, მასში უტოპიური ნარატივი ქაოსად ითარგმნა, ჟანრულ ლიტერატურაში კი მან თანმიმდევრულობა შეინარჩუნა და მკითხველს რაციონალური შედარების გაკეთებისთვის ძალიან ვიწრო, თუმცა გარკვეული სივრცე მაინც დაუტოვა. ეს სივრცე ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში იმ ნარატივებით ამოივსო, სადაც მომავლის, წარსულის და წარმოსახვითი ტერიტორიების წარმოდგენით საქართველოს პოლიტიკური და/ან კულტურული თვითმყოფადობა უბრუნდებოდა. რეალურსა და წარმოდგენილს შორის არსებული ეს სხვაობა კი ქართველი მკითხველის აწმყოს ნაკლოვანად წარმოაჩენდა, რადგან ემპირიულ რეალობაში ქვეყანა სუვერენიტეტულ ძალაუფლებას იყო მოკლებული. წინა თავში უკვე ვნახეთ, როგორ მონაწილეობდა სამეცნიერო ფანტასტიკის მიერ წარმოდგენილი მომავალი ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა-შენარჩუნებაში და პოსტკოლონიური ნარატივის შექმნაში. ნაშრომის მომდევნო და დასკვნით თავში კი არარსებული სივრცეებისა და გაცოცხლებული წარსულის პოლიტიკურ დატვირთვაზე ვკონცენტრირდებით.

4.3 წარმოსახვით სივრცეთა ჰეტეროტოპიურობა

ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ტექსტებში უტოპიური პოლიტიკური ერთეულები ყველაზე ხშირად იმ ნაწარმოებებში გვხვდება, რომელთა მოქმედებაც მომავალში მიმდინარეობს. ასეთ დროს უტოპიად კომუნისტური საზოგადოებაა დახატული, რომლის ცენტრშიც ქართველი გმირი დგას. როგორც წინა თავში ვიხილეთ, მსგავსი უტოპია საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად წარმოჩენის მისიას ემსახურება და ყველაზე სიღრმისეულად პოსტკოლონიური სწავლების შიგნით არსებული მეთოდოლოგიურ ხელსაწყოთა დახმარებით ანალიზდება. თუმცა გასული საუკუნის ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში სხვა ტიპის პროგრესულ საზოგადოებებსაც ვხვდებით, რომელთაც ნაშრომში პირობითად ფუკოსეული ტერმინით, „ჰეტეროტოპიად“³¹² მოვიხსენიებთ. ქართული საბჭოთა სამეცნიერო

³¹² Foucault, Michael (2009), 111-126.

ფანტასტიკური ჰეტეროტოპია ხასიათდება იმით, რომ საბჭოთა სოცრეალისტური უტოპიური აწმყოს მემკვიდრის დახატვის ნაცვლად მის კონკურენტულ, ალტერნატიულ სივრცეს ქმნის.

გასაანალიზებელ ტექსტებში ჰეტეროტოპიები ჩნდება მაშინ, როცა უტოპიის შესაძლებლობა არა დროის, არამედ ადგილის უცხოობითაა მიღწეული. ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში მსგავსი ადგილების შემცველი თხრობის უნიკალურობა იმაშია, რომ ასეთ დროს უტოპიური სივრცის პარალელურად „რეალური“, საბჭოთა სინამდვილეც თანაარსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ტექსტებში ერთი ტიპის უტოპია მეორე ტიპის უტოპიას დარდება. და მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური კუთხით უცხო ტერიტორია მეტად პროგრესულად წარმოჩნდება ხოლმე, უპირატესობა ტექსტში მაინც ტექნოლოგიურად ნაკლოვან საბჭოთა უტოპიას ენიჭება.

ამ ქვეთავში სწორედ ამგვარი ნახევარ-უტოპიების პოლიტიკურ დატვირთვას გავაანალიზებთ, რისთვისაც მხატვრული ნაწარმოების შიგნით არსებული სივრცის — ტექსტისეული კარტოგრაფიის მნიშვნელობაზე მოგვიწევს საუბარი. მიხაილ ბახტინი მხატვრულ ტექსტში სივრცისა და დროის ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთქმედებას ტერმინ ქრონოტოპით მოიხსენიებს და მას ლიტერატურის „ფორმალურ-შინაარსობრივ კატეგორიად“ რაცხავს. ეს ორი მოცემულობა მისთვის განუყოფელია:

ლიტერატურულ მხატვრულ ქრონოტოპში სივრცითი და დროითი თვისებები ერთ გააზრებულ და კონკრეტულ მთლიანობაში სინთეზირდება. დრო აქ სქელდება, მკვრივდება, მხატვრულად ხელშესახები ხდება; ხოლო სივრცე აქტიურდება, დროის, სიუჟეტის ისტორიის მოძრაობაში ერთვება. დროის თვისებები სივრცეში ვლინდებიან, სივრცე კი დროით გაიზრება და გაიზომება.³¹³

ბახტინის მიხედვით, სწორედ ეს ორი კატეგორია წარმართავს სიუჟეტს, ამარაგებს პერსონაჟებს მოტივაციით და მთლიანობაში ტექსტის არსს განსაზღვრავს. ქრონოტოპი, ამ მხრივ, ერთგვარი მეთოდოლოგიური იარაღია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ტექსტის შიგნით არსებული დროსივრცული თავისებურებები მის გარეთ, ავტორისეულ დროსივრცულ რეალობას შევადაროთ და ორს შორის არსებულ განსხვავებებში ვეძიოთ ნაწარმოების იდეოლოგიური დატვირთვა.

³¹³ Бахтин, Михаил (1975), 235.

შემთხვევითი არაა, რომ რომანის მოქმედების ადგილისა და დროის თავისებურებებზე მიძღვნილ ნაშრომში³¹⁴, მიხაილ ბახტინი უტოპიანიზმის ცნებასაც ეხება. უტოპია, როგორც ზემოთ განვმარტეთ, სწორედ წარმოსახვითი, მხატვრული ადგილითა და დროით ინტერესდება, ბახტინი კი იმით — თუ როგორ განსაზღვრავს ეს ორი ფაქტორი სიუჟეტურ განვითარებას და, შესაბამისად, რომანის ტიპს, ჟანრს. ის გოეთეს პერიოდის ეპიკური რომანის მიზნად მთელი მისი თანადროული ეპოქის, „მთლიანი სამყაროს“ საკუთარ თავში რაც შეიძლება რეალისტურად დატევას წარმოაჩენს. მასთან კონტრასტში კი განიხილავს აღორძინებამდე პერიოდს, როცა „მთლიანი სამყაროს“ ცნება არ არსებობდა. ის დანაწევრებული, გამისტიკურებული იყო და გარკვეული უტოპიანიზმი ახასიათებდა, რის შედეგადაც

არაამქვეყნიური მომავალი, მიწიერი სივრცისა და დროის ჰორიზონტალიდან მოკვეთილი, დროის ნამდვილ სვლასთან მიმართებაში არაამქვეყნიურ ვერტიკალად იყო ამოზრდილი [...] ყველაფერს სიმბოლურ მნიშვნელობას აწერდა და აუფასურებდა და განაგდებდა ყველაფერს სხვას, რაც ამ სიმბოლურ ინტერპრეტაციას არ დამორჩილდებოდა.³¹⁵

მართალია, ბახტინი ამ ხედვას კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს მიაწერს, თუმცა მისი ეს განმარტება უტოპიის დრო-სივრცესთან უნივერსალურად ნიშნულ ურთიერთობას ხატავს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში უტოპიური ნარატივის პოლიტიკური დატვირთვის აღმოჩენა სწორედ ორ, მხატვრულ და ემპირიულ, სამყაროებს შორის განსხვავებების ხაზგასმით დავსახეთ, ბახტინისეული ქრონოტოპი წარმოსახვითი იდეალური სივრცეების ანალიზისთვის ხელსაყრელ მეთოდოლოგიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, აქ ერთი პრობლემა მაინც იჩენს თავს: ბახტინი ქრონოტოპისეულ წყვილში წამყვან მნიშვნელობას დროს განუსაზღვრავს და, ამასთან, ამ ორი ცნების განცალკევებით ანალიზს კონტრპროდუქტიულად მიიჩნევს, რადგან მისთვის სწორედ ამ ორი კატეგორიის ურთიერთქმედებაზე დაკვირვება გვაძლევს ტექსტის ყველაზე სრულფასოვნად ანალიზის საშუალებას. თუმცა ბახტინისეული სინთეზური ხედვა მხატვრული ტექსტის დრო-სივრცის ანალიზის ერთადერთი მეთოდი არაა.

მეოცე საუკუნის მიწურულს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ახალი ცნების, გეოკრიტიციზმის გამოჩენით ბახტინის მიერ განუყოფელ წყვილად

³¹⁴ Bakhtin, Mikhail (2010), 10-60.

³¹⁵ იქვე, 43

დასახული დროსივრცული განზომილება შუაში გაიხლიჩა და მხატვრული ტექსტის სივრცე, მისი კარტოგრაფია დაისახა ცალკე შესასწავლ ობიექტად. მხატვრული ტექსტის ანალიზისას სივრცის დროზე დამოკიდებულებისგან ამგვარ გათავისუფლებას გეოკრიტიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რობერტ ტალი, „სივრცულ ცვლად“ (Spatial Turn) მოიხსენიებს³¹⁶. მის თანახმად, მხატვრულ ტექსტებში კონსტრუირებული გეოგრაფიული სივრცეები აღიქმება როგორც ეპისტემოლოგიური იარაღი, რომელიც გვცხმარება ამოვიცნოთ ტექსტის თანამედროვე ემპირიული რეალობის ავტორისეული კრიტიკა. ამასთან, ტალი უტოპიისეული წარმოსახვითი ტერიტორიების ანალიზისას ამ მეთოდოლოგიის განსაკუთრებულ ხელსაყრელობასაც უსვამს ხაზს:

გეოკრიტიკული მიდგომის გამოყენებისას კრიტიკოსთა ნაწილი ამჯობინებს დაეყრდნოს სამეცნიერო ფანტასტიკურ ან უტოპიურ ტექსტებში შექმნილ სივრცეებს, რომლებიც წარმოადგენენ მკითხველის „ნამდვილი“ სამყაროს შესწორებულ ვერსიას. უტოპია ასეთ შემთხვევაში ერთდროულად წარმოადგენს როგორც კარტოგრაფიულ ენიგმას, ასევე ისტორიულ მიზანს, რადგან იგი მიემართება უადგილობას, რომელიც ამასთან წარმოადგენს სასურველ კარგ ადგილს.³¹⁷

მოცემულ ნაშრომშიც დროის და სივრცის ამგვარი გახლეჩა გამართლებულია იმ გარემოებით, რომ ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში სივრცითი გაუცხოებით დახატული უტოპია კონცეპტუალურად განსხვავდება მომავლის უტოპიებისგან და ის, არსებითად, სხვა იდეოლოგიური დატვირთვის შემცველია. შესაბამისად, ეს ორი სახის ნარატივი განცალკევებულ ანალიზს და განცალკევებული დასკვნების გამოტანას საჭიროებს. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, უტოპიას, რომელიც განსხვავებული დროის ნაცვლად განსხვავებულ სივრცეში სუფევს, საბჭოთა სოცრეალისტურ უტოპიასთან უხდება თანაარსებობა. ეს კი ისეთ კონკურენტულ გარემოს წარმოქმნის, რომელიც ავტორს საბჭოთა უტოპიის ყველა ხერხითა და გზით დაცვას აიძულებს.

ავტორი, რომელიც ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში ყველაზე ხშირად იყენებს ალტერნატიულ სივრცეს ალტერნატიულ პრინციპებზე მოწყობილი საზოგადოების დასასახლებლად, როდამ ჩაჩანიძეა. მისი ორი რომანი, „ჩადირული

³¹⁶ Tally, Robert, T. Jr. (2013).

³¹⁷ იქვე, 152.

კუნძული“ (1968 წელი) და „ამიხოტის დაქცევა“ (1976 წელი)³¹⁸ საზღვაო სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრშია დაწერილი და ჟიულ ვერნის კლასიკური რომანის, „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“, და/ან ალექსანდრე ბელიაევის „ადამიანი ამფიბიას“ აშკარა ზეგავლენას განიცდის. „ჩადირულ კუნძულში“ მოქმედება მომავალში, 2000-იან წლებში მიმდინარეობს და ტექსტში დახატული ტექნოლოგიური უტოპია ზედმიწევნით იმეორებს წინა თავში განხილულ ნარატიულ ფუნქციებს: ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში ქართველის უნიკალურობას იმით ესმევა ხაზი, რომ წყალქვეშ ჩადირული უძველესი ცივილიზაციის შემოქმედებად შავი ზღვის სანაპიროდან იმიგრირებული ხალხია დახატული. ამასთან, კუნძულის აღმოჩენისთვის აუცილებელ წინაპირობად იმ ტექსტის ამოკითხვაა დასახული, რომელიც ძველ ქართულ დამწერლობაზე დაყრდნობით შეუდგენიათ. ქართველების ცივილიზაციის ცენტრად წარმოჩენის ტროპი იმითაცაა გამყარებული, რომ საბოლოოდ დაკარგული კუნძულის, ანუ ძველი დროის შავიზღვისპირელთა ადგილსამყოფელი „მსოფლიოს ცენტრში“ აღმოჩნდება³¹⁹.

ამ ნაწარმოებში ორი სივრცული განზომილება კი იხატება, მაგრამ ისინი ერთმანეთთან კონკურენციაში არ შედიან, რადგან წყლის ქვეშ არსებულ ქალაქში სიცოცხლე კარგა ხნის წინ შეწყდა, მას განვითარების პოტენციალი აღარ აქვს და, შესაბამისად, ინერტულია. ამიტომ, როგორც წარუმატებელი პროექტი, ის ყოველგვარი იდეოლოგიური საფრთხისგანაა განიარაღებული. ტექსტის სამეცნიერო ფანტასტიკური უტოპიურობაც არა ამ წარმოსახვითი სივრცით, არამედ საბჭოთა კავშირის მომავლის წარმოდგენით მიიღწევა — წინააღმდეგ შემთხვევაში, „ჩადირული კუნძული“ სათავგადასავლო ფანტასტიკური რომანი იქნებოდა. ამასთან, რომანში ავტორის თანამედროვე დროითი სივრცე არარსებულია და ერთმანეთთან ფანტასტიკური წარსული და უტოპიური მომავალი ურთიერთობს.

სულ სხვა დროსივრცული სურათი იხატება ჩაჩანიძის მეორე რომანში, „ამიხოტის დაქცევა“, რომელშიც მოქმედება ავტორისეულ აწმყოში მიმდინარეობს, ტექსტის უტოპიური ელემენტი კი მთლიანად წყლის ქვეშ არსებული საზოგადოების,

³¹⁸ ამ ორ რომანს შორის პერიოდში, 1972 წელს, ჩაჩანიძემ გამოაქვეყნა ნაწარმოები „ოთხასმეცხრე კვადრატი“, რომლის განვრცობილი ვერსიაც გახლავთ „ამიხოტის დაქცევა“, ამიტომ ნაშრომში ამ ორიდან მხოლოდ მეორე ნაწარმოებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

³¹⁹ ჩაჩანიძე, როდამ (1968), „ჩადირული კუნძული“, 43.

ამიხოტის აღწერაში ვლინდება. მას შემდეგ, რაც სამი ქართველი და ერთი სლავი მეთევზეები სამხრეთ აფრიკის სანაპიროებთან თავიანთი გემის ქვეშ მომხდარი ამოუცნობი მოვლენების ასახსნელად ოკეანის სიღრმეებში ბატისკაფით ჩაეშვებიან, წყალქვეშა საზოგადოების, ამიტელების ტყვეობაში ამოყოფენ თავს. რომანის პროტაგონისტთა კვალდაკვალ მკითხველი ამიტებს, მათ წეს-ჩვეულებებსა და დედაქალაქს, ამიხოტს ეცნობა. ერთი შეხედვით, ეს საზოგადოება ტექნოკრატიული კომუნისტური უტოპიის განსახიერებაა: წყლის ქვეშ მცხოვრები არსებები შრომისმოყვარეობით, ჰუმანურობითა და შემეცნების სურვილით გამოირჩევიან. საზოგადოებრივი როლები აქ მაქსიმალური სამართლიანობითაა გადანაწილებული — ყველას შეუძლია აირჩიოს, თავი მეცნიერებას მიუძღვნას თუ ხელოვნებას. ხოლო ვინ რამდენად პროდუქტიული იქნება, ეს მხოლოდ ინდივიდუალური სინდისით განისჯება. ამასთან, მკაცრ გარემოსთან ადაპტაციის აუცილებლობამ ამიტელების ტექნოლოგიური განვითარება დააჩქარა და მათ ამ მხრივ ხმელეთზე მცხოვრებ სახელმწიფოებს მნიშვნელოვნად გაუსწრეს. თუმცა ამ იდილიურ აღწერას ფონად გასდევს ის გარემოება, რომ საბჭოთა მოქალაქეები ამ სივრცეში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან. ეს კი მკითხველში თავიდანვე აჩენს განწყობას, რომ ამიხოტის იდეალური ფასადის უკან დისტოპიური ელემენტები უნდა იმალებოდეს.

მართლაც, ნელ-ნელა პროტაგონისტები — და მათთან ერთად ჩვენ, მკითხველიც — ამიტების ნაკლოვანებების შესახებ ცნობების შეკრებას ვიწყებთ. თავდაპირველად ვიგებთ, რომ მათ წყლის ქვეშეთში მონოპოლია სხვა სახეობის, ოკეანეში უფრო ღრმად მცხოვრები კამარების ფიზიკური განადგურების გზით მოიპოვეს. ახლა მათი ექსპანსია ოკეანის მეჩხერი წყლებისკენაა მიმართული, რის გამოც სულ უფრო იზრდება ხმელეთზე მცხოვრებ ხალხთან დაპირისპირების საფრთხე. საზოგადოების რადიკალურად განწყობილი წევრები, რომელსაც ჩაჩანიძე ტერორისტებად მოიხსენიებს, უკვე გადასულნი არიან ძალისმიერ მოქმედებებზე და ადამიანთა მთლიანი ფლოტის განადგურება აქვთ მიზნად დასახული. ამასთან, როგორც აღმოჩნდება, რომანის პროტაგონისტები ამიტელების მიერ შეპყრობილი პირველი ტყვეები სულაც არ არიან. საკუთარი არსებობისა და ადგილსამყოფლის საიდუმლოდ დატოვების მიზნით ამიტელები ყველა იმ ადამიანს ტოვებენ თავიანთ სამფლობელოში, ვინც მათ სხვადასხვა მიზეზის გამო გადაეყრება. და, მართალია,

ამიტელები გულუხვი მასპინძლები არიან, თუმცა ისინი მაინც ჯალათები გამოდიან, რადგან მშვენივრად იციან, რომ ადამიანის ანატომია წყლის ქვეშ ხანგრძლივად ყოფნას ვერ უძლებს და ის მალევე კვდება.

ამგვარად, ნელ-ნელა ეხდება ფარდა ამიტელთა იდეალურობის მოჩვენებითობას. თუმცა ნაკლთა გამოაშკარავების ამ პროცესს ერთ თვალსაჩინო უხერხულობა სდევს თან: მაშინ, როცა ამიხოტისეული ზედაპირული იდილია სოცრეალისტური, უტოპიური რეალობის ანარეკლია, ყველა ის დეტალი, რაც იმის წარმოსაჩენადაა თხრობაში შემოტანილი, რომ ამიხოტის არაიდეალურობას გაესვას ხაზი, რთულად შეუმჩნეველი სიზუსტით მიესადაგება საბჭოთა რეალობას. ამის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი თხრობაში იმ ადგილას იჩენს თავს, როცა ამიხოტში აღმოჩენილი მეთევზე, ვალერი ბასილაია დედამიწელთათვის განკუთვნილ საცხოვრებელში ერთ დღეს ნაცნობ ამიტელ ბავშვს, მეკატს შენიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ამიტელთა მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ ვალერიმ არაფერი იცის და მათი მხრიდან მხოლოდ სტუმართმოყვარე დამოკიდებულება უგრძნია, ის მაშინვე გადაწყვეტს, რომ მოზარდი მათ სათვალთვალადაა შემოგზავნილი „სადაზვერვო ორგანოებიდან“. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს მას საკუთარ რეალობაში მიღებული გამოცდილება აძლევს: „არსებობენ დაზვერვის ორგანოები. ეჭვი არ მეპარება თქვენთანაც იქნება ასეთი ორგანო; მათ იციან თავიანთი საქმე“³²⁰ — აღნიშნავს ის თავის ამიტელ მასპინძელთან, კადილასთან საუბრისას. ამ მომენტში ჩაჩანიძე თავისი გმირის პირით პირდაპირ ავლებს პარალელს წყალქვეშა საზოგადოებასა და საბჭოთა სისტემას შორის, თანაც ეს პარალელი არცთუ პოზიტიურ კონტექსტში ხატავს ორივე რეალობას.

ამ პასაჟის გასაანალიზებლად ზემოთ ნახსენებ ტერმინს, ჰეტეროტოპიას უნდა დავუბრუნდეთ: ფუკო ამ ტერმინით აღნიშნულ სივრცეს ახასიათებს როგორც გარეგან ადგილს, რომელიც აირეკლავს იმ სივრცეს, სადაც ფიზიკურად ვარსებობთ. ჰეტეროტოპიის უტოპიისგან განსხვავების წარმოსაჩენად ფუკო სარკის მეტაფორას იყენებს: უტოპია ამ სარკეში არეკლილი სამყაროა, რომელშიც მე აჩრდილივით ვარსებობ: თან ვარ, თან არ ვარ. თუმცა ეს აჩრდილი ჩემს რეალურ მეს გარკვეულ ფორმას აძლევს და, შესაბამისად, საკუთარი თავის შეცნობაში მეხმარება. მეორე მხრივ,

³²⁰ ჩაჩანიძე, როდამ (1976), „ამიხოტის დაქცევა“, 137.

სარკე ჰეტეროტოპიის შემქმნელიცაა, რადგან ის, როგორც ნივთი, რეალურ სამყაროშიც არსებობს და ჩემ მიერ რეალურ სივრცეში დაკავებული ადგილის ერთგვარ კონტრსივრცეს ქმნის. სარკეში ყურებისას მე ამ რეალურ სივრცეში ჩემს არყოფნას ვიაზრებ, რადგან საკუთარ თავს სხვა, ჩრდილოვან სივრცეში ვხედავ. თუმცა ამ ვირტუალური სამყაროდან წამოსული ჩემივე მზერით მე საკუთარ თავს რეალურ სივრცეში ხელახლა ვაბრუნებ. ფუკოსეული ჰეტეროტოპია სწორედ ამ ორფასოვან მდგომარეობას აღწერს: ესაა ფიზიკური სივრცე, რომელშიც ვარსებობ, და ის ერთდროულად აბსოლუტურად რეალურიცაა და აბსოლუტურად არარეალურიც, რადგან მას ვირტუალური სამყაროდან წამოსული მზერით შევიმეცნებ. ფუკო ამ ერთდროულად მითოსური და რეალური სივრცის აღმწერ დარგს ჰეტეროტოპოლოგიას უწოდებს³²¹.

„ამიხოტის დაქცევის“ შემთხვევაში ვირტუალური სამყაროდან წამოსული მზერის იმდენად საშიში და არასასურველი რეალობა იშლება, რომ მწერალი სარკეს ამსხვრევს: ამიხოტი, როგორც წარუმატებელი მხატვრული ექსპერიმენტი, უნდა განადგურდეს. უფრო მეტიც, მისი განადგურება ექსპერიმენტის დაწყებამდეც, წინასწარგანსაზღვრულია. ამის შესახებ რომანის სათაურივე ცხადდება: „ამიხოტის დაქცევა“ პირველი ფურცლის გადამლამდეც მკითხველს უმხელს მის ბედისწერას. შესაბამისად, ამიხოტის სასრულობა ის მთავარი ნაკლია, რომელიც მას საბჭოთა უტოპიისგან გამოარჩევს. საპირისპირო პერსპექტივიდან რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის მუდმივობის იდეა ხდება ის უარყოფითის გადამწონი დადებითი თვისება, რომელიც კონკურენტი და, მაშასადამე, საშიშ ჰეტეროტოპიას ამარცხებს. მართლაც, რომანის დასასრულს ამიხოტში დამანგრეველი მიწისძვრა ხდება. ამ კატაკლიზმით გამოწვეული არეულობით ტყვეები სარგებლობენ და მათი კეთილმოსურნე ამიტელების დახმარებით ოკეანის სიღრმეებს თავს აღწევენ.

ჩაჩანიძე ნაწარმოების ბოლო გვერდზე მის მიერ დახატულ ორ სამყაროს შორის არსებულ მთავარ განსხვავებას ორი სივრცის შეპირისპირებით უსვამს ხაზს: ერთ მხარეზეა ფიზიკურად განადგურებული სივრცე, რომლის უკანასკნელ დახასიათებაში ცივილიზაციის აღმნიშვნელი ნიშნები უკვალოდ ქრება და წინა პლანზე ოკეანის ველური ბუნება გადმოდის: „უკან, შორს, ძალზე შორს რჩებოდა დანგრეული ამიხოტი,

³²¹ Foucault, Michael (2009), 111-126.

ოკეანის ლიანებით დაფარული ტყეები, გიგანტური კალმარები, კიბორჩხალები, ომარები და კიდევ ათასი რამ, რაც ამიტებს მოაგონებდათ³²². ამ აპოკალიფსურ ხატებასთან რადიკალურ კონტრასტს კი ზედაპირზე ამოსული ქართველი პროტაგონისტის სიტყვები ქმნის: „ჩვენ არ დავლუპულვართ“³²³.

ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ალტერნატიული სივრცე სრულყოფილ უტოპიას განასახიერებს. ასეთ დროსაც სოცრეალისტური უტოპია ამ სივრცესთან კონკურენტულ ურთიერთობაში მოდის, მაგრამ რადგან მისი მთავარი სიუჟეტური ფუნქცია სრულყოფილი საზოგადოების ჩვენებაა, შეჯიბრში საბჭოთა უტოპია გამარჯვებული სხვა გზით გამოდის. მაგალითად, წინა თავში უკვე ნახსენებ მოთხრობაში, „აიას მძივი“, როცა კოსმოსური ხომალდის ქართველი კაპიტანი, ვილენ მესხი და მისი ბორტ-ინჟინერი, ადამ კონი, უცხო პლანეტის გარშემო ორბიტაზე გაშენებულ ქალაქში აღმოჩნდებიან, ელგუჯა მერაბიშვილი ყოველმხრივ იდეალურ საზოგადოებას გვიხატავს: აქ მაღალტექნოლოგიური ურბანული სივრცე ჰარმონიულად ერწყმის შრომის მერე დასვენებისთვის განკუთვნილ იდილიურ ბუნებას. ვილენის მეგზური და მისი გულის დამპყრობი ქალი, აია დედამიწელს სრული თავდაჯერებით ეუბნება, რომ მათ საზოგადოებაში „არავითარი დისკრიმინაცია არ არსებობს“³²⁴ და ამ განცხადებას მოთხრობის მსვლელობისას ერთხელაც არ ადგება ჩრდილი. აიაზე, მართლაც, ყველა ბედნიერია და თუ რაიმე გაუგებრობა იჩენს თავს, მას თვალის დახამხამებაში აგვარებენ.

„აიას მძივში“ ორბიტაზე გაშენებული ქალაქის საპირწონედ საბჭოთა უტოპია დახატული არაა. მხოლოდ ის ვიცით, რომ დედამიწაზე გარკვეული ტექნოლოგიური პროგრესი მომხდარია, რადგან ვილენს კოსმოსური ხომალდით გალაქტიკაში მოგზაურობა შეუძლია. დედამიწა მოთხრობაში ერთხელ ჩნდება და ისიც ვილენის ზმანებაში, როცა ის თბილისს იხსენებს. ამ მოგონებაში თბილისი, როგორც აღვნიშნეთ, ერთობ რომანტიზებულია — იმდენად, რომ ის თითქოს უდროობაშია გამოკიდებული. ვილენის თბილისი ერთნაირი წარმატებით შეიძლება არსებობდეს

³²² ჩაჩანიძე, როდამ (1976), „ამიხოტის დაქცევა“, 335.

³²³ იქვე.

³²⁴ მერაბიშვილი, ელგუჯა (1978), „აიას მძივი“, 189.

მეცხრამეტე საუკუნეში, მწერლის თანამედროვე პერიოდში და ტექსტისეულ მომავალ დროშიც. ამის მიუხედავად, იმაზე საუბარი, რომ აიასეული საზოგადოება დედამიწის ცივილიზაციაზე მეტად პროგრესულია, ვილენის, როგორც გარე დამკვირვებლის, შეფასებებსა და რეაქციებზე დაყრდნობით შეიძლება. ის ფაქტი, რომ მას აოცებს ამ სამყაროს ჰარმონიული წყობა და ტექნოლოგიური განვითარების დონე, გვაფიქრებინებს, რომ სახლში, დედამიწაზე ამგვარი სრულყოფილებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. ამის მიუხედავად, ის ნაწარმოების ბოლოს მშობლიურ პლანეტაზე დაბრუნებას არჩევს. ამას არანაირი ტექსტშიდა რაციონალური გამართლება არ აქვს, რადგან სიუჟეტური განვითარება თითქოს მოითხოვს, რომ ვილენმა ახლად ნაპოვნ გულისწორთან ერთად გააგრძელოს ცხოვრება იქ, სადაც ადამიანები უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს. მაგრამ ამგვარი დასასრული სოცრეალისტურ ხედვასთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში, რადგან დახატული უტოპია პარტიის მიერ დაპირებული მომავლის განსახიერება არ გახლავთ — ეს უცხო სივრცეა და, მაშასადამე, „ამბის შიგნით წარმოქმნილი ლიტერატურული კარტოგრაფია მკითხველისთვის საკუთარი სოციალური სივრცეების გაგების და მათზე დაფიქრების გზად“³²⁵ შეიძლება იქცეს. ასე რომ არ მოხდეს, ავტორი მიზანმიმართულად და შეუფარავად აპელირებს მკითხველის ეროვნულ გრძნობებზე და იდეალად ისეთ გმირს სახავს, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიას სამშობლო მიწის მონატრებას უმორჩილებს. შედეგად, როცა კოლექტიური კეთილდღეობის სიქველე ინდივიდუალურ კომფორტსა და ვიწრო-ნაციონალურ სენტიმენტებს მორჩილდება, ერთმნიშვნელოვნად ანტიმარქსისტულ ნარატივს ვიღებთ. მაგრამ ის, იმავდროულად, მაინც ახერხებს საბჭოური დირექტივის დაკმაყოფილებას, რადგან თბილისი, რომლისკენაც ვილენი მიისწრაფვის, არა უბრალოდ საქართველოს, არამედ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქია.

ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში არსებული რეჟიმის რადიკალური ალტერნატივების წარმოდგენა არ ხდება იმ მიზნით, რომ მსგავსი ალტერნატივა სასურველად შეფასდეს. როცა მომავალი მხოლოდ საბჭოთა რეალობის ექსტრაპოლაციად შეიძლება წარმოდგენილიყო, სხვა სივრცეში გაშენებული, ანუ მასთან გენეტიკური კავშირის არმქონე უტოპია ვერ გასაღდებოდა პარტიის მიღწევად.

³²⁵ Tally, Robert T. Jr. (2013), 6.

ამიტომ, მსგავსი სივრცის დახატვით უტოპია თავის ფორმალისტურ მისიას ეფექტიანად შეასრულებდა და „მომავალზე ან უცხო ადგილზე ფანტასტიკურ ოცნებას აქაურობისა და ახლანდებლობის მახვილგონივრულ კრიტიკად“³²⁶ აქცევდა. ამით კი სოცრეალისტური დირექტივა დაირღვეოდა. ამ ჩიხიდან ერთ-ერთი გამოსავალი რადიკალური ალტერნატივის ისეთი ნაკლებით დახასიათება იყო, რომელთა ფონზეც საბჭოთა კავშირის უპირატესობა აშკარა გახდებოდა. თუმცა როგორც „ამიხოტის დაქცევის“ მაგალითზე ვნახეთ, ეს მეთოდი ერთობ სახიფათო იყო: იქიდან გამომდინარე, რომ რეალობაში საბჭოთა კავშირი დესპოტური, ტოტალიტარული რეჟიმი გახლდათ, ის, ფაქტობრივად, ყველა იმ თვისებით ხასიათდებოდა, რასაც მწერლები ალტერნატიულ დისტოპიურ საზოგადოებას მიაწერდნენ ხოლმე. ამიტომ უცხო სივრცის კრიტიკა საექვოდ ემსგავსებოდა საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას. ამ უხერხულობისგან თავის დასაღწევად ჩაჩანიძემ ის თვისება გამოიყენა, რისგანაც მარქსისტული დოქტრინის მეშვეობით წინასწარგანსაზღვრული მომავლის მქონე საბჭოთა რეჟიმი დაზღვეული იყო: სრული განადგურება, იგივე „დაქცევა“.

ხოლო მაშინ, როცა ალტერნატიული ჰეტეროტოპია საბჭოთა უტოპიაზე იდეალურია, ასეთ დროს ავტორისეული არჩევანი მაინც ამ უკანასკნელზე კეთდება. ეს არჩევანი რაციონალური არგუმენტაციის ნაცვლად ემოციური ფაქტორებით იხსნება. ქართულ ტექსტში ეს ემოციურობა კვლავაც საბჭოთა უტოპიის საქართველოს გეოგრაფიულ სივრცესთან თანხვედრით მიიღწევა. აქ კომუნისტური რეჟიმი ფასეულია იმდენად, რამდენადაც მის შიგნით კავკასია, კავკასიის შიგნით კი იდილიური, დროსივრცული განპირობებულობიდან ამოღებული თბილისი არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი კომუნისტური საბჭოთა უტოპიის ცენტრში ქართველი გმირის დაყენება პოსტკოლონიურ ნარატივს ქმნის, ტექსტში მეორე, ჰეტეროტოპიური სივრცის შემოტანით ერთგვარი კონკურენციული გარემო იქმნება. რადგან მსგავსი კონკურენციის შიგნით საბჭოთა უტოპია ხდება ის ღირებულება, რომლის დაცვაც ავტორს ავალთ, ტექსტის იდეოლოგიური ფუნქცია იცვლება: იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა კავშირის მიერ უზურპირებულ მომავალში საქართველოს ცენტრად გამოცხადებით ეროვნული იდენტობა გამყარდეს, თავად ეს ეროვნული სულისკვეთება დგება საბჭოთა უტოპიის დაცვის სამსახურში. თუმცა ქართული

³²⁶ იქვე, 152.

საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ალტერნატიული სამყაროები მხოლოდ ამ ორი ტიპის უტოპიით არ შემოიფარგლება. მომდევნო ქვეთავში ჩვენ კიდევ ერთი, მესამე სახის უტოპიის — საქართველოს გაიდეალიზებული წარსულის სამეცნიერო ფანტასტიკურ ნარატივს შევხედავთ.

4.4 სამეცნიერო ფანტასტიკური მითოლოგია

„ქართველი სამყაროსთან წარსულით ურთიერთობს³²⁷“, — წერს აკა მორჩილაძე. მართლაც, თუ გასული საუკუნის ქართულ მწერლობას გადავავლებთ თვალს, ისტორიულ რომანთა სიმრავლე იმ რეჟიმის შიგნით არსებულ კულტურაში, რომლის იდეოლოგიური საფუძველიც კომუნიზმის დამყარებით ისტორიის დასრულება გახლდათ, განსაკუთრებით თვალშისაცემია. თუმცა სანამ უშუალოდ იმაზე ვისაუბრებდეთ, თუ რა დატვირთვა ჰქონდა საქართველოს წარსულის იდეალიზებული სურათების დახატვას მხატვრულ ლიტერატურაში, საჭიროა, ორი სიტყვით განვმარტოთ, რა დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირის მმართველობას მსგავსი პატრიოტული ნარატივების შექმნაზე.

დროის აღქმასთან დაკავშირებულ კლარკის ნააზრევს რომ მივუბრუნდეთ, მისი მტკიცებით, 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში აწმყოს გაუფასურებამ წარსულის გაცოცხლების აუცილებლობაც დაბადა, რათა გარდასულ დროთა სიდიადეზე დაშენებულიყო ნათელი მომავლის გარდაუვალობის იდეა³²⁸. ამას თან დაერთო მეორე მსოფლიო ომის პერიოდი: როცა საბჭოთა კავშირი სამხედრო ტექნიკის განვითარებით ნაცისტურ გერმანიას საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, სტალინის მთავარ დასაყრდენ ძალად ადამიანური რესურსი და მათი შემართება იქცა. საბჭოთა კავშირში შეჭრიდან პირველი ორი წელი გერმანია აქტიურ ანტიბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა და საბჭოთა მოსახლეობას კოლექტივიზაციის შედეგად წართმეული მიწების დაბრუნებას და კომუნისტური პარტიის ტირანიისგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა. მაგალითად, რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყრილ ბროშურათაგან ერთ-ერთში შემდეგ სიტყვებს ვკითხულობთ: „ორი ძალა ერკინება ერთმანეთს, ერთ

³²⁷ მორჩილაძე, აკა (2014), 70.

³²⁸ Clark, Katerina (1981), 136-159.

მხარეზეა ძველი, ყავლგასული კაპიტალისტური მომაკვდავი სამყარო და მონათმფლობელური კომუნიზმი. მეორე მხარესაა ახალი სამყარო, რომელიც ჰიტლერის მეთაურობით ახლა შენდება. ესაა სამართლიანობისა და თავისუფლების სამყარო”³²⁹.

ასეთ დროს სტალინური მმართველობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის გახდა საბჭოთა რეჟიმსა და ადგილობრივ ნაციონალობებს შორის ტოლობის ნიშნის დასმა. მაშინ, როცა პარტიის იდეოლოგთა მთავარი ყურადღება რუსული შოვინიზმის გაღვივებაზე იყო გადატანილი — რაც მეტწილად იმ გარემოებით გახლდათ განპირობებული, რომ წითელ არმიაში პროცენტულად ყველაზე მეტი რუსი ირიცხებოდა და ბრძოლათა უმრავლესობაც რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა — პერიფერიულ რესპუბლიკებშიც ლოკალური მმართველობა ადგილობრივი ისტორიისა და წარსული გმირების წინ წამოწევით ცდილობდა მოსახლეობაში მტრის წინააღმდეგ დასარაზმავად საჭირო პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას.

ამ მხრივ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კავშირის შიგნით უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა, რადგან ის ერთდროულად ცენტრისგან დაშორებული პერიფერია იყო და, ამასთან, ამ ცენტრის მმართველის ეთნიკურ სამშობლოსაც წარმოადგენდა. ქართული ნაციონალიზმის მიმართ დაუფარავი ანტიპათიის ქონის მიუხედავად, მრავალი წყაროთი დასტურდება, რომ იოსებ ჯუღაშვილი ეროვნულ კულტურასთან თვითიდენტიფიკაციას ახდენდა. მაგალითად, რობერტ ტაკერის თანახმად, რევოლუციური საქმიანობისას ჯუღაშვილის მიერ ფსევდონიმად სახელი კობას არჩევა დაკავშირებულია ალექსანდრე ყაზბეგის რომანის, „მამის მკვლელის“ პერსონაჟთან, რომლის დრამატურგიული ხაზი შურისძიების და რუსული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ პარტიზანულად გალაშქრების მოტივებზეა აგებული³³⁰.

ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში საქართველოს წარსული ერთგვარი „დიადი დრო“, იგივე გმირების დროა. მირჩა ელიადეს წიგნში, “მითი და რეალობა”, ერთ თავს “დრო შეიძლება გადაილახოს” ჰქვია. დროის გადალახვა,

³²⁹ “German Wartime Propaganda in the USSR” (1949), 3.

³³⁰ Tucker, Robert C. (1973), 79-80.

ელიადეს თანახმად, მითების განმეორებითი მოყოლის შედეგადაა შესაძლებელი, რადგან ამ დროს მთხრობელი

ზღაპრულ დროს აღადგენს და ის რაღაცგვარად თავის მიერ აღწერილი მოვლენების „თანამედროვე“ ხდება, ის ღმერთებისა და გმირების გარემოცვაშია. [ამ დროს] ის თავს აღწევს საამქვეყნო, ქრონოლოგიურ დროს და შეაბიჯებს დროში, რომელიც განსხვავებული არისაა; „წმინდა“ დროა, რომელიც ერთდროულად პრიმორდიალურიცაა და უსასრულოდ აღდგენადიც³³¹.

მითოსური დრო, ამგვარად, პლატონისეული იდეების სამყაროს დროით განზომილებას განასახიერებს — ისაა აბსოლუტური ღირებულების შემცველი და რეალური დრო იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ზღაპრული დროის იმიტირებას ახერხებს. სწორედ მსგავს კანონიზებულ წმინდა დროდაა შერაცხილი საქართველოს წარსული დიდების აღმწერი ხანა. მისი საბჭოთა აწმყოში გამოხმობა კი იმ რიტუალის მსგავსია, რომლის დროსაც ამაღლებულის და მუდმივის თანაზიარი ხდები. რადგან გმირთა დრო დროსივრცული განგრძობითობის მიღმაა, ის ერთდროულად არც არასოდესაა და ყოველთვისაცაა.

როცა დოდონა კიზირია საბჭოთა ბელადის მიერ ისტორიულ ალტერ ეგოდ რუსი მეფეების, პეტრე პირველის და ივანე მრისხანის კვალდაკვალ, გიორგი სააკაძის ფიგურის გამოყენებაზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ 1920-იანი წლების ბოლოდან სტალინი მიზანმიმართულად ეძებს რუსეთისა და საქართველოს წარსულიდან ცნობილ გმირებს საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის³³². შედეგად, ალექსეი ტოლსტოი სამ ტომად დაწერილ ეპოსს, „პეტრე პირველს“ ქმნის, რომლის პირველ ორ ტომზე დაყრდნობითაც 1937-1939 წლებში ფილმს იღებენ. საქართველოში კი ომის მსვლელობის პარალელურად, 1942-1943 წელს მიხეილ ჭიაურელი „გიორგი სააკაძეს“ იღებს.

ისტორიული ფიგურების გაცოცხლების სტალინისეული დაკვეთა ქართულ სოცრეალისტურ მწერლობაზეც აისახა, თუმცა მომდევნო დეკადებშიც ისტორიული რომანის ჟანრმა პოპულარობაში არათუ იკლო, არამედ იმატა და გადმოცემის მრავალფეროვანი ფორმებიც დაიტია. ამგვარად, ქართული ისტორიული რომანი წმინდა დროდ გადაქცეული წარსულის სწორედ ისეთი რიტუალური გამოხმობის საშუალებად იქცა, როგორსაც მირჩა ელიადე აღწერს. მართალია, ისტორიული

³³¹ Eliade, Mircea (1963), 18

³³² კიზირია, დოდონა (2013), 238-260.

ნარატივი სტალინური მმართველობის პერიოდში ორ ბატონს ემსახურება, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ის ნელ-ნელა აღწევს თავს სოცრეალისტურ პარადიგმას, რაც იმით გამოიხატება, რომ ამ ნაწარმოებებში მწერლები „ერის განგრძობით არსებობაზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეაზე“³³³ იწყებენ ფიქრს და მსჯელობას.

ისტორიულ დროის საბჭოთა აწმყოში ამგვარი კონკრეტული მიზნით გამოხმობა ისტორიას „გამოყენებით წარსულად“ გარდაქმნის. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიული პროზის ანალიზისას, ლუის პარკინსონ ზამორა „გამოყენებით წარსულად“ მოიხსენიებს ისეთ ტექსტუალურ მასალას, რომელშიც წარსულის მოვლენები აწმყოში „კონკრეტული კულტურული თუ პირადი საჭიროებებისა და სურვილების“ დასაკმაყოფილებლად გამოიხმობა³³⁴. ან ცნებას ჯეიმს უერჩი საბჭოთა კავშირის სინამდვილეზე მორგებით განავრცობს და მსჯელობისას „კოლექტიური მეხსიერების“ ცნებაზე აკეთებს აქცენტს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქვეყნის წარსულის მომთხრობი ამბავი კულტურის ის ინსტრუმენტია, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ერის კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალები ნარატივებით მათთვის ხელსაყრელი „გამოყენებითი წარსულის“ შესაქმნელად მანიპულირებენ³³⁵.

უერჩისთვის კოლექტიური მოგონება არის აქტიური პროცესი, რომელიც მუდამ იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა სოციალურ-კულტურულ მიზანს ემსახურება ის. მსგავსი ცვლილებები კი ხდება წერილობითი წყაროების წარმოქმნა-გავრცელების გზით: “[...]მეხსიერება ხშირად გამოიყენება ‘გამოყენებითი წარსულის’ შესაქმნელად, ამ შემთხვევაში ესაა მოვლენებისა და გმირების აღწერა აწმყოში დასახული გარკვეული მიზნის მისაღწევად”³³⁶. ეს მიზანი, შესაძლოა, იყოს გლოვა, პატრიოტიზმის გაღვივება, წაგებისგან გამოწვეული ტკივილის განელება და სხვა. უერჩი კონცენტრირდება თანამედროვე სახელმწიფოზე, როგორც მსგავსი ნარატივების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ შემქმნელზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს როლი შეიძლება, ყველა იმ ინდივიდმა თუ ინსტიტუტმა მოირგოს, რომელსაც

³³³ მირესაშვილი, მარიამ და პეტრიაშვილი, ოლგა (2013), 218

³³⁴ Zamora, Lois Parkins (1997), ix.

³³⁵ Wertsch, James V. (2004).

³³⁶ იქვე, 31

ტექსტების შექმნისა და გავრცელების ინტელექტუალური, პოლიტიკური და ტექნიკური უნარი აქვს.

სახელმწიფოს მიერ კოლექტიური მეხსიერების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული მცდელობის ნიმუშად უერჩი სწორედ საბჭოთა კავშირის მაგალითს მიიჩნევს. საბჭოთა სახელმწიფომ 1917 წლის რევოლუციიდან მოყოლებული დაიწყო მიზანმიმართული და სისტემატიზებული პოლიტიკა საბჭოთა ხალხის ერთიანი და მეტწილად გაყალბებული მეხსიერების შესაქმნელად. ამას ის, როგორც წესი, ისტორიის გადაწერის გზით აკეთებდა. ამის შედეგად, “საბჭოთა ხალხს წარმატებით წაართვეს თავიანთი სოციალური მეხსიერება”³³⁷. თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა რეჟიმის არსებობის განმავლობაში ალტერნატიულ კოლექტიურ მეხსიერებათა შექმნის მცდელობები არ ყოფილა. მირესაშვილი და პეტრიაშვილი ასეთი მცდელობის ერთ-ერთ ფრომად სწორედ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიულ რომანს სახავენ. მათი თქმით, „ისტორიული ნარატივის მეშვეობით ქართველი მწერლები, ერთი მხრივ, აცოცხლებდნენ ერის ისტორიულ მეხსიერებას (ნაციონალური მითები, ეროვნული გმირები, ისტორიული ფაქტები...) და, მეორე მხრივ, ემიჯნებოდნენ საბჭოურ პოლიტიკურ რეჟიმს, ახდენდნენ საკუთარ ერთან, ‘კოლექტიურ მე-სთან’ გაიგივებას“³³⁸.

საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში გაცოცხლებულ საქართველოს ისტორიას და რევიზირებულ მითოლოგიას სწორედ მსგავსი გამოყენებითი წარსულის პრიზმით თუ შევხედავთ, ცხადი ხდება, რომ ამ პასაჟებში წარსულის საქართველო ერთგვარ უტოპიადაა დახატული. თუ მომავლის უტოპია ქართული ეროვნულობის მრავალჯამიერობის ხაზგასმისა და იმპერიულ ცენტრთან მიმიკრიის საშუალებაა, ჰეტეროტოპიები კი სოცრეალისტური უტოპიის მსახურია, წარსულის გამცოცხლებელი უტოპიები ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული იდენტობის შექმნა-გამყარების მცდელობებია, როგორც, თავად მითოსის მსგავსად, დრომიღმულია და, მაშასადამე, ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში არსებულ იმპერიულ ცენტრთან ურთიერთობით არ განისაზღვრება.

³³⁷ იქვე, 72

³³⁸ მირესაშვილი, მარიამ და პეტრიაშვილი, ოლგა (2013), 214.

წარსულის გაცოცხლება ზოგადად სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში, როგორც წესი, დროში მოგზაურობის ტროპითაა შესაძლებელი. ასეთ დროს ავტორისეულ აწმყოსა ან მომავალში მცხოვრები პროტაგონისტი ტექნოლოგიური ნოვუმის დახმარებით სივრცეში მოგზაურობის ნაცვლად დროში გადაადგილდება. შედეგად, წარსული ისტორიულ ფურცლებზე არსებობას წყვეტს და მასთან პროტაგონისტის უშუალო კონტაქტის — და ხშირად მასზე ზემოქმედების — შედეგად, უშუალო დაკვირვების ობიექტად იქცევა. ამ გზით დროის ქრონოლოგიური სვლა ირღვევა და წარსული პირდაპირ უკავშირდება აწმყოს ან მომავალს. გამოყენებით წარსულზე საუბრისას უერჩი ერთმანეთისგან განასხვავებს კოლექტიურ მოგონებასა და ისტორიას: კოლექტიური მეხსიერება წარსულს ამარტივებს და იყენებს მას კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ამ გაგებით ის აისტორიულიც კია და ყოველთვის მიბმულია აწმყოზე. ისტორია, მეორე მხრივ, დროში ქრონოლოგიურად გაშლილი, მეტწილად ობიექტური და აწმყოსგან გამოყოფილია³³⁹. ამ ორი განმარტებიდან ცალსახაა, რომ წარსულში მოგზაურობის სამეცნიერო ფანტასტიკური ტროპი კოლექტიური მეხსიერებისთვის ნიშნეული აისტორიულობის ყველაზე პირდაპირი, რადიკალური ნიმუშია.

ამ მხრივ სახასიათო მაგალითს თამაზ ჭეიშვილის რომანის, „სირიუსი, იდუმალი სტუმარის“ ის პასაჟი წარმოადგენს, როცა თბილისელი სკოლის მოსწავლე გია უცხოპლანეტელი კიბორგის, სირიუსის დახმარებით მეთორმეტე საუკუნის საქართველოში — კერძოდ დიდგორის ომამდე სამი დღით ადრე — დიდგორის სიახლოვეს ამოყოფს თავს. „ვითომ ზღაპარში ვმოგზაურობ³⁴⁰“ — ესაა გიას პირველი ფიქრი საქართველოს წარსულში აღმოჩენისას და ეს სიტყვები მკითხველს უკვე განაწყობს იმისაკენ, რომ პროტაგონისტი ისეთი არაორდინარული, ზებუნებრივი მოვლენების თანამონაწილე გახდება, სადაც კეთილი და ბოროტი მხარე მკაფიოდაა განსაზღვრული და ეს უკანასკნელი დეტერმინისტულად დამარცხებისთვისაა განწირული. მას შემდეგ, რაც გია მეთორმეტე საუკუნის ქართული სოფლის მცხოვრებლებს ლელობურთს ასწავლის, ჭეიშვილი თხრობის პროტაგონისტად ცოტა

³³⁹ Wertsch, James V. (2004), 19-21. 40-43.

³⁴⁰ ჭეიშვილი თამაზ (1985), 17.

ხნით თურქებთან საბრძოლველად მზადებაში მყოფ დავით აღმაშენებელს ხდის. ჩვენ საქართველოს ლეგენდარული მეფის ძილისწინა ფიქრებსაც ვეცნობით:

ბევრი რამ გაიხსენა დავითმა იმ ღამით, მთელი თავისი შფოთიანი ცხოვრება. თვალწინ წარმოუდგა ყველა ბრძოლა, როგორ ჩასცა ლახვარი თურქებს, როგორ შემოიერთა შირვანო და სომხეთი, მუსლიმანებიც კი საქრისტიანოს სამსახურში ჩააყენა. დავითი ყველა სარწმუნოებას პატივს სცემდა და ხელშეუხებლად თვლიდა. ამ პოლიტიკით ბევრი მოკეთე და თანამოაზრე გაიჩინა მუსლიმანთა შორის. არნახულად გაფართოვდა საქართველოს საზღვრები...³⁴¹

ეს პასაჟი, რომელიც გიას პერსპექტივით დანახული თხრობის მიმდინარეობიდან ამოვარდნილია, გამოყენებითი წარსულის შექმნის სახელმძღვანელო ნიმუშია. ქართველთა უნიკალურობა აქ არა მარტო ძლევამოსილ მტრებზე გამარჯვების ნარატივითაა ხაზგასმული, არამედ, ამასთან, საქართველო მთლიანი საქრისტიანოს მცველად, კეთილმოყოფელ მესიად იხატება. თუ მომავლის უტოპიაში საქართველო კომუნისტური საზოგადოების ცენტრია, ამ ამონარიდის მიხედვით, წარსულის უტოპიებში ის ქრისტიანული სამყაროს ცენტრად იქცევა.

მოხმობილი პასაჟის მერე სიუჟეტი სწრაფად ვითარდება: თურქების ტყვეობაში ჩავარდნილი გია აღმაშენებლის მიერ მტრის დასაზვერად გაგზავნილ ხუთ მეომარს გაიცნობს, რომლებიც სამშობლოსთვის თავს გაწირავენ, თუმცა იქამდე ჩვენს პროტაგონისტს გაქცევაში დაეხმარებიან. გია, რა თქმა უნდა, საქართველოს მეფესაც პირადად შეხვდება და დიდგორის ბრძოლის მსვლელობას მის გვერდით, თეთრ ცხენზე ამხედრებული უყურებს. ჭეიშვილი ამ სურათის დახატვით იმ ქართული მითის სამეცნიერო ფანტასტიკურ ვერსიას წარმოგვიდგენს, რომლის მიხედვითაც, დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ჯარს წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მიუძღოდა. მითის ამგვარი გადათამაშება ამჯერადაც გამოყენებითი წარსულის შექმნის მცდელობაზე მიუთითებს.

ნაწარმოებში გიამ იცის, რომ ეს ბრძოლა უკვე მომხდარია და გამარჯვებულებს გამოვლენილი, თუმცა რადგან მას სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოში შესაბამისი თავი არ წაუკითხავს, არ იცის, მოვლენები როგორ განვითარდა. ისტორიული მოვლენის ამგვარად დახატვით დიდგორის ბრძოლა საკრალური, გმირთა დროის სტატუსს იძენს: გიას პერსპექტივიდან ის ერთდროულად მომხდარიცაა და მოუხდენელიც. შესაბამისად, ის დროის ქრონოლოგიური სკლისგან ამოვარდნილია

³⁴¹ იქვე, 28

და ყოველდროსაც არსებობს და არასდროსაც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბრძოლის მომლოდინე დავით აღმაშენებლის სიტყვები, „ახლა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება!“³⁴², ამ ზეისტორიულ მოვლენას დამატებით დატვირთვას სძენს. ერთი მხრივ, ჩვენ, მკითხველმა ვიცით, რომ ქართველები ბრძოლაში იმარჯვებენ, მაშასადამე ამ შერკინების „მითოსურ დროში“ გადატანით ქართველთა გამარჯვება მუდმივ, განმეორებად და გამოხმობად მოცემულობად იქცევა. მეორე მხრივ, პერსონაჟი, რომლის პერსპექტივიდანაც მიმდინარეობს თხრობა, ჭეიშვილის თანამედროვე მკითხველის მხატვრული სახეა: მან, როგორც საბჭოთა მოქალაქემ, იცის, რომ მომავალი წინასწარგანსაზღვრულია, თუმცა არ იცის, რამდენადაა ამ მომავალში საქართველოს ადგილი. ეს პასაჟი კი მის იმაში დარწმუნებას ემსახურება, რომ საქართველოს წარსული დიდება მისი მომავალი კეთილდღეობის გარანტიაა, რადგან მითოლოგიურ დროში დრო წრფივად არ მიედინება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი მუდმივად გადაწყვეტის მდგომარეობაშიცაა და მუდმივად მის სასიკეთოდ გადაწყვეტილიცაა. ის, რომ დიდგორის ბრძოლა „წმინდა დროა“, კარგად ჩანს იმ პასაჟიდან, როცა გია გამარჯვებულ ქართველ ლაშქარს დინამოს ჰიმნს ამღერებს და ამ დროს ღმერთის შეგონებასავით ჩაესმება ხმა: „ეგ მკრეხელობააო“³⁴³. ამ ხმის მისტიკური წარმომავლობა იმითაც მყარდება, რომ ის სირიუსს არ ეკუთვნის: კიბორგის სიტყვები გიას მეორე წუთს ნაცნობ ხმად ჩაესმის, პირველი ფრაზის მთქმელის ვინაობა კი მისთვის ბოლომდე უცნობი რჩება.

თავის დროსა და თბილისში დაბრუნებული გია საპყრობილეში გაცნობილ „საქართველოსთვის გმირულად დაღუპულ რაინდებს“³⁴⁴ მათი სიკვდილიდან რვაასი წლის მერე, მეოცე საუკუნეში გლოვობს. ის სკოლაში შავებში ჩაცმული მიდის და კლასის წინ თანამემამულე გმირების ამბავს ისე ემოციურად ჰყვება, რომ მასწავლებელს ამ სიტყვებს წამოაძახინებს: „დიდება საქართველოს! დიდება დავით აღმაშენებელს! დიდება საქართველოსათვის დაღუპულ გმირებს!“³⁴⁵. გიას მოყოლილი ისტორია მსმენელში პატრიოტულ გრძნობებს იმის ხარჯზე აღძრავს, რომ ეს ისტორიის ფურცლებიდან ამოკითხული მშრალი ფაქტები არაა — პირადად

³⁴² იქვე, 38

³⁴³ იქვე, 45.

³⁴⁴ იქვე, 47.

³⁴⁵ იქვე, 47-48.

განცდილი თავგადასავალია, რადგან გიასთვის ეს ამბავი ახლა მოხდა. მართლაც, გამოყენებით წარსულს აწმყოში მოქმედების გამომწვევი ძალა იმიტომ ენიჭება, რომ ის ისტორიისეულ დროით დისტანციას აქრობს. ამასთან, ჭეიშვილის მიერ მოთხრობილი წარსული ნაწარმოების შიდა სიუჟეტური ლოგიკითაც კი „გამოყენებითია“, რადგან როგორც რომანის დასასრულისკენ ვიგებთ, რეალურად გიას დროში არ უმოგზაურია. სანაცვლოდ, ეს ალტერნატიული დროითი და სივრცული რეალობა კიბორც სირიუსის კონსტრუირებულია იმ მიზნით, რომ გიამ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდან მასწავლებლის მიერ დავალებად მიცემული ამბავი დაისწავლოს.

როგორც გამოყენებით წარსულს, ასევე სამეცნიერო ფანტასტიკას ისტორიის გარდა მითოლოგიაც აინტერესებს. ლეგენდა თავისთავად ზედროული ამბის დამტევეია. ბახტინისეული ეპოსისა არ იყოს, ისიც დასრულებულ და იდეალიზებულ დროს განასახიერებს. მაგრამ ბახტინისთვის ეპოსის ზედროულობა მასთან აწმყოდან ხიდის გადების, პირდაპირი კავშირის დამყარების შეუძლებლობას განაპირობებს, მაშინ, როცა კოლექტიური მეხსიერების შექმნის პროცესში მითი, ისტორიის კონკრეტულ მომენტთან კავშირის არარსებობის ხარჯზე, აწმყოს გამორჩეული სიმარტივით უკავშირდება. მითის დროსივრცული ბუნდოვანება სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლისთვის განსაკუთრებით მომხიბვლეელია, რადგან საშუალებას აძლევს, მისი წარმომავლობის ამხსნელი სხვადასხვა ისეთი სცენარი წარმოიდგინოს, რომელიც ლეგენდას მომავლის ან უცხოპლანეტური კულტურის ტექნოლოგიურ ნოვუმის გამოყენებით განმარტავს და რაციონალიზაციას უძებნის მას, რისი თავდაპირველი ღირებულებაც მისტიკურობაშია. ამას ჭეიშვილი იმ დროს აკეთებს, როცა დიდგორის ომში წმინდა გიორგის გამოჩენის ლეგენდას თავისებურად გადაწერს.

ამასთან, მითისთვის დამახასიათებელი დრამატურგია, მისი ემოციურ-მხატვრული მხარე სამეცნიერო ფანტასტიკისეულ შედარებით მშრალ, ტექნოლოგიაზე ორიენტირებულ ნარატივს მწერლისგან დიდი ძალისხმევის გამოჩენის გარეშე ამდიდრებს. ურსულა ლე გუინი სამეცნიერო ფანტასტიკის, როგორც თანამედროვე სამყაროს მითოლოგიის, ანალიზისას აღნიშნავს, რომ ეს პროცესი ერთგვარი „ქურდობაა“, ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობით, რადგან „ქურდობა

ჯანსაღი ლიტერატურის არსებითი ფუნქციაა³⁴⁶. სამეცნიერო ფანტასტიკის ქართველი მწერლები მსგავს „ქურდობას“ ხშირად სჩადიან. მაგალითად, შოთა გაგოშიძის მოთხრობა, „ცისფერი მნათობი ამირანი“³⁴⁷, ქართული ხალხური მითების იმგვარი გადამღერებაა, რომელშიც ქალღმერთი დალი სინამდვილეში უცხო პლანეტიდან დედამიწაზე დასაკვირვებლად ჩამოსული მეცნიერია. ის ეკიპაჟის სხვა წევრებთან კავშირის გაწყვეტის გამო იძულებულია, თავისი ძე, ამირანი კავკასიის მთებში გამოკვეთილ მღვიმეში შობოს.

ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში მითოლოგიის რაციონალიზაციის არაერთი მცდელობიდან ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა, „დრო“ განსაკუთრებულ ყურადღებას მხატვრული ღირებულებისა და შინაარსობრივი სიღრმის გამო იმსახურებს. პირველად 1980 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ეს მოთხრობა დროის არსზე ერთგვარი ფილოსოფიური სჯაა, სადაც თხრობა პოსტმოდერნიზმისთვის ნიშნეული სიუჟეტური დროის მიზანმიმართული არევით მიმდინარეობს. ჩვენ 2779 წელს დაწერილი წერილის 1979 წლის თარგმანს ვკითხულობთ, რომელშიც მომავლის სრულად ტერაფორმირებული დედამიწის მკვიდრი ორგანიზმილებიან არსებათა შესასწავლ ექსპედიციაში მყოფ მეგობარს ადამიანთა წარსულში პირველი მოგზაურობის ამბავს უყვება³⁴⁸.

ამ ამბავში მთავარი კონფლიქტიც კი ფილოსოფიურ შეხედულებათა ჭიდილზე გადის. სამეცნიერო ფანტასტიკური ნოვუმის, დროში მოგზაურობის გამოყენებით ქარჩხაძე სვამს კითხვას: ანიჭებს თუ არა ადამიანს ბუნებაში აქტიურად ჩარევის უფლებას მსგავსი ჩარევის ტექნოლოგიური უნარის ქონა? შესაბამისად, წარსულში მოგზაურობის საფრთხე არა მოგზაურის უსაფრთხოებაზე გადის, არამედ იმაზე, თუ რა ცვლილებებს შეიტანს დროსივრცულ განგრძობითობაში ამგვარი ხელოვნური ჩარევა. „ნუ მოკლავთ საკუთარ წინაპარს, თუ არ გინდათ, ლოგიკამ სახლიდან გამოგაძევოთ!“³⁴⁹ — ამგვარია კონსერვატორი მეცნიერის, უარ დენის, გაფრთხილება. ამ შეგონებას მუდმივ პროგრესზე მომართული მეცნიერთა ჯგუფი უგულებელყოფს

³⁴⁶ Le Guin, Ursula K. (1993), 69-70.

³⁴⁷ მოთხრობა პირველად 1979 წლის იმავე სახელწოდების კრებულში დაიბეჭდა, ხოლო ხელმეორედ 1988 წლის კრებულში, „ჯადოსნური ბგერები“, ოდნავ სახეცვლილი სათაურით, „საგა ცისფერი მნათობის შვილზე“, გამოქვეყნდა.

³⁴⁸ ქარჩხაძე, ჯემალ (2009), 333-355.

³⁴⁹ იქვე, 338.

და მისიისთვის სახელდახელოდ არჩეულ პირს, იუჰესს, სის მთაზე მოთავსებული დროის მანქანით წარსულში იმ მთავარი პირობით გაგზავნის, რომ ის წარსულის ადამიანებთან არანაირ კონტაქტს არ დაამყარებს. მათი აზრით, ამით ისეთ ცვლილებებს არ დაედება დასაბამი, როგორებიც პეპლის ეფექტით მომავალს რადიკალურად გადაასხვავებებს. იუჰე დანაპირებს ვერ ასრულებს. თუმცა მაშინ, როცა მომავლის საზოგადოების რჩეულ მეცნიერებს პანიკა აიტანთ, უარ დენი აღმოაჩენს, რომ დროსივრცულ განგრძობითობაში ცვლილებების შეტანა შეუძლებელია, რადგან ყველაფერი ერთბაშად და უკვე მოხდა — მათ შორის იუჰეს მოგზაურობაც და მისი იმ ადამიანთან შეხვედრაც, რომელიც ბიბლიური მოსე აღმოჩნდება, ხოლო თავად იუჰე დეტერმინებულ ისტორიაში ბიბლიური ღმერთის როლს მოირგებს.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც ამ მოთხრობაში პოსტმოდერნულ მგრძნობელობას გამოკვეთს, მწერლის ავტორიტეტული პოზიციის არარსებობაა: ისეთ ეგზისტენციალურ საკითხებზე, როგორიცაა მეცნიერის ღმერთად ქცევის ფენომენი, ბუნების დამორჩილების დაუოკებელი სურვილის სიაყვარგე, ტექნოლოგიური პროგრესისადმი შიშის საფუძვლიანობა ან თუნდაც სამყაროს ამოხსნის ეპისტემოლოგიური შესაძლებლობა, ქარჩხადეს ჩვენთვის მზა პასუხები არ აქვს. მართალია, ტექსტში ცხადად ჩანს, რომ წერილის ავტორის სიმპათიები დაუსრულებელ პროგრესს გამოდევნებული მეცნიერებისკენ იხრება, მაგრამ თავად ამბის სიუჟეტური განვითარება ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას არაფრით იძლევა. მსგავსი ამბივალენტური დამოკიდებულების ყველაზე ლაკონიური და ნათელი მაგალითი მოთხრობაში წერილის ავტორის მიერ კონსერვატორი მეცნიერის, უარ დენის დახასიათებაა:

დიდი თავი აქვს, ცოტა სასაცილოდ გამოზურცული შუბლი და მოჭუტული, ყოველთვის საეშმაკოდ აციმციმებული თვალები. საოცრად მოძრავი კაცია, საოცრად ცოცხალი (თუმცა ას ოთხმოც წელს მიტანებულია), მუდამ ბობოქარი, მუდამ დამცინავი, მუდამ საკამათოდ შემართული. საცა კი გამოჩნდება, ყველგან გამოცოცხლება, თავისებური კოლორიტი და წარმოუდგენელი ანაქრონიზმი შეაქვს. და ისეთი სიტყვებით აქიაქებს სამეცნიერო ცენტრის ყოველ ახალ წამოწყებას, ეს სიტყვებიც მისი მუხუშუმის ექსპონატები გეგონება³⁵⁰.

³⁵⁰ იქვე, 337.

ამ დახასიათებაში ახირებული მოხუცისადმი დამოკიდებულება დაცინვისა და აღფრთოვანების პოლუსებს შორის მერყეობს. სოცრეალისტური შავ-თეთრი პერსონაჟების ფონზე ეს აღწერა ნამდვილ თავსატეხს უჩენს მკითხველს, რაც ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკისთვისაც უცხო ხილია. ეს მოთხრობა, ამასთან, უტოპიური მომავლის თუ მითოლოგიზებული წარსულის სრულიად უნიკალურ პარადიგმასაც ქმნის.

მართლაც, „დრო“ არ აპელირებს უშუალოდ ქართულ წარსულზე თუ მითოლოგიაზე, რათა ქართველთა განსაკუთრებულობის ნარატივი განამტკიცოს და ამ გზით შექმნას საბჭოთა კულტურის ალტერნატიული ტექსტი. ამის სანაცვლოდ ის სოცრეალისტურ მხატვრულ ფორმათა უგულებელყოფით და პოსტმოდერნული თხრობის სტილის შემოტანით უპირისპირდება მეინსტრიმულ კულტურას. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ ქართულ ალტერნატიულ კულტურაზე საუბრისას ბელა წიფურია ტექსტთა ანტისაბჭოურობას სწორედ ესთეტიკის იმ ფორმის არსებობის საფუძველზე განიხილავს, რომელიც ქართულ მოდერნიზმსა და დასავლურ პოსტმოდერნიზმს ენათესავება³⁵¹.

წიფურიას ამ მოსაზრებას ისაია ბერლინის მიერ 1957 წელს, საბჭოთა რუსეთში მოგზაურობის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერები განამტკიცებს. მოსკოვის სტუმრობისას ბერლინმა შენიშნა, რომ რუს საბჭოთა ინტელიგენციას — კერძოდ კი, მწერლებს — მარქსიზმისადმი ყველანაირი ინტერესი დაკარგული ჰქონდა. მაგრამ რადგან საბჭოთა რეჟიმი ერთგვარ ბუნებრივ, შეუცვლელ მდგომარეობად აღიქმებოდა, მათთვის ნანატრი თავისუფლება არა რეჟიმის წინააღმდეგ გალაშქრების უფლების ქონაში გამოიხატებოდა, არამედ ერთგვარ „ფსიქოლოგიურ თავისუფლებაში“, ეწერათ ისე, რომ გამუდმებით იდეოლოგიაზე აპელირების ნაცვლად, უბრალოდ, ცხოვრება აღეწერათ:

რომანისტებს ყელში აქვთ ამოსული ან ეზიზღებათ ტექსტებში საბჭოთა გმირების იდეალიზებული ფიგურების და ბოროტმოქმედების ხატვა. [...] მწერლებს — ყოველ შემთხვევაში, მათ ნაწილს მაინც — სურთ, ისეთ მორალურ ჩარჩოებში განიხილონ ან ამხილონ ბიუროკრატია, ფარისევლობა, ჩაგვრა, ბოროტის კეთილზე გამარჯვება, რომელსაც თავად რეჟიმი ღიად მაინც იზიარებს.³⁵²

³⁵¹ წიფურია, ბელა (2016), 76-77.

³⁵² Berlin, Isaiah (2004), 161-162.

მწერლებისთვის სასურველ ამგვარ თემებს ბერლინი უწოდებს მორალურ გრძნობებს, რომელიც მთლიანი კაცობრიობისთვისაა საერთო და თავისი განზოგადებულ-ეთიკური ბუნების გამო მარქსიზმს პრინციპულად სულაც არ ეწინააღმდეგება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიული რომანზე, როგორც ალტერნატიული კულტურის ფორმაზე, საუბრისას, მარიამ მირესაშვილი და ოლგა პეტრიაშვილიც იმავე აზრს ავითარებენ. ისტორიული რომანის ჟანრში მოღვაწე ქართველ მწერალთა, მათ შორის ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაზე საუბრისას მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მათი რომანები მიზნად საქართველოს წარსულის ქრონოლოგიურ აღდგენას კი არ ისახავდნენ, არამედ ამ ამბებს ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიურ საკითხებზე სამსჯელო მასალად იყენებდნენ: „მათში აშკარად იჩენს თავს იმ მარადიული პრობლემების წვდომის სურვილი, რომელიც ადამიანური ყოფიერების საზრისის შემსწავლელ მიმართულებას — ეგზისტენციალიზმს მიეწერება“³⁵³. სწორედ ამგვარ ფორმალისტურ გარდატეხაში ხედავენ მირესაშვილი და პეტრიაშვილი საბჭოთა რეჟიმთან შებრძოლების მცდელობას.

ამგვარად, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „დრო“, იმ უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს, როცა ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტი სოცრეალისტურ დოგმებსა და ესთეტიკას უსხლტება. რაც კიდევ უფრო საკვირველია, ქარჩხაძე სოცრეალისტური მწერლობის ალტერნატიული კულტურის ნიმუშს ბიბლიური ამბის რაციონალიზაციით, ამ ამბის იგავურ ხასიათზე ხაზგასმით ახერხებს, რაც ზედაპირზე თითქოს საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა, რეალურად, ქარჩხაძე ანტისაბჭოურ ამბავს ჰყვება, რადგან, ერთი მხრივ, რეჟიმის იდეოლოგიაზე აპელირებას უგულვებელყოფს და ზოგადსაკაცობრიო თემებსა და ღირებულებებზე კონცენტრირდება; ხოლო, მეორე მხრივ, პრესაბჭოთა იდენტობას ბიბლიური, მაშასადამე ქრისტიანული, ნარატივისთვის სულის ახლებურად ჩადგმით წარმოაჩენს.

გამოყენებით წარსულად ქცეული ისტორიის თუ რელიგიური იგავის ხელახალი მოყოლით ამბის გაცოცხლება, ერთი მხრივ, დროის შეუქცევადობის წინააღმდეგ აჯანყებაა, რადგან ის მოთხრობელს „რეალობის კონსტრუირებაში“ ეხმარება; მეორე მხრივ კი, მკვდარი დროისგან ათავისუფლებს მას; არწმუნებს, რომ

³⁵³ მირესაშვილი, მარიამ და პეტრიაშვილი, ოლგა (2013), 220-221.

წარსულის გაუქმების ძალა შესწევს, რათა ცხოვრება ხელახლა დაიწყოს და თავისი სამყარო ხელახლა შექმნას”³⁵⁴. მირჩა ელიადეს მიერ შემოთავაზებულ ამ ფორმულაში „მკვდარ დროდ“ საბჭოთა რეალობა შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მისი გაუქმება და ცხოვრების ხელახლა დაწყება პრესაბჭოთა ქართული ეროვნული იდენტობის მუდმივობის, დამოუკიდებელი საქართველოს დროში უწყვეტად არსებობის განცდის გამოწვევით ხდება შესაძლებელი. როგორ აღწევს ამ მიზანს ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს კიდევ უფრო თვალნათლივ მომდევნო ქვეთავში გამოჩნდება.

4.5. ამონი ანუ სამმაგი უტოპია

როგორც ვიხილეთ, ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში უტოპიის ტიპთა მრავალფეროვნებაა. ამ წარმოსახვითი რეალობების დროსივრცული თვისებები კი ტექსტებში დატეულ პოლიტიკურ გზავნილზე ახდენს ზეგავლენას. თითოეული ტიპი ასე შეგვიძლია დავახასიათოთ: 1) მომავლის უტოპია — კომუნისტური იდეალური საზოგადოების ნიმუში, რომელშიც საქართველოს, როგორც კულტურულ ერთეულს, ცენტრალური როლი უკავია; 2) ჰეტეროტოპია — გეოგრაფიული სივრცით განსაზღვრული ალტერნატიული რეალობა, რომელიც საბჭოთა უტოპიასთან კონკურენციაში მოდის; და 3) წარსულის უტოპია — საქართველოს ისტორიის თუ მითოსის იმგვარი რეინკარნაცია, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის იმპერიული ცენტრისგან დამოუკიდებლად განსაზღვრას ისახავს მიზნად. ამ ტიპოლოგიის გათვალისწინებით, ნაშრომში უკვე არაერთგზის ნახსენები 1936 წლის რომანი, ივანე ყიფიანის „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს, რადგან მასში სამივე ტიპის უტოპია იყრის თავს.

ნაწარმოებში მოქმედება 1930-იანი წლების საბჭოთა საქართველოდან მომავლის უტოპიურ სახელმწიფოში, ამონში მოხვედრილი ქართველი მეცნიერის, გიორგის გარშემო ვითარდება. მომავალში გაცოცხლებული პროტაგონისტისთვის უცხო რეალობასთან ადაპტირების პროცესი მიმდინარეობს ორ სიბრტყეზე — ერთი მხრივ, გიორგი იღებს უდიდესი მოცულობის ინფორმაციას დედამიწაზე ათასი წლის

³⁵⁴ Eliade, Mircea (1963), 140.

განმავლობაში მომხდარ ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომელიც მის გარშემო არსებული უცხო სამყაროს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ წყობაში გარკვევაში ეხმარება; მეორე მხრივ, იგი მოგონებებით მუდმივად უბრუნდება აწ უკვე წარსულად ქცეულ თავის აწმყოსა და ამ აწმყოს ისტორიულ წარსულს.

ამ ნაწარმოებში დატეული სამი ტიპის უტოპიიდან ყველაზე მარტივად ამოსაცნობი მომავლის, საბჭოთა უტოპიაა: მართლაც, ამონი კომუნისტური იდეალის აბსოლუტურ განსახიერებას წარმოადგენს. დედამიწაზე ეროვნებები აღარ არსებობს; ფულის „აჩრდილიც გამქრალია საზოგადოების მახსოვრობიდან“ და მასთან ერთად — „შრომითი ექსპლუატაცია“, რადგან გაწეული გარჯის საფასურად საზოგადოებრივი დაფასებაა ქცეული; ვაჭრობაც მომსპარია და საჭირო ნივთთა აღება „უშუალოდ ფაბრიკებიდანაა“ შესაძლებელი³⁵⁵. ამასთან, რაც მთავარია, მსგავსი უტოპიის შექმნის საფუძვლად ტექსტში ტექნოლოგიური განვითარებაა დასახული: ამგვარი საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელი წინაპირობა, ცნობიერებაგარდაქმნილი ინდივიდები, იგივე ახალი ეპოქის ადამიანები ამონში „ევგენიკური ინსტიტუტის ჩანასახთა განყოფილებაში“³⁵⁶ ჩნდებიან.

თავად ამონიც მომავლის, ტექნოლოგიურად სატურირებული სამყაროა — აქ ქუჩებში სხვადასხვა სისწრაფით მოძრავი ბილიკები დანიშნულების ადგილზე თვალის დახამხამებაში მიგიყვანენ; სხვადასხვა გემოიანი „მვირფასი ქვები“ კვებას გაცილებით სასიამოვნო და ჯანსაღ პროცესად აქცევენ და ამ გამოგონების შედეგად შიმშილობაც წარსულსაა ჩაბარებული; წიგნები და გაზეთები ციფრული ფორმატით ვრცელდება; ხოლო წარსულ კულტურებთან ზიარება დიადი პოეტების ჰოლოგრამათა გამოხმობითაა შესაძლებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ყველა ტექსტს შორის „ამონში“ ყველაზე მეტი ტექნოლოგიური ნოვუმია თავმოყრილი, თანაც თითოეული მათგანის მუშაობის მექანიზმი და პრაქტიკული დანიშნულება დაწვრილებითაა ახსნილი. ეს მას არა მხოლოდ ეგრეთ წოდებული „მაგარი სამეცნიერო ფანტასტიკის“³⁵⁷ საუკეთესო

³⁵⁵ ყიფიანი, ივანე (1987), „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, 282-283.

³⁵⁶ იქვე, 329

³⁵⁷ „მაგარი სამეცნიერო ფანტასტიკა“, იგივე Hard Sci-fi, იმ ქვეყანის სახელწოდებაა, რომელში შექმნილი ტექსტებისთვისაც ტექნოლოგიურ სიახლეებზე კონცენტრირებაა ცენტრალური მნიშვნელობის. ამის საპირისპიროდ, „რბილი სამეცნიერო ფანტასტიკა“, იგივე Soft Sci-fi ამოსავალ

ქართულ ნიმუშად აქცევს, არამედ, ამასთან, — ყველაზე დეტალიზებულ ქართულ საბჭოთა უტოპიადაც.

როგორც წინა თავში ვნახეთ, მსგავსი უტოპიური ნარატივის შიგნით საქართველო ყოველთვის პოლიტიკურ ცენტრადაა დასახული. გამონაკლისს არც „ამონი“ წარმოადგენს. საქართველოს, როგორც პოლიტიკური ერთეულის, განადგურებით გულმოკლულ გიორგის მასპინძელი, კარიოზი მაშინვე ატყობინებს, რომ ამონი თავის დროზე სწორედ ქართველი ერის გარშემო სხვა ხალხთა გაერთიანების შედეგად შეიქმნა. მაშასადამე, სამყაროში, სადაც ეროვნული იდენტობა ადამიანის თვითაღქმიდან სრულადაა წაშლილი, ქართული იდენტობა ერთადერთია, რომელიც მაინც ინარჩუნებს გარკვეულ — თუნდაც სიმბოლურ — ღირებულებას. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ადამიანები კვლავ აქტიურად სწავლობენ ქართულ ენას, მაშინაც კი, როცა მას პრაქტიკული დანიშნულება აღარ აქვს; რუსთაველის ჰოლოგრაფი თეატრის სცენაზე ჰომეროსისა და ევკლიდეს გვერდით ჩნდება; ხოლო კარიოზს თავის ბიბლიოთეკაში ციფრული ვაჟა-ფშაველას გამოხმობა შეუძლია. ამასთან, ქართველი გმირის გამორჩეულობასაც ესმევა ხაზი, რადგან 1930-იან წლებში მის მიერ შემუშავებული ადამიანის უხრწნელად დაბალზამების ხერხი დროს იმდენად უსწრებს, რომ ათასი წლის შემდეგ დამკვიდრებულ მეთოდზე უმჯობესიც კი აღმოჩნდება.

თუმცა, როგორც აღვნიშნე, ამონი საბჭოთა უტოპიის პარალელურად ჰეტეროტოპიაც გახლავთ. ამაში დასარწმუნებლად, პირველ რიგში, გეოკრიტიკული პრიზმით უნდა შევიარაღდეთ და ამონის სივრცული მახასიათებლებისკენ მივაპყროთ მზერა. როგორც თხრობის შუა ნაწილში გიორგისთან ერთად ვიგებთ, კომუნისტური იდეალური საზოგადოება კონკრეტული კატაკლიზმური მოვლენის საფუძველზე შექმნილა: მეოცე საუკუნის მიწურულს მომხდარმა კატასტროფულმა მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრიც შავი ზღვის ტერიტორია გახლდათ, პლანეტის ზედაპირი დრამატულად შეცვალა: „დედამიწის გული მოულოდნელად გასკდა. მიწამ წყალს შეუტია“³⁵⁸. შედეგად „ნიადაგის ფენები ერთიმეორეს შეაჯდა. უზარმაზარმა მთებმა ზეცას თავი მიაბჯინეს. ვეებერთელა ველები გადაიჭიმა, მდინარეებმა თავისი

წერტილად ტექნოლოგიური სიახლეებით გარდასახული სოციალური ურთიერთობების ანალიზს სახავს.

³⁵⁸ ყიფიანი, ივანე (1987), „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, 284.

კალაპოტი და მიმართულება შეცვალეს და თითქოს სასწაულით გაჩნდა [...] ამონის ქვეყანა...³⁵⁹. შავი ზღვის სივრცეზე გადაჭიმულ ახალ ტერიტორიაზე გეოგრაფიული სიახლოვის გამო პირველად ქართველები გადავიდნენ. ამ მოვლენის მნიშვნელობა ტექსტში ამ დიალოგითაა გაცხადებული:

- მაშასადამე, შავი ზღვის მოსპობით გაზრდილა საქართველოსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოთა ტერიტორია?
- დიახ, გაიზარდა ამონის ტერიტორია. ფაქტიურად პირველი ამონელები თქვენ [ქართველები] იყავით. მაგრამ ამ სახელწოდებამ დაიგვიანა მანამდის, სანამ თქვენ ახალი ტერიტორია შემოგემატებოდათ. თქვენს ირგვლივ ახალი საერთაშორისო ენისა, პოლიტიკური წყობილებისა და კულტურის გავლენით სხვადასხვა ერი ბუნებრივად გაერთიანდა. ამონი და თანამედროვე კაცობრიობა ერთი და იგივეა³⁶⁰.

ამ ბოლო დასკვნიდან მარტივი ლოგიკური ბმა იგება: რადგან ამონი ქართველთა პროექტია, მაშასადამე, საქართველო და თანამედროვე კაცობრიობაც ერთი და იგივეა. იმისათვის, რომ ყოფილი ცისფერყანწელი პოეტისთვის მისაღები — ქართველების მიერ შექმნილი — კომუნისტური უტოპია შესაძლებელი გახდეს, ახალი მიწის შექმნა ხდება საჭირო. ამგვარად, ფანტასტიკური ელემენტით მართლდება ის აცდენა, რაც ავტორის თანამედროვე რეალობასა და წარმოდგენილ სამყაროს შორის არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ფანტასტიკური უტოპიის პოლიტიკური ძალა სწორედ მსგავსი აცდენისთვის ხაზგასმავია. მაგრამ, როგორც ასევე უკვე ვიხილეთ, როცა რეჟიმს მომავალი უზურპირებული აქვს, აწმყოში გამოკვეთილი ნაკლოვანებების მომავალში გამოსწორებისთვის პარტიას უკვე აღებული ჰქონდა კრედიტი. მაშასადამე, აწმყოს გასაკრიტიკებლად გაუცხოების დამატებითი ფაქტორის შემოტანა იყო საჭირო. მართლაც, რადგან ამონის ცენტრი ჰეტეროტოპიაა, ანუ რეალური საბჭოთა უტოპიის პირდაპირი დროითი გაგრძელების ნაცვლად მის პარალელურ სივრცეზე არსებობს, ამ ორ ტერიტორიას განსხვავებული გეოგრაფიის გამო განსხვავებული ისტორია შეიძლება ჰქონდეს და ეს განსხვავებულობა შედარების გაკეთების საშუალებას იძლევა.

განსხვავებები კი მართლაც თვალშისაცემი და პოლიტიკურად მრავლისმთქმელია: გარდა იმისა, რომ კომუნისტური სახელმწიფოს ცენტრში რუსი

³⁵⁹ იქვე, 285

³⁶⁰ იქვე, 286.

ხალხის ნაცვლად ქართველები დგანან, ამ სახელმწიფოს შექმნის ისტორიაც არსებითი თვისებით განსხვავდება საბჭოთა კავშირის შექმნის ისტორიისგან: ერების გაერთიანება ამონისეულ სამყაროში მოხდა არა ისტორიის მსვლელობაში ადამიანის მიზანმიმართული ჩარევის, რევოლუციის შედეგად, არამედ ბუნებრივი მოვლენის — მიწისძვრის შედეგად. ყიფიანი პირდაპირ იყენებს სიტყვა „ბუნებრივს“ და ხაზს უსვამს იმას, რომ ერები ამ ახალ საზოგადოებაში საკუთარი ნებით — და არა, წითელი არმიის ანექსიის შედეგად — გაერთიანდნენ.

ამასთან, ის გარემოება, რომ ამონის ცენტრალური, თავდაპირველი ტერიტორია რეალური და ფანტასტიკური სივრცის ნაზავია, გამოგონილსა და არსებულს შორის პარალელების გავლებას ამარტივებს. რობერტ ტალის მტკიცებით, ლიტერატურაში რეალური სოციალური სივრცის უკეთ გააზრებისთვის ყველაზე გამოსადეგი რუკა ისაა, რომელიც რეალურ სივრცედ გასაღებულ ტერიტორიას ფუნდამენტურად მხატვრული ან გადატანითი მნიშვნელობით წარმოადგენს. ამგვარად მიმეტიკური და ფანტასტიკური ტერიტორიების კვეთა განსაკუთრებით მრავლისმთქმელი ხდება, რადგან ალეგორიის ამოხსნა მარტივდება.³⁶¹

ამგვარად, ამონი ერთდროულად საბჭოთა უტოპიაცაა და ჰეტეროტოპიაც. ის შიდა მოწყობით, მართალია, საბჭოთა იდეალს განასახიერებს, მაგრამ მისი გეოგრაფიული ისტორია და დასაბამი ცენტრის მიერ დასახული ამ იდეალის ქართული, პერიფერიული რაკურსიდან გაკრიტიკების საშუალებას იძლევა. ამგვარი პერსპექტივის შენარჩუნება იმიტომაცა შესაძლებელი, რომ ამონის გეოგრაფია ნაცნობსა და უცხოს შორის გამოკიდებულ სივრცეში არსებობს. მსგავსი ლიმინალური მდგომარეობა მნიშვნელოვანია, რადგან „ფანტასტიკურ ჟანრში შექმნილი ლიტერატურული კარტოგრაფიები ან გეოგრაფიები რეალიზმის გარკვეული ასპექტებისგან არიან გათავისუფლებულები, მაგრამ ისინი ეფექტიანობას სრულად კარგავენ, როცა მთლიანად წყვეტენ კავშირს იმ რეალურ სამყაროსთან, რომელშიც მკითხველი სახლობს“³⁶².

ამონში ამ კავშირის განსხეულება თავად გიორგია — ის ორივე სივრცეში არსებობს, რაც მას საშუალებას აძლევს, მომავლის უცხო სამყაროში ნაცნობი

³⁶¹ Tally, Robert T. Jr. (2013), 147.

³⁶² იქვე, 148.

გეოგრაფიული ორიენტირები აღმოაჩინოს. მაგალითად, მას ამშვიდებს იმის გაგება, რომ მდინარე ირიონი, რომელიც ამონის დედაქალ სტომს შუაზე კვეთს, რიონის, ენგურისა და ჭოროხის შეერთებითაა წარმოქმნილი. ამასთან, როგორც კარიოსი უხსნის გიორგის, მისი ფანჯრებიდან დანახული „მთის გვერდში კი შორს, შორს თქვენი თეთრწვერა კავკასიონი იწყება. ეს მთების პირდაპირი გაგრძელებაა³⁶³“. ეს გარემოება მეოცე საუკუნის საქართველოს მკვიდრს უსაქართველო რეალობასთან შეგუებას უმარტივებს.

ის, რომ საბჭოთა რეჟიმის კონკურენტული სივრცე, ჰეტეროტოპია ამ რომანში რეჟიმის მსახური არ გამოდის, იმ ჩახლართული ურთიერთკავშირებით აიხსნება, რომლებიც რომანისეული განსხვავებული ტიპის უტოპიებს შორის იხატება. გარდა იმისა, რომ საბჭოთა მომავლის უტოპია საყრდენს სანახევროდ ქართულ და სანახევროდ ალტერნატიულ სივრცეზე პოულობს, მას, ამასთან, ფესვები ქართულ ისტორიულ წარსულშიც აქვს გადგმული.

საქმე ისაა, რომ გიორგის სივრცით გაორებას დროითი გაორებაც ემატება, რასაც ნაწარმოებში დატეულ მესამე, ისტორიული უტოპიის ანალიზამდე მივყავართ. „ამონის“ პროტაგონისტისთვის აწ უკვე წარსულად ქცეული ნაცნობი რეალობა ერთგვარი თავშესაფარია — ამ მოგონებებში პერიოდული განმარტოება მისთვის ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმია, რომელიც საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ემსახურება. თუმცა მოგონების ეს პროცესიც ორ დროით სიბრტყეზე მიმდინარეობს: პირველი გიორგის უშუალო ცხოვრების მოგონებაა, ხოლო მეორე კოლექტიური მეხსიერების სახეა, რადგან ამ დროს გმირი იმ ისტორიულ წარსულში ინაცვლებს, რომლის შემსწრეც თავად არ ყოფილა. ამგვარი მხატვრული გადაწყვეტით ჩვენ გამოყენებითი წარსულის მოქმედების მექანიზმს არა მთლიანი ერის, არამედ ერთი კონკრეტული ინდივიდის მაგალითზე ვხედავთ. უეროვნებო მომავალში, როცა თვითაღქმის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ეროვნული იდენტობა გამქრალია, გიორგი ამ ასპექტს საქართველოს წარსული დიდების გახსენებით აღიდგენს, რადგან, როგორც ვიხილეთ, გამოყენებით წარსულს აწმყოსთან დროითი დისტანციის გაუქმების ძალა აქვს. ზამორას თანახმად, გამოყენებით წარსულთან თანხვედრაშია „წარმომავლობის შესახებ შფოთვა“, რადგან ორივე მათგანი „„ახალ სამყაროში“ ისტორიული

³⁶³ ყიფიანი, 285-286.

ცნობიერების წინაშე გაჩენილ სპეციფიკურ გამოწვევებზე კონცენტრირდება“. კერძოდ, ამ შფოთვების დამტევი ტექსტები „ისტორიული გათიშვის და/ან არარსებობის გამოხატვის სურვილთან მეტაფორულ წვდომას იძლევა³⁶⁴“. გიორგი სწორედ მსგავსი გამოწვევის წინაშე დგას: ის იგებს, რომ მისი ქვეყნის ისტორია რაღაც მომენტში უბრალოდ შეწყდა და მას ამ წყვეტის მერე დარჩენილი სიცარიელის გააზრებისთვის სჭირდება, „საკრალურ დროში“ ანუ ისტორიულ გმირულ წარსულში იპოვოს ის ხელჩასაჭიდი, რომელიც თავისი ქვეყნის არსებობის ღირებულებას დრომიღმულ სივრცეში გაამართლებს.

მართლაც, გიორგი საქართველოს ისტორიას იმ მომენტებში იხსენებს, როცა განსაკუთრებული სიმწვავით გრძნობს გაუცხოებას მისთვის უცნობ დროსა და სივრცესთან. ის წარსულის პოზიტიური ხატების გაღვიძებით ცდილობს მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე. ეს ისტორიული მოგონებები უცხო ძალებზე ტრიუმფის სქემატური ნარატივის მოდელზეა აგებული:

გიორგიმ წარმოიდგინა საქართველოს ძველი ცხოვრება. გიორგი გრძნობს, თუ როგორი სისასტიკით გადაიარეს მის ზურგზე ეგვიპტელებმა, ასურ-ბაბილონელებმა, ირანელებმა, არაბებმა, მონღოლებმა, თურქებმა და ათასმა სხვა ხალხმა. [...] მან განიცადა ამ შემოტევათა მთელი საშინელება. [...] მისი სხეული ათასმა მტერმა დაჰგლიჯა, ნაკუწ ნაკუწად აქცია და ისიც მიკროსკოპულად დაპატარავებული კავკასიის მართალ მთებს ამოეფარა და გადარჩა. [...] მას მაგრად ეჭირა ძლიერი ფარი, კავკასიის მთები, და ამ ფარს იგი მოხერხებულად ხმარობდა. სწორედ ამ ფარმა იხსნა განადგურებისგან.³⁶⁵

პასაჟში საქართველოს გადარჩენის წინაპირობად გეოგრაფიული მდგომარეობაა დასახული — თანაც, კონკრეტულად ის რელიეფი, კავკასიის მთაგრეხილი, რომელიც შორეულ მომავალშიც უცვლელადაა შენარჩუნებული. სწორედ ამ ტოპოგრაფიული ერთეულის მუდმივობით ესმება ხაზი ქართული იდენტობის, ცნობიერების უკვდავებას. მსგავსი ნარატივი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ისტორიულ კონტექსტში, როცა საქართველო, როგორც სუვერენიტეტული სახელმწიფოებრივი ერთეული, აღარ არსებობს და გიორგისეული ტრავმა ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულად ნაცნობია.

გიორგის ისტორიული მოგონებები წყდება ზუსტად იმ დროს, როცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი დამპყრობლის სახეს რუსეთი ირგებს.

³⁶⁴ Zamora, Lois Parkinson (1997), ix-x.

³⁶⁵ ყიფიანი, ივანე (1987), „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, 258-259.

ამ პერიოდს ყიფიანი უბრალოდ ახტება. ქვეყნის ისტორიულ მტერთა ჩამოთვლისას არა თუ საბჭოთა კავშირი და წითელი არმია, არამედ ცარისტული რუსეთიც კი არ ჩნდება. თანაც, ეს მაშინ, როცა ლენინისეული პოლიტიკის თანახმად, პრერევოლუციური რუსეთის იმპერიის ცოდვები ლუსტრირებული იყო და საბჭოთა კავშირის გაცხადებული მისია სწორედ ამ ცოდვების გამოსყიდვაზე გადიოდა. ამ პერიოდში

ბოლშევიკებს ისტორიის წინსვლისთვის ხელშეწყობა ეკონომიკური ბაზისისა და კულტურული ფორმების თანადროული ცვლილების გზით მიაჩნდათ შესაძლებელი. ერთ-ერთი გასავლელი კულტურული ფაზა იყო ნაციონალური ცნობიერების ამაღლების პერიოდი, აქედან წამოვიდა სტრატეგია, რომლის თანახმადაც, კავშირი “ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალური” უნდა გამხდარიყო³⁶⁶.

საქართველოშიც ამ ადრეული საბჭოთა პოლიტიკის ანარეკლი იყო ერთგვარი სიმბიოზური კავშირის ჩამოყალიბება ცენტრალურ მმართველობასა და ლოკალურ ინტელიგენციას შორის. ამ უკანასკნელებს, მათ შორის ქართველ მწერლებს, შეეძლოთ და გარკვეულწილად ევალეობდათ კიდეც, წინასწარ მოხაზულ საზღვრებს შიგნით ნაციონალიზმის გაღვივება — რა თქმა უნდა, სოციალიზმისა და, საბოლოოდ, კომუნიზმის უპირატესობების ხაზგასმის თანადროულად. მაგრამ როცა ივანე ყიფიანი ამ რომანს წერს, საბჭოთა კავშირში ვითარება უკვე შეცვლილია და სტალინისეული პერიოდისთვის დამახასიათებელი რუსული შოვინიზმი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ყიფიანის მიერ ცარისტული რუსეთის მტრად გამოცხადებისგან თავის შეკავება ლოგიკური ხდება.

მსგავსი ისტორიული ამნეზია, უერჩის მიხედვით, კოლექტიური მოგონებისთვის ნიშნული თვისებაა, რადგან მის თანახმად, “ეს პროცესი შედგება ინფორმაციის სელექციურად გამოყენების და ხშირად იმ ფაქტების დამახინჯების ან წაშლისგან, რომელსაც წვლილი არ შეაქვს იმ ზოგადი სურათის დახატვაში, რომლის რეკონსტრუქციაც ხდება³⁶⁷”. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყიფიანის მიერ რეკონსტრუირებული წარსული საბჭოთა რიტორიკის გაუპროტესტებელი გადამღერებაა. ამასთან, მიზნის მისაღწევად გამოყენებული ფორმაც, არასასურველი ინფორმაციის წაშლა, რეჟიმისგან გახლდათ ნასესხები, რადგან საბჭოთა კავშირის

³⁶⁶ Gotfredsen, Katrine Bendtsen(2013), 44

³⁶⁷ Wertsch, James V. (2004), 8.

ოფიციალურ ისტორიაში „მრავლად იყო ‘თეთრი ლაქები’“³⁶⁸. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მოხმობილი პასაჟის მხოლოდ ასეთი კუთხით ანალიზი არასრულ სურათს ხატავს, რადგან, როგორც წინა ქვეთავში ვაჩვენეთ, უტოპია, რომელიც წარსულის გაიდევალიზებულ ვერსიას წარმოადგენს, ქართული ეროვნული იდენტობის ცენტრისგან დამოუკიდებლად წარმოადგენის საშუალებას იძლევა. ამ გადმოსახედიდან, მოცემული ნარატივის მეორე იდეოლოგიური დატვირთვის გამოკვეთა ხდება შესაძლებელი. კერძოდ, ჩვენ იმავე წარმატებით შეგვიძლია ვამტკიცოთ შემდეგი: ყიფიანი წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტს იგნორირებას იმიტომ უკეთეს, რომ ეს მოვლენა არ ჯდება მტერზე გამარჯვების სქემატურ მოდელში და, შესაბამისად, დასახული მიზნის, მკითხველში ქართული ნაციონალური პატრიოტიზმის გაღვივების კონტრპროდუქტიულია. ტექსტის ამგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ამყარებს ის გარემოება, რომ ყიფიანი იშველიებს პრესაბჭოთა ოფიციალურ ისტორიულ წყაროებს, რითაც კიდევ მეტად ესმევა ხაზი საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლად წარმოჩენის სურვილს:

რამდენიმე ათასი წლის წინათ ქართველთა წინაპრები სხვადასხვა ხალხის ზღვაში ისტორიის ფხიზელ გუშაგებს შეუმჩნევლად არ დარჩენიათ. მას [გიორგის] კარგად ახსოვს ქსენოფონტეს, ჰიპოკრატეს, სტრაბონისა და ასეულ სხვა მოგზაურთა და გეოგრაფთა ცნობები საქართველოს შესახებ. მოაგონდა მოსე წინასწარმეტყველის ერთი გამოთქმა: „თუბლი არის კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“-ო. [...] მაშასადამე, მოსეს დროს, ე.ი. ქრისტიანობის ერამდის თექვსმეტი საუკუნის წინ, ქართველები რკინას ამუშავებდნენ³⁶⁹.

ამ პასაჟში ყიფიანი ქართველების განსაკუთრებულობას იმით უსვამს ხაზს, რომ მისი ისტორიის საკრალურობას, ბიბლიურ იგავებთან მონათესაოებას წარმოაჩენს. ამით ქრონოლოგიური დრო დაიძლევა და ქართული კულტურის ღირებულება „წმინდა დროში“ — მოვლენათა წრფივი განვითარების მიღმა — გამოიკვეთება. რომანში ქართული ცნობიერების მუდმივობის იდეა კიდევ უფრო ღიად და ამჯერად ურიცხვ მტერზე გამარჯვების სქემატურ ნარატივთან ტანდემში სხვაგანაცაა გადმოცემული:

ჩვენს შთამომავლობას, ალბათ, მრავალი გაჭირვება, შიში, მწუხარება და უბედურება გადაუტანია. [...] ათასი წელი!... ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ერი გადაშენდა, რამდენმა სახე შეიცვალა, გადაგვარდა. განა ისტორიაში ამის მაგალითები ცოტა არის? მაგრამ ქართველი ერი, როგორც ჩანს, თავის

³⁶⁸ იქვე, 78.

³⁶⁹ ყიფიანი, ივანე (1987), „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, 257.

ნიადაგზე კიდევ ძელქვასავით მაგრად დგას.³⁷⁰

გიორგის მიერ ამგვარი დასკვნის გაკეთება იმ რეალობაში, სადაც საქართველო აღარ არსებობს, ნამდვილად უცნაურად ჩანს. ამ შეუთავსებლობას თავად ყიფიანიც ხედავს და იქვე სახელდახელოდ განმარტავს, „ქართველი ერის ძლევამოსილად დგომა“ განპირობებულია იმით, რომ ოცდამეათე საუკუნის კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანები ქართულ ენაზე ჯერ კიდევ საუბრობენ. ეს ქრონოლოგიური ისტორიის სამფლობელოში უმნიშვნელო გამარჯვებად მოჩანს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ყიფიანს საქართველოს მთლიანი ისტორია „საკრალურ დროში“ გადაჰყავს, სადაც ქვეყნის ერთდროულად არსებობისა და არარსებობის პარადოქსი დროის წინ სვლის დაძლევის შედეგად გადაილახება.

ყიფიანის რომანის სიღრმისეული ანალიზით აშკარავდება ის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები, რომლებსაც ტექსტი ერთდროულად ასრულებს. ტექსტის ჰეტეროგლოსულობას მისი დაწერის თანამედროვე პოლიტიკური რეალობის სირთულე განაპირობებს. საქმე ისაა, რომ 1930-იან წლებში საბჭოთა ცენტრალური პოლიტიკა დიამეტრულად შეიცვალა: თუ წინა ათწლეული განაპირა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, მკვეთრი ნაციონალიზაციის პროცესით ხასიათდებოდა³⁷¹, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დასრულებისა და პირველი ხუთწლედის დაწესებისთანავე რეჟიმი რამდენიმე წლით გაცილებით ულმოხელი გახდა ლოკალური ინტელიგენციის და ნაციონალიზმის გამოვლინებების მიმართ. ყიფიანი, შეიძლება ითქვას, ამ ორივე პერიოდის პოლიტიკის მიხედვით მოქმედებს, რადგან ერთდროულად კომუნისტური იდეალის — უეროვნებო საზოგადოების — შექმნის გარდაუვალობასაც წარმოაჩენს და — საქართველოს უკვდავებასაც. ამგვარი შეუთავსებლობის ისე მიღწევა, რომ მას ტექსტის სიუჟეტური განვითარების ლოგიკა არ შეეწიროს, სამი განსხვავებული ტიპის უტოპიის დახატვითაა შესაძლებელი. კერძოდ, საბჭოთა სოცრეალისტურ უტოპიას აქ კონკურენტად განსხვავებული წარმომავლობის მქონე ჰეტეროტოპია ეჯიბრება და შექმნილი დამაბულობა მათ შორის ისეთ სხვაობებს ააშკარავებს, როგორშიც საბჭოთა რეჟიმის კრიტიკის

³⁷⁰ იქვე, 233.

³⁷¹ იხილეთ Hirscth, Francine (2005) *Empire of Nations: Ethnographic Knowledge and the Making of the Soviet Union* და Suny, (1993) *The Revenge of the Past: Nationalism, Revolution, and the Collapse of the Soviet Union*.

ამოკითხვა ხდება შესაძლებელი. კერძოდ, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების ნამდვილი ისტორია წინააღმდეგობაში მოდის ყიფიანის ალტერნატიულ ისტორიასთან, სადაც მომავლის კომუნისტურ საზოგადოებას არა მოსკოვში, არამედ შავი ზღვის ადგილას ამოზრდილ და ქართველებით დასახლებულ მიწაზე ჩაეყარა საფუძველი. ამგვარად, „რუკის შედგენა, მრავალი მნიშვნელობით, ამბის მოყოლის ტოლფასი ხდება“³⁷². ხოლო როდესაც თხრობაში მესამე, „საკრალური დრო“ შემოდის, რომელშიც ქართული ეროვნულობის მრავალჯამიერობა ქრონოლოგიური ისტორიის მიღმა მტკიცდება, საბჭოთა სოცრეალისტური უტოპიაცა და ჰეტეროტოპიაც საკუთრივ ქართული დრომიღმული უტოპიის სამსახურში დგება.

დასკვნა

საბჭოთა კავშირიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული მწერალი, სერგეი დოვლატოვი, თავის გამომცემელს, იგორ ეფიმოვს ერთ წერილში წერს, რომ სიკეთე და ბოროტება, უმეტეს შემთხვევაში, „შემთხვევითობაა“. მისი აზრით, ადამიანთა უმრავლესობა არ იბადება „ანგელოზად“ ან „ურჩხულად“, არამედ მის ქმედებებზე იმ „ისტორიული მომენტის ტენდენციები ისახება“, რომელშიც ცხოვრობს³⁷³. რა თქმა უნდა, ყველანაირი ქცევის ისტორიული განპირობებულობით გამართლება არ ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან უნდა გავათავისუფლოთ — ბოლოს და ბოლოს, „ისტორიული მომენტის ტენდენციები“

³⁷² Tally, Robert T. Jr. (2013), 4.

³⁷³ Довлатов, Сергей (2013), 94.

თავისთავად, ჰაერიდან არ იქმნება — მას კონკრეტული ადამიანები ქმნიან. თანაც, მსგავსი მიდგომა იმავე გამარტივებულ, ბინარულ ოპოზიციაში დაგვაბრუნებდა, სადაც ერთ მხარეს უსახო ჯალათები დგანან, ხოლო მეორე მხარეს — არჩევანის არმქონე მსხვერპლნი. მაგრამ სულაც არაა აუცილებელი, რომ ემპათია, გაკეთებული არჩევანის მიღმა არსებული დილემების დანახვის სურვილი, ამ არჩევანის გამკეთებელთა მორალური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ნიშნავდეს. აქ საუბარი სხვა რამეზეა. ჩვენთვის, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან ისტორიული დისტანციით დაშორებული დამკვირვებლისთვის, ვერ იქნება პროდუქტიული პოზიცია თითის გაშვება და ადამიანთა ანგელოზებად და ემმაკებად დახარისხება. მართლაც, რომ დავფიქრდეთ, მკვლევრისთვის რომელი დამოკიდებულებაა უფრო მომგებიანი: სისტემას დამორჩილებულთა სისუსტის თუ სიბოროტის ხარისხზე მსჯელობა თუ იმ მიზეზების ძიება, რამაც ამ ტიპის საბჭოთა ადამიანი შექმნა?

ჩვენ ხშირად გვესირცხვილება ქართული სოცრეალისტური ტექსტები და ამ გრძნობასთან პირისპირ დარჩენის შიში გვაიძულებს, ამ ტექსტებში გამუდმებით ვეძებოთ დაფარული კრიტიკა, წინააღმდეგობის გაწევის ნაკვალევი. ხოლო, როცა მსგავს ვერაფერს ვპოულობთ, მის ავტორს ან სამშობლოს გამყიდველად ან სისტემისგან მოტეხილ მსხვერპლად ვრაცხავთ. ეს კი კონკრეტული ადამიანის ცხოვრებას, მის განცდებს, გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულებებს და პირად ორთაბრძოლებს ზუსტად იმ ფორმულის გამოყენებით ამარტივებს, რომელიც სოცრეალისტურ შავ-თეთრ მწერლობას ედო საფუძვლად.

სამყაროს შავ-თეთრი ხედვა კი სამეცნიერო კვლევას მხოლოდ ვნებს. ამიტომ ამ ნაშრომის მიზანი არ ყოფილა მონოლოგის, სწორხაზოვანი ნარატივის შექმნა ან შემფასებლური დასკვნების გამოტანა. სანაცვლოდ, მისი მიზანი იმ დიალოგში ერთი ხმის მიმატება გახლდათ, რომელიც საბჭოთა წარსულის მრავალაშრიან მემკვიდრეობაში გარკვევას ცდილობს. ეს მემკვიდრეობა ტრავმებს, ნოსტალგიასა და ამ ორს შორის არსებულ ყველა შესაძლო გრძნობასა და დამოკიდებულებას იტევს და მათთვის თვალის გასწორება მტკივნეული, მაგრამ საჭირო პროცესი არის.

უფრო კონკრეტულად კი, ნაშრომის მთავარი ამოცანა იმის ჩვენება გახლდათ, რომ ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკა ზღაპრულ ზედროულ-ზესივრცულ ამბებს არ გვიყვება: ის მისი თანამედროვე რეალობისგან შექმნილი და ამ რეალობის

ამრეკლავი სარკეა, რომელში ჩახედვაც ერთდროულად წარსულსაც განახებს და ამ წარსულის მიერ წარმოდგენილ მომავალსაც. სწორედ ამიტომ, მთლიანი ნაშრომში სამეცნიერო ფანტასტიკური ტექსტები ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით გაანალიზდა. შესაბამისად, ამგვარი მსჯელობის შედეგად გამოტანილი დასკვნები მხატვრული ტექსტების რაობაზე იმდენივეს ამბობს, რამდენსაც — ჩვენს რეალურ წარსულზე.

ნაშრომის პირველი ნაწილი იმ სპეციფიკური ისტორიული მოვლენების ანალიზს დაეთმო, რომლებმაც ქართული კულტურული ელიტის წარმომადგენლებს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრისთვის ყურადღება მიაქცევინეს. მაშინ, როცა დასავლურ სალიტერატურათმცოდნეო წყაროებში ჟანრის წარმოშობა ინდუსტრიალიზაციის პროცესებთანაა მიზნული, მის მიზნად კი მკითხველისთვის იმის ახსნაა დასახული, თუ რა ცვლილებებს შეიტანს ტექნოლოგიური წინსვლა ადამიანთა ყოფაში, ჟანრის საქართველოში დაბადებას სულ სხვა ისტორია აქვს. როგორც ვიხილეთ, ჩვენთან სამეცნიერო ფანტასტიკა ბუნებრივად არ გაჩენილა — ქვეყანას იმისთვის არ ეცალა, რომ ინდუსტრიალიზაციის მიერ მოტანილი სოციალური თუ კულტურული ცვლილებების ანალიზისთვის დაეხარჯა ინტელექტუალური რესურსი. ის ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩართული. შედეგად, პარტიისგან წახალისებულ ამ ჟანრს რეჟიმისთვის პრობლემური წარსულის მქონე პოეტებმა შეაფარეს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ჟანრი საქართველოში ასეთ უნიკალურ გარემოებებში გაჩნდა, მან მაინც შეინარჩუნა თავისი მთავარი თვისება: ჭიპლარით ყოფილიყო მიერთებული თავის თანამედროვე რეალობასა და პოლიტიკას. შესაბამისად, მსგავსი ტექსტების სიღრმისეული ანალიზის ნებისმიერი მცდელობა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რელევანტური ისტორიული მოვლენების კონცეპტუალიზაციასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული იქნება იმ კონკრეტული ტენდენციების, ტროპების, სიუჟეტური გადაწყვეტების თუ ტექსტშიდა პოზიციათა მნიშვნელობის ახსნა, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში საბჭოთა მმართველობის 70 წლის განმავლობაში იჩენდა თავს.

იმის გამოკვეთა, თუ როგორ განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებდნენ ტექნოლოგიურ განვითარებას პრესაბჭოთა კულტურული ელიტის, ერთი მხრივ,

რუსი, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი წარმომადგენლები, მრავლისმთქმელი აღმოჩნდა. ჩვენ ამ გზით იმ მიზეზთა მოხელთება შევძელით, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ იქცა სამეცნიერო ფანტასტიკა ლიტერატურული ტრადიციის ნაწილად რუსეთში გასაოცრად ადრე, საქართველოში კი გაცილებით გვიან. მაშინ, როცა რუსებმა ტექნოლოგიურ პროგრესში ფილოსოფიური პოტენციალი და საკუთარი განსაკუთრებულობის წარმოჩენის შესაძლებლობა დალანდეს, ქართველებისთვის ტექნოლოგიას გაცილებით პრაქტიკული, „მიწიერი“ ფუნქცია ჰქონდა: სამოციანელებმა ის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების წინაპირობად მიიჩნიეს. შესაბამისად, ტექნოლოგიური განვითარების ეთიკურ თუ ფილოსოფიურ დილემათა კვლევა ქართული „დიდი ლიტერატურისთვის“ რელევანტურ საკითხად არ მოაზრებულა.

იმ სამი პროტო სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში შეიქმნენ, სამეცნიერო ფანტასტიკისა და ისტორიული რეალობის ახლო კავშირის შესახებ ჩვენი ჰიპოთეზის სისწორე საბოლოოდ მტკიცდება. მაშინაც კი, როცა ცალკეული ავტორები სამეცნიერო ფანტასტიკური სიუჟეტის იდენტურ განვითარებას იღებენ ნაწარმოების საფუძველად, თითოეული მწერლისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები იმდენად ექცევა ტექსტის ცენტრში, რომ მის მთლიან დრამატურგიასაც კი განსაზღვრავს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გმირის მთვარეზე მოგზაურობის აღწერისას კეპლერი ჰელიოცენტრულ ხედვის სისწორეს ამტკიცებს; ლიოვშინი ევროპასა და აზიასთან მიმართებით რუსეთის ტექნოლოგიურ და მორალურ უპირატესობას წარმოაჩენს; ხოლო მანსვეტაშვილი სამეცნიერო ფანტასტიკურ ტროპს ისეთი ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური საკითხების კრიტიკის იარაღად იყენებს, როგორიც ბატონყმობის გადაგდების წარუმატებელი პროექტი და საქართველოში რუსული მმართველობის არაბუნებრიობის წარმოჩენაა. ამ უკანასკნელს ნაწარმოებში ზუსტად იმ მეთოდით ესმება ხაზი, რომლის გამოყენების უნარიც სამეცნიერო ფანტასტიკას პოლიტიკურად დამუხტულ ჟანრად აქცევს: მანსვეტაშვილი მთვარის ლანდშაფტს იმ მოცემულობის უცხოობის ხაზგასასმელად იყენებს, რომლის თანახმადაც, ქართულენოვანი ხალხით

დასახლებულ სივრცეში მხოლოდ პოლიცია მეტყველებს არაქართულ ენაზე და ეს ენა არა უცხოპლანეტური, არამედ რუსულია.

ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტების შემცველი პირველი ქართული ნაწარმოები საბჭოთა კავშირის დაარსებამდე შეიქმნა და ის, ამასთან, პოლიტიკური სატირაა, ძალაუნებურად ალტერნატიული ისტორიის წარმოდგენისკენ გიბიძგებს თანამედროვე მკითხველს. როგორ განვითარდებოდა ჟანრი, საქართველოს მეოცე საუკუნის დამდეგს მოპოვებული დამოუკიდებლობა რომ შეენარჩუნებინა? შეძლებდა ის „დიდი ლიტერატურის“ წარმომადგენელთა დაინტერესებას? შეიქმნებოდა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური შედეგები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს შეუძლებელია, რადგან წითელი არმიის თბილისში შემოსვლისთანავე ქვეყანამ ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობა 70 წლით დაკარგა და მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი სასტიკი პოლიტიკური ექსპერიმენტის იძულებითი ცდისპირი გახდა.

ამის გამო გასული საუკუნის ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას წინ ზედსართავად „საბჭოთა“ დაერთო, რადგან ის სწორედ სოცრეალისტური მიმდინარეობის ნაწილად დაიბადა. კერძოდ, ქართველმა მწერლებმა ამ ჟანრს სისტემის გამკაცრებისთანავე იმ იმედით მიმართეს, რომ საბჭოთა დირექტივებს ყველაზე უმტკივნეულო გზით შეასრულებდნენ. ამ გარემოების ახსნა მცირე ისტორიულ-კულტურული მოკვლევითაა შესაძლებელი. თუ რუსეთში სამეცნიერო ფანტასტიკას რევოლუციამდეც მდიდარი ტრადიცია ჰქონდა, ქართულ მწერლობაში ეს ჟანრი მეოცე საუკუნის დასაწყისში უცხო ხილი იყო. ამის გამო არსებობს ცდუნება, რომ ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა ფუტურიზმის, ანუ იმ მოდერნისტული მიმდინარეობის მემკვიდრედ წარმოვიდგინოთ, რომელიც პირველად დაინტერესდა ელექტრონის შუქის ელვარებით. თუმცა ქართველი ფუტურისტების შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილებისთვის თვალის გადავლება ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიურ პროგრესისადმი მათი დამოკიდებულება ესთეტიკური ტკბობით შემოიფარგლებოდა, რაც რადიკალურად განსხვავდება პროგრესისადმი სამეცნიერო ფანტასტიკური ინტერესისგან. ეს უკანასკნელი ტექნოლოგიურ ნოვუმს კონკრეტული პოლიტიკური პოზიციის გადმოსაცემად იყენებს და მისი ეს თვისება საბჭოთა საქართველოში მოღვაწე ორმა პოეტმა, ალექსანდრე აბაშელმა და ივანე ყიფიანმა,

ჭკვიანურად გამოიყენა. მათ, ერთი მხრივ, პოლიტიკური დაკვეთა შეასრულეს, როცა — მარქსიზმის საუკეთესო ტრადიციების დაცვით — ტექნოლოგია დასახეს ცხოვრების წესის გაუმჯობესების გზად, მეორე მხრივ კი რეჟიმთან კომპრომისზე წასვლის მორალური დილემა შეიმსუბუქეს. აბაშელმა ეს იმის ხაზგასმით შეძლო, რომ ტექნოლოგიური წინსვლა ერთმნიშვნელოვნად პროგრესს არ უდრის, რადგან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ეს ტექნოლოგია. ივანე ყიფიანმა კი მომავლის ინტერნაციონალური უტოპიური საზოგადოება იმგვარად აღწერა, რომ კომუნიზმის სიკეთეების ქებაზე მეტად ქართული კულტურის უკვდავებისა და ქართული ეროვნული იდენტობის ძლევამოსილების წარმომჩენი ნაწარმოები შექმნა.

ამგვარად, პარადოქსულად, ჟანრის შიგნით იმ ტექსტებმა „გაუბედეს“ ყველაზე მეტი საბჭოთა რეჟიმს, რომლებიც სწორედ ამ რეჟიმისადმი დამორჩილების ნიშნად შეიქმნენ. მომდევნო 14 წელი — 1936-იდან 1950 წლამდე პერიოდი, რომელიც თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ საბჭოთა სისტემის უმძიმეს დროდ, ქართულმა მწერლობამ სამეცნიერო ფანტასტიკა დაივიწყა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ქართული მწერლობის მონოპოლიზება სამამულო ომის და მასთან დაკავშირებული ისტორიული რომანის თემატიკამ მოახდინა. სოცრეალისტური დირექტივა — ყოველთვის პოზიტიურად წარმოეჩინა საბჭოთა რეალობა და საბჭოთა ადამიანის სახე — საგმირო ისტორიების მოყოლით მორალურად და ინტელექტუალურადაც მარტივად კმაყოფილდებოდა. შედეგად, სამეცნიერო ფანტასტიკამ, რომლის მიმართაც ჯერ ბუნებრივი ინტერესი არ არსებობდა, ქართველი მწერლების თვალში ერთადერთი ხიბლიც დაკარგა.

შორეული მომავალი და უცხო პლანეტები ქართული მხატვრული ლიტერატურის ფურცლებიდან ისე საფუძვლიანად განიდევნა, რომ როცა ჟანრს ახალმა თაობამ მიაკითხა, კონკურენციისგან სრულად დაცლილი სივრცე დაუხვდა. და თუ 1930-იან წლებში ქართული მწერლობისთვის ამ სრულიად უცხო ესთეტიკაში ძალები უკვე გამოცდილმა და დახელოვნებულმა ავტორებმა სცადეს და მრავალშრიანი ნაწარმოებების შექმნაც შეძლეს, 1950-იანებში ახალბედა მწერლების პირველი მცდელობები, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. აპოლონ ბასილაისა და ოთარ სადრაძის ამ პერიოდის ტექსტებში ჟანრული

ელემენტები სოცრეალისტურ დირექტივებს ბოლომდე მორჩილდება. შედეგად, ბასილაიას შემთხვევაში, ზღაპრული მიამიტობით უხეიროდ დახატული, საბჭოთა რეჟიმის კომიკური უტრირებით მაქებარი ნაწარმოებები მივიღეთ, ხოლო სადრამის შემთხვევაში, გაუგებრობამდე ჩახლართული ჯამშური ისტორიები, რომლებშიც მთავარ მოქმედ გმირად პარანოია იქცა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კომიკურობა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის ჟანრის ჩასახვის მომენტიდან იყო დამახასიათებელი. მაგალითად, ალექსანდრე აბაშელის 1930 წლის რომანში უკაბელო ელექტროენერგიის წარმატებულ გამოცდას თბილისი 700 კაცისგან შემდგარი ორკესტრით აღნიშნავს³⁷⁴; ხოლო ივანე ყიფიანის 1936 წლის რომანში მთავარი გმირის პატივსაცემად გამართულ სახალხო ზეიმზე დასასწრებად იმდენი ადამიანი მივა, რომ მათი აეროპლანები მზეს რამდენიმე წუთით დააბნელებენ.³⁷⁵ მაგრამ თუ ამ ორ შემთხვევაში ბახტინისეული კარნავალიზაციისთვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზებული პასაჟები საბჭოთა რეჟიმის პომპეზურობისადმი მიდრეკილებას დასცინის, მომდევნო თაობის მწერლები ამ პომპეზურობას თვითთრონიის გარეშე იზიარებენ.

ჟანრს მხსნელად ედიშერ ყიფიანი მოევლინა, როცა სამეცნიერო ფანტასტიკური თემატიკისადმი გულწრფელმა ინტერესმა მას „პრესტიჟულობის“ მიღმა გაახედა და 1967 წელს „დროთა კავშირი“ გამოაქვეყნებინა. ამ სიუჟეტურად გამართული, ორიგინალური ისტორიით 1930-იანი წლების მერე ქართულ მწერლობაში პირველად გაცხადდა სამეცნიერო ფანტასტიკის ხიბლი. და, მართალია, ედიშერ ყიფიანის თანამედროვე სალიტერატურო წრეები მწერლის ამ ექსპერიმენტს უხერხული დუმილით შეხვდნენ, მაგრამ ყინული მაინც დაიძრა. მომდევნო ორ ათწლეულში სამწერლობო ასპარეზზე გამოჩნდნენ ადამიანები — როდამ ჩაჩანიძე, ნუგზარ აფხაზავა, შოთა გაგოშიძე, ელგუჯა მერაბიშვილი — რომლებმაც ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა უჩვეულო პოსტკოლონიური ნარატივის შემქმნელი ტექსტებით შეავსეს. ამასთან, ჟანრში ძალები „ტრადიციულ“ მწერლობაში მოღვაწე ისეთმა ავტორებმაც სცადეს, როგორიც ჯემალ ქარჩხაძე და გურამ ფანჯიკიძე გახლდათ.

³⁷⁴ აბაშელი, ალექსანდრე (1987), 22.

³⁷⁵ ყიფიანი, ივანე (1987), 298.

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ 1970-1980-იან წლების ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში მრავალფეროვანი ხმები ჩნდება, ჟანრი სოცრეალისტური კლანჭებიდან თავის დახსნას მაინც ვერ ახერხებს³⁷⁶. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საბჭოთა რეჟიმს სამეცნიერო ფანტასტიკის უმთავრესი ინტერესი — მომავალი ჰქონდა დასაკუთრებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ტექსტებში წარმოდგენილი უტოპიური მომავალი ყოველთვის კომუნისტური უნდა ყოფილიყო. მსგავსი შეზღუდვების მიუხედავად, ჟანრის შიგნით შექმნილმა ნაწარმოებებმა მაინც მოახერხეს ალტერნატიული რეალობების წარმოდგენა, რომელშიც საქართველო დედამიწისეული კომუნისტური ცივილიზაციის ცენტრად წარმოდგებოდა. მსგავსი ნარატივების შექმნა სისტემის წინააღმდეგ წასვლას არ საჭიროებდა, ამიტომ მწერლები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე წარმოიდგენდნენ მომავალს, სადაც სახელმწიფო საზღვრები აღარ არსებობდა, თუმცა ქართველ გმირს ეროვნული კულტურული იდენტობა შენარჩუნებული ჰქონდა. მსგავსი ოქსიმორონული დიქტომია სოცრეალისტურ ტექსტებში კი იყო ყოველგვარ კრიტიკულ მუხტს მოკლებული, მაგრამ როგორც კი ეს უცნაური დუალიზმი დეტერმინისტულად განსაზღვრულ მომავალს ერგებოდა, მას პარტიისეული იდეოლოგიზებული ხედვის გარდაუვალობაში ბზარი შეჰქონდა. საქმე ისაა, რომ ლინინისეული ფორმულა, „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“, მიზნად არასოდეს ყოფილა დასახული; ის ამ მიზნამდე მისაღწევ გზას წარმოადგენდა. ქართველი სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი კი იმ დროს აღწერდა, როცა მიზანი — კომუნიზმი — უკვე მიღწეული იყო, თუმცა ნაციონალური ფორმა მაინც აგრძელებდა არსებობას. მეორე მხრივ, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ როცა ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა აწმყოში რჩებოდა და არა დროით, არამედ სივრცით დაშორებულ ალტერნატიულ რეალობას ქმნიდა, ის მომენტალურად კარგავდა რეჟიმის რიტორიკასთან აცდენილი, პოსტკოლონიური ნარატივის შექმნის უნარს.

მაშასადამე, ალტერნატიული მომავლის დახატვა ცენტრთან დაპირისპირებული ქართული ეროვნული იდენტობის შექმნასა და გაძლიერებას უწყობდა ხელს, ალტერნატიული სივრცის დახატვა კი ცენტრისეულ იდეოლოგიას განამტკიცებდა.

³⁷⁶ ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისად ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა, „დრო“ შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც სოცრეალისტური ნარატივი პოსტმოდერნული მგრძნობელობისა და თემატიკის შემოტანით დაიძლევა.

თუმცა იყო კიდეც მესამე, ისტორიული წარსულის გამცოცხლებელი სამეცნიერო ფანტასტიკური ნარატივი, რომელიც ქართულ ნაციონალიზმს ცენტრისგან დამოუკიდებელ, ზედროულ სამფლობელოში აკუთვნებდა ადგილს. დროში უკან მოგზაურობის ტროპი ამ ტექსტებში ისტორიული ქრონოლოგიის დამღევის გზა ხდება და მითოსა და ისტორიას გამოყენებითი წარსულის სამსახურში აყენებს. მსგავსი უნარი, მართალია, ზოგადად ისტორიული რომანისთვისაა ნიშნული, თუმცა სამეცნიერო ფანტასტიკა აქაც ერთი ნაბიჯით წინ მიდის, რადგან მკითხველის თანადროულად მცხოვრებ გმირს წარსულში ფიზიკურად ამოგზაურებს, რაც დროის მსვლელობის პირობითობას უსვამს ხაზს. ხოლო როცა დრო პირობითი ხდება, უკვე იმის თქმის საშუალება გვეძლევა, რომ თუ საქართველო წარსულში ძლევამოსილი იყო, ის მუდამ ძლევამოსილი იქნება.

ამგვარი ტიპის ანალიზით აშკარა ხდება, რომ ჟანრის ფორმალისტური მახასიათებლები სამეცნიერო ფანტასტიკას პოლიტიკური თუ სოციალური კრიტიკისათვის ყველა სხვა ჟანრისგან გამორჩეული ხელსაწყოებით ამარაგებს. მისი ეს თვისება არაერთი მკვლევრის ყურადღების ცენტრში მოქცეულა. თუმცა, როცა ამ ჟანრით ისეთი უნიკალური პოლიტიკური რეჟიმის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნის კულტურა ინტერესდება, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, ლიტერატურათმცოდნეობის შიგნით ჟანრისთვის მიწერილი ყველა ფორმალისტური თვისება ხელახლა გადახედვას საჭიროებს. ამის მიზეზი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ის ორაზროვანი დამოკიდებულებაა, რაც საბჭოთა იდეოლოგიასა და ჟანრისეულ თემატიკას შორის არსებობს.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ ინტერპრეტირებული მარქსისტული იდეოლოგია თავადაა ერთგვარი სამეცნიერო ფანტასტიკა. რადგან პარტია ჟანრთან მსგავს ნათესაობას გრძნობდა, ამიტომ მის შიგნით შექმნილი ნაწარმოებებიც თავის მსახურად დაიგულა. თუმცა თავისი კუდის მჭამელი გველის მსგავსად, საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკამ, შესაძლოა, ყველაზე ნათლადაც კი წარმოაჩინა, რამდენად აბსურდული წამოწყება იყო საბჭოთა კავშირი — რეჟიმი, რომელმაც მხატვრული იდეალი სამოქმედო გეგმად დაისახა და შედეგად უსასტიკესი და, საბოლოოდ, საკუთარი თავის გამანადგურებელი რეჟიმი შექმნა.

ამ აბსურდული რეჟიმის შიგნით ჩვენნაირი ადამიანები არსებობდნენ; მათაც, ჩვენსავით, საკუთარი ცხოვრების რაღაც ასპექტები მოსწონდათ, უფრო მეტი კი — არ; და ჩვენსავით, არც მათი იდენტობა განისაზღვრებოდა მთლიანად იმ პოლიტიკური სისტემით, რომელში ყოფნაც უწევდათ. თუმცა მათი მომავალი, ჩვენი მომავლისგან განსხვავებით, დეტერმინისტულად გაეწერათ, რაც საოცრად სულისშემხუთავი უნდა ყოფილიყო. ეს სულშეხუთულობა იმ ჟანრის ტექსტებშიც იგრძნობა, რომელთა მიზანიც ალტერნატიულ მომავალთა დახატვაა. ამის მიუხედავად, მომავლები მაინც იხატებოდა და, ეჭვად მაქვს, გველის მიერ საკუთარი თავის შეჭმის პროცესს ოდნავ მაინც აჩქარებდა.

ბიბლიოგრაფია

აბაშელი, ალექსანდრე (1921) „შორეული ნაპირი“. ჟურნალი „ხომალდი“, დეკემბერი, N1.

- (1960) „თხზულებათა კრებული ორ ტომად: ლექსები: 1909-1939“. რედაქტორი კ. ბობოხიძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო
- (1964) „ქალი სარკეში“. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.

აბაშიძე, გრიგოლ (1979) „წინაპრები და თანამედროვენი“. თბილისი: მერანი.

აფხაზავა, ნუგზარ (1976) *1+1=1*, კრებულში „შეხების წერტილი“. ბათუმი: გამომცემლობა საბჭოთა აჭარა.

- (1976) *კინგ ჰიუსტონის საბოლოო სიტყვა*, კრებულში „შეხების წერტილი“. ბათუმი: გამომცემლობა საბჭოთა აჭარა.
- (1980) „მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა“. თბილისი: ნაკადული.
- (1986) *Ab Irato*, კრებულში „მკაცრი სამხილი“. ბათუმი: გამომცემლობა საბჭოთა აჭარა.
- (1986) *გენი*, კრებულში „მკაცრი სამხილი“. ბათუმი: გამომცემლობა საბჭოთა აჭარა.
- (1987) *ჩვენ და ფანტასტიკა: სკეპტიციზმი ქართული ფანტასტიკის მიმართ*, აღმანახში, „კრიტიკა“ N6.

ბასილაია, აპოლონ (1950) „კოსმიური ბრძოლა“. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.

- (1956) „ჩვენი მისამართი“. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.
- (1960) „ბრძოლა კოსმოსში“. თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ნაკადული.

ბელიაევი, ალექსანდრე (2019) *ადამიანი ამფიბია*. თბილისი: პალიტრა L.

ბერგჰაუსი, გიუნტერ (2013) „ფუტურიზმი და პოლიტიკა, 1898-1944“, *შედარებითი ლიტერატურის კრებული 1*, რედაქტორები: წიფურია, ბელა და მამაცაშვილი-კობახიძე, ათინათ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გაგოშიძე, შოთა (1979) *ერთი მიწის შვილები*, კრებულიდან „ცისფერი მნათობი ამირანი“. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

- (1979) *ორმხრივი შეცდომა*, კრებულიდან „ცისფერი მნათობი ამირანი“. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- (1979), *ყველაზე ძვირფასი რელიკვია*, კრებულიდან „ცისფერი მნათობი ამირანი“. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- (1988) *ოპერაცია „დინოზავრი“*, კრებულიდან „ჯადოსნური ბგერები“. თბილისი: ნაკადული.
- (1988) *საგა ცისფერი მნათობის შვილზე* კრებულიდან „ჯადოსნური ბგერები“. თბილისი: ნაკადული.

გაფრინდაშვილი, ნანა (2012) „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.

- (2013) „სოცრეალისტური „მსხვერპლშეწირვა“ და გალაკტიონის „პარალელური“ ტექსტები“, *შედარებითი ლიტერატურის კრებული 1*, რედაქტორები: წიფურია, ბელა და მამაცაშვილი-კობახიძე, ათინათ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გაჩეჩილაძე, მაყვალა (2001) „ცისფერყანწელები გაზეთ ბარიკადში“. ამოღებულია საიტიდან:

<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH014ada9f98e2c6ac15aaaf01.9.3?p.s=TextQuery>

დიკი, ფილიპ კ. (2016) „ვალისი“. ბათუმი: გამომცემლობა წიგნები ბათუმში.

ვერნი, ჟიულ (2017) *80 000 კილომეტრი წყალქვეშ*. თბილისი: პალიტრა L.

ზამიატინი, ევგენი (2018) „ჩვენ“. თბილისი: Ochobooks.

„ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი“ (1956). გაზეთი *ავანგარდი*, 11 მარტი, 31.

კიზირია, დოდონა (2013) *გიორგი სააკაძე: მითი და რეალობა. შედარებითი ლიტერატურის კრებული 1*, რედაქტორები — წიფურია, ბელა და მამაცაშვილი-კობახიძე, ათინათ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კობიაშვილი, მაია (2019) „პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940 წლები)“, თბილისი, სადოქტორო ნაშრომი.

მანსვეტაშვილი, იაკობ (დონ იაგო) (1887) „უცხოთა შორის“. ივერია, 12 დეკემბერი.

მერაბიშვილი, ელგუჯა (1978) *აიას მძივი*, კრებულიდან „დაკარგული ანდრომაქე“. თბილისი: ნაკადული.

- (1978) *დაკარგული ანდრომაქე*, კრებულიდან „დაკარგული ანდრომაქე“. თბილისი: ნაკადული.
- (1978) *თეთრი უსასრულობა*, კრებულიდან „დაკარგული ანდრომაქე“. თბილისი: ნაკადული.
- (1984) *შორეული აბელბი*, კრებულიდან „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“. თბილისი: ნაკადული.

მირესაშვილი, მარიამ და პეტრიაშვილიმ ოლგა (2013) „კულტურული იდენტობა და ქართული ისტორიული ნარატივი XX საუკუნს II ნახევარში“, *შედარებითი ლიტერატურის კრებული I*, რედაქტორები — წიფურია, ბელა და მამაცაშვილი-კობახიძე, ათინათ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მორი, ტომას (1983) „უტოპია“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მოჩილაძე, აკა (2014) „ჩრდილი გზაზე“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ნიკოლაძე, ნიკო (2003), „ოცნება და ცხოვრება“ კრებულში „ნიკო ნიკოლაძე, ას სამოცი.“ რედაქტორი ჩიკვილაძე, დ. გამომცემლობა „ნეკერი“.

პაჭკორია, ოტია (2015) „ლიტერატურული წერილები, რეცენზიები, ფრაგმენტები“, წიგნი III. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.

სადრაძე, ოთარ (1962) „ბარათი მარსიდან“. თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ნაკადული.

- (1986) *უსასრულობიდან*, კრებულიდან „კოსმოსის მეკობრენი“. თბილისი: ნაკადული.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VIII: საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941-1975 წწ)“ (1980). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სახვაძე, ი. (1962) „ახალგაზრდა მწერლის პირველი წიგნი“. გაზეთი *ლენინელი*, 4 სექტემბერი, N 69.

სიგუა, სოსო (2013) „კულტურულოგიის საფუძვლები III“, თბილისი: მწერლის გაზეთი.

ტაბიძე, გალაკტიონი (1936 წლის შემდეგ) „ბევნაირი ახდა ნატრვა“. ნანახია ვებგვერდზე: <http://www.galaktion.ge>

ტაბიძე, ტიცთან (1916) „ცისფერი ყანწებით“. ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, ზამთარი, N2.

ტალიაშვილი, ირინე (1987) „ექსპერიმენტი“, კრებულიდან „ნატვრა“, თბილისი, „ნაკადული“.

ქარჩხაძე, ჯემალ (2009) „მოთხრობების კრებული“. თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა.

ყიფიანი, ედიშერ (1967) „დროთა კავშირი“. თბილისი: ნაკადული.

- (2010) „ცაში ასროლილი ქუდები“. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

ყიფიანი, ივანე (1987) „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“, *ალექსანდრე აბაშელი, ივანე ყიფიანი*. თბილისი: მერანი, თბილისი.

შატერაშვილი, ბორის (1961) *ჩვენი დროის სასწაულები*. თბილისი: საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგზარდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, ნაკადული.

ჩაჩანიძე, როდამ (1968) *ჩაძირული კუნძული*. თბილისი: ნაკადული.

- (1972) *ოთხასმეცხრე კვადრატი*. თბილისი: ნაკადული.
- (1976) *ამიხოტის დაქცევა*. თბილისი: ნაკადული.
- (1984) *მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს*, კრებულიდან „მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს“. თბილისი: ნაკადული.

ჩიქოვანი, სიმონ (1924) *სასწრაფო განმარტება ჟურნალ H₂SO₄ გამოსვლის*, თბილისი: ჟურნალი „მნათობი“.

ცისკარი (1960) *რასისტი რექტორი*. აგვისტო, N 8. სახელმწიფო გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო.

წიფურია, ბელა (2016) „ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში“, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭეიშვილი, თამაზ (1985) *სირიუსი, იდუმალი სტუმარი*. თბილისი: ნაკადული.

Alkon, Paul (2002) *Science Fiction Before 1900: Imagination Discovers Technology*. New York: Routledge.

Azizi, Kyoumars, Afrougheh Shahram (2013) Space, Geography and Literature; A Geocritical Perspective in International Research Journal of Applied and Basic Sciences. Vol, 6 (5).

Bakhtin, Mikhail (2010) "The *Bildungsroman* and Its Significance in the History of Realism (Toward a Historical Typology of the Novel)" in *Speech Genres and Other Late Essays*, Edited by

Emerson, Caryl and Holquist, Michael. Austin: University of Texas Press.

Balina, Marina and Dobrenko, Evgeny (2009) "Introduction" in *Petrified Utopia: Happiness Soviet Style*, edited by Balina, Marina and Dobrenko, Evgeny. London: ANTHEM PRESS.

Banerjee, Anindita (2012) *We Modern People: Science Fiction and the Making of Russian Modernity*. Middletown, Connecticut: Wesleyan University Press.

Berlin, Isaiah (1992) *The Soviet Mind: Russian Culture Under Communism*. Harrinsburg, Virginia: R. R. Donnelley.

Bhabha, Homi K. (1985) "Signs Taken for Wonders: Questions of Ambivalence and Authority under a Tree outside Delhi, May 1817" in *Critical Inquiry*. Volume 12, No 1. Chicago: University of Chicago press.

- (1994) *The Location of Culture*. New York: Routledge.

Bloch, Ernst (1995) *The Principle of Hope*, Volumes 1, 2 and 3. Cambridge: The MIT Press.

- (2000) *The Spirit of Utopia*. Stanford: Stanford University Press.
- Bould, Mark (2009) Introduction: Rough Guide to a Loenely Planet, From Nemo to Neo in Red Planets — Marxism and Science Fiction, edited by Bould, Mark and Mieville China. Middletown: Wesleyan University Press.

Clark, Katerina (1981) *The Soviet Novel: History as a Ritual*. Chicago: The University of Chicago Press.

Coopersmith Jonathan (1992) *The Electrification of Russia, 1880-1926*. Ithaca, New York: Cornell University Press.

Csicsery-Ronay, Istvan Jr. (2003) „Science Fiction and Empire“, in *Science Fiction Studies*, 2, 30.

(2008) *The Seven Beauties of Science Fiction*. Middletown: Wesleyan University Press.

Delany, Samuel R. (1995) *Silent Interviews: On Language, Race, Sex, Science Fiction, and Some Comics*. New England, Hanover: Wesleyan University Press.

(2009) *About 5,750 Words* in “The Jewel-Hinged Jaw”. Middletown, Connecticut: Wesleyan University Press.

Eliade, Mircea (1963), *Myth and Reality*. New York: Harper & Row, Publishers.

Fitzgerald, Frances (2000) *Way Out There in the Blue: Reagan, Star Wars, and the End of the Cold War*. New York: Simon and Schuster.

Fitzpatrick, Sheila (2000) *Everyday Stalinism: Ordinary Life in Extraordinary Times: Soviet Russia in the 1930's*. Oxford: Oxford University Press.

(2005) *Tear off the Masks: Identity and Imposter in Twentieth-century Russia*. Princeton: Princeton University Press.

Foucault, Michel (2009) “Of Other Spaces, Heterotopias (1967)” in *Of Other Spaces*. Columbus: Columbus College of Art & Design.

Freedman, Carl (2000) *Critical Theory and Science Fiction*. Middletown, Connecticut: Wesleyan University Press.

Gadamer, Hans-Georg (1994) *Truth and Method*. New York: The Continuum Publishing Company.

Gaiman, Neil (1998) *Neverwhere*. New York: Avon.

German Wartime Propaganda in the USSR (1949). Approved for Release 1999/08/24: CIA-RDP78-02646R000400200001-1

Gerovitch, Slava (2011) *The Human Inside the Propaganda Machine: The Public Image and Professional Identity of Soviet Cosmonauts* in “Into the Cosmos: Space Exploration and Soviet Culture”, edited by Andrews, James T. and Siddiqi, Asif A. Pittsburgh: University of Pittsburgh Press.

Gibson, William (2016) *Neuromancer*. New York: Penguin Books.

Griffiths, Frederick T. and Rabinowitz, Stanley J. (2011). *Epic and the Russian Novel from Gogol to Pasternak*. Boston: Academic Studies Press.

Gotfredsen, Katrine Bendtsen (2013), *Evasive Politics: Paradoxes of History, Nation, and Everyday Communism in the Republic of Georgia*. PhD Dissertation for Faculty of Social Sciences, University of Copenhagen, Department of Anthropology.

Groyce, Boris (1992) *The ToTal Art of Stalinism: Avant-Garde, Aesthetic Dictatorship, and Beyond*. Princeton, New Jersey: Princeton University Press.

- Hellbeck, Jochen (2006) *Revolution on my Mind: Writing a Diary under Stalin*. London: Harvard University Press.
- Hey, Nigel (2006) *The Star Wars Enigma: Behind the Scenes of the Cold War Race for Missile Defense*. Washington, DC: Potomac Books.
- Hirsch, Francine (2005) *Empire of Nations: Ethnographic Knowledge and the Making of the Soviet Union*. Ithaca: Cornell University Press.
- Jameson, Fredric (2005) *Archeologies of the Future: The Desire Called Utopia and Other Science Fictions*. London: Verso.
- Kepler, Johannes (2017) *Somnium: The Dream*. CreateSpace Independent Publishing Platform.
- Kerslake, Patricia (2007) *Science Fiction and Empire*. Liverpool: Liverpool University Press.
- Langer, Jessica (2011) *Postcolonialism and Science Fiction* London: Palgrave Macmillan.
- Lima, Luiz Costa (2006) "The Control of Imagination and the Novel" in *The Novel, Volume 1: History, Geography and Culture*, edited by Moretti, Franco. Princeton: Princeton University Press.
- Le Guin, Ursula K. (1992) *The Language of the Night*, New York: HarperCollins Publishers.
- Levitas, Ruth (1990) *Utopia as Method: The Imaginary Reconstitution of Society*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- London, Jack (2017) *The Red One*. New York: Pinnacle Press.
- Maier, Charles S. (2007) "Among Empires American Ascendancy and its predecessors". Cambridge: Harvard University Press.
- Martin, Terry (2001) *The Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union, 1923-1939*. Ithaca and London: Cornell University Press.
- Moretti, Franco (1998) *Atlas of the European Novel 1800-1900*. London: Verso.
- Mudimbe, V.Y. (1991) *Parables and Fables*. Madison: The university of Wisconsin Press.
- Moylan, Tom (2014) *Demand the impossible: Science Fiction and the Utopian Imagination*. Bern: Peter Lang.
- Nudelman, Rafail (1989) "Soviet Science Fiction and the Ideology of Soviet Society" in *Science Fiction Studies*. Volume 16, N 1 (March).

Ostashevsky, Eugene (2012) "Italian Futurism and the Cult of the Machine." Retrieved from <http://www.nyu.edu>.

"President Reagan's SDI Speech" (1983). Retrieved from <https://www.history.com/speeches/reagan-announces-star-wars>

Rieder, John. (2008) "Colonialism and the Emergence of Science Fiction", Middletown, Connecticut: Wesleyan University Press.

Said, Edward W. (1979) *Orientalism*. New York: Vintage Books, A Division of Random House Inc.

- (1994) *Culture and Imperialism*. New York: Vintage Books, A Division of Random House Inc.

Samosata, Lucian (2013) "True History", South Carolina: CreateSpace Independent Publishing Platform.

Siddiqi, Asif A. (2000) "Challenge to Apollo: The Soviet Union and the Space Race (1945-1974)", Washington DC: NASA History Division.

Shelley, Mary (2018) "Frankenstein: The 1818 Text", London: Penguin Classics.

Smolkin-Rothrock, Victoria (2011) "Cosmic Enlightenment: Scientific Atheism and the Soviet Conquest of Space" in *Into the Cosmos: Space Exploration and Soviet Culture*, edited by Andrews, James T. and Siddiqi, Asif A. Pittsburgh: University of Pittsburgh Press.

Spivak, Gayatri Chakravorty (2006) "Are You Postcolonial? To the Teachers of Slavic and Eastern European Literatures" in *Are We Postcolonial? Post-Soviet Space*, PMLA, Vol. 121, No. 3, pp. 828-836. Modern English Association.

Stites, Richard (1984) *Fantasy and Revolution: Alexander Bogdanov and the Origins of Bolshevik Science Fiction* in "Alexander Bogdanov: Red Star, The First Bolshevik Utopia", Edited by Graham, L.R. and Stites, R. Bloomington, Indiana: Indiana University Press.

- (1989) *Revolutionary Dreams: Utopian Vision and Experimental Life in the Russian Revolution*. New York: Oxford University Press.

Suny, Ronald Grigor (1993) *The Revenge of the Past: Nationalism, Revolution, and the Collapse of the Soviet Union*. Stanford: Stanford University Press.

- (2010) *The Soviet Experiment: Russia, the USSR, and the Successor States*. Oxford: Oxford University Press.

Suin, Darko (1972) *On the Poetics of the Science Fiction Genre*, in "College English, Vol. 34, No. 3, pp. 372-382. National Council of Teachers of English.

- (1979) *Metamorphoses of Science Fiction: On the Poetics and History of a Literary Genre*. New Haven and London: Yale University Press.
- (1988) *Positions and Presuppositions in Science Fiction*. Macmillan Press.

Tally, Robert T. Jr. (2011) "Introduction: On Geocriticism" in *Geocritical Explorations: Space, Place, and Mapping in Literary and Cultural Studies* edited by Tally, Robert T. Jr. New York: Palgrave Macmillan.

- (2013) *Spatiality*. New York: Routledge.

Todd, William Mills (2006) "The Ruse of the Russian Novel" in *The Novel, Volume 1: History, Geography and Culture*, edited by Moretti, Franco. Princeton: Princeton University Press.

Tolz, Vera (2011) *Russia's Own Orient: The Politics of Identity and Oriental Studies in the Late Imperial and Early Soviet Periods*. Oxford: Oxford University Press.

Tucker, Robert C. (1973) *Stalin as Revolutionary (1879-1929): A Study in History and Personality*. New York: W. W. Norton & Company. Inc.

- (1998) *Stalinism: Essays in Historical Interpretation*. New Brunswick: Transaction Publishers.

Verne, Jules (2006) *From the Earth to the Moon*. Los Angeles: Aegypan Publishing.

Vint, Sherryl (2014) *Science Fiction – A Guide for the Perplexed*. New Delhi: Bloomsbury.

Weaver-Hightower, Rebecca (2011) "Geopolitics, Landscape, and Guilt in Nineteenth-Century Colonial Literature" in *Geocritical Explorations: Space, Place, and Mapping in Literary and Cultural Studies* edited by Tally, Robert T. Jr. New York: Palgrave Macmillan.

Weberman, David (2000) "A New Defense of Gadamer's Hermeneutics" in *Philosophy and Phenomenological Research*. Volume 60, N 1, January.

Wells, H.G. (2008) *The War of the Worlds*. Rockville: Phoenix Pick.

(2010) *H.G. Wells Interviews Vladimir Lenin*, Retrieved from [www.http://delong.typepad.com](http://delong.typepad.com).

Wertsch, James V. (2004) *Voice of Collective Remembering*. Cambridge: Cambridge University Press.

Westphal, Bertrand (2011) *Geocriticism: Real and Fictional Spaces*. New York: Palgrave Macmillan.

Yurchak, Alexei (2005) *Everything was Forever, Until It Was No More: The Last Soviet Generation*. Princeton: Princeton University Press.

Zamyatin, Yevgeny (1970) *Letter of Resignation from the Writers' Union (1929)* in "A Soviet Heretic: Essays by Yevgeny Zamyatin". Edited by Ginburg, M. Chicago: The University of Chicago.

- (1970) *Letter to Stalin: 1931* in "A Soviet Heretic: Essays by Yevgeny Zamyatin". Edited by Ginburg, M. Chicago: The University of Chicago

Zamora, Lois Parkinson (1997) *The Usable Past: The Imagination of History in Recent Fiction of the Americas*. Cambridge: Cambridge University Press.

Zubok, Vladislav, M. (2009) *(A Failed Empire) The Soviet Union in the Cold War from Stalin To Gorbachev*. Chapel Hill: The University of North Carolina Press

Бахтин, Михаил (1975) *Вопросы литературы и эстетики*. Москва: Художественная литература.

Богданов, Александр (2009) *Красная Звезда*. Москва: Терра.

Довлатов, Сергей (2013) *Зона*. Санкт-Петербург: Азбука.

Достоевский, Фёдор (1995) *Геок-Тепе. Что такое для нас Азия?* в "Собрание Сочинений в Пятнадцати Томах, Том Четырнадцатый." Санкт-Петербург: Наука.

- (1995) *Вопросы и Ответы* в "Собрание Сочинений в Пятнадцати Томах, Том Четырнадцатый." Санкт-Петербург: Наука.

Ильф, Илья (1957) *Записные книжки (1925—1937)*, Москва: Советский Писатель.

Ленин, Владимир Ильич (1902) *Что делать?* "Искра" № 19

Лёвшин, Василий (1998) "Новейшее путешествие, сочиненное в городе Белеве" в *У светлого яра Вселенной*. Москва: Правда.

Одоевский, Владимир (2014) *4338-й год*. Общественное Достояние.

Редакционная Статья "Природа и Люди", 10, 1 (1894), 210.

Стругацкие, Аркадий и Борис (2004) "Хищные вещи века". Санкт-Петербургск: Terra Fantastica.

(2015) "Улитка на склоне". Москва: АСТ

Сумароков, Александр Петрович (1787) “Сон. Счастливое общество”. Москва: Университетская Типография у Н. Новикова

Стенографический Отчет (1921) *Восьмой Всероссийский Съезд Советов Рабочих, Крестьянских, Красноармейских и Казачьих Депутатов (22-29 декабря 1920 года)*. Москва: Государственное Издательство.

Стенографический Отчет (1934): *Первый Всесоюзный Съезд Советских Писателей 1934*. Москва: Государственное Издательство “Художественная Литература”.

დანართი 1: ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის

ქრონოლოგიური ანოტირებული ბიბლიოგრაფია

1930 წელი — “ქალი სარკეში”, ავტორი ალექსანდრე აბაშელი

პოეტ ისაკ ზოჩიას, იმავე ალექსანდრე აბაშელის 1930 წლის რომანი, “ქალი სარკეში” პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკაა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ნაწარმოები რამდენჯერმე დაიბეჭდა, მათ შორის: 1964 წელს “საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა, ლიტერატურა ხელოვნების” მიერ და 1968 წელს “ნაკადულის” მიერ. ხოლო 1987 წელს “მერანმა” თავის “ქართულ საბჭოთა რომანის” სერიაში ის ასევე 1930-იანი წლების მეორე ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკასთან, ივანე ყიფიანის ნაწარმოებთან, “ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ”, ერთად გამოსცა.

რომანში მოქმედება თავდაპირველად მწერლის თანამედროვე, 1930-იანი წლების თბილისში, მოგვიანებით კი პლანეტა მარსზე მიმდინარეობს. ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც ნაწარმოებს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში ათავსებს, უკაბელო ელექტროენერგიაა, რომელსაც ქართველი მეცნიერი, გურგენ კამარელი მარსელი სტუმრის, ინჟინერი ვაისმანის დახმარებით გამოიმუშავებს. საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის მონაპოვრად აღიარებული ინოვაცია მთლიან დედამიწას იხსნის კომეტის შეჯახებისგან. კამარელი კი, რამდენიმე დასავლელ კოლეგასთან ერთად, ნაწარმოების ბოლოს მარსის საზოგადოების გასაცნობად წითელ პლანეტაზე კოსმოსური ხომალდით მიემგზავრება.

გარდა იმისა, რომ რომანმა მთლიან ჟანრს დაუდო დასაბამი, საქართველოს საბჭოთა წარსულის კვლევის კუთხით მისი ღირებულება არაერთი ისტორიული თუ მხატვრული ფაქტორით განისაზღვრება. მისი დაწერის დრო ემთხვევა იმ წელს,

რომელიც აკაკი ბაქრაძემ ალექსანდრე აბაშელის “მოთვინიერების” მომენტად მონათლა. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიისადმი 1930-იან წლებამდე ოპოზიციურად განწყობილმა მწერალმა თავშესაფარი სამეცნიერო ფანტასტიკურ სამყაროში იპოვა და ამ გზით ჟანრი საბჭოთა კავშირის დაშლამდე მჭიდროდ დაუკავშირა სოცრეალისტურ მწერლობას.

1936 წელი — “ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ”, ავტორი ივანე ყიფიანი

ცისფერყანწელი პოეტის, ივანე ყიფიანის რომანი ჟანრში მეორე - უშუალოდ სოცრეალისტური მიმდინარეობის დანერგვის მერე კი პირველი - ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოებია. პირველად ის თბილისის გამომცემლობა “ფედერაციამ” 1936 წელს დაბეჭდა. ხოლო 1987 წელს “მერანმა” თავის “ქართულ საბჭოთა რომანის” სერიაში ნაწარმოები ალექსანდრე აბაშელის სამეცნიერო ფანტასტიკასთან ერთად თავის “ქართულ საბჭოთა რომანის” სერიაში გამოსცა.

რომანი დროში მოგზაურობაზეა: 1930-იან წლებში მცხოვრები ქართველი ექიმი, გიორგი მოულოდნელად გარდაცვალების მერე მომავლის კომუნისტურ უტოპიურ რეალობაში იღვიძებს. ამ დროისთვის სახელმწიფოები და ენები აღარ არსებობს და დედამიწელები საქართველოს გვერდით, შავ ზღვაში ამოზრდილი ტერიტორიის, ამონის გარშემო გაერთიანებულან. გიორგი სამშობლოსა და ახლობლების დაკარგვით გამოწვეულ ტრავმასთან გამკლავებას ცდილობს. თუმცა სრულიად ახალი სამყარო და ტრაგიკული სასიყვარულო ურთიერთობა მას რომანის ბოლოს საბედისწერო ნაბიჯს ადგმევინებს.

ივანე ყიფიანის ეს რომანი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ტრადიციაში რამდენიმე ფაქტორით გამოირჩევა. ის ყველაზე ახლოს დგას ეგრეთ წოდებულ “მძიმე საი-ფაისთან”³⁷⁷, რადგან უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ტექნოლოგიურ სიახლეს დეტალურად აღუწერს მკითხველს. გარდა ამისა, ნაწარმოები იმის

³⁷⁷ იგივე “Hard SF”, ეწოდება სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრს, რომელიც სოციალურ თემებზე მეტად წმინდა ტექნოლოგიურ საკითხებზე კონცენტრირდება და მაქსიმალურად დეტალურად აღწერს მხატვრული ინოვაციების ბუნებას.

თვალსაჩინო მაგალითიცაა, თუ როგორ შეიძლება სამეცნიერო ფანტასტიკის იმისთვის გამოყენება, რომ, ერთი მხრივ, პარტიის დირექტივებიც აასრულო და, მეორე მხრივ, კომუნისტური ხედვაც გააკრიტიკო. ამას ყოფიანი იმით აღწევს, რომ კომუნისტურ მომავალშიც კი ქართულ ისტორიასა და კულტურას ღირებულებას უნარჩუნებს, კომუნისტური საზოგადოების ცენტრად კი, ფაქტობრივად, საქართველოს სახავს.

1950 წელი — “კოსმიური ბრძოლა”, ავტორი აპოლონ ბასილაია

ორი ქართველი პოეტის მიერ 1930-იან წლებში სამეცნიერო ფანტასტიკაში ძალების მოსინჯვის მერე ჟანრი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მივიწყებას მიეცა. და როცა, 1950 წელს ის კვლავ გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე, მკითხველის წინაშე სულ სხვა სახით წარსდგა. ახალგაზრდა მწერლის, აპოლონ ბასილაიას 1950 წლის სამწერლობო დებიუტი “კოსმიური ბრძოლით” შედგა და ტრაფარეტული ტონითა და დაუფარავი საბჭოთა პროპაგანდით ჟანრი სოცრეალიზმის მარწუხებში საბოლოოდ მოაქცია. “კოსმიური ბრძოლა” ტრილოგიის პირველი ნაწილია, რომელსაც მომდევნო ათწლეულის განმავლობაში “ჩვენი მისამართი” (1956) და “ბრძოლა კოსმოსში” (1960) მიემატა.

ნაწარმოები ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის უკვე ნაცნობ ტროპს იმეორებს: დედამიწას კომეტა უახლოვდება და მისი გადარჩენა კვლავ ქართველი მეცნიერების ხელთაა. ოღონდ ამჯერად ქართული ინჟინერიის მიღწევები სრულად საბჭოთა კავშირის დამსახურებადაა მონათლული და რომანის დრამატურგიულად ყველაზე დამაბული პასაჟებიც არა კომეტის გასანადგურებლად გაფრენილი ეკიპაჟის კოსმოსურ თავგადასავლებს ან ტექნოლოგიურ აღმოჩენებს აღწერს, არამედ — სსრკ-ის ძლევამოსილებას. რაც შეეხება კომეტის განადგურებას, ამის შესახებ მკითხველი წიგნის უკანასკნელ გვერდზე დედამიწაზე დარჩენილთა პერსპექტივიდან იგებს: მას კიდევ წლები მოუწევს ლოდინი იმ პერიპეტიების წასაკითხად, რომლებიც კომეტის გასანადგურებლად კოსმოსში გაჭრილი ხომალდის ეკიპაჟს გადახდა თავს.

ამ ნაწარმოებმა ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას ახალ აუდიტორიად ბავშვები განუსაზღვრა: წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ ეს ფანტასტიკური მოთხრობა 1948 წელს საუკეთესო საბავშვო მხატვრული ნაწარმოების კონკურსზე იყო წარდგენილი. ტექსტი მოზრდილი საგანმანათლებლო ჩანართით იწყება, რომელშიც მწერალი მოზარდებს მეცნიერების ძალასა და ამ ძალის ჩვენებაში სამეცნიერო ფანტასტიკის როლს უხსნის. ქართულ ლიტერატურაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა სამეცნიერო ფანტასტიკას არ წერს ის მწერალი, რომელსაც რეალისტურ ჟანრში უკვე გაუთქვამს სახელი და ახლა ექსპერიმენტს ატარებს. სანაცვლოდ, ბასილაია პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც თავისი შემოქმედების მიმართულებად სპეციფიკურად სამეცნიერო ფანტასტიკა აირჩია. მის კვალს მალე სხვებიც მიჰყვნენ.

1956 წელი — “ჩვენი მისამართი”, ავტორი აპოლონ ბასილაია

აპოლონ ბასილაიას ტრილოგიის მეორე ნაწილი პირველი, “კოსმიური ბრძოლის” გამოქვეყნებიდან 6 წელიწადში დაიბეჭდა. 1956 წელს “საბლიტგამის” მიერ გამოცემული “ჩვენი მისამართით” ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში პირველი ინტერტექსტუალური სამყარო შეიქმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალმა თავისი ფანტასტიკური რეალობა ერთზე მეტ ნაწარმოებში დაასახლა სხვადასხვა პერსონაჟით.

ნაწარმოებში თხრობა იმ მომენტიდან იწყება, როცა კოსმოსური ხომალდი დედამიწას კომეტის განადგურების მიზნით დატოვებს. თუმცა ბასილაია ჯიუტად მიწაზე რჩება და ჯერ კიდევ წინა წიგნის სათაურში დაპირებულ კოსმოსურ თავგადასავალს არც ამჯერად გვიყვება. სანაცვლოდ კი ჩვენ სასიყვარულო სამკუთხედში მყოფი სამი ქართველი პერსონაჟის, რადისტი აიზას, ინჟინერი მურმანის და რადიოასტრონომი ზურაბის ისტორიას ვეცნობით. ისინი, ამასთან, იმ ხომალდის ბედს იკვლევენ, რომელმაც კომეტა წარმატებით კი ააფეთქა, თუმცა დანიშნულ დროს უკან არ დაბრუნებულა და დედამიწასთან არც კონტაქტი დაუმყარებია. ერთ-ერთი გმირი, ზურაბი ამ ცდისას უცხოპლანეტურ სიგნალებს აფიქსირებს, რომლის გაშიფვრაშიც მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტი ებმება. ამასობაში აიზა პირველი ხომალდის საპოვნელ ექსპედიციას უერთდება, ორივე ხომალდი დედამიწაზე

ბრუნდება, ზურაბი და აიზა კი ქორწინდებიან.

“ჩვენი მისამართი” მრავალი ფაქტორით ჰგავს თავის წინამორბედს: ბავშვებისთვის განკუთვნილ ამ ნაწარმოებშიც ერთმანეთშია არეული ისტორიული და სამეცნიერო-ფანტასტიკური მოვლენები. აქაც ხაზი ესმევა დასავლეთის კულტურულ, ინტელექტუალურ და მორალურ ხრწნას. თუმცა ტონი შერბილებულია და თუ “კოსმიურ ბრძოლაში” კაპიტალისტური სამყარო კომეტის შიშით უსაფუძვლო პანიკას ეცემა, მეორე წიგნში მათი მეცნიერები უცნობი სიგნალების გასაშიფრად საბჭოთა მკვლევრების გვერდით მუშაობენ, თუმცა კი ბურჟუაზიული იდეალიზმი და მისტიციზმი მაინც უშლით ხელს წარმატების მიღწევაში.

1960 წელი — “ბრძოლა კოსმოსში”, ავტორი აპოლონ ბასილაია

აპოლონ ბასილაიას ტრილოგიის უკანასკნელი ნაწილი 1960 წელს გამოსცა “ნაკადულმა”, ყოფილმა “საბლიტგამმა”, რომელსაც სახელი სწორედ ამ წელს გადაერქვა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის უმრავლესობა სწორედ ამ გამომცემლობის მიერ იბეჭდება, რითაც აშკარავდება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჟანრი მოზარდებისთვის განკუთვნილ მხატვრულ მიმდინარეობად აღიქმებოდა.

“ბრძოლა კოსმოსში” ტრილოგიის ერთადერთი წიგნია, რომლის მოქმედებაც რეალურად კოსმოსში მიმდინარეობს. ის საბოლოოდ უბრუნდება პირველი რომანის ბოლოს კოსმოსში კომეტის ასაფეთქებლად გაფრენილი ხომალდის ეკიპაჟს და იმას ხსნის, თუ რატომ არ დაბრუნდა მისია დედამიწაზე დათქმულ დროს. ამის მიზეზი კი ის აღმოჩნდება, რომ ხომალდს აფეთქებული კომეტის ნაწილი მოხვედრია და მისთვის ტრაექტორია შეუცვლია. გაგრძელებულ საფრენ დროში საკვები მარაგი რომ იმყოფინონ, ეკიპაჟის ერთი წევრის გარდა ყველა ძილს მიეცემა. ფხიზლად დარჩენილი გურამი მისიას წარმატებით ართმევს თავს და ხომალდიც დედამიწაზე ბრუნდება.

რადგან ამ ნაწარმოებში მოქმედება დედამიწაზე არ მიმდინარეობს და ეკიპაჟის ყველა წევრი ქართველია (კაპიტნის მოადგილის გარდა, რომელსაც ერთობ სლავური სახელი, ვლადისლავ სლავსკი ჰქვია), რომანს ტრილოგიის მთავარი ანტაგონისტი, კაპიტალისტური დასავლეთი არ ჰყავს. წმინდა სოცრეალისტურ ტრადიციაში, ბურჟუა მტრის არარსებობის პირობებში მტრად ბუნების — ამ შემთხვევაში კი კოსმოსის — უსულო ძალები იქცევა. იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ორ თავში ყველაზე ემოციური პასაჟები სწორედ დასავლეთის ნაკლებს აღწერდა, “ბრძოლა კოსმოსში” ტრილოგიის ყველაზე მონოტონური ნაწილია — იმის მიუხედავად, რომ რეალურ კოსმოსურ თავგადასავალს მხოლოდ ის გვიყვება.

1962 წელი — “ზარათი მარსიდან”, ავტორი ოთარ სადრაძე

აპოლონ ბასილაიას მსგავსად, ოთარ სადრაძეც ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოებების ავტორთა ახალ ტიპს განეკუთვნება: ისიც სამწერლობო ასპარეზზე სწორედ ამ ჟანრში ძალების ცდით გამოდის. “ნაკადულის” მიერ გამოცემული წიგნის ანოტაციაში პირველად ჩნდება პირდაპირი მოწოდება, რომ ქართველმა მწერლებმა “უფრო ნაყოფიერად უნდა იმუშაონ ამ ჟანრში” და კოსმოსზე წერის აქტუალობა იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის მიღწევების მნიშვნელობაზე ხაზგასმით წარმოჩნდება. ამგვარად, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა 1960-იანი წლებიდან კოსმოსურ რბოლაში, მართალია, მორიდებულად, მაგრამ მაინც ერთვება.

სადრაძის სადებიუტო რომანი კი მოგვითხრობს კოსმოსურ ხომალდებზე — იქნება ეს საბჭოთა ინჟინერიის შედეგი თუ უცხოპლანეტელთა დედამიწაზე ჩამოვარდნილი ტექნოლოგია — თუმცა სამეცნიერო ფანტასტიკაზე მეტად ის ჯაშუშური ამბავია. კაპიტალისტურ დასავლეთს სურს, “მარსს დაეპატრონოს” და რადგან ამ ამბიციას ტექნოლოგიური განვითარების დონე ვერ უმაგრებს ზურგს, ერთადერთ გამოსავლად “მუშხუნის” საბჭოთა პროექტის მოპარვა რჩება. რომანიც სწორედ ამ საბოლოოდ წარუმატებელი გეგმის გამოაშკარავებას ეთმობა და სიუჟეტს ისე ხლართავს, რომ მოვლენებისთვის გონების თვალის მიდევნება არა თუ პერსონაჟებს, მკითხველსაც კი უჭირს.

რომანის ეს აშკარა ნაკლი ავტორის გამოუცდელობით შეიძლება ახსნილიყო. თუმცა ოტია პაჭკორიას 1962 წლის ლიტერატურული რეცენზიიდან ვიგებთ, რომ ამ დროისთვის მწერალს რამდენიმე, გაცილებით თანმიმდევრული და გამართული სიუჟეტის მქონე სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობა უკვე დაეწერა. მათ წიგნად სადრამე (ერთი ახალი მოთხრობის დამატებით) მხოლოდ 1986 წელს გამოსცემს. როგორც ჩანს, ცივი ომის ყველაზე დაძაბულ დეკადაში მოთხოვნა პარანოიდულ ჯაშუშურ ტრილერებზე უფრო იყო, ვიდრე ახალი ცივილიზაციების აღმოჩენისა და განსხვავებულ არსებებთან კავშირის დამყარების მნიშვნელობათა აღმწერ სამეცნიერო ფანტასტიკაზე.

1967 — “დროთა კავშირი”, ავტორი ედიშერ ყიფიანი

1936 წლის მერე პირველად სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოები იმ ქართველმა მწერალმა გამოაქვეყნა, რომელიც უკვე სახელგანთქმული და დაფასებული რეალისტი ავტორი იყო. ყიფიანი ამ პერიოდში ჟურნალი “მნათობის” პროზის განყოფილების გამგე და ლიტერატურულ წრეებში დაფასებული ადამიანი გახლდათ. სამეცნიერო ფანტასტიკისადმი მისი დაინტერესება სრულიად გულწრფელი მიზეზებით იყო განპირობებული — განათლებით ჰიდრაულიკა-მექანიკის სპეციალისტს, ტექნოლოგიური სიახლეები და ამ სიახლეთა სოციალური გავლენა იტაცებდა. ყველა ეს ფაქტორი “ნაკადულის” მიერ ცალკე წიგნად გამოცემულ მის ვრცელ მოთხრობაზეც აისახა და შედეგად ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას გამორჩეული მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები შეემატა.

“დროთა კავშირი” თბილისელი ექიმის, ლევანის ამბავს გვიყვება. კაპიტნის გადაწყვეტილებითა და მისი თანხმობით, მათი კოსმოსური მოგზაურობა დათქმულზე დიდი ხანი გრძელდება და გიორგი ცოლ-შვილს ათი წლის შემდეგ უბრუნდება. მისთვის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარდატეხის მომტანია. თუმცა ლევანს გარე სამყაროც უმზადებს სიურპრიზს: დედამიწაზე დაბრუნებული ეკიპაჟი აღმოაჩენს, რომ ამასობაში კაცობრიობას

ამოუცნობი ვირუსის პანდემია გადაუტანია. თბილისის ქუჩებში მოსეირნე ლევანი ხვდება, მომავლის ნახვის ცნობისმოყვარეობამ როგორ გამოთიშა ცხოვრების მიმდინარეობიდან, თუმცა იმასაც აცნობიერებს, რომ მზადაა, იგივე ნაბიჯი ხელახლა გადადგას.

“დროთა კავშირი” ყიფიანის სამწერლობო წრეს გულთბილად არ მიუღია. მყისიერ რეცენზიებს დაჩვეულ ავტორს სამეცნიერო ფანტასტიკის გამოქვეყნების მერე ლიტერატურული კრიტიკოსებისგან სრული სიჩუმის ატანა მოუხდა. არაა გამორიცხული, რომ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ამ უნიკალური მწერლისგან ჟანრს სხვა ნაწარმოები არ ღირსებია. თუმცა “დროთა კავშირმა” მაინც შეიტანა ცვლილება ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარებაში, რადგან აჩვენა, რომ კოსმოსური მოგზაურობის ამბავს შინაგანი ძვრებისა და ეგზისტენციალური კითხვების დამსმელი პასაჟებიც შეეძლო დაეტია. მართლაც, მალე გამოჩნდნენ მწერლები, რომლებმაც, მართალია, ჟანრი სოცრეალისტური საზღვრებიდან ვერ გამოიყვანეს, თუმცა კარიკატურულ პერსონაჟებსა და პარანოიდულ სცენარებს გარკვეული მანძილით მაინც დაშორდნენ.

1968 წელი — “ჩადირული კუნძული”, ავტორი როდამ ჩაჩანიძე

მწერალი და მეზღვაური, როდამ ჩაჩანიძე სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრის, საზღვაო სამეცნიერო ფანტასტიკის ერთადერთი ქართველი წარმომადგენელია. მისი რეალისტური პროზაც საზღვაო თემებს დასტრიალებს თავს, “ნაკადულის” მიერ გამოცემული “ჩადირული კუნძული” კი ამ თემის სამეცნიერო-ფანტასტიკური გადაწყვეტის პირველი, თუმცა არაუკანასკნელი მცდელობაა.

მოკლე რომანში მოქმედება 2002 წელს ვითარდება. ატლანტიკის ოკეანეში სურაში ჩადებულ ტექსტებს პოულობენ, რომელთაც ქართველი ენათმეცნიერი ძველი ქართული ენის დახმარებით შიფრავს. ტექსტები შავი ზღვის სანაპიროდან ატლანტიკის ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე იმიგრირებულ ხალხზე ჰყვება, რომელთა ქალაქიც ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წყლის ფსკერზე აღმოჩნდა. ქართული

საბჭოთა ექსპედიცია საბოლოოდ აღმოაჩენს კიდეც ქალაქს, რომელიც სასწაულებრივად ჰგავს თბილისს.

ნაწარმოებს ძნელად თუ ეთქმის სამეცნიერო ფანტასტიკა, რადგან ერთადერთი ტექნოლოგიური სიახლე ის წყალქვეშა ტექნოლოგია და აღჭურვილობაა, რომელიც ექსპედიციის წევრებს უძველესი ქალაქის აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა ჩაჩანიძის მომდევნო ნაწარმოებში სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტები გაცილებით მკაფიოდ იკვეთება — ისევე, როგორც ჟიულ ვერნისა და ალექსანდრე ბელიაევის გავლენა. ამიტომ, იმის მიუხედავად, ჩავთვლით თუ არა “ჩადირულ კუნძულს” სამეცნიერო ფანტასტიკად, როდამ ჩაჩანიძე ამ ჟანრში მაინც გამორჩეულ როლს იკავებს, რადგან სწორედ მან გადაიტანა მზერა კოსმოსიდან ოკეანეზე და მომავლის ქართველი წყლის ქვეშ, უცხო სამყაროში ჩაიყვანა. უშუალოდ “ჩადირულმა კუნძულმა” კი ქართული კულტურა წყალქვეშა სამყაროს ცენტრად აქცია.

1969 წელი — “ელვის ცისფერი გზები”, ავტორი აპოლონ ბასილაია

1950-1960 წლებში გამოცემული ტრილოგიის მერე აპოლონ ბასილაია თითქმის ათწლიან პაუზას იღებს და თავის უკანასკნელ ნაწარმოებს ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკის მემკვიდრეობას 1969 წელს მატებს. კვლავ “ნაკადულის” მიერ გამოცემული რომანის ანოტაციიდან ვიგებთ, რომ ის 1965 წელს უკვე დაწერილი იყო, რადგან სწორედ ამ წელს გასცა გამომცემლობამ მისი დაბეჭდვის რეკომენდაცია.

ნაწარმოები მოგვითხრობს ქართველ ახალგაზრდა მეცნიერზე, სულხან რაზმაძეზე, რომელსაც უკაბელო ელექტრო წრედის შექმნის იდეა ებადება. ტეხასელ მეცნიერ რობერტ ლოურენსთან თანამშრომლობითა და მოსკოვის ინსტიტუტის დახმარებით ის მსოფლიო კონფერენციაზე თავისი გამოგონების პრაქტიკაში გამოცდის გეგმას წარადგენს. თუმცა მათ გეგმებს ამერიკული კერძო ელექტროსადგურები საბოტაჟს უწყობენ, რადგან არ სურთ, რომ ელექტროენერგია ყოფილ კოლონიებს და ღარიბ ქვეყნებს გაუზიარონ. ისინი ტექნოლოგიური სიახლის გამოცდას ტერორისტული აქტით შლიან, თუმცა საბოლოოდ სიმართლე მაინც აშკარავდება.

როგორც ტრილოგიის პირველ ორ წიგნში, აქაც ბასილია კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროებს შორის ურთიერთობაზე კონცენტრირდება და ტექსტს გასული ათწლეულის სოცრეალისტური მწერლობისთვის ნიშნული პარანოიის მცირე დოზაც ახლავს. თუმცა ამჯერად დასავლეთი არაა მისტიციზმითა და ქაოსით მოცული ამორფული სივრცე, რომლის ერთადერთი მხატვრული ფუნქცია საბჭოთა კავშირის ანტაგონისტ ძალად ყოფნაა. სანაცვლოდ, ნაწარმოებში აქცენტი გადატანილია თანამშრომლობის აუცილებლობაზეც, რომელსაც დასავლური კომპანიების არაპრაქტიკული სიხარბე, არამედ ირაციონალური სიბოროტე აფერხებს. ამას გარდა, ტიპური ანტიგმირი ამერიკელების გვერდით რომანში გვხვდება არატიპური, „კარგი“ ამერიკელიც. თუმცა პროგრესისადმი მის გულწრფელ ინტერესს გულუბრყვილობა და სიბრიყვე ანეიტრალებს: საბჭოთა მოქალაქის დაუხმარებლად ის სულ გასაჭირშია, ფინანსურ დავიდარაბაში ებმება და ბოროტი ძალების მარიონეტად კი ხდება. ისიც აღსანიშნავია, რომ თავად ნოველში — უკაბელო ელექტრო წრედი — ინტერტექსტუალურად ეხმიანება პირველ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში, „ქალი სარკეში“, გამოყენებულ იდენტურ გამოგონებას, *ლეტარგინს*.

1972 წელი — “ოთხასმეცხრე კვადრატი”, ავტორი როდამ ჩაჩანიძე

წყალქვეშა ფანტასტიკური ამბის მოყოლის პირველი მცდელობიდან 4 წლის თავზე როდამ ჩაჩანიძე კიდევ ერთხელ გვაშთაბრუნებს ოკეანის ფსკერზე და ამჯერად იქაურობას სრულიად უცხო ცივილიზაციითაც ასახლებს. “ნაკადულის” მიერ ცალკე წიგნად გამოცემულ მოზრდილ მოთხრობაში, “ოთხასმეცხრე კვადრატი”, მწერალი წყლის ადამიანების, ამიტების სამყაროს მონახავს ქმნის.

“ოთხასმეცხრე კვადრატი” ოკეანის ის ადგილია, სადაც სათევზაო გემები აუხსნელ ვითარებაში ტრალეებს კარგავენ — თითქოს მათ წყლის ქვეშ ვიღაც სპეციალურად ჭრისო. ხომალდ “ივერიის” კაპიტანი ამ საიდუმლოს ამოსახსნელად თავისი ეკიპაჟის ასევე ქართველ წევრებთან ერთად წყალქვეშ ბატისკაფით ეშვება. ფსკერზე გმირები ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებას, ამიტელებს გადაეყრებიან.

ამიტელებმა წარსულში წყალქვეშ მცხოვრები სხვა სახეობა, თევზკაცები დაამარცხეს და ოკენის ჯურღმულებში ჩადევნეს, ახლა კი ნელ-ნელა სულ უფრო ზემოთ მიიწევენ და მიწაზე მცხოვრებლებსაც სიფრთხილით აკვირდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანებიც სულ უფრო იჭრებიან ოკეანის სივრცეში, ამიტოა მეთაური ქართველ მეზღვაურებს ომის გარდაუვალობაზე ამცნობს. თუმცა სანამ დედამიწელები ამიტოა ცივილიზაციასა და უახლოეს გეგმებში უკეთ გაერკვევიან, წყალქვეშ მიწისძვრა ხდება და პატარა ამიტელი ბიჭი ქართველებს წყლის ზედაპირზე ამოიყვანს.

როდამ ჩაჩანიძე ამ წყალქვეშა სამყაროს 4 წლის მერე კვლავ უბრუნდება და “ამიხოტის დაქცევაში” იმავე ისტორიის გაცილებით დახვეწილ და დეტალებითა თუ თემატური პასაჟებით გამდიდრებულ ვერსიას წარმოგვიდგენს. თუმცა უკვე ამ, 1972 წლის დაუსრულებელ ვერსიაშიც იკვეთება ის დამაბულობა, რომელიც ორი განსხვავებული, თუმცა მაღალტექნოლოგიური ცივილიზაციის პირველ კონტაქტს შეიძლება ახლდეს თან. გარდა ამისა, “ოთხასმეცხრე კვადრატი” იმითაცაა გამორჩეული, რომ ოსტატურად ახერხებს ჩვენგან სრულიად განსხვავებულ გარემო-პირობებში განვითარებული ცივილიზაციის ინფრასტრუქტურის, ყოველდღიური ყოფის, ტექნოლოგიისა და მის მკვიდრთა, ცოტა არ იყოს, გროტესკული ანატომიის აღწერას.

1975 წელი — “მოხეტიალე სკაფანდრები”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

1975 წელი ორი მიზეზითაა მნიშვნელოვანი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიისთვის: პირველ რიგში, ესაა წელი, რომელშიც ერთნაწარმოებიანი წიგნის ნაცვლად მოთხრობების კრებული დაიბეჭდა. ამის მერე საბჭოთა კავშირის დაშლამდე სწორედ ეს ფორმატი გახდა ქართულ მწერლობაში ამ ჟანრის განმსაზღვრელი: 1975-1991 წლებში გამოცემული 20 წიგნიდან ცამეტი სწორედ კრებული გახლდათ. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ისაა, რომ სწორედ ამ წელს შედგა ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში გამორჩეული ფიგურის, ნუგზარ აფხაზავას დებიუტი. გარდა იმისა, რომ აფხაზავას კალამს, ყველა სხვა ქართველ მწერალთან შედარებით, ყველაზე მეტი სამეცნიერო ფანტასტიკური ნაწარმოები ეკუთვნის, ის, ამასთან, თეორიულადაც იყო დაინტერესებული ჟანრის ბედით, რისი საუკეთესო ილუსტრაციაც მისი 1987 წლის

რეცენზია, “ჩვენ და ფანტასტიკა, სკეპტიციზმი ქართული ფანტასტიკის მიმართ,” არის. ამ სტატიაში მწერალი და კრიტიკოსი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ბედს იკვლევს და იმ კითხვებს სვამს, რომელზე პასუხების გაცემასაც მოცემული სადოქტორო ნამუშევარიც ცდილობს.

“მოხეტიალე სკაფანდრები” შემდეგი რვა მოთხრობისგან შედგება: “გურამ მიზანდარის გაორება”, “ისტორიკოს ასარიტას შეგონება”, “დაე, ინათოს!”, “მოხეტიალე სკაფანდრები”, “უმცროსი კოსმონავტი”, “SAPIENTI SAT!..”, “VIRIBUS UNITIS”, და “კათარზისი”). ამასთან, მოთხრობათა ნაწილი “ნაკადულის” ერთ წიგნად შეკრულ კრებულამდე ჟურნალ “პიონერში” 1971-1975 წლებში იყო დაბეჭდილი.

ამ მოთხრობების მთავარი დამსახურება საბჭოთა იდეოლოგიური დირექტივებისგან მაქსიმალური თავისუფლების ხარისხია. მართალია, მოთხრობებს სოციალური კომენტარი არ აკლია, თუმცა მათში მოქმედება იმდენად შორეულ მომავალში ვითარდება, რომ ცივი ომისეული პერიპეტიები უკანა პლანზე იწევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ის, რომ სწორედ ამ კრებულში ჩნდება პირველად აფხაზავას სამეცნიერო ფანტასტიკური სამყარო, “ირმის ნახტომის R-6 მიკროასოციაცია” (რომელიც მომავალში “NR ასოციაციად” გადაკეთდება) და მისი მთავარი გმირია, უტა ფაზია, რომელიც მომავალში აფხაზავას არაერთი მოთხრობის პროტაგონისტად მოგვევლინება.

1976 წელი — “ამიხოტის დაქცევა”, ავტორი როდამ ჩაჩანიძე

“ოთხასმეცხრე კვადრატის” დაწერის შემდეგ ჩაჩანიძემ თავისი წყალქვეშა, ამიტების ცივილიზაციისთვის ხორცის შესხმა გააგრძელა და 1976 წელს ოთხი წლის წინ დაწერილი რომანის ახალი, მეტად კომპლექსური ვერსია შემოგვთავაზა. ნაწარმოებში გმირები და მთავარი სიუჟეტური ხაზი უცვლელი რჩება, თუმცა იცვლება გმირთა მოტივაციები და ამ მოტივაციებით ნაკარნახევი ქმედებები, რაც ნაწარმოების დასასრულს გაცილებით დრამატულს ხდის.

თავდაპირველად, მოვლენები “ოთხასმეცხრე კვადრატის” სიუჟეტის ანალოგიურად ვითარდება, თუმცა ამიტოა წყალქვეშა სამყაროში აღმოჩენილი გმირები გაცილებით ჩახლართულ სიტუაციაში ყოფნ თავს. ისინი დაუპატიჟებელი სტუმრებიდან ტყვეებად იქცევიან. ამასთან, ვიგებთ, რომ მათი ანატომია ოკეანის ქვეშ ყოფნას დიდხანს ვერ გაუძლებს და მათ მალე დაღუპვა ელით. ისინი იმასაც იგებენ, რომ პირველი დედამიწელი ტყვეები არ არიან და შემპყრობლები მათ არსად გაშვებას არ აპირებენ. თუმცა ამიტელთა სამყაროში ამ დროს მიწისძვრის გარდა (როგორც ეს ნაწარმოების პირველ ვერსიაშია), გადატრიალებაც ხდება. ქართველი ტყვეები ამით სარგებლობენ და წყლის ზედაპირისკენ ამიტელთა მანქანით იჭრებიან. თუმცა, სანამ ჟანგბადით გაჯერებულ სამყაროში ააღწევნ, ამიტელთა ცივილიზაციის დამხობასაც მოჰკრავენ თვალს.

ნაწარმოებში წინამორბედისგან გაცილებით მეტი დამაბულობა და კონსპირაციულ-ჯაშუშური სიუჟეტური ხაზები გვხვდება. მთავარი თვისება, რაც ჩაჩანიძის ნაწარმოებს ტიპური სოცრეალისტური ცივი ომისეული მხატვრული ნარატივისგან გამოარჩევს, ისაა, რომ აქ კეთილ და ბოროტ ძალებს შორის მკაფიო ზღვარი არაა გავლებული. კი, აშკარაა, რომ ავტორი დედამიწელებს წარმოაჩენს პროტაგონისტებად, თუმცა თავად ამიტელები ერთმნიშვნელოვნად ანტაგონისტური მხარე სულაც არაა. მათი საზოგადოების მმართველი ლეგიტიმური ძალა ერთობ რაციონალურია და დედამიწელებთან პირდაპირი კონფრონტაცია არ სურს. მეტიც, მათი ლიდერი, დინაკი, სტალინის სოცრეალისტურ სახეს ჩამოჰგავს. მასთან შეხვედრისას ქართველი ტყვეები მისი სიბრძნით ინუსხებიან, ეს რაღაც დიადთან მიახლოების მსგავსი რიტუალივითაა და აუდიენციის მერე განშორებით გამოწვეულ “სულიერ ტკივილსაც” კი გრძნობენ. ამიტელთა ის ნაწილი, რომელიც აშკარად ბოროტ ძალადაა წარმოჩენილი, ტერორისტებად მოიხსენებიან და ისინი დინაკისეული მმართველობის დამხობას ცდილობენ. უცხო ცივილიზაციის ეს ერთობ კომპლექსური სურათი ჩვენ/ისინის ბინარულ შეპირისპირებას ცდება და უცხოს მეტად ჰუმანურ და რთულ პორტრეტს ხატავს, რაც ცივი ომისეულ სოცრეალისტურ ნარატივს მნიშვნელოვნად გარდაქმნის.

1976 წელი — “შეხების წერტილი”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

ქართული ლიტერატურის ისტორიაში 1976 პირველი წელია, როცა ქვეყანაში ერთზე მეტი სამეცნიერო ფანტასტიკური წიგნი დაიბეჭდა. ამის დამსახურება ისაა, რომ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას ნუგზარ აფხაზავას სახით ნაყოფიერი მწერალი შეემატა. სწორედ მისი მეორე კრებული გამოსცა ამ წელს “საბჭოთა აჭარამ” და მასში ხუთი ახალი მოთხრობა შევიდა. ეს მოთხრობებია: “კინგ ჰიუსტონის საბოლოო სიტყვა”, “ექსპერიმენტი”, “1+1=1”, “შეხების წერტილი” და “Cogito, ergo sum!”.

ამ კრებულიდან კიდევ უფრო გამოიკვეთა აფხაზავას ხელწერა: ის ცდილობს, ცენტრში ადამიანი დააყენოს და არა ფანტასტიკური მოვლენა. ეს ყველაზე თვალშისაცემად მოთხრობათა პირველი აზრებიდან ჩანს. თუ სხვა ავტორთა ტექსტებში ხშირად პირველივე აზრებიდან ვხვდებით, რომ ფანტასტიკური სიახლით გადასხვაფერებულ სამყაროს ვუყურებთ, აფხაზავა ნაწარმოებს რეალისტური ტექსტისთვის სახასიათო წინადადებებით იწყებს და მხოლოდ მერე, ნელ-ნელა გვაპარებს ფანტასტიკურ ელემენტებს. ორიგინალურ სიუჟეტებს, რომლებსაც არც მოვლენების მოულოდნელი განვითარება აკლია და არც მრავალწახნაგოვანი გმირები, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს.

თუმცა ვერც აფხაზავა თავისუფლდება სოცრეალიზმის მარწუხებიდან და ხშირად იყენებს ინტერტექსტუალურად განმეორებულ ტროპს, რომლის მიხედვითაც, შორეულ მომავალშიც კი კომუნისტური საზოგადოების მთავარ ანტაგონისტად დასავლური კაპიტალისტური იდეოლოგიის მქონე, ხარბი და ამორალური პერსონაჟები გვევლინებიან.

1978 წელი — “დაკარგული ანდრომაქე”, ავტორი ელგუჯა მერაბიშვილი

ამ წელს ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკურ ლიტერატურას კიდევ ერთი გამორჩეული მწერლის, ელგუჯა მერაბიშვილის “ნაკადულის” მიერ გამოცემული პირველი კრებული შეემატა. მერაბიშვილმა ჟანრს თავისთვის ნიშნეული, უნიკალური

შავ-ბნელი ტონი შესძინა, რაც იმ ლიტერატურისთვის, რომლის აუდიტორიაც უკვე თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში ბავშვები მოიაზრებოდნენ, მნიშვნელოვანი გარდატეხა გახლდათ. კრებულში შემდეგი ექვსი მოთხრობა შევიდა: “დაკარგული ანდრომაქე”, “როდანა”, “თეთრი უსასრულობა”, “ჩემი ვარსკვლავი”, “მეა” და “აიას მძივი”.

მერაბიშვილის ხელწერა სოცრეალისტური დირექტივების პირნათლად ასრულებისა და უნიკალურად მწერლისეული, საშინელებათა ჟანრისთვის დამახასიათებელი დამაბულობის ნაზავია. ამის საუკეთესო ილუსტრაცია მოთხრობა “დაკარგული ანდრომაქეა”, რომელშიც კაპიტალისტური დასავლეთის სიხარბე ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის სრულიად უჩვეულო ჰორორისეული ენითაა წარმოჩენილი. ცალკე აღნიშვნის ღირსია “აიას მძივი”, რომელიც ქართული მოდგმის უნიკალურობის წარმოჩენის მცდელობაა, თუმცა, ამავედროულად, კომუნისტურ უტოპიას ხატავს.

თითქოს ურთიერთგამომრიცხავი ელემენტების ეს უცნაური ერთობლიობა ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობებს სოცრეალისტური და კონტრკულტურული, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის გასაყარზე ათავსებს. თუმცა მწერალი, საბოლოოდ, მაინც ვერ ლახავს ამ საზღვარს და ვერ ათავისუფლებს ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას რეჟიმის მარწუხებისგან.

1979 წელი — “ცისფერი მნათობი ამირანი”, ავტორი შოთა გაგოშიძე (1924-2003)

ამ წელს ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკურ მწერლობას კიდევ ერთი გამორჩეული ხმა შეემატა. ნუგზარ აფხაზავას მსგავსად, შოთა გაგოშიძის მხატვრული შემოქმედებაც ძირითადად ამ ჟანრში დაწერილ მოთხრობებს ეთმობა და მასაც ჰყავს თავისი ინტერტექსტუალურად გამეორებული გმირი, ამჯერად - გივი ოძელი. მის პირველ, „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1979 წელს გამოცემულ კრებულში 8 სამეცნიერო ფანტასტიკური და ერთიც რეალისტურ სტილში დაწერილი მოთხრობა შედის. სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობებია: “ცისფერი მნათობი ამირანი”, “ხმა

მომავლიდან”, “ჯადოსნური ბგერები”, “როცა ღომი მსხვერპლს ვეღარ უხმობს”, “ორმხრივი შეცდომა”, “ყველაზე ძვირფასი რელიკვია”, “უკეთესი ვარიანტი” და “ერთი მიწის შვილები”.

გაგოშიძე ორიგინალური იდეების სხარტ სიუჟეტურ ხაზებში გადმოცემის და სცენარის მოულოდნელი განვითარების ოსტატია. გარდა ამისა, მან ქართულ მწერლობაში შემოიტანა მითებისა თუ ზღაპრული ამბების სამეცნიერო ფანტასტიკური მოვლენებით ახსნის ტრადიცია, რაც შემდგომ ბრწყინვალედ განავრცო ჯემალ ქარჩხაძემ. უშუალოდ ამ კრებულში მსგავსი სიუჟეტის მაგალითი მოთხრობა “ცისფერი მნათობი ამირანია”, რომელშიც დალისა და ამირანის მითების ალტერნატიულ ვერსიებს ვეცნობით.

გაგოშიძე, ამასთან, სამეცნიერო ფანტასტიკის ენით ეკოლოგიურ პრობლემებზეც საუბრობს. მაგალითად, მოთხრობაში “ყველაზე ძვირფასი რელიკვია” ის გვაცნობს უცხოპლანეტურ რასას, რომელიც საცხოვრებლად იდეალური პირობების მქონე, გონიერი არსებებით დაუსახლებელ პლანეტას აღმოაჩენს, თუმცა მის კოლონიზაციაზე ნებაყოფლობით იტყვის უარს, რადგან იქაურ გარემოზე ზრუნვას მეტად პრიორიტეტულად მიიჩნევს.

1980 წელი — “მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

ნუგზარ აფხაზავას მესამე კრებული თავიდან ბოლომდე მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობ გმირს, უტა ფაზიასა და მის ოცდამეხუთე საუკუნის “ირმის ნახტომის NR მიკროასოციაციის” სამყაროს ეძღვნება. წიგნი ერთგვარი კონცეპტუალური იდეის გარშემოა აწყობილი: წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ მწერალმა მწვანე კონცხზე დასვენებისას ოცდამეხუთე საუკუნის მკვიდრი დროში მოგზაურის დღიური იპოვა, გადმოაქართულა და ქვემოთ სწორედ ამ ჩანაწერებს გვთავაზობს.

კრებულის 5 მოთხრობიდან თითოეული უტა ფაზიას თითო მოგზაურობას აღწერს. ეს მოთხრობებია: “პირველი მოგზაურობა. Tertium non datur”, “მეორე მოგზაურობა. Corpus delicti”, “მესამე მოგზაურობა. Tu quoque, Brute?!”, “მეოთხე მოგზაურობა. Katharssis” და “მერვე მოგზაურობა. Ad infinitum”. მეოთხე მოგზაურობიდან მერვეზე ნახტომი იმით აიხსნება, რომ აფხაზავამ მეხუთე და მეექვსე მოგზაურობები (“SAPIENTI SAT!..” და “VIRIBUD UNITIS”) 1975 წლის კრებულში, “მოხეტიალე სკაფანდრები”, შეიყვანა, ხოლო მეშვიდე (“Cogito, ergo sum!”) — 1976 წლის კრებულში, “შეხების წერტილი”. გარდა ამისა, მეოთხე მოგზაურობაც პირველად 1975 წლის კრებულში დაიწერა, ოღონდ მაშინ სათაურის ქართული ვარიანტით — “კათარზისი”.

“მზის დესპანი” უტა ფაზიას სამყაროს აქამდე უცნობი დეტალებით უკეთ გამოკვეთს. მაგალითად, პირველივე მოგზაურობიდან ვიგებთ, რომ შორეული მომავლის უტოპიური საზოგადოება კოსმოსური ალიანსის წევრობას საქართველოს უნდა უმაღლოდეს, რადგან სწორედ იქ, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში თბილისის მახლობლად, ვერეს ხეობაში ქალაქ სადარისის “ფოლადაურის სკოლამ” გამოწვრთნა ის კოსმონავტები, რომლებმაც დედამიწა სხვა პლანეტათა ცივილიზაციებთან დააკავშირეს.

ფაზიას სათავგადასავლო მოგზაურობების აღწერისას აფხაზავა ქართველი პერსონაჟის უზადო ხასიათს გამოკვეთს, რომელიც თავისი ვირტუოზული გამჭრიახობითა და გონიერებით ახერხებს სხვადასხვა ხიფათისგან თავის დაღწევას თუ გასაჭირში ჩავარდნილ უცხოპლანეტელთა გადარჩენას.

1980 წელი — “დრო”, ავტორი ჯემალ ქარჩხაძე

ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლობაში ჟურნალ ცისკარში 1980 წელს დაბეჭდილი რამდენიმეგვერდიანი მოთხრობის, “დროს”, მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია. ესაა საბჭოთა საქართველოში ამ ჟანრში დაწერილი ერთადერთი მოთხრობა, რომელიც სრულად არღვევს სოცრეალიზმის საზღვრებს. ამგვარად, ის იმის მანიფესტაციაა, რომ ქართულ მწერლობაში სამეცნიერო ფანტასტიკის ადგილი

საბჭოთა კავშირის კულტურული გავლენის მიღმაც არის. “დრო” პოსტმოდერნული ნაწარმოებია და პირველად ისტორიის განმავლობაში იმ პოტენციალს ააშკარავებს, რაც ქართულ ენაზე დაწერილ სამეცნიერო ფანტასტიკას ფილოსოფიურ-ეგზისტენციალური საკითხების გამოკვლევის კუთხით შეიძლება ჰქონდეს. ეს მოთხრობა თავისი ისტორიული კონტექსტის მიღმაც ინარჩუნებს ღირებულებას და ქართული სამწერლო ტრადიციის უნიკალური ნიმუშია.

“დრო” დროში მოგზაურობის ამბავს გვთავაზობს, უფრო კონკრეტულად კი — ოცდამერვე საუკუნის ადამიანების წარსულში პირველ მოგზაურობას აღწერს. მოგზაურობის მიზანი ისტორიული კვლევაა, მთავარი პირობა კი ის, რომ წარსულში წარგზავნილმა იუპემ დროის მიმდინარეობა არ უნდა შეცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის უბრალოდ დამკვირვებელი უნდა იყოს და ადამიანებთან კონტაქტი არ უნდა დაამყაროს. იუპე ამ პირობას ვერ ასრულებს, რაც მოვლენათა მთელ წყებას უღებს დასაბამს. ამ ამბით შოკირებული მომავლის საზოგადოება მხოლოდ მას მერე წყნარდება, რაც იგებს, რომ იუპეს წარსულში ყოველთვის ემოგზაურა და ისტორიის მსვლელობაში ცვლილებებიც ყოველთვის შეეტანა.

ჯემალ ქარჩხაძე ამ ტექსტში შოთა გაგომიძის მიერ უკვე ნაცად ხერხს მიმართავს და რელიგიურ თუ მითოლოგიურ იგავებს სამეცნიერო ფანტასტიკური ლოგიკით ხსნის. მაგრამ ეს ნაწარმოები ამაზე შორსაც მიდის და პოსტმოდერნული სიმსუბუქით ისეთ ფილოსოფიურ კითხვებზე გვაფიქრებს, როგორცაა დროის წრიული ბუნება ან ტექნოლოგიის უნარი, ადამიანი სამყაროს შემოქმედად აქციოს. ქარჩხაძე სამყაროს დეტერმინისტულ ბუნებას გამოკვეთს: დროის სვლაში ჩარევა შეუძლებელია, რადგან ყველაფერი უკვე მომხდარია; დრო მყარია და მასში თუ ერთხელ იმოგზაურე, ესე იგი მასში ყოველთვის გიმოგზაურია.

1981 წელი — “ციცქნას ახალი ფათერაკები”, ავტორი ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მართალია, 1950 წლიდან მოყოლებული ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის აუდიტორიად ბავშვები და მოზარდები განისაზღვრა, თუმცა ტექსტები მაინც უფრო

ცამეტ წელს გადაცილებული ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. “ციცქნას ახალი ფათერაკები” პირველი შემთხვევაა, როცა სამეცნიერო ფანტასტიკური პასაჟები ზღაპრის ფორმატშია მოთავსებული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

ვლადიმერ ასლამაზიშვილმა ციცქნას პერსონაჟი მკითხველს ხუთი წლით ადრე, 1976 წელს გამოცემულ ზღაპარში, “ციცქნას თავგადასავალი” გააცნო. “ნაკადულის” მიერ 1981 წელს გამოცემულ 123-გვერდიან ზღაპარში კი მან თხრობაში არა მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკური ელემენტები შემოიტანა, არამედ რეალური ისტორიული მოვლენა, ლაიკას 1957 წელს კოსმოსში გაფრენის ამბავიც დაიხმარა.

ამ ნაწარმოების ინტერჟანრულობის საილუსტრაციო მაგალითი ისაა, თუ როგორ ახასიათებს მწერალი მთვარეს: ის წარმოგვიდგება როგორც რეალური ციური სხეული, რომელიც დედამიწის გარშემო ბრუნავს; როგორც ფანტასტიკური ქმნილება, რომელსაც მეტყველების უნარიც კი აქვს; და როგორც, უბრალოდ, ტკბილი ნაზუქი.

1982 წელი — “მსტოვარი”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

“მსტოვარი” აფხაზავას რიგით მეოთხე სამეცნიერო ფანტასტიკური კრებულია. „საბჭოთა აჭარის“ მიერ გამოცემული ეს წიგნი ხუთი ახალი და ორი უკვე გამოქვეყნებული მოთხრობისგან შედგება. ამასთან აფხაზავას შემოქმედებაში ეს პირველი კრებულია, რომელშიც არც მისი ინტერტექსტუალური გმირი, უტა ფაზია არ ჩნდება და არც “ირმის ნახტომის NR მიკროასოციაციის” სამყარო. ეს მწერალს საშუალებას აძლევს, ფორმითაც და შინაარსობრივადაც მეტად ექსპერიმენტული ნაწარმოებები წარმოგვიდგინოს.

კრებულში შემდეგი მოთხრობებია შესული: “მსტოვარი”, “ღმერთო ჩემო, გახსოვს?”, “ჩაშლილი კონტაქტი”, “უცნაური, უცნაური სიზმარი”, “რისკი”, “დამარცხებული ერინია” (მოთხრობა 1975 წელს “მოხეტიალე სკაფანდრებში” “გურამ მიზანდარის

გაორების” სახელით დაიბეჭდა) და “განაჩენი” (იგივე “ისტორიკოს ასარიტას შეგონება”, ასევე “მოხეტიალე სკაფანდრებიდან”).

აფხაზავა ამ კრებულში შესულ მოთხრობებში მეტად კონცენტრირდება პერსონაჟების შინაგან სამყაროსა და პირად ურთიერთობებზე. რომანტიკული წყვილები ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკაში აქამდეც ხშირად გვხვდება, თუმცა, როგორც წესი, ეს სიუჟეტური ხაზი მოვლენათა სამეცნიერო ფანტასტიკური განვითარების პარალელურად იშლება ხოლმე. სანაცვლოდ, აფხაზავა ახერხებს, რომ სიყვარულის ისტორია ტექნოლოგიური სიახლის არსს გადააჯაჭვოს. ეს გარემოება ფანტასტიკურ თავგადასავალს ქართული სამეცნიერო ფანტასტიკისთვის იშვიათ დამაბულობას სძენს, რადგან მკითხველი პერსონაჟებისადმი მეტი ემპათიით განეწყობა. მწერალს ეს თავისი გავლენა გააზრებული აქვს და მისი ძალის ბოლომდე გამოყენებას ტრაგიკული სიუჟეტური გადაწყვეტებითაც კი არ ერიდება.

1983 წელი — “ნიმბი”, ავტორი ელგუჯა მერაბიშვილი

1976 წლის მერე პირველად, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში მოთხრობათა კრებულის ნაცვლად რომანი იბეჭდება. თავად მერაბიშვილსაც ამ დროისთვის უკვე გამოცემული აქვს კრებული, “დაკარგული ანდრომაქე”, რომელშიც მწერალი მოზარდებისთვის მოაზრებული ჟანრის შიგნით ისეთი სერიოზული თემების განხილვას არ მოერიდა, როგორიც ეგზისტენციალური მარტოობა, სიკვდილი და ავადმყოფობაა. ის ამ რომანშიც აგრძელებს ამ ხაზს და მთლიან რომანს კიბოს განკურნების მეთოდის შემუშავების თემას უძღვნის.

“ნიმბი”, ერთი შეხედვით, 50-60-იანი წლების პარანოიდულ ჯაშუშურ ისტორიებს ჰგავს, რომლებშიც ბოროტი კაპიტალისტური დასავლეთი ტექნოლოგიურად განვითარებული საბჭოთა კავშირისგან ინოვაციური იდეის მოპარვას ცდილობს. აქაც — ისევე, როგორც ოთარ სადრაძის 1962 წლის რომანში, “ზარათი მარსიდან” — დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მოქმედებები ისე იხლართება ერთმანეთში, რომ რაღაც მომენტებში სიუჟეტური განვითარებისთვის გონების თვალის მიდევნება ჭირს.

მაგრამ იმის ხარჯზე, რომ რეალურ მწვავე პრობლემას, კიბოს დაავადების მკურნალობას და ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებას ირჩევს მთავარ თემად, მერაბიშვილი მაინც ახერხებს მკითხველის სიუჟეტში ჩათრევას.

“ნიმბი” ერთგვარად ანაქრონისტული ტექსტია, რადგან ის 1980-იანი წლებიდან ცივი ომის ყველაზე აქტიურ პერიოდში გვაბრუნებს. აქაც დასავლეთი მორალური პრინციპებისგან თავისუფალ მხარედაა დახატული, საბჭოთა კავშირი კი მაღალზნეობრივ სახელმწიფოდ, რომელიც მზადაა, სამოქალაქო მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად მტერსაც კი დაეხმაროს. ამ ყველაფრის მიუხედავად, რომანი ერთგვარი სამედიცინო დრამაა, რითაც ის ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის მემკვიდრეობაში უნიკალურ ადგილს იკავებს.

1984 წელი — “მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს”, რვა მწერლის მოთხრობისგან შემდგარი ანთოლოგია

1984 წელს ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკური მწერლობის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად ანთოლოგია დაიბეჭდა³⁷⁸. მასში როგორც ჟანრში გამოცდილი, ასევე ახალბედა მწერლების ნამუშევრებმა მოიყარა თავი. კერძოდ, ნაკრებში შესული მოთხრობებია: ნუგზარ აფხაზავას “შავი უსასრულებელი”, შოთა გაგოშიძის “სასჯელი მცდელობისთვის”, ირაკლი კინწურაშვილის “მიცურავდა თეთრი გემი”, ელგუჯა მერაბიშვილის “შორეული აბელბი”, მორის (იმავეს ბორის) მიშველაძის “უკანასკნელი საქმე”, ზაალ ტაბალუას “მუტანტები”, ჯემალ ქირიას “თეთრი ევროპა” და როდამ ჩაჩანიძის “მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს”.

“ნაკადულის” ამ ანთოლოგიას საერთო თემატიკა არ კრავს: ნაწარმოებებს ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ ყველა მათგანი სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრშია დაწერილი. მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია “მუტანტები”, რომელიც ქართულ საბჭოთა მწერლობაში ფაქტობრივად არარსებულ

³⁷⁸ გარდა ამისა, 1989 წელს გამოიცა კრებული „ორი მოთხრობა“, რომელშიც ნუგზარ აფხაზავას „ჰეი, თქვენ“ და ელგუჯა მერაბიშვილის „ნაკრძალში“ შევიდა, რაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ ანთოლოგიად.

დისტოპიურ ქვეყანაშია დაწერილი³⁷⁹. მაშინ, როცა სოცრეალისტური დირექტივა მომავლის მხოლოდ ნათელ ფერებში წარმოდგენას ითვალისწინებდა, ეს პოსტაპოკალიფსური მოთხრობა წარმატებით ახერხებს მასობრივი განადგურების იარაღით მოსპობილი ცივილიზაციის სურათის დახატვას.

მხატვრული ღირებულებითა და თემათა სიღრმით ასევე გამორჩეულია როდამ ჩაჩანიძის “მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს” — ავტორი სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში მოღვაწეობის განმავლობაში პირველად ცდება საზღვაო თემატიკას და ამჯერად ახალ ცივილიზაციას ოკეანის ფსკერის ნაცვლად დედამიწის გულში, ღრმა მღვიმეში ასახლებს. თუ ამიტების ცივილიზაცია ტექნოლოგიური განვითარებით გამოირჩევა, იეტები მონადირე-შემგროვებლები არიან, რაც ადამიანებთან პირველ კონტაქტს სრულიად განსხვავებულს ხდის. ჩაჩანიძე საბოლოოდ იმ პოსტკოლონიურ მოსაზრებას ემხრობა, რის თანახმადაც, თუ უცხო საზოგადოებათა გაგება გვსურს, წინასწარგანწყობები და სტერეოტიპები უკან უნდა ჩამოვიტოვოთ.

1985 წელი — “სირიუსი, იდუმალი სტუმარი”, ავტორი თამაზ ჭეიშვილი

“ნაკადულის” მიერ გამოცემული რომანი, “სირიუსი, იდუმალი სტუმარი”, მრავალი ნიშნითაა უნიკალური. პირველ რიგში, ის საბჭოთა საქართველოში ამ ჟანრში დაწერილი ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც ღიად იყენებს იუმორს. თუმცა ეს სიმსუბუქე ნაწარმოებს ბოლომდე არ მიჰყვება და შუა თხრობაში ტონის ცვლა კომედიური ამბიდან ვიქტორიანული პერიოდის სათავგადასავლო რომანში გვაცოფინებს თავს.

რომანი სკოლის მოსწავლე გიასა და სირიუსიდან ჩამოფრენილ რობოტს შორის გათამაშებულ ამბავს გვიყვება. რობოტი გიას დროში სამჯერ ამოგზაურებს, ბოლოს კი ჩვენს პლანეტაზე ჩამოსვლის მიზეზსაც უმხელს და ეუბნება, რომ ის დედამიწის უცხოპლანეტელთა ხომალდისგან გადასარჩენადაა ჩამოფრენილი. თუმცა როცა

³⁷⁹ დისტოპიური ქვეყანა ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში, უპირველეს ყოვლისა, ირინე ტალიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1987 წელს გამოცემულ კრებულში არაერთი მოთხრობა მიუძღვნა მომავლის შავ-ბნელ ხედვებს.

რეირიკის პრეზიდენტი ამეგანი დანარჩენი ქვეყნების კვალს არ მიჰყვება და რობოტის დახმარებაზე უარს ამბობს, ეს უკანასკნელი საკუთარი სიცოცხლის ფასად აფეთქებს ბოროტი უცხოპლანეტელების ხომალდს.

“სირიუსი იდუმალი სტუმარი” საქართველოს ოქროს ხანაში, დიდგორის ომის პერიოდში გვამოგზაურებს და ქართველების ურიცხვ მტერზე გამარჯვების ეროვნულ სქემატურ ნარატივს იყენებს. თუმცა ის, ამასთან, “თეთრი გადამრჩენელის” “ეგზოტიკურ” კონძულზე ჩასვლისა და “ველური” აბორიგენების კლასიკურ ისტორიასაც გვიყვება და ამ გზით ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიაში ყველაზე თვალშისაცემ კოლონიური ნარატივს ქმნის.

1985 წელი — “სპირალი”, ავტორი გურამ ფანჯიკიძე

“სპირალი” ალბათ ყველაზე ცნობილი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკაა, რაშიც არცთუ მცირე როლი მისმა 1990 წლის ეკრანიზაციამაც ითამაშა. ამ მხრივაც “სპირალი” უნიკალურია, რადგან ეკრანზე გადატანის პატივი ჟანრში შესრულებულ სხვა არცერთ ქართულ ნაწარმებს არ ჰქონია.

ტექნიკური განათლების მქონე მწერლისგან მოელოდნენ კიდევ ამ ჟანრში ძალების ცდას. მაგალითად, 1974 წელს ჟურნალ “კრიტიკის” მერვე ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მას პირდაპირ ეკითხებიან, სამეცნიერო ფანტასტიკა რატომ არ დაუწერია. ამაზე ფანჯიკიძის პასუხი ისაა, რომ ფანტასტიკური მოთხრობები ძნელი წასაკითხი გახდა, რადგან მათში ლიტერატურას ტექნიკა სჭარბობსო. თუმცა, როგორც უკვე 1987 წელს გამოცემულ წერილში, “ჩვენ და ფანტასტიკა”, ნუგზარ აფხაზავა აღნიშნავს, მწერალმა წლების მერე აზრი იცვალა. ის მოხუცი მეცნიერის ტვინის ახალგაზრდა კაცის სხეულში გადანერგვის ისტორიას გვიყვება და იმას იკვლევს, თუ რა ფაქტორები აქცევს პიროვნებას ისეთად, როგორიც არის.

აფხაზავას თქმით, ის, რომ ცნობილმა მწერალმა ფანტასტიკას “შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მიმართა, მრავლისმთქმელია”. მართლაც, “სპირალი” არა საბავშვო

გამომცემლობა “ნაკადულმა” დაბეჭდა, არამედ გაცილებით სერიოზული რეპუტაციის მქონე “მერანმა”. თუმცა მცდარი იქნება იმის მტკიცება, რომ გურამ ფანჯიკიძე პირველი სახელგანთქმული და რეალისტურ ჟანრში დაფასებული მწერალი იყო, ვინც სამეცნიერო ფანტასტიკაში ძალები მოსინჯა (გავიხსენოთ, თუნდაც, ჯემალ ქარჩხაძე), მაგრამ საბჭოთა საქართველოს არსებობის მიწურულს დაწერილმა სწორედ ამ ნაწარმოებმა მოახერხა საბჭოთა კავშირის დაშლის მერე პოპულარობის მოპოვება.

1985 წელი — “წყალობის დღე”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

ამ წლის მესამე სამეცნიერო ფანტასტიკური წიგნი, ამასთან, აფხაზავას მეხუთე კრებულისგან გახლავთ. ამ პერიოდისთვის მწერალს უკვე დამკვიდრებული აქვს ქართველი ფანტასტიკის სახელი, თუმცა “ნაკადულის” მიერ გამოცემული კრებულის ბოლო ნაწარმოები (“იუნგა, ცეცხლი!”) რეალისტურ სტილში შესრულებული მცირე ზომის ისტორიული რომანია.

მის გარდა წიგნში ხუთი სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობა შედის: “შავი უსასრულებელი” (პირველად დაიბეჭდა 1984 წლის ანთოლოგიაში, “მღვიმეში ვიღაც დააბიჯებს” და კოსმოსური მოგზაურობის საფრთხეებზე გვიყვება), “წყალობის დღე” (უტა ფაზიას მომდევნო თავგადასავალი, რომელიც იკვლევს იმას, თუ რამდენად განაპირობებს მაღალტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების წევრთა მაღალზნეობრიობას), “ჩვენს გვერდით” (ვინიეტების სტილის სამი ამბავი, რომელიც არამიწიერი არსებების ხილვის ეპიზოდებს გვიყვება), “ის, რაც არ ისწავლება” (პლუტონზე განვითარებული ისტორია, რომელიც ადამიანისა და ბიორობოტის ურთიერთობას იკვლევს), “შეხების წერტილი” (ქართველი მოწაფეებისა და უცხოპლანეტელების პირველი კონტაქტის ისტორია, რომელიც პირველად 1976 წლის ამავე სახელწოდების კრებულში გამოქვეყნდა). ამჯერადაც აფხაზავა თავს უყრის ნაწარმოებებს, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ თუ მორალურ თემას მომავლის ფანტასტიკურ გარემოში იკვლევენ.

1986 წელი — “კოსმოსის მეკობრენი”, ავტორი ოთარ სადრაძე

ოთარ სადრაძემ ჟანრში პირველი წიგნი რომანის, “ზარათი მარსიდან” სახით ჯერ კიდევ 1962 წელს გამოაქვეყნა. თუმცა იმ დროისთვის უკვე გარკვეული ფორმით მაინც დაწერილი ჰქონდა 1986 წლის კრებულში შესული ოთხი მოთხრობიდან სამი მაინც. ამის მიუხედავად, 24 წლის შუალედით დაბეჭდილი ამ ორ წიგნის ავტორად ერთი და იმავე მწერლის ამოცნობა ძალიან რთულია. აბსურდული და პარანოიდული ჯაშუშური რომანის შემდეგ, რომელსაც ცოტა რამ თუ აკავშირებდა სამეცნიერო ფანტასტიკასთან, სადრაძემ მოთხრობებში ჟანრის პოპულარული ტროპი, უცხო ცივილიზაციებთან კონტაქტი, ოსტატურად და მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ კულტურული გზავნილით წარმოგვიდგინა.

“ნაკადულის” მიერ გამოცემულ კრებულში შესულ პირველ სამ მოთხრობაზე (“გაუკვალავი გზებით”, “კოსმოსის მეკობრენი” და “ცისფერ პლანეტაზე”), კრიტიკოსი ოტია პაჭკორია ჯერ კიდევ 1962 წელს წერდა. ის ამ მოთხრობებში რამდენიმე სიუჟეტურ თუ თემატურ პრობლემას გამოყოფდა, თუმცა მთლიანობაში ახალგაზრდა მწერლის ცდას დადებითად აფასებდა. კრიტიკოსი არაფერს ამბობს 1986 წლის კრებულის მეოთხე მოთხრობაზე (“უსასრულობიდან”), რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაწარმოები მწერალმა მოგვიანებით პერიოდში შექმნა.

სწორედ ეს ბოლო მოთხრობაა ამ კრებულის ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი. სადრაძე მოთხრობის დასაწყისში უცხოპლანეტელის ფერად გარდასახვის ფანტასმაგორიულ პასაჟს გვთავაზობს, შემდეგ კი, როცა უცხოპლანეტელიც მიწაზე ეშვება და წერის სტილიც მეტად კონვენციური ხდება, მწერალი ქართული საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკისთვის იშვიათ პოსტკოლონიურ აზრს ავითარებს. ამ აზრის თანახმად, სამყაროს შუაგული მხოლოდ დამკვირვებლის პერსპექტივით განისაზღვრება და, მაშასადამე, ობიექტურად არც ცენტრი არსებობს და არც პერიფერია.

1986 წელი — “მკაცრი სამხილი”, ავტორი ნუგზარ აფხაზავა

თავისი წინა კრებულის (“წყალობის დღე”) დაბეჭდვიდან ერთი წლის თავზე აფხაზავა სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში დაწერილ რიგით მეექვსე წიგნს აქვეყნებს. “საბჭოთა აჭარის” მიერ გამოცემული ეს კრებული აფხაზავას შემოქმედებაში პოლიტიკურად ყველაზე დამუხტულ და შინაარსობრივად ყველაზე ჩახლართულ ნაწარმოებებს იტევს. სულ კრებულში ხუთი მოთხრობაა შესული, რომელთაგან ოთხი იქამდე არასოდეს დაბეჭდილა.

ეს მოთხრობებია: “მკაცრი სამხილი” (უტა ფაზიას რიგით მეორე მოგზაურობა, რომელიც პირველად სხვა სათაურით, “Corpus Delicti”, 1980 წლის კრებულში, “მზის დესპანი ანუ უტა ფაზიას კოსმოსური ოდისეა”, დაიბეჭდა), “მეორედ მოსვლა” (ფსიქოლოგიური ტრილერი, რომელიც სიკვდილის სუბიექტურობას აანალიზებს), Ab Irato (უტა ფაზიას მორიგი თავგადასავალი, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ალეგორიული ენით გვიყვება), “გენი” (ისტორიული ფანტასტიკა, რომელშიც უცხოპლანეტელთა ჩვენს ცივილიზაციაზე ფარულ გავლენას იკვლევს) და “ჯადოსნური წრე” (დროში მოგზაურობის ამბავი, რომელიც სამყაროს დეტერმინისტულ ბუნებაზე საუბრობს).

Ab Irato ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში 1930-იანი წლების მერე პირველი (და უკანასკნელი) ნაწარმოებია, რომელიც, მართალია, ალეგორიული ენით, მაგრამ მაინც აკრიტიკებს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. ამ ანტისაბჭოური შინაარსის მიუხედავად, მოთხრობა ფორმით სოცრეალისტური რჩება, რაც იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად მჭიდროდ იყო ეს ჟანრი დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის ენასთან.

1987 წელი — “ნატვრა”, ავტორი ირინე ტალიაშვილი

იმას, რომ ქართულ საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკაში ქალის ხმაც ისმის, საბავშვო ლიტერატურის მწერალს, ირინე ტალიაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. „ნაკადულის“ მიერ 1987 წელს გამოსული მისი კრებული იმითაც გამოირჩევა, რომ მომავლის დისტოპიურ ხედვებს გვთავაზობს, რასაც „გარდაქმნამდე“ პერიოდის ნაწარმოებებში,

ფაქტობრივად, არ ვხვდებით. ტალიაშვილი ტექნოლოგიურ წინსვლას საშიშად მიიჩნევს და ხატავს სამყაროებს, რომლებშიც ავტომატიზაცია და რობოტების ყოველდღიური ყოფის ნაწილად გახდომა ადამიანებს სამსახურებს და ადამიანურ კავშირებს აკარგვინებს. ის ატომური იარაღისგან განადგურებული სამყაროების დახატვასაც არ ერიდება და საკუთარ პროტაგონისტებსაც ხშირად წირავს სიკვდილისთვის.

კრებულში შემდეგი 16 მოთხრობაა შესული: „ოცდამეერთე“, „მიწიერი სიყვარული“, „ექსპერიმენტი“, „ჯარიმა“, „შვებულება“, „მაგნოლიის კუნძულზე“, „არსებობა“, „უნიკალური ბავშვი“, „ნატვრა“, „ახალი იკაროსი“, „მოგენატრება ბავშვური ცრემლი“, „ერთი გადაღება დღე“, „საზაფხულო არდადეგები“, „ფანტაზიის გაკვეთილი“, „ზღვის მსახიობი“, „იდუმალი ხმა“ და „მწერლის სიკვდილი“.

მართალია, ირინე ტალიაშვილი თავისი მოთხრობების აბსოლუტურ უმრავლესობას კაცი გმირების პერსპექტივიდან წერს³⁸⁰, თუმცა მან ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკურ ლიტერატურას პირველ ქალი პროტაგონისტი, მართა შემატა. მოთხრობის, „იდუმალი ხმა“, მთავარი გმირი რობოტიკის ინჟინერი, მარტოსული მეცნიერია, რომელიც სოციალურ ცხოვრებას თავის პროფესიულ კარიერას სწირავს და ამ არჩევანის შედეგებთან გამკლავება უწევს.

1988 წელი — „ჯადოსნური ბგერები“, ავტორი შოთა გაგოშიძე

“ნაკადულის” მიერ გამოცემული “ჯადოსნური ბგერები” შოთა გაგოშიძის მეორე სამეცნიერო ფანტასტიკური კრებულია. მწერალი აქაც უბრუნდება თავისი ინტერტექსტუალური გმირის, გივი ოძელის სამყაროს და რამდენიმე ძველ მოთხრობასაც იმეროებს, მაგრამ პარალელურად სხვადასხვა დროსა და სივრცეში, ახალი პერსონაჟებით გათამაშებულ ნაწარმოებებსაც გვთავაზობს.

³⁸⁰ ამ მხრივ გამონაკლისია „საზაფხულო არდადეგები“ და „იდუმალი ხმა“

კრებულში შემდეგი მოთხრობები შედის: “ჯადოსნური ბგერები” (პირველად დაიბეჭდა 1979 წლის კრებულში და გივი ოძელის მონაწილეობით პირველი კონტაქტის ისტორიას გვიყვება), “საგა ცისფერი მნათობის შვილზე (პირველად დაიბეჭდა 1979 წლის კრებულში სათაურით, “ცისფერი მნათობი ამირანი” და ქართულ მითოლოგიას სამეცნიერო ფანტასტიკური კონტექსტით ხსნის), “შთამომავალთა ნობათი” (პირველად დაიბეჭდა 1979 წლის კრებულში სათაურით, “ხმა მომავლიდან” და მომავლის ადამიანების გივი ოძელის აწმყოსეულ წარსულში მოგზაურობის შესაძლებლობას განიხილავს), “ფოტონური ქარიშხლის ტყვეობაში” (პოლიტიკური ალეგორია, რომელშიც ორი პარალელური სამყარო კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობასთანაა შედარებული), “სანაძლეო” (გივი ოძელის მორიგი თავგადასავალი უცხო პლანეტაზე, რომელსაც უჩვეულო არსებები დაჰპატრონებიან), “ოპერაცია დინოზავრი” (კაცობრიობის წარმოშობის ისტორიის ალტერნატიული ვერსია) და “სასჯელი მცდელობისათვის” (კიდევ ერთი მოთხრობა, რომელშიც გაგოშიძე არსებულ მითებს თუ რელიგიურ ისტორიებს სამეცნიერო ფანტასტიკურ ნარატივში ათავსებს).

ორიგინალურ სიუჟეტებსა და მოვლენების მოულოდნელად განვითარებაში გაგოშიძეს საბჭოთა სამეცნიერო ფანტასტიკის ქართველ მწერლებს შორის ალბათ მხოლოდ ნუგზარ აფხაზავა თუ გაუტოლდება. მწერალი ახერხებს, რომ ჟანრს მისთვის დამახასიათებელი ინტრიგა და დამაბულობა შესძინოს და მკითხველის მოლოდინებზეც მოხერხებულად ითამაშოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას გაგოშიძე სოცრეალიზმის ტყვეობაში აღმოჩენილი ჟანრის შიგნით ახერხებს, მისი მიღწევები ერთიორად დასაფასებელი ხდება.

1989 წელი — “ჩვენ დედამიწაზე დავდივართ”, ავტორი ვალერი ჯინჭარაძე

“ჩვენ დედამიწაზე დავდივართ” “ნაკადულის” მიერ გამოცემული სამეცნიერო ფანტასტიკური ზღაპარია. ის ქართველი ბავშვების, გოგიტასა და ირმას და კიბორგის მსგავსი “ციდან ჩამოსული ტუსუს” თავგადასავალს გვიყვება. ბავშვები ყველგანმავლით ამერიკას, აფრიკას და საქართველოს შემოიფრენენ. მოგზაურობის

მიწურულს კი ისინი იმასაც არკვევენ, რომ “იმდედამიწელები” ამ დედამიწიდან ადამიანებს შესასწავლად იტაცებენ და ტუსუც სწორედ ამგვარად მოტაცებული ბავშვია. მისი მისია მორიგი ბავშვების გატაცებამდე მსხვერპლთა ფსიქოლოგიური მომზადებაა, თუმცა ტუსუ საბოლოოდ ვერ წირავს ექსპერიმენტებისთვის თავის ახლად შეძენილ მეგობრებს და გაუჩინარებამდე ყველაფერს წერილში უყვება.

იმის მიუხედავად, რომ ნაწარმოები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაა გათვლილი, ის ისეთი მძიმე თემების განხილვას არ ერიდება, როგორიც მშობლის მიერ ბავშვზე ძალადობა თუ თანატოლთა მიერ ერთმანეთის ჩაგვრაა. მაგრამ ვარლამ ჯინჭარაძე ძალადობის ამ რეალური ფორმების გვერდით სამეცნიერო ფანტასტიკურ განსაცდელსაც მოუვლენს თავის პერსონაჟებს. და თუ სკოლასა და ოჯახში ძალადობის აღმწერი სცენები თავბრუდამხვევი მოგზაურობით უკან ჩამოსატოვებელ ამბებადაა წარმოჩენილი, ტუსუს ტრაგიკული ისტორია ზღაპრისთვის დამახასიათებელი ბედნიერი დასასრულით სულაც არ მთავრდება.